

F-595

1963.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

კ. ქაქელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

მთაბე

V

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი - 1963

სელნაწერთა ინსტიტუტის
მ ა ა მ ბ ე

V

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМЕНИ К. КЕКЕЛИДZE

ИЗВЕСТИЯ

Том V
1963

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ—1963



მთაბეე

V

F-2783.





შინაბარსი -- СОДЕРЖАНИЕ

1. ნ. გოგუაძე, თანდებულის ნაცვალსახელები ძველ ქართულში. Н. Д. Гогоуадзе, Местоимения с предлогами в древнегрузинском языке (Резюме)	5 15
2. ც. ქურციკიძე, ტერმინ „კარანის“ განმარტებისათვის Ц. И. Курцикидзе, О значении термина «Карани» (Резюме)	19 21
3. ნ. ათანელიშვილი, „ამირანდარეჯანიანის“ რედაქციები Н. А. Атанелишвили, Редакции «Амирандареджаниани» (Резюме)	23 43
4. მ. ქავთარია, ალ. ჭავჭავაძის უცნობი ავტოგრაფები М. Н. Кавтария, Неизвестные автографы Ал. Чапчавадзе (Резюме)	45 56
5. ც. ჭავჭავაძე, ეგნატე იოსელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის Ц. А. Чавчавадзе, К изучению литературного наследства Эгнатия Иоселиани (Резюме)	57 65
6. ლ. ჭავჭავაძე, პუნქტუაცია ძველ ქართულ ხელნაწერებში (V—X სს) Л. Р. Каджана, Пунктуация в древнегрузинских рукописях (V—X вв.) (Резюме)	67 75
7. ილ. აბულაძე ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდები: „მრავალთავის“ ზოგერთი თავის წყარო: V. სებერიანე გაბალონელი, მოცქეტლა საქსენებელი И. В. Абуладзе, Штудии по грузинско-армянской филологии: источники некоторых глав «Многоглава»: V. Память об апостолах Севериана из Габалы (Резюме)	35 102
8. თ. ჭყონია, ერთი ძველი გნომური ლიტერატურისა Т. А. Чкониа, Один памятник гномической литературы (Резюме)	103 108
9. ნ. ყანჩაველი, ალაღარ-ხანის წერილები მ. არღეთისკი-დოღორუქისადმი Н. Г. Канчавели, Письма Агалаг-хана М. З. Аргутинскому-Долгорукому (Резюме)	123 136
10. ე. მაჭავარიანი, ლაფსყალის ხელნაწერის დეკორატიული მორთულობა Е. М. Мачавариани, Декоративное убранство Лабскалдской рукописей (Резюме)	137 161
11. ა. ბაქრაძე, თუმანიშვილთა გენეოლოგიის დადგენის ცდა (XV—XVII სს) А. К. Бакрадзе, К вопросу об установлении генеалогии рода Туманишвили (XV—XVII вв.) (Резюме)	163 178
12. ა. კლიშიაშვილი, მორიგე ლაშქრის საკითხისათვის XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში А. Э. Климишвили, К вопросу о войне «мориге» в Восточной Грузии II половины XVIII века (Резюме)	179 210
13. ჯ. თდიშელი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის Дж. Э. Одишели, К вопросу о личности историка Давида Строителя (Резюме)	211 219
14. ლ. ალექსი-მესხიშვილი, ხელნაწერთა დაზიანების გამომწვევი სოკოების წინააღმდეგ ზოგიერთი პრეპარატის გამოცდის შედეგები Л. Г. Алекси-Месхишвили, Результаты испытания некоторых препаратов против грибов, вызывающих повреждение рукописей (Резюме)	221 224
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	
15. ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI — XVIII სს—ე. მეტრეველი	225



6. ბოგუაძე

თანდებულნიანი ნაცვალსახელნი ძველ ქართულში

ნაცვალსახელი უძველესი წარმოშობისაა და რიგი თავისებურებით ხასიათდება. ბრუნებისას ეს თავისებურება შემდეგში ვლინდება: პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები (მე, შენ, ჩვენ, თქვენ) უბრუნველი სიტყვებია; მესამე პირის ნაცვალსახელი კი ფუნქციონირებს (სახელობითში ერთი ფუნქციონირებს, დანარჩენ ბრუნებში კი — სხვა ფუნქციონირებს): წოდებითი ბრუნვა მას არ გააჩნია. ძველ ქართულში ამ თავისებურებას ისიც ემატებოდა, რომ ბრუნებისას ნაცვალსახელი ემუქრებოდა ა. ს. არ დაირთავდა.

ამიტომ უცნაური ჩანს სურათი, რასაც გვიჩვენებს ნაცვალსახელი ძველ ქართულში იმ თანდებულთა დართვისას, რომლებიც მოითხოვენ მიცემითსა და ნათესაობით ბრუნებს. ეს თანდებულებია: წინაშე, შორის, გარეშე, ქუეშე და მისთ.

მაგალითები:

„დავდვა ალოქუმა ჩემი შოვრის ჩემსა და შოვრის შენსა“ (დაბად. 17, 2);

„შორის თქუენსა დგას“ (ი. 1, 26);

„სათნო-იყავ წინაშე ჩემსა“ (დაბად. 17, 1);

„დავდინა იგი წინაშე მისა“ (ლ. 9, 47);

„ქუეშე მისსა იქცევის“ (იოზ 28, 5).

მოტანილ ნიმუშებში ჩემსა, ჩუენსა, შენსა, თქუენსა, მისა ნაცვალსახელები პირის ნაცვალსახელებად არის გააზრებული და გაგებული. თუმცა პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ფორმალურად სიტყვებია, მაგრამ აქ მათ -ს-ა დაბოლოება გაუჩნდათ; ხოლო მესამე პირის ნაცვალსახელთან ემუქრებოდა ა. ს. გამოჩნდა. რა მოვლენასთან გვაქვს საქმე? ჩაითვლება თუ არა ამ შემთხვევებში ეს ნაცვალსახელები პირის ნაცვალსახელებად?

ერთი გარემოება იქცევს განსაკუთრებით ყურადღებას: ზემოთ დასახელებულ მაგალითებში თანდებული მოსდევს ნაცვალსახელს. სხვაგვარია ვითარება, თუ ამ რიგს შევცვლით. მოგვაქვს ნიმუშები თანდებულების გამოყენებისა სამსავე პირის ნაცვალსახელთან (როცა თანდებული წინ დგას და როცა მოსდევს ნაცვალსახელს):

I. თანდებული მოსდევს ნაცვალსახელს:

შორის:

„სიკუდილმან განწვალოს შენ შოვრის და ჩემ შოვრის“ (რუთ. 1, 17);

„საჯენ უფალმან შენ შოვრის და ჩემ შოვრის“ (დაბად. 16, 5);

„დაემკვდრენით ჩუენ შორის“ (იქვე, 34, 10);

- „დაემკვდრა ჩუენ შორის (სინ. მრ. 22, 10);
 „მე ვარ თქუენ შორის ვითარცა მსახურ“ (ლ. 22, 27);
 „რომელი ურწმუნობად განიკითხვის თქუენ შორის“ (სინ. მრ. 72.

12);

- „იყო ცილობაჲცა მათ შორის“ (ლ. 22, 23);
 „იყო სიტყუაჲ მათ შორის განგრძობილი“ (სინ. მრ. 80, 10).

წინაშე:

- „წარმოადგინეთ ჩემ წინაშე“ (ლ. 23, 14 c; სინ. მრ. 59, 8);
 „მეგობარნი ჩემნი ჩემ წინაშე მომეახლნეს“ (ფს. 37, 12);
 „დავადგინო ეგე შენ წინაშე“ (დაბად. 44, 32);
 „შენ წინაშე არიან ყოველნი მაჭირებელნი (ფს. 68, 20);
 „თქუენ წინაშე ვიკითხე“ (ლ. 23, 14 C);
 „თქუენ წინაშე ვერ მიცილობელ ვიქმნეთ“ (სინ. მრ. 152,28);
 „მუხლნი დაიდგნა მის წინაშე“ (მრ. 10, 17);
 „განჴინენით მის წინაშე გულნი თქუენნი“ (ფს. 61, 9);
 „მოიგე ამათ წინაშე“ (რუთ. 4,4);
 „ეყავნ ტაბლაჲ მათი მათ წინაშე საბრტე“ (ფს. 68, 23).

ქუეშე:

- „მან დაამორჩილა ერი ჩემ ქუეშე“ (ფს. 17,48);
 „რომელნი აღდგომილ არიან ჩემ ზედა, ყვენ იგინი ჩემ ქუეშე“ (იქვე, 17, 40);
 „დაგუამორჩილნა ერნი ჩუენ ქუეშე“ (იქვე, 46,4);
 „ერნი შენ ქუეშე დაეცნენ“ (იქვე, 44,6).

II: თანდებული წინ უსწრებს ნაცვალსახელს:

შორის:

- „უფალი არს მოწამე შოვრის ჩემსა და შენსა“ (დაბად. 31,44);
 „ნუ იყოფინ ლალეაჲ შოვრის ჩემსა და შენსა“ (იქვე, 13,8);
 „ესე არს აღთქუმაჲ ჩემი, რომელი დავდევ შორის შენსა და ჩემსა“ (სინ. მრ. 14,1);
 „გამოავლინის სასწაულნი... შორის შენსა“ (ფს. 134,9);
 „რომელმანცა ისმინა შოვრის ჩუენსა“ (იობ. 9,33);
 „გამოიყვანა ისრაელი შორის მისსა“ (ფს. 135,14);
 „დაჯდა პეტრეცა შორის მათსა“ (ლ. 22,55);
 „მუნ არს შორის მათსა უფალი“ (სინ. მრ. 122,14);
 „ვითარცა-იგი ტარნი ორნი შეაბნიან და საშოვალ მათსა საგნველი, ეგრეცა უფალმან წარავლინნა ორნი მოციქულნი და შოვა მათსა ჯუარი“ (იქვე, 139,17).

წინაშე:

- „იყო ვენაჴი წინაშე ჩემსა“ (დაბ. 40,9);
 „დადგა მახლობელად წინაშე ჩემსა“ (სინ. მრ. 64,4);
 „რამეთუ ყოველნი სამართალნი მისნი წინაშე ჩემსა არიან მარადის“ (ფს. 17,23);

- „ვაჟე მადლი წინაზე შენსა“ (დაბად. 33,10);
- „ყოველი გზანი ჩემნი წინაზე შენსა არიან“ (ფს. 118, 168);
- „სივლტოლით ივლტიან წინაზე ჩუენსა“ (მსაჯ. 20,39);
- „მე წინაზე თქუენსა განვიკითხე“ (ლ. 23,14);
- „დადგა ბუნება წინაზე მისა“ (სინ. მრ. 12,22);
- „წინაზე მისა რბის“ (იქვე, 88,21);
- „იკულა სხუად ხატად წინაზე მათსა“ (მრ. 9,2);
- „წინაზე მათსა წარმოვიხუენით საქმენი მათნი“ (სინ. მრ. 116,6).

ქუეზე:

- „ფართო ჰყვენ სღვანი ჩემნი ქუეზე ჩემსა“ (ფს. 17,37 გ);
- „ვერ განსქდეს ღრუბლნი ქუეზე მისსა“ (იობ. 26,8) ...

სხვა თანდებულები, რომლებიც მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებს მოითხოვს, ასე თუ ისე დამკვიდრებულია სახელის თავსა ან ბოლოში. ასე; მაგალითად: ზედა თანდებული უკვე ამ დროისათვის საკმაოდ მყარად ზის სახელის შემდეგ, მხოლოდ თითო-ორთლა შემთხვევაა, როცა ის ნაცვალსახელს წინ უსწრებს:

- „აღიხილნა თუალნი თუსნი და იხილა და ამა სამ კაც დგეს ზედა მისა“ (დაბად. 18,2);
- თანა, მიერ ყოველთვის მოსდევს სახელს, თუნიერ წინ უხის: მის თანა, მის მიერ, თუნიერ ჩემსა, თუნიერ მისა...

ჩვენთვის კი განსაკუთრებით საინტერესოა თანდებულები: წინაზე, შორის, ქუეზე... რომელთა ადგილი დაკანონებული არ არის:

განვკვირებთ მის წინაზე ლოცვანი ჩემნი და ქირნი ჩემნი წინაზე მისსა მიუთხრნე“ (ფს. 141,3);

„თაყუანის-გცენ შენ წინაზე, უფალო“ (ფს. 85,9 ა-ბ); გ რედაქციაში: „თაყუანის-გცენ წინაზე შენსა“.

„და ცილობა იყო მათ შორის“ (ი. 9,16);

რედაქციაში: „და იყო წვალება შორის მათსა“.

„მუნ ვარ მე მათ შორის“ (მ. 18,20).

რედაქციაში: „მე მუნ ვარ შორის მათსა“.

„დაადგინა იგი მის წინაზე“ (ლ. 9,47);

რედაქციაში: „დაადგინა იგი წინაზე მისა“.

„სასწაული ქმნა წინაზე მათსა“ (ი. 12,37);

რედ. „სასწაულ ექმნა მათ წინაზე“...

კითხვა ისმის: რატომ აქვს ასე დიდი მნიშვნელობა ნაცვალსახელისა და თანდებულის თანამიმდევრობას? რომელ ბრუნვაში დგას ნაცვალსახელები ამ თანდებულებთან?

სახელებს ჩვენთვის საინტერესო თანდებულები ორ ბრუნვაში მართავენ: მიცემითსა და ნათესაობითში. „წინაზე“, „ზედა“, „თანა“ თანდებულების გარდა (კ. კეკელიძე) „ძველ ქართულში შორის, გარეშე და ზოგიერთი სხვა ზმნისართული თანდებული აგრეთვე მიცემითთანაც იხმარებოდა და ნათესაობითთანაც... ეგვევი თქმის ქუეზე, წინაზე, უკუანა თანდებულების შესახებაც“¹ [სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრით, სულიერ საგანთა (უფრო ზუსტად, ვინ ჯგუფის) სახელებს ეს თანდებულები მართავენ ნათესაობითში].

¹ ა. მარტიოხოვი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 386.

კარგა ხანია შემჩნეულია ფორმათა ის ნაირობა, რასაც იწვევს თანდებულის დართვა ნაცვალსახელის თავსა თუ ბოლოში. კ. კეკელიძემ თავის წერილში — „წინაზე“, „თანა“, „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში“ მიუთითა ამაზე „წინაზე“ თანდებულთან დაკავშირებით: თუ ნაცვალსახელს მოსდევს ეს თანდებული, გვაქვს „მის წინაზე“, ხოლო თუ წინ უსწრებს — „წინაზე მისსა“. ამის გამო შენიშნავს ი. იმნაიშვილი: „ჩვენი აზრით, ავტორი არა სწორად ზღუდავს ამ წესს ნაცვალსახელებით და მას არსებითს სახელებს არ უქვემდებარებს, როცა დაასკვნის: „არსებით სახელთან დაკავშირებით თანდებულის ადგილმდებარეობას მნიშვნელობა არა აქვსო“, არსებითი სახელებიც (მაგალითად, ადამიანთა სახელები) ამ წესს ემორჩილებიან. მაშასადამე, წინაზე (და ზოგი სხვა) თანდებულის ადგილმდებარეობას აქვს მნიშვნელობა, თუ როგორი სახით იქნება მოცემული არსებითი სახელის ნათესაობათის ფორმა. ეს კარგად ჩანს ადამიანთა სახელების მაგალითზე.

შდრ. „მოიყვანეს იგი საულის წინაზე“, I მეფ. 17,31 და: „წარიყვანეს იგი წინაზე საულისა“, I მეფ. 17,57.

აქ მის და საულის ერთ სიბრტყეზე უნდა დავაყენოთ, ხოლო მისსა (მისა) და საულისა — მეორეზე².

საკუთარ სახელებთან არაპირდაპირ ამ ვითარებაზე მიუთითებს სტ. ჩხენკელიც ნაშრომში: „საკუთარ სახელთა ბრუნება ომკური ხელნაწერის მეფეთა წიგნში.“ ავტორი საკითხს თუშემა სპეციალურად არ იკვლევს, მაგრამ რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ თანდებულის ადგილი გავლენას ახდენს საკუთარი სახელის ბრუნვის ფორმაზე: „ნათესაობით ბრუნვას ითხოვს აგრეთვე მიერ, წინაზე, მიმართ და შორის თანდებულები, როდესაც ისინი მოსდევენ სახელს“³ (ხაზი ჩემია, ნ. გ.). „ზედა თანდებულთან ადამიანის საკუთარი სახელი ნათესაობითი დგას, თუ თანდებული მოსდევს საკუთარ სახელს“⁴ (ხაზი ჩემია, ნ. გ.). ამით ავტორი მიგვანიშნებს, რომ სხვაგვარი ვითარებაა, როცა თანდებული წინ უსწრებს საკუთარ სახელს, მაგრამ ამ შემთხვევებს არ განიხილავს. მაშასადამე, გვაქვს ფორმები:

ჩემ წინაზე და წინაზე ჩემსა

მათ შორის და შორის მათსა...

რა ახსნა მოეძებნა ასეთ ფორმებს? ორ კითხვაზე უნდა გაიცეს პასუხი

1. არის თუ არა ესენი პირის ნაცვალსახელები?

2. რომელ ბრუნვაში დგას ნაცვალსახელი?

ვრცლად ამ საკითხებზე ჩერდება ი. იმნაიშვილი: „კუთვნილებითს ნაცვალსახელებს ჩვენ ვხედებით პირის ნაცვალსახელების რიგში. განსაკუთრებით ხშირად ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა პირის ნაცვალსახელებს თანდებულ

² ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 326—327.

³ ს. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ომკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I. 1956, გვ. 91.

⁴ იქვე, გვ. 106.

ბი უნდა დაერთოს. ასეთ შემთხვევაში თანდებულის ბოლოს დართვა კიდევ არის ასატანი პირის ნაცვალსახელებისათვის. მაგრამ როცა ეს თანდებულები მათ თავში ერთვის, თავის წინაპარს კშველის და მონაცვლეობას უწევს კუთვნილებითი ნაცვალსახელი. შდრ. მავალითად:

შორის:

შენ შორის, მ. 6,23, მაგრამ: შორის შენსა ლ. 19, 44;
თქუენ შორის, მ. 10,20, მაგრამ: შორის თქუენსა, ლ. 17,21;:
ჩუენ შორის, მ. 13,56, მაგრამ: შორის ჩუენსა და შენსა, ლ. 16,26;
მათ შორის, მ. 18,20, მაგრამ: შორის მათსა, მ. 14,6

წინაშე:

ჩემ წინაშე, ლ. 4,7, მაგრამ: წინაშე ჩემსა, ლ. 19,27;
შენ წინაშე, მ. 11,26, მაგრამ: წინაშე შენსა, მ. 6,2;
მის წინაშე, მ. 17,14, მაგრამ: წინაშე მისსა, მ. 2,18;
თქუენ წინაშე, ლ. 23,14, მაგრამ: წინაშე თქუენსა, მ. 21,2;
მათ წინაშე, მ. 17,2, მაგრამ: წინაშე მათსა, მ. 9,2

ზოგჯერ ეს შენაცვლება ხდება უბრალოდ, შემოთ ნაჩვენები წესის გარეშე. სურვილი აქაც გასაგებია: უფრო ნათლად იქნეს აღნიშნული ბრუნვა (დღეს ხომ ორივეს ერთი და იგივე აქვს), მავალითად: ანუ არა ჯერ-არს ჩემდა, რაჟღე მინდეს, ყოფად ჩემსა ზედა, მ. 20,15. „ჩემსა“ ზედა, რასაკვირველია, ნიშნავს „ჩემზედა“^ა.

რომ უბრუნველ (I და II პირის) ნაცვალსახელებს კუთვნილებითები „უესებენ ნაკლს“, ეს ადრეც იყო აღნიშნული^ბ. შესაძებ პირის ნაცვალსახელს ასეთი მიშველება კი თითქოს არ უნდა სპირდებოდეს.

[წინაშე] ჩემსა, შენსა, მისსა... პირის ნაცვალსახელად არის ჩათვლილი სხვაგანაც: ოთხთავის სიმფონიაში ასეა დაჯგუფებული თანდებულებიანი ნაცვალსახელები:

პირის ნაცვალსახელი კუთვნილებითი ნაცვალსახელი

ჩემ [ნათ. ბრ. „მე“ პირის ნაცვალსახელისა]: ჩემ ქუეშე, მ. 8,9 ჩემ წინაშე, ლ. 4,7 (გვ. 701).	ჩემ-ი [კუთვენ. ნაცვალს.] თუნიერ ჩემსა, ი. 15,5; წინაშე ჩემსა, ლ. 19,27 (გვ. 702—703).
ჩუენ [პირის ნაცვალს.]: (გვ. 705); ჩუენ შორის, მ. 13,56	ჩუენ-ი [კუთვენ. ნაცვალს.] (გვ. 707); შორის ჩუენსა, ლ. 16,26
შენ [პირის ნაცვალს.]: შენ შორის მ. 6,23 (გვ. 670);	შენ-ი [კუთვენ. ნაცვალს.] შორის შენსა, ლ. 19,44; წინაშე შენსა, მ. 6,2;
თქუენ [პირის ნაცვალს.] თქუენ შორის, მ. 10,20 (გვ. 240);	თქუენ-ი [კუთვენ. ნაცვალს.] შორის თქუენსა, ი. 1,26 წინაშე თქუენსა, მ. 21,2 (გვ. 242);
მათ [მოთბრ.]: მათ შორის, მ. 18,2 მათ წინაშე, მ. 17,2 (გვ. 297).	მათ-ი [კუთვენ. ნაცვალს]: შორის მათსა, მ. 14,6; წინაშე მათსა, მ. 17,2 (გვ. 301).

^ა ი. იმნაიშვილი ი. დასაბ. შრომა, გვ. 518—519.

^ბ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 100.

ამათგან განსხვავებით „წინაშე მისა (მისსა)“ მოტანილი მესამე პირის ნაცვალსახელთან და ამით დარღვეულია ის პრინციპი, რის მიხედვითაც ზემოთ განხილული ნიმუშებია დაჯგუფებული:

„ღა [„იგი“ პირის ნაცვალსახელის ფუძე ირიბ ბრუნვებში] (გვ. 281):

მის წინაშე, მ. 8, 20; წინაშე მისა, მ. 25, 32; წინაშე მისსა, ი. 3, 28 C“.

პირის ნაცვალსახელად არის გაგებული ამ თანდებულებთან ნაცვალსახელი ხანმეტი ლექციონარის სიმფონიაში. ჩუენ პირისა და ჩუენ-ი კუთვნილებითი ნაცვალსახელები მოცემულია ცალკე ერთეულებად და „ჩუენ შოგ-რის“ ჩუენ პირის ნაცვალსახელის ნიმუშად არის დასახელებული⁷.

ზემოთ განხილულ ახსნას ის უხერხულობა ახლავს, რომ პრეპოზიციისას (როცა ნაცვალსახელი წინ უსწრებს თანდებულს) თითქოს არაა საჭირო ბრუნვების თვალნათლივ გარჩევა: შენ წინაშე, თქვენ შორის...

თითქოს ეს საჭიროება ენის წინაშე დგება მაშინ, როცა თანდებული ნაცვალსახელის წინ გადმოინაცვლებს.

რომელ ბრუნვაში დგას ნაცვალსახელები წინაშე, შორის და მისთ. თანდებულებთან? „წინაშე (და ზოგი სხვა) თანდებულის ადგილმდებარეობას აქვს მნიშვნელობა, თუ როგორი სახით იქნება მოცემული არსებითი სახელის ნათესაობითი ფორმა (ხაზი ჩემია, ნ. გ.) ეს კარგად ჩანს ადამიანთა სახელების მაგალითზე.

„შდრ. მოიყვანეს იგი საულის წინაშე, I მეფ. 17, 31 და: წარიყვანეს იგი წინაშე საულისა, 2 მეფ. 17, 57.

„აქ მის და საულის ერთ სიბრტყეზე უნდა დაეყენოთ, ხოლო მისსა (მისა) და საულისა—მეორეზე“⁸, ე. ი. ერთი რიგისად არის ჩათვლილი ეს ორი ფორმა და ნათესაობითად გაიგება. ავტორი შენიშნავს მხოლოდ: სხვადასხვა სიბრტყეზე დადგებიანო. რაში გამოიხატება? რატომ ჩნდება საკუთარ სახელთან ემფატიკური ა? ამაზე არაფერია ნათქვამი.

ნათესაობითი ბრუნვის სასარგებლოდ ლაპარაკობს ავტორი სხვაგანაც: „შორის შენსა და შორის ჩემსა და შორის ნათესავისა ჩემისა და შორის ნათესავისა შენისა“, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი „ნათესავისა“-ს საილუსტრაციოდ, ნათესაობითშია აგრეთვე შენსა და ჩემსა, რადგან ისინი გვერდში უდგანან ფორმას ნათესავისა, რომელიც ნათესაობითშია. მაგრამ თუ შენსა-ს და ჩემსა-ს არა აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, ეს აიხსნება ამ სიტყვათა განსაკუთრებული წარმოშობის ისტორიით; ეს ფორმით კუთვნილებითი ნაცვალსახელებია, რომელიც აქ პირის ნაცვალსახელთა ფუნქციას ასრულებენ... (შორის) ჩემსა და (შორის) შენსა არსებითად ნათესაობითის, ან სხვანაირად ნათესაობით-მიცემითის ფორმებია“⁹. „დავიწყებული არ არის ის გარემოება, რომ შორის შენსა-ში შენსა ნათესაობითი ბრუნვიდან მომდინარეობს. ამიტომაც შესაძლებელი მასთან შორის თანდებულის ხმარება (ის ვინ ჯგუფის სახელებში ნათესაობითს ითხოვს), შენსა აქ ისეა გაგებული, როგორც ორმა-ვი ბრუნვის (ნათესაობით-მიცემითის) ფორმა“¹⁰.

⁷ ხანმეტი ლექციონარი, 1944, გვ. 053.

⁸ ი. იმნაიშვილი, დასახ. შრ., გვ. 326.

⁹ ი. იმნაიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 328.

¹⁰ იქვე, გვ. 519.

ჩვენთვის საინტერესო ჩემსა, ჩუენსა, შენსა, თქუენსა, მისა (ქმისსა), მათსა ფორმები ნამდვილად ორმაგი ბრუნვის ფორმებია—ნათესაობით-მიცემითი, ხოლო თანდებულების წინ დასმული ჩემ, შენ, ჩუენ, თქუენ—ნათესაობითი, [რაც აშკარად ჩანს III პირთან და საკუთარ სახელებთან; მაგალითად:

„არავინ დგა წინაშე იოსებისსა (დაბად. 45,1); ზრახვა-ყვეს წინაშე უსტამისსა (გვსტ. გვ. 160¹¹). ეს ნაცვალსახელები პირისა არ არის, ისინი კუთვნილებითი ნაცვალსახელებია და მსაზღვრელად გამოყენებული. პირველ შემთხვევაში (ჩემ წინაშე) გვაქვს მართვა, მეორე შემთხვევაში (წინაშე ჩემსა)—მართვა-შეთანხმება. თუ ესენი მსაზღვრელებია, სადაა საზღვრული? კონკრეტულად ავიღოთ წინაშე თანდებული. რა სიტყვებთან გვხვდება წინაშე?

მოვითანოთ მაგალითები:

„აჰა ესერა მე წარვაველინი ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განმზადნეს გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა“ (მ. 11,10 მს).

გ რედ.: „აჰა წარვაველინებ ანგელოზსა ჩემსა წინაშე პირსა შენსა და განმზადდეს გზად შენი წინაშე პირსა შენსა“.

„წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ ვიდოდიან წინაშე შენსა“ (ფს.88,15 ა-ბ).

გ რედ.: „წყალობაჲ და ჭეშმარიტებაჲ ვიდოდიან წინაშე პირსა შენსა“.

„თხარეს წინაშე ჩემსა მთხრებლი“ (ფს.56,7 ა-ბ).

გ რედ.: „თხარეს წინაშე პირსა ჩემსა მთხრებლი“.

„წარმოვადგინო ესე ყოველი შენ წინაშე“ (იქვე, გვ. 49, 21 ა-ბ).

გ რედ.: „წარმოვადგინენ ცოდვანი შენნი წინაშე პირსა შენსა“.

„წინაშე პირსა ჩემსა ბნელი დავდვა“ (იობ. 19,8).

„დაიმკვდრონ წრფელთა წინაშე პირსა შენსა“ (ფს. 139,14);

„ვინ-მე მიუთხრას წინაშე პირსა შენსა გზად მისი“ (იობ. 21,31);

„აღვიმსთოთ წინაშე პირსა მისსა აღსარებით“ (ფს. 94,2);

„წარსძლეუ შენ წინაშე პირსა უფლისასა“ (გალ. 9,9);

„განუშხადე წინაშე პირსა ყოველისა ერისასა“ (სინ. მრ. 91, 30; 95, 32);

„დავაწულილნე ივინი, ვითარცა მტუერნი წინაშე ქარსა“ (ფს. 17, 43 ა-ბ);

გ რედ.: „დავაწულილნე ივინი, ვითარცა მტუერი წინაშე პირსა ქარისასა“;

„იყავ ჩემდა სასო, გოდოლ მტკიცე წინაშე პირსა მტერისასა“ (ფს. 60,4 ა-ბ)...

წინაშე-სთან ერთად ხშირია პირი-ს ხმარება. „პირი“ აღნიშნავს აგრეთვე წინ-ს; მისგან მიმდინარეობს „პირველი“: „პირისაჲცენ მდგომი, წინ მდგომი“. ¹² წინაშე (წინა) და პირი მნიშვნელობით ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან და ამიტომ ერთი მათგანის დაკარგვა საცესებით ბუნებრივია. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ „წინაშე“ თანდებული ორ ბრუნვას (ნათესა-

¹¹ ნიმუში დამოწმებულია ი. იმნაიშვილის „ძველი ქართული ენის კრესტომათიდან“.

¹² აკ. შანიძე, დასახ. შრ., გვ. 137.

ობითსა და მიცემითს) არ მოითხოვს, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. გამოდის, რომ „წინაშე“ მხოლოდ მიცემით ბრუნვაში მართავს სახელს.

სხვა შემთხვევაშიც დასტურდება წინადადებაში რომელიმე წევრის (რომელიც სისტემებზე იხმარება გარკვეულ კონტექსტებში) ჩაყარვანი. მაგალითად: შეხედა ზმნასთან ყოველთვის იყო თული («შეხედნა მან მას თულანი»), დღეს ეს ზმნა მხოლოდ ორ პირს შეიწყობს: შეხედა მან მას. დაიკარგა პირდაპირი ობიექტი—თულანი.

სხვა მაგალითი: ძველ ქართულში ჩვეულებრივია ასეთი გამოთქმები: „მივიდა დავითისა“, „მოვიდა იესუსა“ და სხვ. ასეთ შემთხვევებში გამოტოვებულად გულისხმობენ საზღვრულ სახელს: „საფიქრებელია, რომ აქ (დავითისა, ნ. გ.) ნანათესაობითარ მსაზღვრელთან გვეკონდეს საქმე, სადაც საზღვრულისა და მსაზღვრელის ნაცვლად მხოლოდ მსაზღვრელია მოცემული, ხოლო საზღვრული იგულისხმება“¹² (სტ. ჩხენკელი). იგივე აზრია გამოთქმული სხვაგანაც: ნათესაობით-ვითარებითის „ფორმაა აგრეთვე „იესუსა“ წინადადებაში: „მოვიდა იესუსა“, სადაც საზღვრული დროთა ვითარებაში დაკარგულა და მხოლოდ მსაზღვრელი შეგვრჩენია (ხაზი ჩემია, —ნ. გ.). ასეთ საზღვრულად იგულისხმებოდა ალბათ სახედ. ან ადგილად. ან მისი მსგავსი სხვა სიტყვა. ამგვარად, „მოვიდა იესუსა“ ნიშნავს: „მოვიდა სახიდ (ან ადგილ) იესუსა“¹³. თუმცა ასეთ ახსნას ყველა არ აზიარებს¹⁴, მაგრამ საერთოდ, რომ სიტყვის ჩაყარვანი მოსალოდნელია, ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს.

წინაშე მისაჲ მისსაჲში ამოსავალად უნდა მივიღოთ მისსა და არა მისა. ორი სხანის თავმოყრისას ერთის დაკარგვა უფრო ხშირია და ჩვეულებრივი, ვიდრე ერთი სხანის გვერდით მეორის გაჩენა. ამასთანავე წინაშე მისსა საქმაოდ სისტემატური ხმარებისაა. მაგალითები:

„იყო ვინმე კაცი წყლითა მანკიერი წინაშე მისსა“ (ლ. 14,2 მფ);

„უნდა შეღებოა მისი და დადგამა წინაშე მისსა“ (ლ. 5, 18 ც);

„მოვლინებული ვარ წინა მისსა“ (ი. 3, 18 ც);

„ხაჯუვიდა იგი წინაშე მისსა“ (სინ. შრ. 70, 10);

„სულნი ჩუენნი დაუფინნეთ წინაშე მისსა“ (იქვე, 140, 13);

„დაესცნე წინაშე მისსა მტერნი“ (ფს. 88, 24 ა-ბ);

„აღსაარებთა და პაეროვნებთა არს წინაშე მისსა“ (იქვე, 95, 6);

„შევიდა ბერი წინაშე მისსა“ (გ. მთ. გვ. 32) ¹⁵;

„გსხედით ყოველნივე წინაშე მისსა“ (იქვე, გვ. 45).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თანდებულებანი ნაცვალსახელების ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს საკუთარი სახელები:

„განაშორა გზასა სამისა დღისასა შოვრის მათსა და შოვრის იაკობისსა“ (დაბად. 30, 38);

„სთნდეს სიტყუანი ესე წინაშე ემოსისა და წინაშე სჯქემისა“ (დაბად. 34, 18);

„ბოროტ არიან ასულნი ქანანისნი წინაშე ისაკისა“ (დაბად. 28, 8);

¹² ს. ჩხენკელი, დასახ. შრ., გვ. 98.

¹³ ი. იმნაიშვილი, დასახ. შრ., გვ. 379.

¹⁴ ც. კუტციკიძე, ნანათესაობითარი ვითარებითი ძველ ქართულში, საქართველოს სსრ მეც. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 40.

¹⁵ მაგალითები აღებულია გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების უძველესი (წმ-11 საუკუნე) ნუსხიდან S—353.

- „არავინ დგას წინაშე იოსებისა“ (დაბად. 45,1);
- „წარდგეს წინაშე იოსებისა“ (იქვე 43,15);
- „ზრახვე-ყვეს წინაშე უსტამისა“ (ევესტ. გვ. 160);
- „წინაშე ეფრემ, ბენიამენისა და მანასესა ალაღინე ძალი შენი“ (უს. 99,3 ა-ბ).

შენიშვნა: რომ ამ თანდებულებთან მიცემით ბრუნვა უნდა იყოს ძირითადი, ანაზღაურებად არ მიუთითებს საკუთარ სახელთა ასეთი ფორმები:

- „ცეცხლი ალატყდა იაკობსა შორის“ (უს. 77,21);
 - „გაუკუანე იგი იაკობსა შორის“ (დაბად. 49,7);
 - „ღმერთი უფლებს იაკობსა ზედა“ (უს. 58,14).
- თანდებულის ადგილს ნაცვალსახელებთან უკვე შევხვდით წინააღმდეგობაში ალარაქვეს მნიშვნელობა. თანდებულის ბოლოს დართვისას გვაქვს: ჩვენს წინაშე— (458,2) || ჩემსა წინაშე (1133,1); თქვენს წინაშე (372,2) || თქვენსა წინაშე (314,3); ჩვენს წინა (470,4); თქვენს შუა (899,1)...

შენიშვნა: ხმისართული წარმოშობის თანდებულები: მარჯუენით, მარცხენით, გუერდით, აღმოსავლით, დასავლით—ჩვეულებრივ წინ მიერთვის ნაცვალსახელს და გვაქვს:

- „მარჯუენით ჩემსა“ (მრ. 12, 36; სინ. მრ. 59,9; უს. 109, 1; მ. 20, 23...);
 - „მარცხენით შენსა“ (მრ. 10, 37, მ. 20, 21);
 - „მარჯუენით მისა“ (მ. 20-21);
 - „მარჯუენით მისა“ (მ. 25, 33; ლ. 23, 33) || მარჯუენით მისსა“ (მ. 25, 33 C).
 - „მარცხენით მისა“ (ლ. 23, 33);
 - „აღმოსავლით მისა“ (სინ. რაით. 31, 29)...
- ბოშ არ შეიძლება ასეთ ფორმებთან ჩვეულებრივად ვივსოთ: კერძოდ? მაგ.: „მჯდომარს მარჯუენით კერძო მისსა!“ (ნანმეტ. მრ. 16,5).
- რაც შეეხება თანდებულად გამოყენებულ ხმისართებს: შენიშვნა. მანალობელად, უპირველეს || პირველად და მისთ., საჯანებოდ დაეტოვეთ, რადგან შეიძლება ეჭვი გამოეწვიოს ამ სიტყვათა ვითარების ფორმას.

დასკვნა ასეთია: წინაშე ჩემსა, შორის ჩვენსა, ქუეშე მისსა და მისთ. ფორმებში გვაქვს ნანათესაობითარი მიცემითი: ეს გაგება დროთა ვითარებაში მიიჩქმალა; ამიტომ თანდებულის ადგილში (სახელს თავში დაერთოდა თუ ბოლოში) დაკარგა მნიშვნელობა: უკვე მე-12 საუკუნის ქართულში გვაქვს: ჩემს წინაშე || ჩემსა წინაშე || წინაშე ჩემსა.

Н. ГОГУАДЗЕ

МЕСТОИМЕННИЯ С ПРЕДЛОГАМИ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В древнегрузинском языке при предлогах წინაშე činaše (=перед), შორის šoris (=между), ქუეშე kuaše (=под) и т. п. падежные окончания местоимений оформляются по-разному. Когда предлог следует за место-

¹¹ ამ რიგის თანდებულებთან (შემდგომად, პირველად, უპირველეს...) და ხარისხებთან ისეთივე სურათი ჩანს, როგორც ჩვენ წარმოვადგინეთ ამ წერილში, ოღონდ ისინი ცალკეა შესასწავლი და გასარკვევი; რა იწვევს ორმაგი ბრუნვის ფორმას.

имением (ჩემ წინაშე *čem činaše*, მის წინაშე *mis činaše*), местоимение ставится в родительном падеже, но когда местоимение следует за предлогом (წინაშე ჩემსა *čemsa*, წინაშე მისსა *missa*), то оно ставится в отгнетивном дательном (имеется двойное окончание). Мы полагаем, что здесь упущено определяемое, которое в первом случае (ჩემ წინაშე *čem činaše*) управляет определяющим, а во втором—одновременно и управляет и согласовывает.

ც. ჭურციკიძე

ტირმინ „კარანის“ ბანმარტმპისატჰის

ნიკოდიმოსის სახელით ცნობილ აპოკრიფულ სახარებაში, რომლის უძველესი ნუსხა დაცულია 1020 წელს გადაწერილ სინას მთის № 78 ხელნაწერში, ორგან გვხვდება ტერმინი „კარანი“. იგი ნახმარია პილატესთან დაკავშირებით და აღნიშნავს მის თანამდებობას.

ნაწარმოების მიხედვით ებრაელებმა შესჩივლეს პილატეს იესოს მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ და მოსთხოვეს, რომ დაებარებინა იგი და გაესამართლებინა. პილატემ მათ უპასუხა:

„და ვითარ შემძლებელ ვარ მე, კარანი, განკითხვად მეუფისა?“ (267v)*

ებრაელები არ მოეშვნენ პილატეს და ისიც იძულებული გახდა გაეგზავნა თავისი პასენაკი იესოს მოსაყვანად. პასენაკმა თაყვანი-სცა იესოს, დაუფინა ოლარი და უთხრა:

„უფალო, ამას ზედა შემოდგე, რ' გხადის ზენ კარანი“ (267r)

მეორე ფრაზა იქვე კიდევ ორჯერაა ნახმარი, ორივეგან „კარანი“ შეცვლილია „მსაჯულით“:

„უფალო, ამას ზედა შემოდგე, რამეთუ გხადის ზენ მსაჯული“ (267v).

„უფალო, შემოდგე, რ' გხადის ზენ მსაჯული“ (268r).

მსაჯულად იხსენიება პილატე ამავე ძეგლში რამდენიმე სხვა ადგილასაც:

„დადგეს წ'ე საყდართა მათ მსაჯული სათა“ (268v).

„ნუუკუე მსაჯულიცა მისი მოწაფე იყოა... არა კეისარმან დაადგინა ამას პატეისა ზედა?“ (272v).


საგულისხმოა, რომ ყველა ხელნაწერში, რომელთა მიხედვითაც ნიკოდიმოსის სახარების ტექსტი შევამოწმეთ (სულ 8 ხელნაწერია), ერთნაირი მდგომარეობა გვაქვს: „კარანის“ შესატყვისად „კარანი“ დასტურდება და „მსაჯულის“ შესატყვისად—„მსაჯული“.

„კარანისა“ და მის სინონიმად ნახმარი „მსაჯულის“ შესატყვისად ნიკოდიმოსის სახარების ბერძნულ ტექსტში ყველგან $\chi\rho\epsilon\mu\alpha\upsilon^1$ გვხვდება, სომხურ ტექსტში კი— խշահն^2 .

¹ C. Thilo, Codex apocryphus Novi Testamenti, Lipsiae, 1832, გვ. 489—665,

² Քանգաբան Հայկական հին և նոր գրություններ. անკანոն գիրք նոր կთակարանաց. Վենետիկ, 1898. გვ. 313—345.

2. ხელნაწ. ინსტ. მოამბე, V.



ბერძნულ *ἡγεμᾶν-ს* შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1. წინმაველი, ხელმძღვანელი, 2. ბელადი, ჯარის მეთაური, მბრძანებელი, მეთაური². სომხური *խխան-ის* *ἡγεμᾶν-ის* მნიშვნელობით გამოყენება შესაძლებელია. მისი მნიშვნელობებია: თავადი, მფლობელი, უფროსი, ბატონი, მმართველი, მბრძანებელი⁴.

ამგვარად, ქართული ტექსტის მიხედვით „კარანი“ უდრის „მსაჯულს“, შესაბამისი ბერძნული და სომხური ტექსტების მიხედვით კი ‘მეთაურს’, ‘მთავარს’, ‘ბელადს’, ‘წინამძღოლს’, ‘მმართველს’ და ა. შ.

სადაური სიტყვაა „კარანი“ და რა მნიშვნელობა აქვს მას?

სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში „კარანი“ განმარტებული აქვს როგორც „მოსაქმენი“. ⁵ ეს განმარტება ზოგადი ხასიათისაა და „კარანის“ კონკრეტულ მნიშვნელობას ვერ გვიჩვენებს.

ტერმინი „კარანი“ ნიკოდიმოსის სახარების რამდენიმე სხვა ტერმინთან ერთად („ბუნი“, „დრაუფი“, „პასენაკი“) განხილული აქვს ნ. მარს წერილში: *Армянские слова в грузинских деяниях Пилата* ⁶.

აღნიშნულ სიტყვებს და მათ შორის „კარანსაც“ ნ. მარი მიიჩნევს სომხურად. ნ. მარის აზრით, „კარანში“ ჩვენ გვაქვს სომხური მიმღებური ფორმა *-ან* დაბოლოებით ზმნისაგან *կარსი* (= შემიდლია) და აღნიშნავს: ხელმწიფე, მფლობელი, თავადი. ნ. მარი პარალელს ავლენს სიტყვასთან *խխან* (იშხან), რომელიც ნაწარმოებია ზმნისაგან *խხსი* მიმღებობის მაწარმოებელი იმავე *-ან* სუფიქსით ⁷.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, *კარსი* ნიშნავს: „შემიდლია“. ძველი ქართულით: „ველ-მეწიფების“. ამიტომ არისო, ამბობს ნ. მარი, რომ იოსებ არიმათიელის სახელით ცნობილ თხზულებაში „თბრობაჲ აღშენებისათჳს ეკლესიისა, რ-ი-იგი არს ლოდისა შ-ნა ქალაქსა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ“ პილატეს მმართველობა „ველმწიფობა“-თი აღინიშნებაო. ⁸

ამ ძეგლში პილატე მართლაც „ველმწიფედ“ იხსენიება, მისი მმართველობა კი „ველმწიფობათია“ აღნიშნული („მივედ პილატეს ველმწიფისათანა და მოვითხოვნ გუამი იჯ-ისი“ (27,6—8); „მეცხრამეტესა წელსა ტიბერის კეისრისა პრომათ მეფისასა... და ველმწიფობასა პილატე პონტიელისა პურიათა ზედა“ (26, 7—8) ⁹.

² Дрeвнeгрeчeско-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, под редакцией С. И. Соболевского, том I, Москва, 1958 г.

⁴ Армяно-русский словарь, составленный по лексикону, изданному в Венеции и умноженный вновь введенными словами Александром Худобашевым, часть первая, Москва, 1838 г.

⁵ ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928. როგორც ჩანს, საბას „კარანი“ მრავლობითის ფორმად აქვს მიჩნეული, ამიტომაც, რომ მის განმარტებასაც მრავლობითში იძლევა: კარანი მოსაქმენი (3 ეზრა 8, 68).

⁶ Записки Восточного отделения Императорского Русского Археологического Общества, С.—Петербург, 1913, том XVII, гл. 024—026.

⁷ იქვე, გვ. 026.

⁸ იქვე.

⁹ Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, II, С.—Петербург, 1900.

ამგვარად, თითქოს ყველაფერი ნათელია: ქართულში „კარანი“ ნასესხებია სომხურიდან, მისი ამოსავალი მნიშვნელობაა: ‘შეძიდლია’, ‘ველ-მეწიფე-ბის’, ხოლო შემოსულია როგორც ქელმწიფე, მფლობელი, მთავარი. ეს მნიშვნელობა კარგად უდგება ბერძნული ἡγεμῶν-ისა და სომხური խխան-ის მნიშვნელობებსაც.

მაგრამ საქმე ისაა, რომ თვითონ ნ. მარისავე მოწმობით ჩვენამდე მოღწეულ სომხური ლიტერატურის ძეგლებში ეს სიტყვა არ დასტურდება.

ნ. მარი ასახელებს ერთადერთ წიგნს, სადაც *კარან* (კარანი) არის ნახმარი — *Գրք թղթից*, რომელიც წარმოადგენს ძველი სომხური რელიგიური შინაარსის წერილების კრებულს. აქ *კარან* გვხვდება ერთ-ერთი თავადის *Գիգ*-ის ტიტულის შემადგენლობაში: *Դաշակարան Գիգ* (დაშტის მპყრობელი გიგი). მაგრამ ძველ ხელნაწერებშიცა და მე-10 საუკუნის ისტორიკოს უხტანესთანაც (რომელიც იმოწმებს აღნიშნულ წერილებს) ეს სიტყვა ძალზე დამახინჯებულად ჰყოფილა წარმოდგენილი (*Դաշակարան* შეერთებული *Գիգ*-თან, *Դաշակარն* და სხვ.)¹⁰. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ადრევე, ჯერ კიდევ მე-10 საუკუნის სომხურში, *კარან*-ის მნიშვნელობა უკვე გაბუნდოვნებულია.

საკვირველია, რომ ასეთი სურათი გვაქვს ძველ სომხურში იმ დროს, როდესაც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში სიტყვა „კარანი“ არც თუ ისე იშვიათად გვხვდება.

საბას ლექსიკონში ამ სიტყვასთან წყაროდ მითითებულია 3 ეზრა 8,68 (=1 ეზრა 8,68), სადაც ვკითხულობთ:

„მისცეს წიგნი ბრძანებისა მის მეფისაჲ კარანთა მათ მეფისათა და მფლობელთა და სოფლის მპყრობელთა ასურეთისა“.

ბიბლიის ამ წიგნში „კარანი“ სხვა ადგილასაც დასტურდება:

„ფინიკელთა კარანნი და მთავარნი დარემ მეფესა გიკითხავთ“ (1 ეზრა 6,7).

სხვა მაგალითებია:

„კარანსა მას ფდ დაუკურდა ესევეთარი იგი მოთმინებაჲ“ (თეოდორეს წამება, H—341, გვ. 559).

„მიეცა ბრძანებაჲ მექსიმიანესი ყწა ქყწსა ეგუბტისასა, ყთა მათ დედაქქთა ზა კარანთა“—წამებაჲ ვაროზისი (H—341, გვ. 559).

„დაჟდა კარანი იგი საყდართა ზედა საშუჯელისათა“—(იქვე, გვ. 806).

„განრისხნა მერმე კარანი იგი და უბრძანა მათი საპყრობილეს მიყვანებაჲ“ (იქვე, გვ. 813).

„კარან მან ბრძანა მრავალთა სტრატოტოთა მოსლვაჲ და სისრია მათდა მიმართ“ (წამებაჲ კოზმან და დამიანეთაჲ, H—341, გვ. 431).

„მეფობასა დეოკლიტიანესსა და მექსიმესსა, კარნობასა ლუსიაესსა ეგეას ქალაქსა კილიკიასასა... გარდამოჟდა კარანი იგი ტაძარსა მას ადრიაანესსა და ბრძანა“ (იქვე, გვ. 427)¹¹.

მაგალითების მოტანა კიდევ დიდი რაოდენობით შეიძლება.

ეზრას წინასწარმეტყველების ბერძნულ ტექსტში „კარანის“ შესატყვისად აღმოჩნდა ისევე ἡγεμῶν და ὀνομασία, ხოლო ყველა აქ დამოწმებული ძეგლის სომხურ შესატყვისებში დასტურდება: *խխან*, *გიგბახაკ*, *გაათოორ*.

¹⁰ Записки... გვ. 026.

¹¹ ეს მაგალითები თავისი სომხური შესატყვისებით მოგვაწოდა პროფ. ილია აბულაძემ.

ბერძნული *οἰχοῦμαι* (ბ ო) აღნიშნავს სახლის გამგებელს, მმართველს პროკურატორს, საერთოდ გამგებელს, ნაცვალს,¹² სომხური *գործակալ*—მოხელეს, კომისარს, სრულუფლებიანს, ნდობით აღჭურვილს,¹³ *գասակոր* ნიშნავს მსაჯულს, ხოლო *բանալոր*—1, 'მძღავერს' (ე. ი. ტირანს) 'ძლიერ მთავარს' 'მეფეს'; 2. 'ძლიერს', 'მემძღეს', 'ფიცხელს'; 3. 'მოძალადეს'¹⁴.

ბერძნული და სომხური შესატყვისების მიხედვით „კარანი“ აღნიშნული თანამდებობა ყველა ძველში თითქოს ერთი და იგივე არ არის, მაგრამ მათ შორის რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავებაც არ ჩანს. ყველა აქ მოტანილი მაგალითისათვის საერთოა ის, რომ „კარანი“ დიდი თანამდებობის პირია, მეფისაგან დანიშნული და მეფესთან ახლო ურთიერთობაში მყოფი (... მსაჯული—იგივე „კარანი“— არა კეისარმან დაადგინა ამის პატივსა ზედა?“ „მისცეს წიგნი ბრძანებისა მის მეფისა კარანთა მათ მეფისათა“, „ფინიკელთა კარანნი... დარეპ მეფესა გიკითხავთ“...). ზოგიერთი კონტექსტის მიხედვით „კარანი“ ქალაქის თავად, ქალაქის მერად და წინამძღოლად ჩანს („მიეცა ბრძანება მაცსიმიანისი... ყთა მათ დ ე დ ა ქ ქ თ ა ზ ა კ ა რ ა ნ თ ა“, „კ ა რ ნ ო ბ ა ს ა ლ უ ს ი ა მ ს ა ე გ ე ა ს ქ ა ლ ა ქ ს ა კ ი ლ ი კ ი ა მ ს ა“...).

„კარანის“ „მსაჯულად“ მოხსენიება (რასაც ადგილი აქვს ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებულ თითქმის ყველა ძველში და, რაც ხომხურ შესაბამის ტექსტებშიც გვხვდება) ამ მხრივ არაფერს ცვლის, რადგან ქალაქის თავი, ქალაქის მმართველი იმავე დროს ამ ქალაქის უმაღლესი მსაჯულიცაა. ამის ნიმუშებს ქართული ორიგინალური მწერლობის ძეგლებშიც ვხვდებით. მაგ. „აბო თბილელის წამებაში“ თბილისის ამირა (თბილისის მმართველი) მსაჯულად აღა ც ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა; ამ ძეგლში ერთგან ვკითხულობთ: „მცირედ უწინარეს-რე დღეთა ამით შეიპყრეს ნეტარი ესე მოწამე ქრისტესი და მიიყვანეს იგი მსაჯულისა მის, რომელი იყო ამირად ქალაქსა ტფილისს“.¹⁵

მაშასადამე, ნ. მარისეული განმარტება, რომ „კარანი“ აღნიშნავს ქელ-მ წ ი ფ ე ს, მ ფ ლ ო ბ ე ლ ს, თ ა ვ ა დ ს, საესებით სწორია, მხოლოდ საეჭვოა ის, რომ ძველი სომხურიდან სესხებული სიტყვა ძველ ქართულში ასე ყოფილიყო გავრცელებული, ძველ სომხურში კი სრულიად გამქრალიყო. ეს განსაკუთრებით საეჭვოა იმიტომაც, რომ სომხურში ამ მიმღებობის საწარმოებელი ზმნა *կարել* ძველი სომხურიდან მოყოლებული დღემდე ცოცხალი და ძალზე ხშირი ხმარების სიტყვაა.

შეიძლება ნ. მარის მოსაზრება ამ სიტყვის სადაურობაზე მაინც მისაღებად მივეჩვიო, რომ ძველ ბერძნულში არ არსებობდეს იმავე ფორმისა და შინაარსის სიტყვა *ἀρχαῖος*, ბ, რაც მოდის *ἀρχα* სიტყვიდან =(თავს) და ნიშნავს: начальник, предводитель, глава¹⁶. ბერძნულიდან კი მისი სესხება ისევე კანონზომიერია, როგორც სომხურიდან.

აღსანიშნავია, რომ ბერძნული საქრისტიანო მწერლობის ძეგლებში ეს სიტყვა აღარ იხმარება. მისი ხმარება დადასტურებულია ჩვენს წელთაღრიც-

¹² Древнегреческо-русский словарь..

¹³ Армяно-русский словарь..

¹⁴ Առանձն բառարան Հայկազնեան լեզուի, II տպագր. Վենետիկ, 1865.

¹⁵ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეი-შვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 63.

¹⁶ Древнегреческо-русский словарь..

ხვამდე ჰომეროსთან, ანაკრეონტთან, ქსენოფონტესთან¹⁷. მაგრამ ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, სრულიადაც არ უშლის ხელს იმას, რომ „კარანი“ ქართულში ბერძნულიდან შემოსულად მივიჩნიოთ. არც ის უნდა იყოს დაუჯერებელი, თუ ვიტყვით, რომ სესხება მოხდა სწორედ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ბერძნულ სამყაროსთან ქართველი ტომების იმდროინდელ კონტაქტზე რომ არაფერი ვთქვათ, ცნობილია, რომ ქსენოფონტე ბერძენი ჯარისკაცებით მონაწილეობას იღებდა კიროსის ლაშქრობაში არტაქსერქსეს წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის დროს მან თავის ჯართან ერთად გაიარა ქართველი ტომებით დასახლებული ტერიტორია (ქართველი ტომების ყოფა-ცხოვრებით ამგებზე მან დიდძალი მასალა დაგვიტოვა ისტორიულ თხზულებაში „ანაბაზისი“). გამოორიცხული არ არის ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვა სწორედ ამ ბერძენ ჯარისკაცებს მოჰყვა თან როგორც სამხედრო ტერმინი.

Ц. И. КУРЦИКИДЗЕ

О ЗНАЧЕНИИ ТЕРМИНА „КАРАНИ“

Р е з ю м е

В памятниках древнегрузинского языка нередко встречается термин „каран-и“. Этот термин означает: начальник, предводитель, глава. „Каран-и“ считали вошедшим в грузинский язык с армянского (Н. Марр), но в древнеармянском языке существование этого слова пока что не засвидетельствовано.

В древнегреческом языке до нашей эры употреблялось слово *κάρανος*, δ, которое имело то же самое значение, что и грузинское „каран-и“.

Выясняется, что слово „каран-и“ в грузинский язык вошло с древнегреческого языка.

¹⁷ Древнегреческо-русский словарь...



ნ. ათანელიშვილი

„ამირანდარეჯანიანის“ რედაქციები

ქართული საერო მწერლობის ძეგლს „ამირანდარეჯანიანს“ ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ და მხოლოდ მოგვიანო ხანის ხელნაწერებით (იგულისხმება მე-17 და მისი მომდევნო საუკუნეები). მისი დედანი, კლასიკური ხანის ძეგლთა მსგავსად, არ შენახულა. ამიტომაც „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტს საუკუნეთა განმავლობაში განუცდია დიდი ცვლილებები. ეს ცვლილებანი, უპირველეს ყოვლისა, თვით გადამწერთ მიეკუთვნება. მათ ტექსტის გადაწერისას ნებისთი თუ უნებლიეთ შეჰქონდათ კორექტივები: ტექსტს ავრცობდნენ, ან პირიქით, ამოკლებდნენ. ამის გამო ძეგლის მრავალრიცხოვანი ნუსხები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ვარიანტულად, აგრეთვე რედაქციულად.

„ამირანდარეჯანიანის“ ტექსტი რომ რედაქციულ სხვაობებს გვიჩვენებს, ამაზე ჯერ კიდევ აკად. ნ. მარმა მიუთითა. მისი აზრით, „ამირანდარეჯანიანის“ ხელნაწერები ორ ტიპად განიყოფებიან: ვრცელი და მოკლე. ვრცელი რედაქციის ხელნაწერების ეპილოგის მიხედვით ამირან დარეჯანიანს იმეფა დიდხანს, მიაღწია ბედნიერებას და ჰყავდა სამოცი ცოლი.¹

როგორც ჩანს, ნ. მარს „ამირანდარეჯანიანის“ ვრცელი რედაქციის ხელნაწერებად მიაჩნია მხოლოდ ის ნუსხები, რომელთაც დაბოლოება უფრო ვრცელი აქვთ ტრადიციულ ტექსტთან შედარებით,

ამავე შეხედულებისაა პროფ. ალ. ბარამიძეც. მისი აზრით, „ვრცელი რედაქცია მოკლისაგან მხოლოდ ფინალით განსხვავდება. ტრადიციული ტექსტით „ამირანდარეჯანიანი“ იხურება ამირანის ბალხეთს გამეფებით, ვრცელი რედაქციით კი ამირანმა ამის შემდგომ „დაიპყრნა თორმეტი სახელმწიფო... და აღარავინ იყო პირსა ქვეყანისასა მისებრი ჭაბუკი...“² ამ ვაგარძელების მიხედვით ამირან დარეჯანიანს იცოცხლა შვიდასი წელი და ჰყავდა სამოცი ცოლი.

ამგვარად, პროფ. ალ. ბარამიძეც, ნ. მარის მსგავსად, ვრცელ რედაქციას მოკლისაგან მხოლოდ ფინალით განასხვავებს. მაგრამ ხელნაწერთა შესწავლა სხვაგვარ სურათს იძლევა.

„ამირანდარეჯანიანის“ ტექსტის გამოსაცემად მომზადების დროს, ხელნაწერთა ურთიერთშეჯერებისა და მისი ვარიანტული სხვაობების შესწავლისას გამოვლინდა, რომ არსებობს „ამირანდარეჯანიანის“ ვრცელი რედაქცია,

¹ Н. Марр, Персидская национальная тенденция в грузинском романе „Амирандареджаниани“, ЖМНП, 1895, VI, С. Петербург, гв. 352, 364.
² ალ. ბარამიძე, ნარკვევები 1, 1945, გვ. 50—51.

რომელიც, მოკლე რედაქციისაგან განსხვავებით, გავრცობილია არა მხოლოდ სრული დაბოლოებით, არამედ ჩანამატი ადგილებითაც. ტრადიციულ ტექსტში მთელი თხრობის მანძილზე შიგადაშიგ საგანგებოდ ჩართულია ვამეგრეობელი ადგილები.

მოვიტანოთ ნიმუშები:

მოკლე
 ქალაქი იყო მეტად შუენიერი და ოკართა მის ქალაქისათა შესავალსა ამირან დარეჯანისძე ეწერა.

A—4r,

ვრცელი
 ქალაქი იყო შუენიერი და შემკობილი ყოვლის ფერითა წყლითა, მინდვრითა, ბალითა, ბაღითა და რაც ქვეყანაზედ ბილი ანუ ყვავილი მოიგონებოდის, ყოვლის ფერისაგა (!) იყო. მის ქალაქის სიკეთე კაცის ენით არა ითქმის. კართა ქალაქისათა შესავალსა ამირან დარეჯანისძე ეწერა...

B—8v, F—5r, S—გვ. 139.

ქალაქი იყო მშუენიერი წყლით, მინდვრით, ბალით და ბაღით. რაც ქვეყანაზედ კარგნი ბილი ანუ ყვავილნი მოიგონებდის, მუნადგილი სავსე იყო. მის ქალაქისა სიკეთე კაცისა ენითა არა ითქმის. კართა ქალაქისათა შესავალსა... Q—4r.³

მან გაიწყრო გული.
 იკრა მათრავი.

A—13r.

მან იწყინა. გავალ, შევებმი და მოვკლავო. მან რომე ბედითნი ფალავანნი დახოცნა, მე ის არა ვარ და იმათ სისხლსა ვაზღვევინებო. იკრა მათრავი.

F—16v, Q—16v, S—გვ. 149.

მივედით იამანსა ჭაბუქსა თანა ო და მან გამოგუზავნა.

A—17r.

მივედით იამანსა ჭაბუქსა თანა და უამბეთ ბადრი იამანისძისა და ნოსარ ნისრელისა დევთაგან შეპყრობა. იწუხა და იცათავსა და პირში და დაიღეწა საფალავნო იარალი თავზე. და მან გამოგვზავნა. F—22r.

მერმე წამოვედით ბაღდადსა გამარჯვებულნი: პატრონი ჩემი და ჩუენ. მაშინ მიესმა ამბავი მის წითლოსანისა-ჭაბუქისა. A—66v.

მერმე წამოვედით ბაღდადად გამარჯვებულნი. ახნაური შევიდა პატრონი ჩემი მას ქვეყანასა ხორაშან ქალისასა და იქი-

³ მოკლე რედაქციის დედნად აღებული გვაქვს H—2149, რომელიც A ლიტერით აღენიშნეთ, ვრცელი რედაქციის ხელნაწერები კი შემდგომი ლიტერებით გვაქვს აღნიშნული ჩვენს ვარიანტებში: H—929—F, გორის ხელნაწერი—S, H—1202—I, H—1080—Q და Q—340—B.

დამ ხელმწიფედ მხმობარე წამოვიდა. და შეიქნა ხელმწიფედ და მეფედ მის ქვეყანისა და ყოვლისა ალაგისა. ყოველი ჭაბუკი, საცა გამოჩნდის, მოერივის და დაიმორჩილის ძალითა და შეწყვენითა ღვთისათა. ვიარეთ და წამოვედით. მაშინ მიესმა ამბავი მის წითლოსნისა ჭაბუკისა. F—88 v, 1—42 v, Q—81 v, S—გვ. 206.

ხაზართა მეფისა ასული თანა წამოვიტანეთ. || მოგუეგება წინა ხაზართა მეფე.

A—114 r.

ხაზართა მეფისა ასული თანა წავიტანეთ. გავგზავნეთ მახარობელი მეფისა წინაშე. და ძოწეულის იაგუნდით პირი გამოუტენეს და ერთი ქალაქი მისცა სამახარობლო და შემოსა. მოგუეგება ხაზართა მეფე წინა.

F—145 v.

შეასხეს ქება || მზეჭაბუკსა.

A—114 r.

შეასხეს ქება და უკაზმიდენ გზასა სტავრა-ატლასითა და თავსა აყრიდენ გუარსა მზესა ჭაბუკსა. F—145 v⁴.

ღღემღე ცნობილი იყო ვრცელი რედაქციის სამი ხელნაწერი H—929; H—2316 და H—384⁵.

ხელნაწერთა შესწავლამ გამოავლინა ვრცელი რედაქციის კიდევ რამდენიმე ნუსხა. ესენია: გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი, გადაწერილი 1777 წელს კორნილიოს ჩაჩიკაშვილის მიერ. ვრცელი რედაქციის ხელნაწერი უნდა ყოფილიყო აგრეთვე ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილი ერთი ნუსხა, რომლის ორი ფურცელია გადარჩენილი. ეს ფრაგმენტი დაცულია ცნობილ კრებულში „შეხვეტილიანი“ (A—860). ვრცელი რედაქციის ტექსტი შემოუნახავთ აგრეთვე H—1202, H—1080⁶ და A—654 ხელნაწერებს. ვრცელი რედაქციის ხელნაწერთა მსგავსია Q—340 ნუსხაც. ამ ხელნაწერის დიდი ნაწილი გადაწერილია მე-18 საუკუნეში, ხოლო დასაწყისი და დასას-

⁴ ვრცელი რედაქციის ხელნაწერებში ტექსტი გაერთობილია აგრეთვე შემდეგ გვერდებზე:

B—8 v; 18r.

F—5r; 6v; 12r; 15v. 27r—v, 38r; 45r; 47r; 65 v; 73r; 79 v; 101 v; 102 v; 111r—v; 116 v; 118 r; 135r—v, 136r; 143r; 145r—v; 155r—v; 161r—v; 163r—v;

l—27 v; 67 v; 73 v, 84r.

Q—4r; 5 v; 16r; 62r; 124r; 130 v; 141r—v.

S—გვერდები: 139; 140; 148; 157; 171; 188; 193; 217; 218; 224; 225; 231; 243; 244; 249; 251; 259; 260.

⁵ ალ. ბარამიძე, ნარკვევები, 1, 1945, გვ. 50.

⁶ H—1202-სა და H—1080 ხელნაწერებში არ არის მოცემული ყველა ის გამაერთიანებელი ადგილი, რომლებიც ვრცელი რედაქციის სხვა ნუსხებში გვაქვს.



რული მე-19 საუკუნეში შეუესია ვინმე დიაკონ დავითს. აი ამ შეესებული ნაწილებით Q-340 ხელნაწერი ვრცელი რედაქციის ხელნაწერთა მსგავსია. Q-340-ის ძირითადი ტექსტი კი ტრადიციული ტექსტის შემცველია.

ამგვარად, ვრცელი რედაქციის ხელნაწერებია: H-929, H-2316, H-384, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ჩაჩიკაშვილისეული ხელნაწერი, A-860 (ფრაგმენტი)⁷, H-1202, H-1080, Q-340 ნუსხის შეესებული ნაწილი, A-654.⁸

ისმის საკითხი, გავრცობილია თუ არა მოკლე რედაქციის ტექსტი ახალი ეპიზოდებით? მოკლე რედაქციის გავრცობა ხდება მომხდარი ფაქტის აღწერის დეტალიზაციის ხარჯზე. ახალი ეპიზოდები განავრცობ ადგილებში არ ჩანს. მიზანი გავრცობისა არის არა ახალი ფაქტების ჩამატება, არამედ ტექსტის შეკეთება-შელამაზება, ახალი მხატვრული ხერხების გამოყენება. რედაქტორი მიზნად ისახავს უფრო ვრცლად აღწეროს ესა თუ ის დეტალი, რომელიც ძირითად ტექსტში ძუნწად არის წარმოდგენილი. მაგ.: განავრცობელი არ იშურებს ეპითეტებსა და შედარებებს ინდოთ მეფის ასულის გარეგნობის აღწერისას მაშინ, როდესაც ძირითად ტექსტში მხოლოდ ერთი ფრაზით არის გადმოცემული მისი მშვენიერება: „ვნახეთ იგი ინდოთა მეფისა ასული ეგეთი, ვითა მზე“ (A-93 r); ვრცელ რედაქციაში კი ვკითხულობთ: „ვნახეთ იგი ინდოთა მეფისა ასული, ვითა მზე გაბრწყინებული, კეკლუსთა ხემწიფე და უცხოთა სადაფთა უფასო ბრჭყვინვალე მარგალიტი და მაისის წალკოტის ბალი, ვარდი აყვავებული“ (S-გვ. 231).

ჩამატებებზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ რედაქტორი ძირითადი ტექსტის მხოლოდ გარკვეულ ადგილებს ავრცობს. იგი ვრცლად აღწერს ბრძოლის ეპიზოდებს, გმირთა გარეგნობას, განძეულობას და სხვ. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

ა) ბრძოლის აღწერის გავრცობის ნიმუშები:

მოკლე

შუალამემდის იბრძოლეს. მერმე მზემან ჭახუქმან ფიცხლა გაიყუანა ცხენი, შემოიქცა და შემოუტყივა და მოაჭივლა.

A-105 r.

ვრცელი

შუალამემდისინ იბრძოლეს პირველად ოროლითა და ოროლი დაემტვრათ და ცხენზე რკინობა დაიწყეს. იმათი ერთმანერთის ჯახება ცისა ქეხასა გვანდა. მას უკან აიღეს ხუთას

⁷ „შეგეტლიანიში“ მოთავსებული „ამირანდარეჯანიანი“ ვერ გამოვიყენეთ ტექსტის დასადგენად მისი ფრაგმენტულობის გამო.

⁸ ვრცელი რედაქციის ხელნაწერთაგან H-929, H-1202, H-1080 და გორის კორნილიოს ჩაჩიკაშვილისეული ხელნაწერი მე-18 საუკუნეში არის გადაწერილი. მე-18 საუკუნის ხელნაწერები კი გამოვიყენეთ ტექსტის დასადგენად, ამიტომ ვრცელი რედაქციის ამ ხელნაწერების განსხვავებული და ჭავრცობილი ადგილები ჩვენს ვარიანტებშია. მოცემული, მე-19 საუკუნის სამი ხელნაწერი: H-2316, H-384 და A-654, ამ საუკუნის სხვა ხელნაწერთა მსგავსად, ზეპირ შეუვლარეთ ჩვენს მიერ დადგენილ ტექსტს და მათი ჩვენებანი აღარ ჩავიტანეთ ვარიანტებში, ვინაიდან ზედმეტად გადაიტვირთებოდა ისედაც ვრცელი სქოლიოები, მით უმეტეს, რომ მე-19 საუკუნის ზოგი ხელნაწერი შეიცავს დამახინჯებულ ტექსტს.

აქვე შევნიშნეთ შემდეგს: მე-19 საუკუნის ხელნაწერებს დაექებნათ დედნები, საიდანაც ისინი არიან გადაწერილი, ასე, მაგალითად: H-2316 ხელნაწერის დედანია H-929. H-384 ნუსხა მხოლოდ თავისი ვრცელი ფინალით ემსგავსება H-929 ხელნაწერს, მთელი ტექსტი კი ტრადიციულ ტექსტს ემთხვევა და არ არის ვრცელი რედაქციისა. A-654 ხელნაწერში მოთავსებული „ამირანდარეჯანიანი“ ტექსტი გადაწერილია სხვადასხვა დროს ორი გადამწერის მიერ: იოსებ ზანდუკელის მიერ 1845 წელს გადაწერილი ტექსტი შეუესია მოურავ დავით ამირიძეს 1879 წელს. ტექსტების შეჯერებამ გამოარკვია, რომ დ. ამირიძეს უსარგებლია ვრცელი რედაქციის H-929 ხელნაწერთ, ი. ზანდუკელს კი H-1202 ხელნაწერთ.

მოკლე

ვრცელი

ხუთასის ლიტრის ლახტები. იმით ერთმანერთსა ასე მედგრათა სცემდეს, რომ მათი ცემა კლდისა რღვევასა გვანდა და ზღვისა ღელვასა. ასრე დაეგრიხათ ლახტები, დაყარეს და თითო ხლმები გამოიწოდეს და გაიყენეს ცხენები და შეუტიეს და ორთავე მუზარადები დაუღეწეს და ხლმებიც დაღეწეს და გაუდგნენ ერთმანერთსა. და დაასხეს ისარი ვითა ტყე, მათ ტანში ასე იყო და ჯაჰვის სიკეთით ვერც ერთს ვერ შეატანა. შეუზახეს ერთმანერთსა და ხიშტები შესტყორცეს. ორთავე პოლორტიკი რკინანი დაემსხვრათ, ასე გაუხდათ საომარი საცმელი, რომ ფალასივით ეყარა დაფრეწილი. გამოიწოდეს თითო ხმალი კიდევ. ფიცხლავ ცხენი გაიყენა ამირინდომან, შემოიქცა და შემოუტია და ეგრე შეეყვლა. F—135 r-v. ⁹

ქუეყანასა დაჰკრის. || იყო ასი ათასი მგედარი. A—33 v.

ქუეყანასა დაჰკრის და როცა ხმალი გამოიწოდას, კარგმან მუშამ რომ ცელი მოუსოს, იმის მსგზავსად სცელევედის, თითოს ხლმის მოქნევით ეგების ათი-თორმეტი კაცი მოკლის. იყო სამასი მგედარი. F—4⁵ r.

ერთი კაცი ამას ვერა სჯობსო. || ვითა გაძლიერდა ომი. A—92 r.

კაცი ერთი აღარა სჯობსო. თითოს ხლმის მოქნევით ბევრჯელ თორმეტს კაცს ჩამოაგდებდა და დახოცდა. თითოს ლახტის მოქნევით რვასა და ცხრას კაცსა და ცხენს დასცემდა. თითოს კინანის მიტანით შვიდსა და რვას კაცსა და ცხენს აიღებდა და ქვეყანასა დასცემდა. თითოს ზუფინის სროლით ოცსა და თვრამეტს კაცს გააველებდა და ჩამოცვიოდნენ. ასე ცვიოდა კაცი, ვითა შემოდგომის გრავნილი ქარი რომ ფოთოლსა ყრიდეს, მის მსგზავსად. ვითა გაძლიერდა ომი. F—118 r.

⁹ გავრცობილი ტექსტის ნიმუშები მოგვაქვს მხოლოდ H—929 (F) ხელნაწერის მიხედვით.

ბ) განძეულობისა და ქორწილის აღწერის გავრცობის ნიმუშები:
 მოკლე ვრცელი

დავეყვით კუირა ერთი და ავეკიდეთ ხუთასსა აქლემსა განძი და სხუა ყოველი. ციხე, ქალაქი და საქურჭლენი დიდოთ მეფეს მიუთვალნა, ნუთუ-მცა გარდაეჭადა მსახურებისა მისისა ნაცვალი. წამოვიღეთ განძი ურიცხვი მუნითცა, სადა იგი დიაცი მოეკლა. მუნითცა გამოვიღეთ, სადა იგი ვეშაპნი დავერცენით. და მოვედით მას ციხესა, სადა სხდეს ალი დილამი და ინდო ჭაბუჯი და მუნითცა გამოვიღეთ ურიცხვი განძი. მიესმა ესე ყოველსა არაბეთსა.

A—21 r.

დავეყვით ამას შინა დღენი მრავალნი. მე გამოვეთხოვე და ევრე მიბრძანა: დადევ ჩემთანაო.

A—87 r.

დავეყვით კვირა ერთი და ავეკიდეთ რვაასს ათასსა აქლემსა, ცხრაასს ათასსა ცხენსა და ჯორსა, თორმეტსა ათასსა აზავარსა სულ უცხო თვალი და მარგალიტი, ფარჩა და სტავრა, დიბა, ატლასი, ნახლი, კარავი და მოფენილობა, ტანისამოსი კერილი და უკერილი, ფლური თეთრი. სულ მათ ბილწთა დევთა შეეტანათ და სხვა უანგარიშო დარჩა ციხე, ქალაქი, ქვეყნები, ჯარი, მონანი, მხეველნი, აქლემი, ცხენი, პირუტყვი. რასაც ჩვენ ვერ მოვერიენით, მას დიდოთ მეფესა მივეციით და გავახელმწიფეთ და დაუმორჩილეთ ყოველივე. რაცა მსახურა ამირან დარეჯანისძესა, გარდაიხადა მისი ნაცვალი. წამოვედით და წამოვიღეთ განძი ურიცხვი და სადა-იგი დიაცი მოეკლა, მუნითაც წამოვიღეთ განძი ურიცხვი. და სადა-იგი ვეშაპნი დაგვეხოცა, მუნითაც განძი ურიცხვი წამოვიღეთ და მოვედით მას ციხესა, სადა სხდეს ალი დილამი და ინდო ჭაბუჯი. და მუნითაცა წამოვიღეთ ურიცხვი განძი: თვრამეტს ასსა ათასსა აქლემსა, ჯორსა, ცხენსა, აზავრებსა ავეკიდეთ და წამოვედით. მიესმათ ესე ანბავი ყოველსა არაბეთსა. F—27 r-v.

დავეყვით მას შინა დღენი მრავალნი. და ჩემს იქვე ყოფაში მოვიდა ქენთა მეფისაგან ქალის ზითევი: ათასი კარგათ გაზრდილი მომღერალი და მოთამაშე, ოქროს სარტყლოსან-ქამროსანი, მონა და ყულუხჩი, ხოჯა და ხელჯოხოქროსანი და მხეველნი, გამდელი და ძიბა და მოახლენი, მოშიათნი ოქროს ქსოვილითა ხუთასნი და ათასი აკიდებულნი აქლემი და ჯორი. სულ უცხო ფარჩითა კერულითა და უკერულითა. ათასი ჯორი ფლურითა თეთრითა, თვალ-მარგალიტითა. ათასი ცხენი ბედაური ოქროს ლავითა და ყმა. დაქოლა მრავალი და შემოეთვალა: ესეც შენია და ეგეცაო და შენს

მოკლე

ვრცელი

ქნა ქორწილი მეორესავე დღესა და მერმე უბოძა ამირანს საბოძუარი. A—48 v.

უნახავს ნუ დაგვაგდებო. მომტანს მრავალი აჩუქა და გაისტუმრა და ქონება და ზითევი ხაზინაში შეიღეს. მე მიბძანა: ამაში შენც წილი გაქვსო და უანგარიშო მიბოძა. F—111 r-v.

გარდაიხადა ქორწილი ასეთი, რომე არა ინახოდა. შეყარნა დიდებულნი და მოაწვიენა ხუთნი ხელმწივენი. იმ ქორწილისა მაქებნი და ქალთა და ყმათა შვენებით უნახავნი ამას ბრძანებდი: ექვსნი მნათობნი არიან ქვეყანასა ზედაო—სამნი ყმანი და სამნი ქალნი. გარდიხადეს დიდი სიხარული და დასხდენ სახლსა ასეთსა, რომე ხუთასი ცალ მხარეს იჯდა და ხუთასი ცალ მხარეს. შეიქნა მეფეთაგან გარდაყრა და დიდებულთაგან მოლოცვა. ორმოცი დღე სულ ჩირახი და ლხინი იყო. ორმოც დღეს უკან წავიდნენ მეფენი და დიდებულნი დიდის საბოძვრითა და მეორმოცესა დღესა უბოძა მრავალი ამირან დარეჯანისძესა საბოძვარი. F—65 v.

ვრცელი რედაქციის ხელნაწერებში შეინიშნება მხარული აღწერის ისეთი ნიმუშები, რომელნიც „ამირანდარეჯანიანის“ ტრადიციულ ტექსტში არ გვხვდება. კლასიკური ხანის ქართული საერო ძეგლების მხატვრული აღწერის ხერხების შესწავლისას ე. მეტრეველი მიუთითებდა, რომ აღწერითი მომენტის თვალსაზრისით „ამირანდარეჯანიანი ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას, როგორც წმინდა ეპიკური ხასიათის თხზულება“.¹⁰ როგორც ავტორი აღნიშნავს, ჩვენს ძეგლში შეინიშნება მეფის სასახლეებისა და სიმდიდრის აღწერა; სამაგიეროდ, მასში შედარებით მკრთალად არის გადმოცემული გმირთა გარეგნობის დახასიათება და თვით ბატალური სცენების აღწერაც კი. ხოლო მას შემდეგ, რაც ტრადიციული ტექსტის გაგვრცობასა და შექცეულობას შეუდგნენ, მასში შეიტანეს ახალი, ჩვენი ძეგლის სტილისათვის უცხო მხატვრული ხერხები. მაგალითად, „ამირანდარეჯანიანში“ არ გვხვდება ბუნების აღწერის შემთხვევებს, მაგრამ ვრცელ რედაქციაში ეს ხეობი უკვე გამოყენებულია. მოგვაქვს განთიადის ტრადიციული აღმოსავლური სპასხული აღწერა, რომელიც მხოლოდ ვრცელი რედაქციის კუთვნილებდა და „ამირანდარეჯანიანის“ ტრადიციული ტექსტისათვის უცხოა.¹¹

¹⁰ ე. მეტრეველი, მხატვრული აღწერა კლასიკური ხანის ქართულ საერო ძეგლებში: «ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები», II, 1947, გვ. 169.

¹¹ ბუნების აღწერის ნიმუში იძებნება აგრეთვე მე-8 საუკუნის ხელნაწერში S—1359, რომელიც ტრადიციული ტექსტის შემცველია, მოკლე რედაქციაშია და აქვს ჩამატებული მხოლოდ ქვესათაურები. ამ ხელნაწერს შეეხებით ქვევით ს. კაკაბაძისეული ორი რედაქციის მიმოხილვისას. აი ერთი მაგალითი S—1359-დან: „აქა ქორწილი ამირან დარეჯანისა და მის მნათობისა ხვარაშან ქალისა. თდეს ყვეს ყმანი ქორწინებისა, დილასა რა მზის სინათლედ“.

მოკლე

... გამოვალთო. ვითა გათენ-
და, გააღებინა მეფემან კარავი.

A—26 v.

ბუალისა დღე ვგრევი შეე-
კაზმნეს და გავიდეს.

A—127 r.

ვრცელი

... გამოვალთო. რა საწუთროსა
მაშვენებელმა მზემან ოქრო-
სა ბურჯნი აღმართნა დათვი-
სითა სხივითა. ქვეყანა განა-
თლა, მაშინ გააღებინა მეფემან კარ-
ნი კარავთანი. Q—35 r.

რა საწუთროსა მაშვენე-
ბელმან თავით თვისით ქვე-
ყანა განაბრწყინვა და მოელო-
და მათ ორთა სწორუბოვართა ფალა-
ვანთა შებმასა, მაშინ გავიდნენ.

Q—147 r.

სხვა მაგალითი ვრცელი რედაქციიდან: „ასე ცვიოდა კაცი, ვითა შე-
მოდგომის გრაგნილი ქარი რომ ფოთოლსა ყრიდეს, მის მსგავსად“ (F—118 r).
ამრიგად, მხოლოდ გამაფრცობელ ადგილებში ვხვდებით ბუნების აღწე-
რის ნიმუშებს.

როგორც დავინახეთ, ძირითადი ტექსტი გავრცობილია წინასწარ მო-
ფიქრებით: რედაქტორი ავრცობს არა ყოველ შემხვედრ ფაქტს, არამედ გარ-
კვეულ თემატიკურ მომენტებს. მაგ.: ბრძოლის სცენებს, განძეულობას, ქორ-
წილს და სხვ. ამკარად შეინიშნება დიდი გავლენა აღორძინების ხანის მწერ-
ლობისა. მთელი ეს აღწერები ჩანამატები ადგილებისა გაკეთებულია აღორ-
ძინების ხანის კვალობაზე. ამასვე ამტკიცებს ვრცელი რედაქციის ჩანართი
ადგილების ენობრივი მოვლენები და ლექსიკა.

„ამირანდარეჯანიანის“ ტრადიციული, ძირითადი ტექსტისათვის დამა-
ხასიათებელია საშუალი საუკუნეების ადრეული ხანის ენობრივი მოვლენები:
მასში ძველი ქართულის ენობრივი ნორმები ჯერ კიდევ მყარია, თუმცა ახა-
ლი ქართული ენის ნორმების ჩასახვაც უკვე დაწყებულია. ვრცელი რედაქ-
ციის ენობრივი მოვლენები კი გვიანდელია: მასში შეინიშნება ხალხური მეტ-
ყველების ძლიერი გავლენა. ჩანართი ადგილები დაწერილია ძირითად ტექს-
ტთან შედარებით სადა, ხალხური ენით. ჩამატებებში აღარ შეინიშნება „ამი-
რანდარეჯანიანისთვის“ დამახასიათებელი ძველი ქართულის ნორმები. მაგ.:
ჩვენს ძეგლში წარსულ დროში III სუბიექტური პირის მრავლობითობის აღ-
სანიშნავად, ჩვეულებრივ, -ეს სუფიქსი გვაქვს, ჩანართებში კი უკვე ახალი
ქართულის -ენ ან -ენ გვხვდება. მაგ.: წამოგვიდგნენ მკვდრები და ხელ-
სა გვიქნევდნენ (F—145 v). ტოტებს ჩამოკრეცდენ (F—161 r-v).
უკაზმიდენ გზასა... თავსა აყრიდენ გუარსა (F—145 v).

გამარტივებულია ნაცვალსახელები: ეს არის კაცი იგი — (B-8 v,
F—5 r, S—გვ. 139). მე ის არა ვარ (F—16 v, Q—16 v, S—გვ. 149);
ის გახელმწიფდა (F—167 v); „ამირანდარეჯანიანის“ ძირითადი ტექსტისა-
თვის კი დამახასიათებელია ამ ნაცვალსახელთა ნაცვლად ძველი ქართულის

ელვარე იქმნა და ქვეყანა ლალის ფერათ იქცა, ჯერეთ არცა ვის[] გვენახა იგი მთიები და
შვენიერი. გამოიყუანეს ხვარაშან ქალი“ (S—1359—54 r). ეს ჩანართიც იმ დროს არის შეს-
რულებული. როდესაც ქვესათაური ჩაურთეს. ქვესათაურის ჩართვის შემდეგ გადამწერი ბუ-
ნების აღწერის ჩამატებით ერთგვარ ეპილოგს უქმნის ქვეთავს.

ესე, ეგე, აგრეთვე ისი ნაცვალსახელის ხმარება, რომელიც საშუალო საუკუნეების ქართულში ძლიერ არის გავრცელებული. ჩვენი ძეგლისათვის ჩვეულებრივია აგრეთვე ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნების გარდამავალი საფეხური (ამა კაცსა, ამა წესითა), რასაც ჩანართებში შედარებით იშვიათად შევხვდებით. ჩამატებებში უკვე ახალი ქართულის ნორმაა დაცული: იმ ქორწილისა (F—65 v, J—27 v, S—გვ. 188).

ვრცელ რედაქციაში ახალი ქართულის ნორმაა დაცული თანდებულთა ხმარებაშიც: თანდებულები ერთვიან სახელს ისე, რომ ბრუნვის ნიშანი მოკვეცილი აქვთ. მაგ.: პირში... თავზე F—22r; ფეხზე F—136r, Q—124r, S—გვ. 244; ხელმწიფობაში F—167r და სხვ.

ჩანართებში გვხვდება ახალი ქართულის ზმნიზებები: იქიდამ — F—88 v, I—42 v, Q—81 v, S—გვ. 206. საცა გამოჩნდის F—167r, ასე შეიძრა F—136r, J—67 v, S—გვ. 244 და სხვ. ამით ნაცვალად „ამირანდარეჯანიანში“ გვაქვს მუნი თგან, სადა, ასრე და სხვ.

ახალი ქართულისაა აგრეთვე კავშირი რახან (F—168r), რომლის მიგერ „ამირანდარეჯანიანშია“ ვინათგან.

ვრცელი რედაქციის გვიანდლობას ამჟღავნებს როგორც მისი მორფოლოგიური, ასევე სინტაქსური თავისებურებანი. ზევით აღვნიშნეთ, რომ ჩანართები სადა, ხალხური ენითაა დაწერილი, ვიდრე „ამირანდარეჯანიანის“ ტრადიციული ტექსტი. ზართლაც, ჩანართებში მრავლად დაიძებნება ხალხური მეტყველების ნიმუშები. მაგ.: ვრცელი რედაქცია ასე გადმოგვცემს იამანი ჭაბუკის განცდებს, როდესაც იგი გაიგებს ბადრი იამანისძისა და ნოსარ ნისრელის დევთაგან შეპყრობის ამბავს: „იწუხა და იცა“ თავსა და პირში და დაიღწა საფალავნო იარალი თავზე“ (F—22r). სხვა მაგალითები: „როცა ხმალი გამოიწოდის, კარგმან მუშამ რომ (+ თივას S) ცელი მოუსოს, იმის მსგზავსად სცელედის. თითოს ხლმის მოქნევით ეგების ათი, თორმეტი კაცი მოკლის“ (F—45r; S—გვ. 171); „თითოს ხლმის მოქნევით ბევრჯელ თორმეტს კაცს ჩამოავდებდა და დახოცდა. თითოს ლახტის მოქნევით რვასა და ცხრას კაცსა და ცხენს დასცემდა. თითოს კინანის მითანით შეიღსა და რვას კაცსა და ცხენს აიღებდა და ქვეყანასა დასცემდა. თითოს ზუფინის სროლით ოცსა და თვრამეტს კაცს გაავლებდა და ჩამოცვიოდნენ. ასე ცვიოდა კაცი, ვითა შემოდგომის გრავნილი ქარი რომ ფოთოლსა ყრიდეს, მის მსგზავსად“ (F—118r).

ამრიგად, ვრცელი რედაქციის ტექსტი წერის მანერითა და სტილით განსხვავდება ტრადიციული ტექსტისაგან და განიცდის აღორძინების ხანის ძეგლების გავლენას.

განსხვავება ვლინდება აგრეთვე ლექსიკაშიც: ვრცელ რედაქციაში დაცულია რიგი ლექსიკური ერთეული, რომელიც „ამირანდარეჯანიანის“ ძირითადი ტექსტისათვის უცხობა.

მაგალითები:

აღაჯი (ვარიანტი: ალაჯი).

მეფე ერთ აღაჯს (ალაჯს B) (+ თან F) გაყვა და გაუშვა (წავიდა F) მშვიდობით (B—194 v; F—168r).

ეს სიტყვა „ჯიმშერიანსა“, „რუსუდანიანსა“ და „შაჰნავაზიანში“ დასტურდება.

ბიჭი

ვითამცა ცუდთა ბიჭთა რკენისა (F—161r-v).

ამ მაგალითში ბიჭი ყმაწვილს, ახალგაზრდა ვაჟს ნიშნავს. „ამირან-დარეჯანიანისათვის“ კი ბუნებრივია ყმაწვილის, ახალგაზრდა ვაჟის აღსანიშნავად ყმის ხმარება. ბიჭი ყმაწვილის მნიშვნელობით მხოლოდ „რუსუდანიანში“ დასტურდება. იგი გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, თლონდ სხვა მნიშვნელობით — ბუში. „ვისრამიანშია“ ბიჭობა, ისევე სხვა მნიშვნელობით: ეშმაკობა, მატყუარობა. ბიჭი საბასთან ნიშნავს ბუშს.

გურზი.

ბალხამ ყამისძემ გურზი თავსა იფარა... ბალხამ ყამისძემან გურზი თავისაგან მოიშალა და გვერდსა დაიდარა. (F—163r-v).

ეს სიტყვა დასტურდება „შაჰნამესა“ და „რუსუდანიანში“.

დიბა.

ფარჩა და სტავრა, დიბა, ატლასი. (F—27r-v).

ეს სიტყვა გვხვდება შემდეგ ძეგლებში: „შაჰ-ნამე“ (ტ. II), „არჩილიანი“ (ტ. I), „იოსებ-ზილიხანიანი“, „შვიდი მთიები“, „შაჰნავაზიანი“.

ზუფინი

ძირითად ტექსტში საომარ იარაღთა ნაირსახეობა გვაქვს, მაგრამ არსად გვხვდება ზუფინი. საბას განმარტებით ზუფანი შუბია: სასროლი მოკლე შუბი. „ამირანდარეჯანიანი“ მის მაგიერ ჩვეულებრივ შუბი გვაქვს: თითოს ზუფინის სროლით ოცსა და თვრამეტს კაცს გაავლებდა და ჩამოცვიოდნენ (F—118r).

იგი გვხვდება „შაჰნამესა“ და „რუსუდანიანში“.

თავადი.

ის გახემწიფდა და ჩვენ მისნი ყმანი გავთავადლით (B—194r; F—167v). აქ თავადი უკვე სოციალური ტერმინია.

იარალი; მიწა.

„ამირანდარეჯანიანი“ დედამიწის აღმნიშვნელად ჩვეულებრივ „ქუყყა-ნა“ იხმარება. ჩამატებაში კი მას ახალი ქართულის მიწა ენაცვლება. თუმცა ჩვენი ძეგლის XII კარის ბოლოს ამირან დარეჯანისძისა და დამაზ დევის ომის აღწერისას ერთგან გვხვდება მიწა: „ჰკრა აღრენილსა პირსა ხიმტი და მიწადმდე დაასენა“. ან კიდევ: „მისებრი ჰაბუკი არა არისო ზურგსა მიწისასაო“ (A—100r). მიწა დღევანდელი მნიშვნელობით ჯერ კიდევ „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაშიც“ გვხვდება. მაგრამ რადგანაც ჩვენი ძეგლისათვის დამახასიათებელია სისტემებრივ „ქუყყანის“ ხმარება, ამის ფონზე ნათლად ჩანს ჩამატებების ტენდენცია, იხმარონ ახალი ქართულისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეული: მიწა.

ასევე იარალის აღმნიშვნელად ჩვენს ძეგლში გვაქვს საჭურველი, იარალი კი ჩამატებების კუთვნილებაა:

სე დაწყდათ ჯაჭვი, ჯაფმანი, პოლორტიკი რკინანი და მუხარადები, რომე ის მინდორი სავსე იყო იარალის ნაგლეჯებითა, რომ მიწაც აღარა ჩნდა (F—161r-v).

ან კიდევ:

ვინც ფეხზე ვიდევით, მიწასა ზედა დავეცენით (F—136r; J—67v; Q—124r; S—გვ. 244).

იარალი გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ მესამე გაგრძელებაში, „შაჰნამეში“.

რ ა ხ ა ნ.

უბრძანა: თუ დამდგარიყავ, შენ ჩამა იქნებოდი და მე შეილი. *სახელ-
მწიფოც შენი იქნებოდა და რ ა ხ ა ნ არ ინებე, წარვედ მშვიდობით (F—168r).
აგრეთვე გვხვდება შემდეგ გვერდებზეც: F—97r; J—50r; S—გვ. 213;
S—გვ. 273).

ეს სიტყვა დასტურდება „რუსულდანიანში“. ამ ლექსიკური ერთეულის
მაგიერ ჩვენი ძეგლისათვის დამახასიათებელია ვინათგან.

ს ა ა თ ი.

„ამირანდარეჯანიანში“ დროის აღმნიშვნელად არ გვხვდება ს ა ა თ ი.
იგი ვრცელი რედაქციის კუთვნილებია. მის მაგიერ უამი გვაქვს ჩვენს ძეგ-
ლში: „გარდაგდა ომი დიდი დილითგან ვიდრე ცხრა უამადმდე“ (A—11 v);
სამი ს ა ა თ ი შებნედილი იღვა (S—გვ. 244). იგი გვხვდება „რუსულდ-
ანიანში“.

ყ ა ბ ა ხ ი.

სროლა ყ ა ბ ა ხ ი ს ა ბურთისა (F—116 v).

იგი გვხვდება „შაჰნამესა“ (ტ. I), „რუსულდანიანსა“, „არჩილიანსა“ და
„შაჰნავაზიანში“.

ყ ა ზ ა ხ ი.

მის დროს ქურდი, ყ ა ზ ა ხ ი და მეკობრენი დაწყენარებით იყუნიან
(F—167r).

პროფ. ალ. ბარამიძე ამ ტერმინს შიკუთვნილებს ალორძინების პერიოდს.¹²
მართლაც, ეს სიტყვა გვხვდება „არჩილიანში“ (ტ. II).

ყ უ ლ უ ხ ი.

და ჩემს იქიე ყოფაში მოვიდა ჭენთა მეფისაგან ქალის ზითევი... ათასი
კარგათ გაზრდილი მომღერალი და მოთამაშე ოქროს სარტყლოსან-ქამროსა-
ნი, მონა და ყ უ ლ უ ხ ი, ხოჯა და ხელჯოხოქროსანი და მხეველნი, გამდ-
ელი და ძინა და მოახლენი (F—111 v; S—გვ. 225).

ყ უ ლ უ ხ ი დასტურდება XVIII ს. ისტორიულ დოკუმენტებში, აგრეთვე
დასტურლამალში. მაგ.: Hd—12543-ში; „ქ. თუმანიანო, ბატონი დედოფლის
ყ უ ლ უ ხ იებს ხუთი ლიტრა ფქვილი მოეც თიბათვის დ ქქს ურმ“, ე. ი.
1790 წ.

ასევე არ გვხვდება „ამირანდარეჯანიანში“ აზავარი, ხოჯა, მუზარადი
და სხვ.

შ ე მ ო კ ი ე ლ ი.

გაგრძელდა ომისა შემოკიეილი (F—47r).

იგი გვხვდება „რუსულდანიანში“.

შ ე ყ რ ი ლ ო ბ ა.

იკითხვიდა: „რა ანბავი არის და ან რა შეყრილობა?“ (S—გვ.244).
ეს სიტყვა დასტურდება „შვიდ მთიებში“.

ჩ ი რ ა ხ ი.

ორმოცი დღე სულ ჩ ი რ ა ხ ი და ლხინი იყო (F—65 v; J—27 v,
Q—62r, S—გვ. 188).

ეს სიტყვა გვხვდება თეიმურაზ I-თან, ოლონდ ჩ ი რ ა ხ ო ნ ი ს ფორმით,
აგრეთვე „რუსულდანიანში“ ჩ ი რ ა ხ ო ე ა ნ ი ს სახით.

¹² ალ. ბარამიძე, ნარკვევები, 1, 1945, გვ. 51.

ცხენი ბედაური

ათასი ცხენი ბედაური ოქროს ლაგმითა (F—111 v, S—გვ. 225). გვხვდება „რუსულანიანს“, „არჩილიანს“, „დიდმოურავიანსა“ და „მეფეთა სალაროში“.

ხაზინა

ქონება და ზითევი ხაზინაში შეიღეს (F—111 v; S—გვ. 225).

გაუყო შეილთა სახელმწიფო ქალაქნი და ხაზინანი (F—167 v).

ეს სიტყვა დამოწმებულია შემდეგ ძეგლებში: „ქართლის ცხოვრების“ მესამე გაგრძელება, „შაჰნამე“, „რუსულანიანი“, „დიდმოურავიანი“ (ამ უკანასკნელშია ხაზინადარი).

„ამირანდარეჯანიანის“ ძირითად ტექსტში კი „ხაზინის“ ნაცვლად ჩვეულებრივ „საჭურჭლენ“ გვხვდება.

როგორც დაეინახეთ, ვრცელი რედაქციის ეს ლექსიკური ერთეულები დასტურდება მხოლოდ აღორძინების ხანის ძეგლებში. აღორძინების ხანისათვის დამახასიათებელმა ლექსიკამ ანარეკლი პოვა ამ გავრცობილ ადგილებში.

ვრცელი რედაქციის ფინალის მესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ იგი „ამირანდარეჯანიანის“ ძირითადი, ტრადიციული ტექსტის გვიანდელი გაგრძელებაა. ეს საკითხი გარკვეული აქვს პროფ. ალ. ბარამიძეს: „ტექსტი (იგულისხმება ვრცელი ფინალი—ნ. ა.) უფრო მარტოა გარდამავალი და რომელიღაც გადაამწერს უნდა მიეკუთვნოს. მართლაც: 1. „გაგრძელების“ სტილი საერთოდ მეტად ვულგარულია; კერძოდ, აქ გვხვდება საყურადღებო ტერმინი ყაზახი, რომელიც ყოველ მიზეზ გარეშე „აღორძინების“ პერიოდის პროდუქტია და კლასიციზმთან, ყოველ შემთხვევაში, საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეს. 2. როგორც ჩამატება-გაგრძელებას სჩვევია, ამ პატარა ნაწყვეტშიც შეინიშნება ძირითადი ტექსტის მიმართ საწინააღმდეგო ფაქტობრივი მომენტი. სახელდობრ, საარსიმის-დე თითქოს ინდოთ მეფემ გამოისტუმრა „ბაღდადსავე“. ძირითადი ტექსტით კი ვიცით, რომ საარსიმისდე ცხოვრობდა ბაღდადში კი არა, არამედ სპარსეთში, კონკრეტულად „ბალხეთით კერძო“, ე. ი. ინდოეთის მეზობლად. ცნობილია, რომ ინდოთ მეფემ მდევრები დაგზავნა „ქალაქთა სპარსეთისათა“. რაც შეეხება ბაღდადს, ამაზე ტექსტში მოიპოვება კატეგორიული მითითება: „ორნი მათნი გაგზავნილნი ყმანი ბაღდადსა შინა იყვნეს, და მოვლეს, ვერა სცნეს რა და წამოვიდნენ“... როდისაა წარმოშობილი ეს გაგრძელება, დანამდევლებით თქმა ძნელია, ყოველ შემთხვევაში გაგრძელების ტექსტი დამოწმებულია 1782 წელს გადაწერილი ხელნაწერით (№—929)“.¹³

ხელნაწერებზე დაკვირვებისას ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ვრცელი რედაქციის ნუსხებს დაბოლოება არა აქვთ ერთგვაროვანი. ყველაზე სრულია H—929 ხელნაწერის დაბოლოება, რომლისგანაც გამოკრებილი ჩანს H—1202-ისა და H—1080 ხელნაწერის ფინალი.

ვრცელი ფინალის წარმოშობის საკითხს შუქს ჰყენს H—929 (F) ხელნაწერისა და გორის (S) ხელნაწერის დაბოლოებების ურთიერთმიმართება. საგულისხმოა, რომ კორნილიოს ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილ ამ ორივე ხელნაწერში ვრცელი ფინალი სხვადასხვაგვარია. გორის ხელნაწერის ფინალი მოკლეა H—929 ხელნაწერის დაბოლოებასთან შედარებით. ამ უკანასკნელის

¹³ ალ. ბარამიძე, ნარკვევები, 1, 1945, გვ. 51.

ფინალში კი ვადაშწერის ორი ანდერძი. პროფ. ალ. ბარამიძე ამას იმის დამამტკიცებლად მიიჩნევს, რომ ფინალი ნამდვილად ვადაშწერის კუთვნილებაა: „გაგრძელება რომ უთუოდ ვადაშწერის ნახელავია,—წერს პროფ. ალ. ბარამიძე,—ესეც აშკარაა. შინაარსის მიხედვით ტექსტი თითქოს ასე იხურება: „დასრულდა დარეჯანიანის ანბავი, დაუსრულებელმცა არს გვარი შვილისა და შვილის-შვილისა მწერლისა ამის წიგნისა“. ნამდვილად კი თხზულება ამით არ დასრულებულა. ცხადია, რომ გაგრძელება ჰკუთვნებია მოტანილი მინაწერის ავტორს, მაგრამ რადგანაც აქ ფინალი მოცემული არ ყოფილა, ამისი შესრულება უკისრია შემდეგ ვადაშწერს და პირველი ვადაშწერის ანდერძი ტექსტში ჩაურთავს მექანიკურად“.¹⁴

გორის ხელნაწერი კორნილიოს ჩაჩიკაშვილმა ვადაშწერა 1777 წელს, H—929 კი—1782 წელს. ვვარაუდობთ, რომ H—929 ხელნაწერის ფინალში „მექანიკურად“¹⁵ ჩართული პირველი ანდერძი არის გორის ხელნაწერისეული ანდერძი. ვფიქრობთ, რომ კორნილიოს ჩაჩიკაშვილმა 1782 წელს ვადაშწერა რა გორის ხელნაწერიდან ტექსტი, უცვლელად დატოვა მისი ანდერძი, ოღონდ დაბოლოება უფრო განუგრძო და დაურთო ახალი, მეორე ანდერძიც. ეს ხელნაწერია H—929. ამრიგად, დაბოლოება ვადაშწერის კუთვნილებაა, მაგრამ არა ორი ვადაშწერისა, როგორც ამას პროფ. ალ. ბარამიძე ფიქრობს, არამედ ერთისა. ეს უნდა იყოს კორნილიოს ჩაჩიკაშვილი.

მაშასადამე, პროფ. ალ. ბარამიძე ვრცელ დაბოლოებას მიიჩნევს ალორძინების ხანის ნაყოფად და მიუთითებს H—929 ხელნაწერზე, რომელსაც აქვს ვრცელი რედაქციის ხელნაწერთაგან განსხვავებით ყველაზე სრული დაბოლოება. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს დაბოლოება შესრულებული უნდა იყოს კორნილიოს ჩაჩიკაშვილის მიერ 1782 წელს.

აქვე ისმის საკითხი ვრცელი რედაქციის თარიღისა. ხელნაწერთა შესწავლა ასეთ სურათს იძლევა: პირველადია მოკლე რედაქცია, მეორეული კი ვრცელი. მოკლე რედაქციის პირველადობას, უპირველეს ყოვლისა, ადასტურებს ის, რომ დღემდე ცნობილი უძველესი ხელნაწერები „ამირანდარეჯანიანისა“ (იგულისხმება მე-17 საუკუნის ყველა ნუსხა, აგრეთვე გალექსილი ვერსია „ამირანდარეჯანიანისა“) მოკლე რედაქციისაა. გარდა ამისა, მოკლე რედაქციის ენობრივი სინამდვილეც მის პირველადობას უჭერს მხარს.

ვრცელი რედაქციის ხელნაწერთა გავრცობის ხერხებისა, ენობრივი მოვლენებისა და ლექსიკის შესწავლიდან კი ნათელი გახდა, რომ ვრცელი რედაქცია გვიან, ალორძინების ხანაშია წარმოშობილი მოკლე რედაქციის გავრცობის შედეგად. მაშასადამე, ვრცელი რედაქციის როგორც ფინალი, ასევე ჩანართი ადგილებიც ალორძინების ხანის პროდუქტია.

ხომ არ არის შესაძლებელი ამ თარიღის უფრო დავიწროება? ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა დადგინდეს ვრცელი რედაქციის ავტორის ვინაობა.

როგორც აღვნიშნეთ, ვრცელი დაბოლოება ჩვენი ძეგლისა 1782 წლის H—929 ხელნაწერშია დაცული; ეგვემ ხელნაწერი გავრცობილია ტექსტის შიგნითაც. მაგრამ მასზე ადრეულია გორის მუზეუმის ხელნაწერი, რომელიც ტექსტის შიგნით ვრცელია, ოღონდ დასასრული H—929 ხელნაწერთან შე-

¹⁴ ალ. ბარამიძე, ნარკვევები, 1, 1945, გვ. 52.

¹⁵ იქვე, გვ. 52.

დარებით უფრო მოკლე აქვს. თუ კორნილიოს ჩაჩიკაშვილმა გორის ხელნაწერიდან გადაწერა 1782 წელს H—929 და განუერთა ის მოკლე დაბოლოება, რომელიც გორის ხელნაწერს ჰქონდა, ამ ვარაუდის დაშვების უფლებას კი H—929 ხელნაწერის ფინალში მოთავსებული ორი ანდერძი გვაძლევს, ხომ არ შეიძლება საერთოდაც ვრცელი რედაქციის ავტორად მივიჩნიოთ კორნილიოს ჩაჩიკაშვილი? ამას მისი შუშაობის სტილი გვაფიქრებინებს. შეინიშნება ერთი რიგი ჩანამატი ადგილებისა, რომლებიც მხოლოდ H—929 ხელნაწერში გვხვდება. ასევე გორის ხელნაწერიც ითვლის ორიოდ ჩანართს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ ხელნაწერშია. ე. ი. შესაძლოა დავუშვათ, რომ H—929 ხელნაწერის გადაწერისას კორნილიოს ჩაჩიკაშვილმა, მართალია, გამოტოვა ორიოდ ჩანართი გორის ხელნაწერიდან, მაგრამ სამაგიეროდ სხვა ადგილას ახალი ჩანართებით განაერთა¹⁶.

შესაძლებელია, მართლაც კორნილიოს ჩაჩიკაშვილი მიგვეჩინა ვრცელი რედაქციის ავტორად, მაგრამ გადაპრით ამის თქმა არ იქნებოდა დამაჯერებელი, მით უმეტეს, რომ შემოგვრჩენია ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილ კრებულ „შეხვეტილიანში“ „ამირანდარეჯანიანის“ ფრაგმენტი, ორად-ორი ფურცელი, რომელიც აგრეთვე ვრცელი რედაქციისა უნდა ყოფილიყო. ოღონდ რა ხასიათისა იქნებოდა მისი ჩანართები და რამდენი, ამის დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელია. ეს მოხერხდება მხოლოდ მაშინ, თუ სადმე გამოჩნდება ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილისეული „ამირანდარეჯანიანის“ სრული ტექსტი.

ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილისეული „ამირანდარეჯანიანის“ დარჩენილი ორ-ფურცლიანი ტექსტი და კორნილიოს ჩაჩიკაშვილისეულ ხელნაწერზეა ტექსტი მსგავსია. მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არა კორნილიოსს, არამედ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს განუერთია „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტი.¹⁷ ამ ვარაუდასათვის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ შამა და შვილისათვის (ნიკოლოზ და კორნილიოს ჩაჩიკაშვილები—ნ. ა.) როგორც ჩანს, დამახასიათებელი ყოფილა ტექსტების რედაქციულ-გარიანტული დამუშავება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ შესრულებული სარედაქციო სამუშაო სულხან-საბა ორბელიანის თხზულებაზე „სიბრძნე სიცრუისა“. სულხან-საბა ორბელიანს „სიბრძნე სიცრუისა“ დაუწერია ახალგაზრდობის ჟამს, ბერად შედგომამდე. „თხზულება პოპულარული გამხდარა. ამითაა გამოწვეული, რომ ის ცნობილია მრავალი ხელნაწერით, რომლებიც XVIII საუკუნის სამოციან წლებიდან მომდინარეობენ. აღნიშნულ ხელნაწერთა შესწავლიდან ირკვევა, რომ საბას საბოლოოდ დაუმუშავებელი სახით დარჩენია „სიბრძნე სიცრუისა“. ბერად შედგომამდე ეს საქმე მას ვერ მოუსწრია. შემდეგ კი, მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. ამიტომაც ტექსტში ხარვეზები, რომლებიც შეუძლებელია მხოლოდ გადაწერითა გეოხებით იყოს გამოწვეული. შემდეგში ტექსტის გამართვა უცდიათ გადამწერლებს,

¹⁶ ჩამატებანი, რომლებიც მხოლოდ H—929 ხელნაწერში გვხვდება: 12r; 22r; 38r; 47r; 65 v; 116 v; 118r; 145r-v; 155 v; 161r-v; 163r-v. ჩამატებანი, რომლებიც მხოლოდ გორის ხელნაწერშია: გვ. 231, 244.

¹⁷ „შეხვეტილიანი“ ნ. ჩაჩიკაშვილმა გადაწერა 1774—79 წლებში. მასში მოთავსებული „ამირანდარეჯანიანი“ გადაწერის ანდერძში მეთხე ადგილზეა, ე. ი. ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილმა უფრო ადრე გადაუწერია „ამირანდარეჯანიანი“, ვიდრე კორნილიოს ჩაჩიკაშვილს გორის ხელნაწერი.

ალაგ-ალაგ გაუფრცოვანებ, ბუნდოვანი ადგილები გაუმართავთ, მაგრამ სრულყოფილი სახით თხზულება მიიწვ ვერ მოუციათ. ამ მხრივ საყურადღებოა ნიკოლოზ ასლამაზისძე ჩაჩიკაშვილის ნუსხა, რომელშიც მოცემულია პირველი ცდა თხზულების რედაქტირებისა (ხაზი ჩვენია—ნ. ა.), მაგრამ ნ. ჩაჩიკაშვილის ნუსხა უყურადღებოდ დარჩენილა. მის პოპულარობა ვერ მოუპოვებია. პირიქით, თვით ჩაჩიკაშვილებს შორისაც ტექსტში ნასწორები ადგილების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა წარმოშობილა. ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ვრცელი ჩანართები მის შვილებს თომას და კორნელის თავისებურად გადაუქეთებიათ.¹⁸

ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიჩნევა „ამირანდარეჯანიანის“ ვრცელი რედაქციის ავტორად დასაშვებია, რაკი ცნობილია მისი მუშაობის მეთოდი ტექსტებზე. ვადაჭრით კი ამის თქმაც ძნელია, რადგან ჩვენ ხელთ არა გვაქვს ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილისეული „ამირანდარეჯანიანის“ სრული ტექსტი, ხოლო ფრაგმენტზე, ორფურცლიან ტექსტზე დაყრდნობით ასეთი მტკიცება არ იქნებოდა საფუძვლიანი.

ამგვარად, ვრცელი რედაქციის ავტორის ვინაობის დადგენა ჯერ-ჯერობით ჭირს, რადგან არა გვაქვს უფრო მეტი დოკუმენტური მასალა. ერთი კი ცხადია: მოკლე რედაქციის გაფრცოვანება ჩაჩიკაშვილთა ოჯახში უნდა მომხდარიყო; მაგრამ რომელია რედაქტორი, ნიკოლოზი თუ კორნელი—ამის დადგენა არ ხერხდება საკმარისი საბუთების უქონლობის გამო.

მაშასადამე, ვრცელი რედაქციის წარმოშობის დროც შესაძლებელია უფრო შემოფარგლოთ: ფიქტობთ, რომ მოკლე რედაქცია გაფრცოვნილია მე-18 საუკუნის 70—80-იან წლებში.

„ამირანდარეჯანიანის“ რედაქციების საკითხთან დაკავშირებით სავანგებოდ გვინდა შეგვიხსენოთ პროფ. ს. კაკაბაძის მოსაზრებაზე. რომ „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტი ორი რედაქციით არსებობს, ამაზე პროფ. ს. კაკაბაძეც მიუთითებდა, ოღონდ ამ ტექსტის რედაქციებად დაყოფის მისი პრინციპი სხვა ხასიათისაა.

პროფ. ს. კაკაბაძის აზრით არსებობს „ამირანდარეჯანიანის“ „თავდაპირველი და მერმინდელი რედაქციები“.¹⁹ პირველი რედაქცია წარმოდგენილია მისსავე გამოცემაში, ხოლო ამ რედაქციის ტექსტი დაუცავს სამ ხელნაწერს: S—393, S—1623 და S—3708. ტექსტის გამოცემისათვის ს. კაკაბაძის გამოუყენებია S—393 „ძირეულად“, ხოლო S—1623 და S—3708 ნაკლები და დამახინჯებული ადგილების შესაფხვანად და დასაღვენად.

„ამირანდარეჯანიანის“ ტექსტის მეორე რედაქცია, ს. კაკაბაძის აზრით, დატულია ზ. ჭიჭინაძის გამოცემაში, რომელსაც საფუძვლად დაედო S—1119 ხელნაწერი. „ამ ხელნაწერის ტექსტი,—წერს ს. კაკაბაძე,—შინაარსის მიხედვით ზუსტად მისდევს პირველ რედაქციას, მაგრამ მას ატყვია რედაქტორის მძლავრი შალაშინი. ცალკეული გამოთქმანი შევსებულ-შესწორებულია მთელი მოთხრობის სიგრძეზე, თავების სათაურებს გარდა გაკეთებულია ბლომად ქვესათაურებიც, როგორც ეს წარმოდგენილია ზ. ჭიჭინაძის გამოცემაში“.²⁰

¹⁸ ს. ო. ჟ. უ. ბ. ა. ნ. ი. შ. ვ. ლ. ი., „სიბრძნე-სიკრთის“ ტექსტისათვის, სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, 1, 1959, გვ. 253.

¹⁹ ს. კაკაბაძე, ამირანდარეჯანიანი, 1939, გვ. XIII.

²⁰ ი. ქ. ვ.

ამგვარად, ს. კაკაბაძის აზრით, „ამირანდარეჯანიანის ტექსტის ორი რედაქციის—თავდაპირველის და მერმინდელის—არსებობა დადგენილად უნდა იქმნას მიჩნეული“.²¹

როდის უნდა ჩამოყალიბებულიყო მეორე რედაქცია? ს. კაკაბაძეს მიაჩნია, რომ „ასეთი მეტად არსებითი რედაქციული ცვლილება ერთი და იმავე ტექსტისა შეუძლებელია თვით ავტორს მიეწეროს. უფრო დასაჯერებელია, რომ ეს ცვლილება შესრულებულ იქმნა თვით თხზულების ავტორიდან საკმაოდ დაშორებულ ხანაში, როდესაც მიზანშეწონილად იქმნა ჩათვლილი ტექსტი ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით ახლად შესწორებულ-შეესებულად ყოფილიყო ფეოდალური მკითხველისთვის მისაწვდენად“.²² ს. კაკაბაძის აზრით, „ამირანდარეჯანიანის“ პირველი რედაქცია მე-11 საუკუნის პირველ მეოთხედში ან მის ახლო ხანაშია შესრულებული უცნობი ავტორის მიერ, მეორე რედაქციის წარმოშობა კი მოსე ხონელის სახელს უკავშირდება: „თამარ მეფის დროს მოსე ხონელს შეუსწორებია ამირანდარეჯანიანის ტექსტი თავიდან ბოლომდის თავისი დროის მკითხველთა მოთხოვნილებისათვის ანგარიშის გაწევით“.²³

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ „ამირანდარეჯანიანის“ ტრადიციული ტექსტი, რომელშიც მრავლად დასტურდება სხვადასხვა დროის ვადაწერთა ვარიანტული სხვაობანი, ჩვენამდე მოღწეულია ერთი რედაქციით. „რომანის არავითარი ორი სხვადასხვა, სხვადასხვა დროს დაწერილი რედაქცია არ არსებობს.—აღნიშნავს აკად. კ. კეკელიძე.—ის სახე მისი, რომელიც მოცემულია შედარებით მოგვიანო დროის ხელნაწერებში, არის შედეგი რომანის საუკუნეთა განმავლობაში ვადამწერთა მიერ დამახინჯებისა, რომელიც გამოიხატებოდა არათუ ცალკეული ადგილების გავრცობასა და შეკეთებაში, მთელი თავებისა და ეპიზოდების დამატებაშიაც“.²⁴ ამავე აზრისაა პროფ. ალ. ბარამიძე. „ამირანდარეჯანიანის“ ს. კაკაბაძისეული გამოცემის განხილვისას იგი შენიშნავს, რომ „ზ. ჭიჭინაძის გამოცემა მართლაც ნაგვიანვე ხელნაწერსა და წარყვნილ ტექსტს ემყარება. ამდენადვე ეს გამოცემა (და მისი დედანი) და ს. კაკაბაძის გამოცემისთან შედარებით, შეიძლება მიჩნეულ იქნას „ამირანდარეჯანიანის“ თავისებურ ვარიანტად ან, თუ გინდ, პირობითად რედაქციადაც“.²⁵

რომ „ამირანდარეჯანიანის“ ტრადიციულ ტექსტს ჩვენამდე ერთი რედაქციით მოუღწევია, ამას მისი ხელნაწერი მეგვიდრეობა გვიჩვენებს. ხელნაწერთა ჩვენებების გათვალისწინებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმ ვარიანტის წარმოშობა, რომელსაც პროფ. ს. კაკაბაძე მეორე რედაქციას უწოდებს. ჩვენს ფონდებში დაცულია ერთი ხელნაწერი S—1359. ე. თაყაიშვილი ამ ხელნაწერს ათარილებს მე-18 საუკუნის I მეოთხედით.²⁶ მართლაც, ხელ-

²¹ ს. კაკაბაძე, ამირანდარეჯანიანი, 1939, გვ. XV.

²² იქვე, გვ. XV.

²³ იქვე, გვ. XVIII—XIX.

²⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 79.

²⁵ ალ. ბარამიძე, „ამირანდარეჯანიანის“ ახალი გამოცემის გამო, ნარკვევები, I, 1945, გვ. 375, №6. 1.

²⁶ ე. თაყაიშვილი, მართლა მოაღწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტმა თუ არა? (მცირე შენიშვნები ამირანდარეჯანიანის ხელნაწერების შესახებ), „მომბე“, 1900, № 2. მისივე, „ამირანდარეჯანიანის“ ხელნაწერთა აღწერილობა, ე. თაყაიშვილის არქივი, № 144.

ნაწერი გადაწერილია ასტრახანში, ვახტანგ VI-ის სკოლის ხელით. აქვს ამავე სკოლის ხელით მინაწერი 127 v-ზე. ხელნაწერი ძლიერ დამახინჯებულია, ახასიათებს ასოთა ხშირი დაკლება და მეორეს მხრივ ა-მეტობა. ეს ხელნაწერი უნდა განვიხილოთ ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ იოანე ბატონიშვილისეულ „ამირანდარეჯანიანის“ ხელნაწერთან მიმართებაში. და აი რატომ: იოანე ბატონიშვილისეული ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია 1699 წელს, „ამირანდარეჯანიანის“ მე-17 საუკუნის ხელნაწერთაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ დაყოფილია ქვეთავებად. ამ ხელნაწერის ძირითადი, ტრადიციული ტექსტი კი კარგად არის დაცული. მასში ზედმეტი ქვესათაურების გაჩენა ხელოვნურია. ხელნაწერზე დაკვირვებისას გვექმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მის გადაწერს ხელთ ჰქონია გამზადებული ქვესათაურები და ხელოვნურად ჩაურთავს ისინი ძირითად ტექსტში. მოგვეყვას ამის ნიმუშები:

„დადგა ნოსარ ნისრელი თვით იგი მარტო. აქა ბაყბაყ დევისაგან და ხარზან დევისაგან ღალატითა ნოსარ ნისრელისა შებყრობა მძინარე. არქვა მან ორპირმან კაცმან: „დაძინებას ეკრძალო“ P—25 v.²⁷

აქ ამბის თხრობა შუაშია გაწყვეტილი.

„დავდევით მას ღამესა მის ციხისა ძირსა. დილასა შეეკაზმა ამირანდარეჯანისძე საჭუეთითა აბჯრითა, აქა ამირანდარეჯანისძისაგან დევთა ციხის აღება და ალი დილამისა და ინდოქაბუჯის გამოყუანა. რა გაათენდა, აიღო ფარი და შეუჭდა ციხისა ძირსა“ P—27 v.

ამ მაგალითშიც ქვესათაურის ჩართვის შემდეგ არ არის ნათელი შინაარსი: ვინ აიღო ფარი და ვინ შეუჭდა დევებს ციხეში.

„ამა სიტყუასა ზედა წაგუიძღვა დიაცი იგი აქა სეფედავლესი და რაზიმან დევისა ომი და მიგუიყუანა ქუეყანასა შეუნიერსა“ P—119 r.

ეს მაგალითიც მკაფიო ნიმუშია იმისა, რომ ქვესათაურების ჩამატებით წინადადება შუაზეა გაწყვეტილი და შინაარსი გაუგებარია. ზოგჯერ ქვესათაური ჩართულია თხრობაში უადგილო ადგილას. მაგ.:

„ამაზედან დაასკვნეს ომი ფიცხელი ხელისად და გაიყარნეს. აქა ომი სეფედავლესი და დარეჯანისძისა მედგრად და კიდევ გაწყუთდა. შეგვექნა ჩვენ შეპირება, ამისთვის რომე ანუ მოკვდების რომელიმე და ანუ ერთი რომელიმე იჯობინების... მაგრა დაშლისა ღონე არა იყო. დილასა ბინდსა ჰკრეს ბუკსა და დაბდაბსა სეფედავლეს კარსა და გამოვიდა სეფედავლე, თეთრსა ტაიჭსა ზედა ჯდა“. P—133 r.

როგორც მოტანილი ნაწყვეტიდან ჩანს, უფრო ბუნებრივი იქნებოდა სათაურის ჩართვა იმ ადგილას, სადაც ომის ეპიზოდი იწყება. ცხადია, არ არის კარგად განსაზღვრული ქვესათაურის ადგილი.

ამრიგად, იოანე ბატონიშვილისეული ხელნაწერის ძირითადი ტექსტი დაყოფილია ქვეთავებად. როგორც სათაურების არასწორი ჩართვა მოწმობს, ეს დაყოფა გვიანდელია. ეს ხელნაწერი ერთადერთია „ამირანდარეჯანიანის“ უძველეს, მე-17 საუკუნის ნუსხებში, რომელიც ქვესათაურებს შეიცავს. ამ ხელნაწერისაგან უნდა მომდინარეობდეს S—1359. ამას ამტკიცებს, უპირვე-

²⁷ P—თი აღვნიშნავთ იოანე ბატონიშვილისეულ ხელნაწერს.



ლეს ყოვლისა, იგივე ქვესათაურები, რომლებიც მხოლოდ იოანე ბატონიშვილისეულ ხელნაწერშია და რომლებიც უკლებლივ განმეორებულია S—1359-შიც. გარდა ამისა, მსგავსია ორივე ხელნაწერის ტექსტი. მაშასადამე, S—1359 მომდინარეობს იოანე ბატონიშვილისეული ხელნაწერიდან, ოღონდ S—1359-ში ზოგან ტექსტობრივი სხვაობა იჩენს თავს. მაგ.: აქ სეფედავლე დარისპანისძის კარში ერთი ადგილი უფრო ვრცელადაა წარმოდგენილი, ვიდრე იოანე ბატონიშვილისეულსა და სხვა ყველა ჩვენს მიერ გამოყენებულ ნუსხებში. აღსანიშნავია, რომ ტექსტის ეს მონაკვეთი დაცულია S—1119 ხელნაწერში, რომელიც საფუძვლად დაედო ზ. ჭიჭინაძის გამოცემას. S—1119 ხელნაწერიც S—1359 ხელნაწერის მსგავსად ქვესათაურებიანია, ოღონდ ტექსტი ძლიერ დამახინჯებულია. კვლავ ტექსტობრივი შეჯერების შედეგად გამოირკვა, რომ S—1119 უფროდ მომდინარეობს S—1359-დან. ზემოთ მოხსენებული ის მონაკვეთი ტექსტისა, რომელიც მხოლოდ S—1359-შია დაცული, განმეორებულია S—1119-შიც:

ძირითადი ტექსტი და იოანე ბატონიშვილისეულისა (P)

S—1359

ზ. ჭიჭინაძის გამოცემა (S—1119)

ქექელა დაიჭირეს მამისა მისისა გაზრდილთა. ვითა სეფედავლე მოიწითა და ომი შეეძლო, ეგრე ჰკითხა დედასა მისსა: „დედოფალო, ესე ქალაქი დიდი და კარგი არის და ამის გარეგან (ამას გარეგნით P) სხუა რად არა გუაქუსო“. იგი ატირდა და ეგრე უთხრა: „დიადი გუქონდა, შვილო, განა მამისა შენისა სიკუდილსა ზენისა ყუფელა წაგუიღეს მტერთაო“. დედოფალსა ეგრე არქუეს (აცნობეს P), ვითა: „მაგას ყმასა უმზირიან, ანუ მუხთლად მოგიკვლენ ომითა (~ ომითა მოგიკვლენ P) და ანუ წამლითა“. რა ესე ესმა დედოფალსა, მიერთგან დედოფალი თვისითა ტელითა უქმორდა შაჰამადსა (სა-

ქექელა დაიჭირეს მამისა მისისა გაზრდილთა ყმათა და შეამაგრეს იგი ქალაქი დიდი, ტურფა და ქექელა. გამოვდა წელნი მრავალნი. და ამაშიგან მოიწითა ესე სეფედავლე და შემძლებელ იქმნა ომისა და ანუ სხეასა საჭაბუკოსა გოლიათობასა. დღესა ერთსა მოვიდა წინაშენ დედოფლისა დედისა მისისასა და ჰკითხა: „ესე ქალაქნი რომე დიდნი და შევნიერნი არიან, ამა ქალაქისა წალმართ რატომ არ გაქვსთ სხვანი ქვეყანანი და სოფლებიო?“ ატირდა და გულმდულრად იგი დედოფალი, დედა მისი, და ესრე უთხრა: „შვილო ჩემო, დიადნი გვექონდა ქვეყანანი და ქალაქნი. ოდეს ბნელ იქმნა ჩვენად სინათლე მზისა და მოვიდა სიკვდილისა მის უებროსა მაგისა (!) შენისა და განვიდა ამა სოფლისა შევბითგან და ჩვენ განვი-

და იგი დარისპან შაარი მისთა გაზრდილთა ყმათა შეამაგრეს. იგი ქალაქი დიდი ტურფა იყო და ქექელა. გამოხდა წელნი მრავალნი, და ამას შიგან მოიწითა სეფედავლე და შემძლებელ იქმნა საჭაბუკოთა საქმეთა. დღესა ერთსა მივიდა წინაშე დედოფლისა, დედისა მისისა, და ჰკითხა: „ესე ქალაქნი რომე დიდნი და შევნიერნი არიან, ამა ქალაქისა წალმართ რატომ არა გვაქვს სხვანი ქვეყანანიო? ატირდა გულმდულრად დედა მისი დედოფალი და ესე უთხრა: „შვილო ჩემო, დიდნი ქვეყანანი გვექონდა და ქალაქნი მრავალნი, მაგრამ ოდეს ბნელ იქმნა ჩვენთვის სინათლე მზისა, მოკვდა მამა შენი და დაგვაგდო თვალცრემლიანი, მაშინ მოგემართეს ძველთა მათ მტერთა, მოგვადგნენ და ყოველივე წაგვიღეს და ვართ მათ მტერთაგან ძლეულნი

ქამადსა თავისითა გე-
ლითა უქმოდა P) და
კარნი მის ქალაქისა-
ნი თუით დაკლიტნის.

A—75r.

ტევა თვალცრემლიანნი,
მაშინ მოგვმართეს ძველ
ოდენ მყოფთა მტერთა
და ყოველივე წაგვიდეს
და ვართ ამავე წესითა“.
მის ჟამამდე არ უწყოდა
საქმენი ესე პატრონისა
ჩენისა ძემან და დედო-
ფალსა ეტყოდეს ყოველ-
ნივე, ვითა უმზირნა ყო-
ველნივე მაგა ყმასა. ანუ
ომსა შინა რამე წიკიდე-
ბის და ანუ წამლითა შე-
რევენო. ისმინა ესე დე-
დოფალმან და სანუკვარსა
თვით ჴელითა თვისითა
უმზადებდა და მის ქალა-
ქისა კარნიცა ჴელითა
თვისითა დაკლიტნის 70v.

ჯამამდე, არა რა იცოდა
პატრონისა ჩემისა ძემან და
მაშინ ეტყოდეს დედოფალ-
სა ყოველნივე, ვითა: „უმ-
ზირან მტერნი მაგა ყმასა,
ანუ ომსა შიგან: რამე წაე-
კიდების, და ანუ წამლითა
შერევენო. ისმინა ესე დე-
დოფალმან და სანუკვარსა
თვისსა ხელითა უმზადებდა
და მის ქალაქისა კარნიცა
თითონ დაკლიტნის. გვ. 150.

S—1119, ზ. ჭიჭინაძის გამოცემის დედანი რომ S—1359-დან მომდინა-
რობს, ამას ისიც ადასტურებს, რომ S—1359-ის ფრაზები, რომლებიც მხო-
ლოდ ამ ხელნაწერისათვისაა დამახასიათებელი და სხვა ძველ ნუსხებში არ
გვხვდება, სიტყვა-სიტყვითაა განმეორებული S—1119-ში.

მოვიტანთ ამის რამდენიმე ნიმუშს:

ძირითადი ტექსტი
და P (იოანე ბატო-
ნიშვილისეული)

S—1359

ზ. ჭიჭინაძის გამოცემა

მოვიდიან მებუჟე-
მედაბდაბენი და მგო-
სანნი. იყო სახიობა
(სახეობა P). ვკითხეთ
მუნ კაცსა ვისმე.

მოვიდიან მებუჟე-მედაბ-
დაბენი და მგოსანნი სა-
ტრფიალონი და ჴმითა
ტკბილითა ჴმიანობდიან.
მერმე ვკითხეთ სახეობა
მათ სპათა, თუ.....

მოვიდიან მებუჟე-მედაფ-
დაფენი მგოსანნი და მო-
შაითნი სატრფიალონი და
ხმითა ტკბილითა ხმიანობ-
დიან. მერმე ვკითხეთ მათ
სპათა სახეობა, თუ...

A—57 r.

51r.

გვ. 114.

მცირედ სიბერე
შეეტყუებოდა.

ოდესმეცა შეჰგვანდა მცი-
რედ რამე მოდღვენება.

ოდესმეცა შეჰგვანდა მცი-
რედ მოდღვენება.

A—58 r.

53r.

გვ. 117.

დავიწყეთ სმა და გან-
სუენება.

დაუწყეთ სმა ლალის ფე-
რთა ხოშაგრულთა ღვი-
ნოთა. 125r.

ესმიდით ლალის ფერსა
ხოშ-გურულსა ღვინოსა.
გვ. 247.

A—125 v.

პროფ. ს. კაკაბაძე შენიშნავს, რომ „პირობით მეორე რედაქციად წო-
დებული ტექსტი წარმოადგენს პირველი რედაქციის საფუძვლიან შესწორე-
ბის და ნაწილობრივ შეესების ცდასაც“.²⁸ მაგრამ ტრადიციული ტექსტის

²⁸ ს. კაკაბაძე, ამირანდარეჯანიანი, 1939, გვ. XIV.

შემცველი ხელნაწერების შესწავლამ ცხადყო, რომ ეს ცვლილება არ არის რედაქციული ხასიათისა: მეორე რედაქციად მიჩნეული ხელნაწერები პირველისაგან განსხვავდება მხოლოდ ქვეთავების გამოყოფითა და დასათაურებით. ქვესათაურები მექანიკურად არის ჩართული და ზოგ შემთხვევაში წყვეტს წინადადებას შუაზე. ამის გამო ამ რიგის ხელნაწერებს ვერ შევიჩნევთ ცალკე რედაქციად.

„ამირანდარეჯანიანის“ ტექსტის ეს ცვლილება მომხდარა არა მოსე ხონელის მიერ და არა თამარის დროს, როგორც პროფ. ს. კაკაბაძე წერს, არამედ მე-17 საუკუნის ბოლოსა და მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ, იოანე ბატონიშვილისეულისა და S—1359 ხელნაწერების გადაწერის დროს. იოანე ბატონიშვილისეული ხელნაწერი არის ამ „ვარიანტის“ წარმოშობის პირველი საფეხური, როდესაც ტრადიციული ტექსტი დაყვეს ქვეთავებად და შიგ მექანიკურად ჩაურთეს ქვესათაურები, ხოლო მეორე საფეხურზე, S—1359 ხელნაწერის გადაწერისას, ტექსტი იოანე ბატონიშვილისეულ ხელნაწერთან შედარებით რამდენიმე ადგილას შეცვალეს (იხ. ზემოთ მოყვანილი ნიმუშები).

მე-19 საუკუნის სხვა ხელნაწერთა მსგავსად S—1119-ში ტექსტი უფრო დამახინჯებულია. ეს ხელნაწერი გადაწერილია 1825 წელს. „ამირანდარეჯანიანის“ მე-19 საუკუნის რამდენიმე ხელნაწერში ტრადიციული ტექსტი კარგად არის დაცული, ხოლო უმრავლესობაში კი განიკდის ცვლილებას და დამახინჯებულა. S—1119 ხელნაწერი ერთი იმათგანია, რომელთაც გადამწერნი თავისუფლად ეკიდებიან და ტექსტს შეძლებისდაგვარად ცვლიან. ამ ხელნაწერზე დამყარებული გამოცემა ერთი შეხედვით შეიძლება ახალ რედაქციად მიგვეჩნია, მაგრამ ხელნაწერთა შესწავლის შემდეგ ასეთი ვარაუდი არ არის გამართლებული.

დავასკვნით:

1. „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტი საპეცივიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებით ცნობილია ორი რედაქციით: მოკლე და ვრცელი, მოკლე რედაქცია ტრადიციული ტექსტის შემცველია, ვრცელი კი მიღებულია ტრადიციული ტექსტის დაბოლოების გავრცობით (ნ. მარი, აღ. ბარამიძე).

2. ხელნაწერთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ვრცელ რედაქციაში გავრცობილ-გადამუშავებულია არა მარტო დაბოლოება, არამედ რიგ შემთხვევაში ძირითადი ტექსტიც.

3. ვრცელი რედაქციის ჩანამატი ადგილების გრამატიკულმა, ლექსიკურმა და ფრაზეოლოგიურმა შესწავლამ ცხადყო, რომ ჩანამატი ადგილები ალორძინების ხანაში ამავე ხანის ლიტერატურული ძეგლების ძლიერი გავლენით იწერება.

4. „ამირანდარეჯანიანის“ მოკლე ანუ ტრადიციული ტექსტის შემცველ ხელნაწერებში პროფ. ს. კაკაბაძე არჩევს ორ რედაქციას: პირველ რედაქციას ათარიღებს XI საუკუნით, ხოლო მეორე რედაქცია მოსე ხონელის მიერ შესწორებულად მიაჩნია.

ტრადიციული ტექსტის შემცველი ხელნაწერების შესწავლამ ცხადყო:

ა) მეორე რედაქციად მიჩნეული ხელნაწერები პირველისაგან განსხვავდება მხოლოდ ქვეთავების გამოყოფითა და დასათაურებით. ბ) ქვესათაურები მე-

ქანიკურად არის ჩართული და რიგ შემთხვევაში წყვეტს წინადადებას შუაზე. აღნიშნულის გამო ხელნაწერების მეორე ჯგუფს ვერ მივიჩნევთ ცალკე რედაქციად.

5. ქვესათაურებიანი ტექსტის უძველესი ხელნაწერი თარიღდება 1699 წლით. ვფიქრობთ, XVII საუკუნეშივე უნდა ჩატარებულიყო ტექსტზე მანიპულაციები ქვესათაურების ჩართვის მიზნით.

Н. А. АТАНЕЛИШВИЛИ

РЕДАКЦИИ «АМИРАНДАРЕДЖАНИАНИ»

Р е з ю м е

В научной литературе текст «Амирандареджаниани» известен в двух редакциях: краткой и пространной. Краткая редакция содержит традиционный текст «Амирандареджаниани», а пространная редакция принята распространением финала традиционного текста (Н. Марр, А. Барамидзе).

Изучение рукописей показало, что в пространной редакции распространен и переработан не только финал, но и в ряде случаев основной текст.

Грамматическое, лексическое и фразеологическое изучение дополнительных мест пространной редакции выяснило, что дополнительные места пишутся в эпоху возрождения под большим влиянием литературных памятников той же эпохи.

В кратком или традиционном тексте рукописей «Амирандареджаниани» проф. С. Какабадзе рассматривает две редакции: первую редакцию датирует XI веком, а вторую редакцию считает исправленной Мосе Хонели.

Изучение рукописей традиционного текста выяснило: а) Рукописи, признанные второй редакцией, отличаются от первой редакции только выделением подзаголовков и оглавлением. б) Подзаголовки механически влиты, и в ряде случаев обрывают предложение. Поэтому вторую группу рукописей нельзя признать отдельной редакцией.

Древняя рукопись подзаголовочного текста датируется 1699 г. Предполагаем, что в XVII в. должна была быть проведена манипуляция текста, с целью добавления подзаголовков.

მ. ჭავჭავაძის

აღ. ჭავჭავაძის უცნობი ავტოგრაფები

გამოჩენილი ქართველი მწერლის აღ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის გამომცემელი იოსებ გრიშაშვილი წერდა: „სიხარულით უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილი ამ „ნამდვილი ხელნაწერებისა“ უკვე ნაბოენი გვაქვს. „ნაწილს“ იმიტომ ვწერთ, რომ ეხლა, როცა აღ. ჭავჭავაძის კალმის მონასში (ავტოგრაფი) ვიცი, შესაძლოა აღმოჩნდეს წინანდალიდან შამილის მიერ გატაცებული პოეტის ნაწერების სრული დავთარიც“¹.

ამ სტრიქონების გამოქვეყნების შემდეგ ჩვენს სიძველეთსაცავებში კიდევ რამდენიმე ავტოგრაფი აღმოჩნდა (არა შამილის მიტაცებული) და გახდა საზოგადოებისათვის ცნობილი.² ამჯერად ჩვენც ვიპოვეთ აღ. ჭავჭავაძის კიდევ ორი დღემდე უცნობი ავტოგრაფი. გვინდა რამდენადმე შევეხოთ ავტოგრაფებთან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს. ეს ხელნაწერებია ქ. კვეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S-2480-ბ და S-2483.

S-2480-ბ შედგება 12 ფურცლისაგან (ზომა 33 X 20 სმ); ხელნაწერი წარმოადგენს კვენტოს კურციოსის შრომის (ალექსანდრე მაკედონელის ისტორია) ფრაგმენტს, მე-6 წიგნის ბოლო თავებს და მე-7 წიგნის დასაწყისს.

S-2483 10 ფურცლიანი წიგნია (ზომა 23 X 17,5 სმ); კრებულში მოთავსებულია თარგმნილი მინიატურები და სხვადასხვა ცნობები ანტიკური მწერლობიდან. დაუწერელია 6 ფურცელი (1r-v, 6r-10v).

S-2480-ბ და S-2483 პალეოგრაფიული შედარება აღ. ჭავჭავაძის დღემდე ცნობილ ავტოგრაფებთან (S-2481-ბ, S-2480-გ და სხვ. შდრ. დართული ფოტოსურათები), უეჭველს ხდის, რომ დასახელებული ხელნაწერები დიდი პოეტის ავტოგრაფებია. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ადასტურებს ნათქვამს. S-2480-გ აშინაზე ერთგან იკითხება ასეთი შენიშვნა: „იქურივისი არს ჩათარი ანუ კურიერი“ (10r). შენიშვნას მთავრულად მიწერილი აქვს: „აღ“. საკუთარი სახელის დასაწყისი ასოების, ინიციალების მთავრულად მიწერის ჩვეულება ჰქონდა სწორედ აღ. ჭავჭავაძეს (შდრ. S-2480-გ, 1v, 4r და ა. შ.). ორივე ხელნაწერი ტოვებს შავის (черновик-ის) შთაბეჭდილებას. მთელი რიგი ადგილები ჩასწორებულია; ფრაზები, სიტყვები გადაშლილია და მათ სანაცვლოდ ჩაწერილია ახალი³.

¹ აღ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, გვ. XXVI.

² ლ. ქუთათელაძე, გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, № 44.

³ აღსანიშნავია, რომ აკად. ექვ. თაყაიშვილს (?) S-2480-ბ მიუწერია „თარგმანი აღ. ჭავჭავაძისა“.

აღნიშნულ ხელნაწერებს (S—2480-ბ და S—2483) დაუცავს ალ. ჭავჭავაძის თარგმანები, რომლებიც დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არ იყვნენ.

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა ძირითადად დრამატურგიისა და პოეზიის ნიმუშებით შემოიფარგლება. გარდა ამისა, მას მიეწერება იოანე ბატონიშვილთან ერთად ერთი რომანის თარგმანიც, რომლის სათაურია „ველუქსია, ასული ველისა-რონისი; მოთხრობა სატრფიალო“,⁴ დასახელებული ხელნაწერების გამოვლენის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ალ. ჭავჭავაძეს თავისი კალამი უცდია ისტორიული თხზულების თარგმანშიც.

S—2480-ბ დაუცავს კვინტოს კურციოსის შრომა—ალექსანდრე მაკედონელის ისტორია. რომ ნაჩვენები იქნეს ალ. ჭავჭავაძის როლი კვინტოს კურციოსის ქართულად გადმოღების საქმეში, საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ კვინტოს კურციოსის თხზულების ქართულად თარგმნის ისტორიაზე საერთოდ, მით უმეტეს, რომ ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში არც დასმულა.⁵

ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსთა რიცხვში, კვინტოს კურციოსის (Quintus Curtius Rufus) მეტად საბატიო ადგილი უჭირავს. მართალია, ეს უკანასკნელი ალექსანდრეს თანამედროვე არ ყოფილა (იგი მოღვაწეობს იმპერატორ კლავდიუსის დროს), მაგრამ მის მიერ გამოყენებული წყაროები და მასალა—პტოლომეოსისა და სხვა თანამედროვეთა მემუარები—კურციოსის შრომას მეტად სერიოზულსა და საიმედო წყაროდ ხდის⁶. კვინტოს კურციოსის შრომა საქმიად პოპულარული ყოფილა, რასაც ხელი შეუწყო ავტორის მხატვრულმა ენამ, დახვეწილმა სტილმა და თხრობის მანერამ⁷.

კვინტოს კურციოსის შრომა, ათი წიგნისაგან შედგება, რომელთაგან პირველი ორი მთლიანად, მეხუთის დასასრული, მეექვსის დასაწყისი და მეათის ნაწილი დაკარგულა. დაკარგული ნაწილის აღდგენა უცდია მრავალ გამოჩენილ ავტორს. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია ქრისტეფორე ბრუნონი, იოანე ფრენსგეირი, ქრისტეფორე ცელიარი და სხვ. დამატებებიდან ყველაზე მეტი გავრცელება და თითქმის მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა ფრენსგეირის შრომამ⁸, რომელიც ყოველთვის ერთვის კურციოსის ისტორიას და მის განუყოფელ ნაწილად ითვლება.

კვინტოს კურციოსის თხზულება მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის რუსულზედაც და რუსულიდან ქართულზეც. რუსულად პირველი თარგმანი შეუსრულებიათ პეტრე პირველის მითითებით. ეს თარგმანი დაიბეჭდა 1709, 1711 და 1717 წლებში. შემდეგ თხზულება ხელახლა უთარგმნია პროფ. სტეფანე კრაშენინიკოვს, რომლის თარგმანი გამოქვეყნდა მრავალჯერ (1750—

⁴ ალ. ჭავჭავაძე. გვ. 342.

⁵ ანგარიშში ჩასაგდება არ არის 1878 წლის 22 დეკემბრის გაზეთ „დროებაში“ (№ 263) გამოქვეყნებული ვინმე მესხის (გვარამაძე) წერილი „საქართველოს ისტორიიდან“.

⁶ Энциклопедический словарь. Брокгауза и Ефрона, том XIV-а, 1895, გვ. 876.

⁷ იქვე.

⁸ Квинта Курция, История о Александре великом царе македонском с дополнением Фрейнгейма и примечаниями. переведена с латинского языка вторично Степаном Крашениниковым, т. 1 С.-Петербург, 1809, стр. III.



—51 წ., 1767—1768 წწ., 1775, 1788, 1800 წლებში⁹. კურციოსის შრომა XIX ს. დასაწყისში კვლავ თარგმნა ინჟინერ-კაპიტანმა ალექსეი მარტოსმა¹⁰. კვინტოს კურციოსის შრომის თარგმანი ქართულ ენაზე XVIII საუკუნეში შეუსრულებიათ. ამ საქმის ინიციატორი და წამომწყები იყო რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI. დოც. ტრ. რუხაძის აზრით, ვახტანგ VI უშუალო მითითებით შეუსრულებია კვინტოს კურციოსის შრომის თარგმანი გაბრიელ ეგორის ძე ჩხვიდეს.¹¹ გაბრიელის თარგმანი 1733 წ. გადაუწერია თუმანიშვილს, როგორც ეს ანდერძიდან ჩანს: „წელსა ჩღლგ ხელმწიფობასა ანნა იოვანუენასა აღიწერა წიგნი ესე ალექსანდრეს მაკედონელისა ცხოვრება, ქალაქსა დიდსა მოსკოვსა, ბრძანებითა საქართველოს მპყრობელისა მეფისა ვახტანგისთა, ხელითა თუმანიშვილისა იესესშვილისა პაპუნასითა. დასრულდა ამავ წელსა დეკემბრის 24“.¹²

დოც. ტრ. რუხაძეს ეს თარგმანი შეუღარებია რუსული დედნისათვის. მისი დასკვნით, თარგმანი სიტყვა-სიტყვით მისდევს ძველის რუსულ გამოცემას.¹³

მაშასადამე, გრიგოლ ჩხვიდეს ქართულად მოუცია კვინტოს კურციოსის შრომის თარგმანის პირველი რედაქცია, რომელიც მინდამიანც ვერ გავრცელებულა.

ანტონ კათალიკოსს რუსეთში მოღვაწეობისას ხელახლა უთარგმნია კვინტოს კურციოსის შრომა და მიუძღვნია იგი ერეკლე II-თვის, როგორც ეს თარგმანზე დარაუჯლი წინასიტყვაობიდან ჩანს. ზუსტად თქმა, თუ როდის თარგმნა ანტონმა კურციოსი, ძნელია, მაგრამ ქრონოლოგიური ჩარჩოს დაახლოებით განსაზღვრა მაინც შესაძლებელია.

ცნობილი ისტორიკოსი პლ. იოსელიანი ანტონის თარგმანის დედნად მიიჩნევდა 1769 წლის რუსულ გამოცემას აქედან გამომდინარე, თარგმანი უნდა დათარიღდეს 1769 წლის შემდეგ.¹⁴

რუსუდან ორბელის აზრით, თარგმანი შესრულებულია 1762 წელს, თბილისში.¹⁵

ტრ. რუხაძეს მიაჩნია, რომ ანტონმა მაშინ თარგმნა კურციოსი, როდესაც მას ერეკლე II წინადადებით მეორედ ჩააბარეს საქართველოს ეკლესიის საქეთმპყრობელობა (1764—1788 წწ.) ავტორი აქვე დასძენს, რომ, თუ „რატომ აწერს ის ხელს ვლადიმირ-იეროპოლელის ტიტულით, ეს გაუგებარია“¹⁶.

⁹ Василий Сопиков, Опыт российской библиографий или полный словарь сочинений и переводов, часть II, 1815, стр. 22.

¹⁰ Квинта Курция, История о Александре Македонском, перевел инженер Капитан Алексей Маргос, С.-Петербург, 1819.

¹¹ ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს. თბილისი, 1960, გვ. 229, ავტორი ვარაუდობს, რომ H—254 არის ჩხვიდის ავტოგრაფი.

¹² H—462 გვ. 363; შდრ. ტრ. რუხაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 229.

¹³ ტრ. რუხაძე, იქვე, გვ. 230, სქ. 1.

¹⁴ წყობილისიტყვაობა, პლ. იოსელიანის გამოცემა. 1853.

¹⁵ Р. Орбели, Грузинские рукописи Института Востоковедения АН СССР, 1956, стр. 60.

¹⁶ ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს., 1960, გვ. 230.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არსებული მონაცემების გათვალისწინების შემდეგ არც ერთი ეს თარიღი მისაღები არ არის.

წინასიტყვაობიდან აშკარად იგრძნობა, რომ ანტონი პაქართველოს გარეთ იმყოფება ემიგრაციაში და იქიდან უცხადებს ერთგულს ერთგულებას („განაღა უცუალებელსა ერთგულებასა ზენსა ზედა ვჰგიე და სიყვარულსა“) და ულოცავს ერეკლეს „წინაპართა პაპათა ჩუშნთა აღრით განჭირლისა საყდრისა შეერთებულად მიღებას“ (S—410, გვ. 2; S—1273, გვ. 1). ამ ციტატაში იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანება, რომელიც განხორციელდა თეიმურაზ II სიკვდილის შემდეგ (1762 წ. 8 იანვარი).

წინასიტყვაობა, რომელიც ანტონის რედაქციის ერთ-ერთ პირველ ცალს S—410 უძღვის, დათარიღებულია 1762 წლის 16 თებერვლით. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ თხზულების თარგმანს ანტონს უნდა დაემთავრებია 1762 წლამდე, რადგანაც 1762 წელს გადაიწერა მისი პირველი ნუსხები (S—410). ხოლო წარმოუდგენელია ანტონს თვენახევარში გადმოეღო 10 ვეებერთელა წიგნი. ამრიგად, ანტონის თარგმანი შესრულებულია რუსეთში და არა თბილისში. ამიტომაც სწორედ, რომ ანტონი ხელს აწერს როგორც ვლადიმირელ-იეროპოლელი.

ისმის კითხვა: რომელი რუსული გამოცემიდან შეასრულა ანტონმა თავისი თარგმანი? ჩვენს განკარგულებაში არსებულ რუსულ თარგმანებთან (სტ. კრაშენინიკოვისა და ალექსი მარტოსის) შედარებით გაირკვა, რომ ანტონი მისდევს სტ. კრაშენინიკოვის თარგმანს. ნათქვამის დასადასტურებლად მოვიტანთ ერთ ნიმუშს:

„ამათ შინა, ოდეს იქმნებოდა ესე, აზიას შინა და მაკედონიას იყო უკუშ განსუწნებულობა (!), მეფობდა უკუშ ლაკედემონიას აღსიიოს ძე არხიდამონისა, შემწისა ტარენტელთასა, რომელიც მოიკლა ბრძოლასა შინა დღესა მას, ოდეს იგი დაიპყრა ფილიპე ძლევათ ათინელთა ზედა წინაშე ტავრონიასა“ (S—1273, გვ. 259—260).

ასეთი მაგალითების გარდა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ანტონის რუსეთში ჩასვლის რამდენიმე წლით ადრე გამოიცა სწორედ სტ. კრაშენინიკოვის თარგმანი. ანტონს უთარგმნია ათივე წიგნი. მისი თარგმანი მეტად პოპულარული გამხდარა და სწრაფადაც გავრცელებულია, როგორც ამას ხელნაწერების სიმრავლე ადასტურებს. ესაა კვინტოს კურციოსის შრომის თარგმანის მეორე რედაქცია ქართულ ენაზე.¹⁵

Между тем, когда оно в Азии происходило и в Греции и Македонии неспокойства были, царствовал в Лакедемонии Агис сын Архидамов, который помагая Тарентинянам убит на бою, в тот же день, как Филипп над Афинянами одержал победу при Хероне¹⁷.

¹⁷ ტ. II, გვ. I, ვაგვე ადგილი მარტოსის თარგმანში ასე ვერხს: „В то время как дела столь великия происходили в Азии, самая Греция и Македония не были спокойны. Агис царствовал тогда в Лакедемоне: он был сын того Архидаме, который убит идучи на помощь Тарентинцам в самой тот день, когда при Херонее Филипп одержал над Афинянами победу“.

¹⁸ ანტონის თარგმანის შედარებამ ჩხეიძის თარგმანთან ნათელი გახადა, რომ ანტონის შრომა უფრო კვალიფიციურია და მეტად ატყვია გამოცდილი მწიგნობროს ხელი. შედარებამ ისიც ცხადყო, რომ ანტონს საერთოდ არ გამოუყენებია ჩხეიძის შრომა.

მიუხედავად იმისა, რომ ანჰონის რედაქციას დიდი პოპულარობა მოუპოვებია, 1823 წელს რუსულიდან კვლავ უთარგმნიათ კვინტოს კურციოსის შრომის ფრინსგეიმის დამატებანი, პირველი ორი წიგნი. ეს უკანასკნელი დაუცავს S—2390-ს. ვინ არის მთარგმნელი, არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ერთი კი ცხადია, რომ ახალი თარგმანი საგრძობლად განსხვავდება ანტონის შრომისაგან და რამდენადმე მასთან შედარებით გამართულია. საილუსტრაციოდ დავეიმოწმებთ ერთ მაგალითს პირველი წიგნის 1 თავიდან:

„ცხოვრება და საქმენი ალექსანდრესნი, რომელმანცა დაუმორჩილა საბერძნეთსა სამეფო სპარსეთისა, აღუწერეთ მრავალთა ბერძენთა და რიცხვსა შინა მათსა უმრავლესნი ყოფილან თვლით მხილველნი რომელთამე ნამდვილათ თუ უმსახურნიათ და ჰქონიათ მათ შინა მონაწილეობა. ხოლო ზოგნი მიუწოდებდეს მას უზომოთა მეცადინეობითა საუკუნოსათვის დიდებისა სახელი თვისისა განგება ამისთვის, რათა აღწერდნენ იგინი ისტორიისა საქმეთა მისთა არა სარწმუნოებრთა მიერ საოცრებათა, ხოლო უმეტეს სარწმუნოდ შესაძლო არს შერაცხვაჲ პტოლომეოსისა, რომელიცა შემდგომად იყო მეფე ეგიპტისა და არისტოულოსისა, ვინაჲთგან გამსცნენ მათ აღწერანი თვისნი შემდგომად აღსრულებისა ალექსანდრესა... (S—2390, 1r).

„ცხოვრებასა და საქმესა ალექსანდრესსა სპარსეთისა სამეფოასა საბერძნეთისად დამამორჩილებელისასა, მრავალნი ბერძენნი აღწერდნენ, რომელნიცა მასვე რიცხუსა შინა უფროსი ნაწილი იყუნენ თუ მხილველნი და რომელთამე ჭეშმარიტად ჰმსახურნეს მქონებელთა მსახურებასა მას შინა ნაწილისათა და რომელთამე ტრფილებითა უზომოასა საუკუნოდ სახელისა თვისისათა განგებით მოუწოდა მან, რათა აღწერონ ისტორიაჲ საქმეთა მისთა და რომელთამე მრავალთა ნათესაობისაებრ თვისისა სურვილითა ზღაპართათა მართლიადნი იგი საქმენი დიდებულებისა მისისანი დაუჯერებელთა მიერ საკურსულებათა განუმრავლებდესყე. მაგრა უსარწმუნოესად შესაძლებელ არს შერიცხუად პტოლემეოსსა, რომელი შემდგომად მისა იქმნა მეფედ ეგვიპტისა და არისტოულოსსა, მით რომელ მათ გარდმოსცნენ თვისნი აღწერილნი შემდგომად აღსასრულისა ალექსანდრესსა“ (S—1273).

მოვიტანთ კიდევ ერთ დეტალს. მთარგმნელს ერთი სიტყვისათვის იქვე ფრჩხილებში მიუწერია რუსული შესატყვისი, რუსული ტრანსკრიპციით¹⁹ „უმცირესთა ათათასისა ბერძენთა თვნიერ წინამძღუართა გამოვლეს ესოდენნი ქუსჲანანი მტერთა უნუსლოთ (запас) საშუალ სპარსეთისა“.²⁰

ქართულ ტექსტში რუსული სიტყვის მითითება, რაღა თქმა უნდა, სიმბტომატურია და იგი აშკარად მიუთითებს, რომ ქართული ტექსტი უშუალოდ

¹⁹ ამ შემთხვევაში ჩვენ სხვა რუსიციზმები არა გვაქვს მხედველობაში, როგორცა კრაოტი, სტოლი და ა. შ.

²⁰ S—2390, 46r, რუსულ დედანში იკითხება: „Меньше десяти тысяч греков без полководцов, без запаса чрез...“ სტ. კრავენინიკოვის თარგმანი, ტ. I, გვ. 101.

საბას განმარტებით, ნუსხი „ესე არს მოყუარემან რა მოგზაურს სახრდო მიუძღვანოს“ იხილეთ ქართული ლექსიკონი ი. ყიფშიძისა და აკ. შანიძის რედაქციით, 1928, გვ. 260.

დამოკიდებულია რუსულ ტექსტზე. აქედან დასკვნა ერთია, რომ № 2390 წარმოადგენს ახალ თარგმანს (და არა ანტონის თარგმანის გადამუშავებას). მაშასადამე, კვინტოს კურციოსის შრომის ერთი ნაწილი—ფრეინსგეიმის დამატება პირველი დამეორე წიგნები—ქართულად მესამე რედაქციითაც არსებობდა.

ამ რედაქციის რუსულ „დენდიათან“ შედარებამ ნათელი გახადა, რომ იგიც დამოკიდებულია და მიყვება სტ. კრაშენინიკოვის თარგმანს.

ქართულ ენაზე მეოთხე რედაქცია კვინტოს კურციოსის შრომისა ეკუთვნის ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ეს ფაქტი გამოჩენილი ქართველი პოეტის შემოქმედებიდან სავსებით უცნობია სამეცნიერო ლიტერატურაში.

ისმის კითხვა, რატომ აირჩია ალ. ჭავჭავაძემ კვინტოს კურციოსის შრომა სათარგმნელად, მაშინ როდესაც მან იცოდა ანტონის თარგმანის არსებობა? ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა შეუძლებელია, საფიქრებელია რომ პოეტი მოხიბლა კურციოსის შრომის მხატვრობამ და სათავგადასავლო ხასიათმა.

ალ. ჭავჭავაძის თარგმანი მთლიანად არაა მოღწეული ჩვენამდე, ან ჯერ-ჯერობით გამოვლენილი არ არის. მოღწეული ფრაგმენტით საერთოდ ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენი წიგნი თარგმნა ალ. ჭავჭავაძემ, მაგრამ შემორჩენილი ფრაგმენტი (მე-7 წიგნის ბოლო და მე-7 დასაწყისი) გვაფარულებინებს, რომ ალ. ჭავჭავაძეს მთლიანად უთარგმნია კვინტოს კურციოსის თხზულების პირველი შვიდი წიგნი.²¹

ალ. ჭავჭავაძის სახელით მოღწეული ტექსტი ჩვენ შევუდარეთ, ერთი მხრივ, ანტონ პირველის თარგმანს (III რედაქციისთან შედარების შესაძლებლობა არ არის) და მეორეს მხრივ ჩვენ ხელთ არსებულ რუსულ თარგმანებს (სტ. კრაშენინიკოვისა და ალ. მარტოსის). გაირკვა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ძირითადად ხელახლა უთარგმნია კურციოსის შრომა. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ძირითადად, რადგანაც „გოგჩის“ ავტორს თარგმნის პროცესში რამდენადმე გამოუყენებია ანტონის თარგმანიც. ანტონის გავლენა იგრძნობა როგორც ძირითად ტექსტში, ისე განსაკუთრებით კომენტარებში. ალ. ჭავჭავაძეს ანტონის კომენტარები თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოუწერია.

ამ ფაქტს აქვს თავისი ახსნა. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ალექსანდრე ჭავჭავაძეს უთარგმნია კურციოსის ისეთი გამოცემიდან, რომელსაც კომენტარები არ ახლავს, ხოლო ანტონის თარგმანი კი კომენტარებიან გამოცემასზე დამყარებული. ამრიგად, ალექსანდრე ჭავჭავაძეს მოუცია მეოთხე რედაქცია კვინტოს კურციოსის შრომისა ქართულ ენაზე.²² ჩვენი დასკვნების საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს, რომლითაც ვაჩვენებთ: 1. ალ. ჭავჭავაძე კი არ ამუშავებს ანტონის თარგმანს, არამედ ხელახლა თარგმნის კურციოსს, 2. ალ. ჭავჭავაძე თარგმანში რამდენადმე იყენებს ანტონის თარგმანს.

²¹ მიკვლეულ ხელნაწერს აქვს ძველი პაგინაცია 49-72 გვერდები. აქედან, ცხადია, წინა გვერდებიც არსებულა, ე. ი. არსებულა მთელი შვიდი წიგნი.

²² კვინტოს კურციოსის შრომა ქართულ ენაზე კვლავ უთარგმნია დაეით ესტატეს ძე ფანასკრტელ-ციციშვილს. თარგმანი შესრულებულია სტ. კრაშენინიკოვის გამოცემიდან. დავით ციციშვილის შრომა შენახულია S ფონდის №№ 1465 ა, 1465 ბ და, 466 ხელნაწერებში.

„იყო ვინმე რიცხუსა შინა გუნდის მიღუანთასა სახელითა ბელონ, კაცი მწნე, განაღა მძვნეარე და საყოფაქცეოთა საქმეთა შინა გამოუტყდელ, რომელიც ვაშტობითგან მიუმაღლესისადმი ხარისხისა აღსრულ იყო. ესე უკუშ ჟამსა ყოველთა მღუმარებისასა წინა წარმოდგა და იწყო თქმად ბუნებითისა უწყალოცხის თვისსამებრ: «რა-რედენჯის გამოლოქის დიდათ მსგავსსა ავაზაკსა ამას ძილოტოსს აზნანაგნი თუსნი სახლთაგან, რათა დადგენენ მსახურნი მისნი? ყოველთა უკუშ სოფელთა დაიპყრობდიან ვეცხლითა და ოქროათა აღვსილნი ურემნი მისნი და არა ვისიმე ჩუშნგანისა. ბრძანებულ იყო მიშუშბად ადგილისა მის სიხალთა, სადა-იგი დაევენა ძილოტოს. და მკიმაღაგნი (!) მისნი განსდგენიდიან მჭედართა, რომელ არა თუ ხმოვანებითა მათითა, არამედ, რათა არცაღა მდაბლად უბნობითა განეკრთოს მას ძილი“ (S—2480-ბ, 1 r-v).

მეორე მაგალითი:

„შემდგომად გამოტანისა მკუდრისა მის სხეულისა წინა წარმოაყენნა მეფემან ამინტოს და სიმმიოს მით, რომელ პოლემონ მრწემი იგი ძმა მათი ივლტოდა მსმენელი ტანჯვით გამოკითხვსა ძილოტოსისა ამაღ, რომელ სამნივენი იგი ძმანი და უნწუშრვალეს მეგობარ იყუნეს ძილოტოსისა, რომლისა ძლით ჩინებულთა განწყესებულე-ბათა აღყუანებულ იყუნეს დაირვეულად უკუშ ახსოვდა მეფესა, რომელ იგინი მეოხებითა ძილოტოსისათა მოწყალე-ბისა მისისადმი მიწვენილ იქმნეს და გულისსიტყუშვდა, რომელ ნუთუ ძილოტოსმან უკანასკნელნი განზრახუანი თუსნი არწმუნა მათ და სთქუა: მე დიდითა ხნით საეკუშლ აღმიჩნდიან იგინი მოწერილისა ძლით ოლიმპია დედისა ჩემისა, რომლითაცა მაზრახებდა მე დაცუად მათგან სიმრთელისა ჩემისა. თუმცაღა მრავალ-ჯერ არ ვირწმუნებდიცა, მაგრა მიბრძანებიეს აწ შეპყრობად იგინი, ამაღ რომელ წინა ერთისა დღისა შეკრბნ-

„იყო ვინმე რიცხუსა შინა გუნდის მიღუანთასა სახელით ბელონ, კაცი მწნე, განაღა საქმეთა შინათა პოლიტიკისათა გამოუტყდელ, ცუშლი უკუშ მჭედარი, რომელიცა მცირისაგან პატივისა აღსრულ იყო პატივისა მას მსახურებისა მიერ მისისა. ამან უკუშ ჟამსა ყოველთა მღუმარობისასა იწყო თქმად: მრავალჯერ გამოგუაძიან ჩუშნ სახლთაგან, რათა დადგენენ მსახურნი ძილოტოსისნი, ყოველთა შინა სოფელთა დადგინან ურემნი მისნი საესენი ვეცხლითა და ოქროათა და არა ვის. და ბრძანებულ იყო მიშუშბად ადგილსა მას, სადა-იგი დაევენა მას, ამაღ რომელ მისრულთა განსდგენიდიან, რომელ უბნობითა მათითა არა განიღვიმოს დიაცმან მან“ (S—1273, გვ. 291—292).

„შემდგომად გამოტანისა მკუდრისა მის სხეულისა მისისა ამინტოსისა, ბრძანა მოყუნაჲ მეფემან მით, რომელ პოლემონ მრწემი იგი ძმა მათი, ივლტოდა მსმენელი ტანჯვით გამოკითხვსა ძილოტოსისი, ამაღ რომელ მეგობარ იყუნეს იგინი ძილოტოსისა, რომლისა ძლით ჩინებულთა განწყესებულე-ბათა აღყუანებულ იყუნეს და მეფეცა უწყებულ იყო, რომელ ძილოტოსცა შთინებელ მეგობრობისა იყო მათისა, რომლისათუსცა ჰსთქუა: ვეკუ მე, რომელ, რათა უკანასკნელი ესე საქმეა იცოდეს მათ. მე დიდით ხნით ბრალეულ აღმიჩნდიან იგინი მოწერილისა ძლით დედისა ჩემისა, რომლითაცა მაზრახებდა მე დაცუად მათგან სიმრთელისა ჩემისა. თუმცაღა მრავალ-ჯერ არ ვირწმუნებდიცა, მაგრა მიბრძანებიეს აწ შეპყრობად იგინი, ამაღ რომელ წინა ერთისა დღისა შეკრბნ-

წმუნებდიცა, მაგრა აწ უკუშ ნიშანნი ბოროტ განზრახულებისა მათისანი ნათლად გამოჩნდეს და უბრძანე შეპყრობა მათი, ამაღ რომელ დარწმუნებით ვუწყით ყოველთა, რომელ ქილოტოს შეპყრობისა თუსასა წინასა დღესა სიადუმლოდ ეზრახა რავდენსამე ჟამადმდე ამანტოს და ძმათა მისთა. ზრახვსა საგანსა საკმაოდ უკუშ გუჟუნებს ჩუშნ მლტოლვარება უმრწემისისა ძმისა“ (S—2480-ბ 4v).

ახლა დავსვათ კითხვა, რომელი რუსული გამოცემიდან თარგმნა აღქავევაძემ კურციოსის შრომა? აღ. ქავევაძის თარგმანი ჩვენ შეეუღარეთ სტ. კრაშენინიკოვისა და ალექსი მარტოსის თარგმანებს, გაირკვა, რომ ალექსანდრე ქავევაძის თარგმანი უპირატესად მიჰყვება ალექსი მარტოსის თარგმანს. ჩვენი ნათქვამის დასადასტურებლად მოვიტანთ საილუსტრაციო მასალას.

„როს პარმენიონ იხილა რა შორით პოლიდამანტოსისა თუსდა მობართ მომავლობა, მაშინ სრბოდა წინაწარგებებად მისსა და ამბორის ყოფად. და ერთმანერთისა მოკითხვსა შემდგომად, მისცა პარმენიონს პოლიდამანტოსისანი უსტარი მეფისა. განშლიდა რა პარ ენიონ უსტარს — ჰკითხვდა წარმოცნეღნილსა(!) მას რამესა იქსო ალექსანდრე? უპასუხა მას პოლიდამანტოს ან წერილისა მიერ ჰსცნა ესე. შემდგომად წაკითხვსა ჰსტუა პარმენიონ: ნეტე ემზადებისო განმკედრებად არახიზიადმი და კუალადცა იტყოდა: ევა, რაბამ დიდ არს გუამი იგი; მას არა ძალ უჩნს არცალა ერთისა წამისა უქმად განტარება; განალა უხამს აწლა ესეოდენტა დიდებათა მოგებისა შემდგომად, რათა უფრთხოდესმა სიმრთელესსა თუსსა. მერმელა განხსნა მან მთავარმან უსტარი იგი სხელთა ქილოტოსისათა, მოწერილი ეანს მას. და ოდეს წარიკითხვდა წეს სიხარულითა, რომელსაცა ცხადჰყოფდა შესახედავი მისი, მაშინ უკუშ კლენდროს ვრმოთა გუშრდსა განჰგნობა იგი და მერმელა ჰსცა ქედსა ზედა, და სხუათა დაასრულეს სიკუდილი მისი. დამკუშლნი, რომელნიცა ჰსდგეს დასასრულსა ზედა მის ხევნა-

იგინი ქილოტოსის თანა და ძმაცა მათი ივლტის ამისთს.“ (S—1273, გვ. 297).

«Парменион лишь еще издали приметил своего друга, который шел к нему, бросился его встретить и обнять. После взаимных приветствий, Полидамант вручил Пармениону царское письмо. Разпечатывая его, он спрашивал приезжего что делает Александр? письмо тебе все объяснит, отвечал он. Прочитавши письмо „Царь готовится идти на Арахозян, сказал Парменион, какой великий человек, продолжал военачальник, он не может решиться потерять ни одной минуты. Но приобретши столько славы, кажется пора и дать себе отдохновение“. Потом генерал распечатал другое письмо от имени Филота, которое принялся читать с удовольствием сколько можно было судить из его лица-как в ту минуту Клеандр вонзает меч в бок Пармениона, и другим ударом мгновенно пересекает горло; прочие довершают убийство. Телохранители оставлены на конце алей, видели как умертвили их верховного вождя, не зная причины они бросились бежать в лагерь. Сие удивительное известие поразило всех и каждого воина, солдаты наскоро вооружаются и

რისასა, იხილეს მკულელობა იგი, რომ-
ლისაცა მიზეზი არა უწყოდენ და წა-
რიელტოდენ ბანაკად. განსაცუფრომან
ამბავმან ამან აღძრნა უკუშ მვედარნი
და აღირიენენ და შეიჭურნენ იგინი
და რბიოდენ ადგილსა მის კერძო, სა-
და-იგი აღესრულა მკულელობა. ჰხუდათ
უკუშ მვედართა მათ კარნი მის სამეცი-
სანი დახშულ. და ექაღიდენ დარღუშ-
ვად ზღუდეთა მისთა და დათხვედ
სისხლთა ყოველთა მუნ მყოფთა მსხუშ-
რპლად გუნდის, მძღუანის მათისა, თუ
სადამე არა მოგუცეთო პოლიდამან-
ტოს და თანაზიარნი მისნი. მაშინ
ბრძანა უკუშ კლეანდროს შემოსლუად
მთავართა მათთა და წარუქითხა მათ
იერლაცი მეფისა მოწერილი საზოგა-
დოდ მვედართა მომართ, რომელიცა
შეიცვდა ამბავსა პარმენიონისაგან მე-
ფისა თვისსა ლალატისასა და თხოვ-
ნასა მვედართადმი, რათა მათ მთავონ-
ცა მის მისწილ მის აგებელი. ცნობა-
მან მეფისა მნიგებულობისამან, დალა-
თუ აღძრულემა იგი დაამშვდნა, მაგრა
გულისწყრომაჲ საზოგადობისა არა
განაქრო. უფროსი უკუშ კერძო მყის-
ვე წარვიდა თვსთვსად და დაშთენენ მუნ
რაოდენნიმე, რომელთაცა ითხოეს ნე-
ბაჲ დაფლუად გუნდისა მძღუანი
თვისი. კლეანდროს მყოვარ ჟამ არა
მთნებელ იყო ყოფად ამისა, ამად რომ-
მელ შიშნეულ იყო იგი, ნუსადა ამის
ძლით განრისხნეს ალექსანდრე. მაგრა
უკანასკნელ ვერღა გაბედა წინააღმდ-
გომობა მათი, რათა არა უფრო ალატყ-
დეს მით გულისწყრომაჲ საზოგადო-
ობისა და ამისთვს უვის(!) ჰბრძანა, მო-
კუშთად თავი მისი ალექსანდრეს მი-
მართ წარსაგზავნელად, და მისცა ნე-
ბაჲ მვედართა დამარხუად დანაშთო-
მისა²⁴.

шумными толпами летят в парк, где
свершено убийство; они находят,
что парк заперт; они угрожают вы-
ломить ограду и мстить своего пред-
водителя, тем что перебьют всех
до последнего человека кого там ни
сыщут буде тотчас не выдадут им
Полидаманта с сообщниками. Кле-
андр приказал впустить к себе глав-
нейших из чиновников и прочел им
царскую грамоту ко всему войску, в
коих содержался заговор Пармени-
она противу своего Государя. Алек-
сандр требовал и просил армию
отмстить за себя. Когда узнали
царскую волю, то утишилось страш-
ное возникшее волнование, однако-
же не общее негодование. Большая
часть тотчас ушли в лагерь, другие
требовали дабы им позволили похо-
ронить своего старого генерала.
Долго Клеандр отказывал, боясь не
поиравится государю, но между тем
воины настаивали все с большею
устойчивостию, тогда страшившись
и не без причины, дабы снова не
вспыхнул новый мятеж—Клеандр от-
рубивши голову, которую послал
к царю, отдал им труп для погре-
бения».²³

²³ Квинта Курция, История о Александре Македонском, перевел инж-
капитан Алексей Мартос, II, гл. 80—81.



როდის უნდა ეთარგმნა ალ. ჭავჭავაძეს აღნიშნული თხზულება? ხელნაწერს თარიღი არ უზის. ქალაქს ჭვირნიშნად აქვს FAO, ღერბი წარწერით Pro Patria და ღერბის ქვეშ AO. ეს ნიშნები მიუთითებენ, რომ ქალაქი გამოსულია ალექსანდრე ვასილისძე ოლხინის ფაბრიკიდან. ასეთი ჭვირნიშნით ეს ფაბრიკა ქალაქს უშვებდა 1799—1800 წწ. და 1808 წელს.²⁵ ალექსი მარტოსის თარგმანი, რომლიდანაც შეუსრულებია ალ. ჭავჭავაძეს თავისი შრომა, პეტერბურგში გამოქვეყნდა 1819 წელს. მაშასადამე, ალ. ჭავჭავაძის თარგმანი შესრულებულია XIX საუკ. 20-იან წლებში.

ახლა იგეგვით მეორე ხელნაწერს. S—2483 მეტად საინტერესო ხელნაწერია. მისი მნიშვნელობა ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში უთუოდ დიდია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ მხოლოდ ამ ხელნაწერის წყალობით გახდა ცნობილი ალ. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი მინიატურები, მეორეც, დაიძებნა ლექსის „ანაკრონულის“ ავტოგრაფი.²⁶

გამოვლენილი კრებული (S—2483) თარგმანების კრებულია. თარგმანები შესრულებულია ფრანგული ენიდან, როგორც ამას ტექსტში ჩართული ფრანგული სიტყვა გვაფარაულებინებს.

როგორია თარგმანების ხარისხი და ხასიათი? თარგმანები დახვეწილი, დამუშავებული ლიტერატურული ნაწარმოების შთაბეჭდილებას არ ტოვებენ.

თარგმნილი მინიატურები ანტიკური ხანის მოღვაწეებს შეეხება, მაგრამ კონკრეტული წყარო, საიდანაც მომდინარეობენ მინიატურები, ჩვენ მიერ ვერ იქნა მიკვლეული. რაც შეეხება ლექსს „ანაკრონული“, მის შესახებ უნდა გავიმეოროთ პროფ. დ. გაგუზარაშვილის სიტყვები: „რაც შეეხება ლექსს „ანაკრონული“, ის თარგმნილია ბერძნული ანაკრონული ლექსის ერთ-ერთი ფრანგული თარგმანიდან, რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში დაცობილია დედანს, რამაც გამოიწვია ქართული თარგმანის მცირეოდენი დაშორება ბერძნული ანაკრონული ლექსიდან. მაგრამ ეს დაშორება ატყვია არა ლექსის შინაარსობრივ მხარეს, არამედ ლექსიკურ შესატყვისობას.“²⁷

როდის უნდა ეთარგმნა ალ. ჭავჭავაძეს მინიატურები და „ანაკრონული“ ხელნაწერს პირდაპირი მითითება არ დაუცავს. ქალაქს ჭვირნიშნად აქვს გვერდის კიდებზე არშია, შუაში გერბი, ქვეშ მიწერილია ასოები AO. ს. კლეპიკოვის წიგნის მიხედვით, ასეთი ქალაქი გამოდიოდა ალექსანდრე ოლხინის ფაბრიკიდან 1803 წელს.²⁸ ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ თარგმანები შესრულებულია XIX საუკუნის პირველ ათეულში.

მოგვაქვს რამდენიმე ნიმუში ალ- ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი მინიატურებიდან:

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი დ, მ წ ე რ ა ლ ი კ ო მ ე დ ი ა თ ა, ა თ ი ნ ა ს შ ი ნ ა

დღესა ერთსა ტარძარსა შინა დიანასსა, რომელ არს სპარტას, ჟამსა დღესასწაულებისასა, სამნი მდღერნი შესცვივდენ მუნ ლამპრებითა და მოსდევს ცეცხლი მრავალთა ადგილთა შინაგან მის ტარძრისა, რომელი ერთა მიერ აღვსილ იყო. ეჭორთა მდღერნი ესე შეიპყრენეს და ოდესცა კითხვა უყვეს მათ მიზეზისათჳს ბოროტი განმზრახველობისა მის, მაშინ უფროსი მათ-

²⁵ С. А. Клепиков, Филигрны и штемпели, 1959, гл. 73.

²⁶ ამ ხელნაწერს იცნობს დოკ. ტრ. რუხაძე, მაგრამ იგი არაფერს ამბობს ამ ხელნაწერის ალ. ჭავჭავაძისუფლ ავტოგრაფობაზე (იხ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს, გვ. 234, სქ. 8).

²⁷ ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, 1956, გვ. 108—109.

²⁸ С. А. Клепиков, Филигрны и штемпели, Москва, 1959, стр. 73, 241

განი, სახელით დემოკრია, რომელი იყო დედა ორთა მათ ჭაბუკთა. ქალთა წარდგა თვნიერ შიშისა და მიუფო მათ კადნიერებით: მე ესე ვჰყავ საზღვე-ველად ძურისა მის, რომელი უსამართლოებამან თქუნემან უქმნა ქმარსა ჩემსა ალციპეს. იგი განაგდეთ თქუნენ მამულითგან თვისით და არა ნება გვეციოთ ჩუენ თანა წარყოლად. მე ამად ოდენ ვმწუხარებ, რომელ ვერა მოგსრენით თქუნენ ყოველნი, თვარა სიცოცხლისათჳს ჩემისა არა ვზრუნავ. მთქმელმან ამისმან აღმოიღო მახვილი და ასულთა მისთა ეგრეთვე და სამთავე ერბამად განიგმირნეს გულნი.

ქოხსა შინა თეოდორ ასსა

დემონაქსი სპარტანელი მოუთხრობს ანტენორს: ოდესცა სჯულისმდებელმან ჩვენმან ლიკურად განიზრახა გათანასწოლება ყოველთა ქონებათა. მაშინ მდიდარნი წინააღმდეგ მას ძლიერად. ალკანდრე, კაცი მრავლისა მქონებელი და ამპარტავნებითა აღსავსე, იყო ერთი პირველი მემამოხეთაგანი პირისპირ მისსა. მან²⁹ აღძრა უნამეტნავეს³⁰ კერძი ერთა სდევნიდა ლიკურეს კუშრთხითა და მეუშველმან მისმან დააბრმო იგი თუალითა ერთითა. ესრეთ დიდისა გუამისა უბედურებამან განაღძნა გულნი ხელთა მისთანი და ერმანცა ჰგრძნო დანაშაული ალკანდრესი, ზედ³¹ დაესხნენ მას და ჰლამოდენ განგლეჯად. უკეთუ ჯერეთ სისხლმეფურობელს ლიკურლს თვთ არა განერიდა იგი მტერი³² თჳსი აღშფოთებულთა ერთა ქელისაგან. ამავე ალკანდრე ვერლა დი-თმინა ცხოვრებად, ქალაქსა მას შინა, სადიდგან დიდშუშნიერება განგდებულ იქმნა, სადაცა უკანასკნელი მოქალაქე თანასწორ მისსა ვიდოდა და სადაცა ტვირთი მძიმე მადლიერებისა სულსა მისსა ჰლაღევდა. გარემოვიდა იგი სახლსა ამას შინა, უკანასკნელსა შესავდომელსა სიმდიდრისა და დიდშუშნიერებისასა, მეუღლითა თჳსითა და სამწლოვანითა ყრმითურთ. მშუშნიერი და გრძნობილი³³ მეუღლე მისი მეცადინეობდა გონიერითა რჩევითა³⁴, სალმობელითა ვედრებითა³⁵ და³⁶ მეგობრულის სიამოვნებითა მწუხარებათა მისთა განდევნასა და მხოლოობისა მისისა განმხიარულებასა.

გარნა უბედური იგი გულსა თჳსსა არა რითმე ანუგეშებდის და მიუღვა-რებას მამულისა მიმართ თჳსისა უფროს და უფროს ზრდიდის.—ღამესა ერთსა ფიქრისაგან აღშფოთებული აღდგების, მხოლოსა ძესა თჳსსა აღიყვანს მძინარესა, მონათაგანსა ერთსა სცემს წყრილს მცირესა და უბრძანებს მას მიცემად მეუღლისა თჳსისად, ოდეს აღდგესო.—მიხედე ქარაფსა ამას კლდისასა (განაგრძობდა დემონაქსი), აქითგან გარდაიგდო თავი ალკანდრე ძისა თჳსისა გელთა შორის მჭერალმან და ეკვეთა ყრმასა მას და შემუსრა იგი.

განთიადისა ჟამსა იხილა მეუღლემან მისმან მუნ უმყოფობა მისი. აღსდგა მეყუსეულად. მონამან სცა მას წერილი იგი. მან შიშითა მთრთოლარემან განხსნა და წარიკითხა ასე: «მე არღა უკვე ვარსებ; სიცოცხლე ტვირთ ჩემდა იყო და განვაგდე იგი. შეიმუსროსმცა უმადლო მამული ჩემი, ესრეთ ვი-

²⁹ პირველად წერებულა „რომელმან“.

³⁰ პირველად წერებულა „კერძო“.

³¹ პირველად წერებულა „რომელსა ზედა“.

³² პირველად წერებულა „მდეგ“.

³³ პირველად წერებულა „ლმობიერ“.

³⁴ პირველად წერებულა „სავარ“.

³⁵ პირველად წერებულა „თხო“.

³⁶ პირველად წერებულა „მეგობრულითა სასიამოვნოს მეგობრობით“.

თარცა მე! საძულველსა მას ქუეყანასა შინა არა დაუტევებ მე ძესა ჩემსა, რომელი პატივისა და დიდებისათჳს შობილიყო და აწ უკანასკნელსა სპარტანელის თანა თანასწორ ჰყვეს. მშვიდობით, ნუგეშ ეც თავსა შენსა, აქამომოდის ოდენ ვიყავ მე შესაბრალებელ“.

М. Н. КАВТАРИЯ

НЕИЗВЕСТНЫЕ АВТОГРАФЫ АЛ. ЧАВЧАВАДЗЕ

Резюме

В труде выявлены автографы Ал. Чавчавадзе S—2480-ბ и S—2483, которые содержат неизвестные до сего времени переводы названного автора.

S—2480-ბ представляет труд Квинта Курция—Историю Александра Македонского.

После специального изучения этапов грузинского перевода труда Курция выяснено, что известны четыре грузинских редакций перевода истории Ал. Македонского. Из них первая редакция исполнена Гаврилом Чхеидзе, по указанию Вахтанга VI (Тр. Рухадзе).

II редакция перевода принадлежит Антонию I (перевод сделан до 1762 года).

Автор третьей грузинской редакции неизвестен (перевод сделан в 1823 году. До нас дошли только две книги этого труда S—2390).

Этот перевод, как и перевод Антония I, сделан с русского перевода Ст. Крашенинкова.

IV грузинская редакция перевода истории А. Македонского принадлежит Александру Чавчавадзе. Этот перевод, выполненный в 20-ых годах XIX века, сделан с русского перевода Ал. Мартоса.

S—2483 содержит переводы миниатюр Ал. Чавчавадзе. Некоторые из них прилагаем к нашему труду.

Ձեռքով սուղեն, ձեռքովեն Թևակ թեպիճի
 Սոյա թոյալ Սոյաթե, զաւարդե, զնս Գեղեթե
 եղ (Թե) զոս - - -

յև զսահմ, կըրն թշկած, եղ թոյն Եփրո թե
 Ժյշտոս սոյն Գեղե, սեյ թշկե, յշտոյ զն թե
 յիթն, զկայս, Թար թշկե, Կնարն թե
 Կթիճե / զոյն Կնարն, և զլու սեճե
 Թեճե Նսե իս, յեթե թյս զյոյ թշկե
 եղ (Թե) զոս, և թե, զյեթս սե



սյճեճե . . .

սկզն / Թեպիճե թե զսահմ, թե զլու
 զի թե թե - թե թե թե թե
 Թեճե թե թե թե, թե զլու
 թե թե թե թե թե թե թե թե

Թեճե թե թե թե թե թե թե
 թե թե թե թե թե թե թե
 թե թե թե թե թե թե թե
 Թե թե թե թե թե թե թե

Թեճե թե թե թե
 Թե թե թե թե թե թե
 Թե թե թե թե թե թե
 Թե թե թե թե թե թե



Ընդ յարմարս ճշմարտութեան, ստորև թղթի կից կր.

յ լուսնի ճշմարտութեան ճշմարտութեան:

- Տոբիթի Երես յարմար.
- Սոս Թոբիթի Երես յարմար.
- ՅԷՆ Երես, ՅԷՆ Երես յարմար.
- Երես և Երես յարմար.

Երեսն է ճշմարտութեան ճշմարտութեան.

" Երես Երես Երեսն: ճշմարտութեան ճշմարտութեան.

" Երես ճշմարտութեան.

" Երես ճշմարտութեան.

" ՅԷՆ ճշմարտութեան ճշմարտութեան.

" ճշմարտութեան ճշմարտութեան.

" ճշմարտութեան ճշմարտութեան.

" Երես Երեսն ճշմարտութեան ճշմարտութեան.

~~Երես ճշմարտութեան ճշմարտութեան~~
ճշմարտութեան ճշմարտութեան.

Երես ճշմարտութեան.

" Երես ճշմարտութեան ճշմարտութեան:

" Երես ճշմարտութեան.

" Երես ճշմարտութեան ճշմարտութեան.

" Երես ճշմարտութեան ճշմարտութեան.



ც. ზანკიძე

მხნატე იოსელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის
შესწავლისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ხელნაწერი S—3034, რომელიც დ. კარიჭაშვილის კატალოგში მოხსენიებულია სათაურით: „მონასტრები და ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში“. ¹ ტექსტი გამოქვეყნებულია ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ: „მასალები ტფილისისა და „სომხეთის“ სიძველეთა ისტორიისათვის“. ²

ხელნაწერი შეიცავს 18 ფურცელს. დაწერილია ქალღმერთი ყავისფერი მელნით, მხედრულით. ქალღმერთის ჰვირნიშანია 1836 წ. ხელნაწერი ორი რვეულისაგან შედგება. პირველი რვეული უკავია თბილისის ქართული ეკლესიების აღწერას. რვეული ექვს ფურცლიანია, დაუწერელია 5v—6v. მეორე რვეული შეიცავს თბილისის სომხური და ბერძნული ეკლესიების აღწერას, აქედან 1r—3r და 4r-ს პირველი ნახევარი უკავია „ჰაოსთა ეკლესიათა“ აღწერას. 3v და 4r-ს მეორე ნახევარი — „ჰრომაელთა ეკლესიათა“ აღწერას. 7r—„აღწერა ტფილისის თემთა და უეზდთა შინა მყოფთა საეკლესიოთა ჩვენებათა“. ეს რვეული 12 ფურცლიანია, დაუწერელია 4v—6v და 7v—12r. ტექსტი შავადაა ნაწერი, ბევრგანაა ნასწორები, გადაშლილი და ჩამატებული ადგილები. მეორე რვეულში დარღვეულია ტექსტის თანმიმდევრობა. პირველი გვერდი „ჰაოსთა ეკლესიათა“ აღწერით იწყება, სათაური და თარიღი კი რვეულის ბოლო ფურცლის ქვედა კიდზეა მიწერილი. თანმიმდევრულადაა მოცემული თითხმეტი ეკლესიის აღწერა, შემდეგ კი ეკლესიები ან დაუნომრავადაა აღწერილი, ან დანომრვის რიგია აღრეული. ამრიგად, მთლიანად ტექსტი შავად ნაწერ ავტოგრაფს წარმოადგენს.

ტექსტის ავტორის შესახებ ხელნაწერში არაერთი ცნობა არ მოიპოვება. ტექსტის გამომცემელი ლეონ მელიქსეთ-ბეგი თხზულების ავტორის შესახებ წერს: „თუ ვინ არის ამ საბუთის ავტორი, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ის ახლოს უნდა მდგარიყო ერთნაირად როგორც „მართლმადიდებელ“, ისე „სომეხთა“ სასულიერო წრებთან, ვინაიდან სარგებლობს ისეთი ცნობებით, რომელიც მას შეეძლო მოეგროვა მხოლოდ ოფიციალური საბუთებიდან“ ³

¹ კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთაყვისა, შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ. ტფილისი, 1904, გვ. 218.

² ჩვენი მეცნიერება, №1; ტფილისი, 1923 წ., გვ. 81—96.

³ ჩვენი მეცნიერება № I, ტფილისი, 1923, გვ. 82.

ჩვენი ვარაუდით, თხზულება დაწერილი უნდა იყოს ეგნატე იოსელიანის მიერ. ვარაუდისათვის საფუძველს გვაძლევს ეგნატე იოსელიანის ავტოგრაფების შესწავლა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ხელნაწერი S-3029, რომელშიც გაერთიანებულია სამი თხზულება.

- ა. „ფსალმუნთა განმარტება“,
- ბ. „განმარტება 50-ისა ფსალმუნისა“,
- გ. „ქაციისათვის“.

თითოეულს ცალ-ცალკე დართული აქვს ანდერძი, საიდანაც ჩანს, რომ სამივე თარგმნილია სომხურიდან ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანის მიერ 1821—1825 წლებში. სამივე ეგ. იოსელიანის ავტოგრაფს წარმოადგენს. აქედან I და III—„ფსალმუნთა განმარტება და „ქაციისათვის“—შავადაა ნაწერი, ხოლო II—„განმარტება 50-ისა ფსალმუნისა“—გადათვრებულია. რაკი ჩვენი საკვლევი S—3034 ხელნაწერიც შავადაა ნაწერი, ამიტომ ჩვენთვის უფრო საინტერესო იყო ეგნატე იოსელიანის შავად ნაწერი ავტოგრაფები. ჩვენ შევუდარეთ S—3029 და S—3034 ხელნაწერები. შედარების შედეგად გამოჩნდა, რომ ორივე დაწერილია ერთი ხელით და, მაშასადამე, ერთი პირის, ეგნატე იოსელიანის მიერ (იხ. სურათები I და II).

მღვდელი ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანი, მარტყოფელი, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პლ. იოსელიანის მამა იყო. იგი ცხოვრობდა 1767—1844 წლებში.⁴ ეგნატე იოსელიანი თავისი დროისათვის განათლებული პიროვნება ყოფილა. იგი სამეფო კართან ახლოს მდგარა და განათლებაც სასახლის კარზე მიუღია. ფილოსოფიის კურსი: იოანე დამასკელის „დიდლექტიკა“ და პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“, მზეჭაბუკ ორბელიანის ხელმძღვანელობით შეუსწავლია.⁵ როგორც პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, მეფე გიორგი XIII დის, მიხეილის, მასწავლებელი „ფიზიკისა და ასტრონომიისა იყო ეგნატი ონისიმეს ძეა იოსელიანი, შემდეგ დეკანოზი კარის ეკლესიის წმიდის გიორგისა“⁶. მას კარგად სცოდნია სომხური და ამ ხაზით მთარგმნელობითი მუშაობაც გაუწევია. ეგ. იოსელიანი, თავდაც დეკანოზი, მღვდლის შვილი იყო. როგორც სასულიერო პირი, იგი განსაკუთრებით იქნებოდა დაინტერესებული თბილისის ეკლესია-მონასტერთა აღწერით. ამ საბუშაოს შესრულებისათვის მას განათლებაც შესაფერისი ჰქონდა და საჭირო ცნობებზედაც მიუწვდებოდა ხელი.

ეგ. იოსელიანის ავტორობის საკითხის გარკვევისათვის საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: 1844 წ. პლ. იოსელიანმა გამოაქვეყნა „Древние памятники Тифлиса“⁷, გამოკვლევაში მოცემულია თბილისის ისტორია და თბილისის სიძველეთა, ეკლესია-მონასტერთა აღწერა. რაკი პლ. იოსელიანის ამ წიგნში

⁴ საქართველოს კალენდარში ეგ. იოსელიანის გარდაცვალების თარიღად 1850 წ. მოტანილი (იხ. საქართველოს კალენდარი, ვალერიან გუნიას გამოცემა, 1895. გვ. 488).. მაგრამ უფრო სარწმუნო უნდა იყოს თარიღი, რომელსაც პლატონ იოსელიანი გვაწვდის: „თვით მამაჩემი გარდაიცვალა 77 წლის 2 ივლისს, 1844 წელსა“ (იხ. ხელნაწერი S—3053, ფ. 1).

⁵ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, თბილისი, 1948, გვ. 201.

⁶ ხელნაწერი S—3063, ფ. 1.

⁷ Журнал Министерства внутренних дел, 1844, часть V, Санкт-Петербург, 83. 88—128. ეს გამოკვლევა პლ. იოსელიანმა შემდეგ შეავსო და 1866 წ. ხელახლა გამოსცა ცალკე წიგნად — „Описание древностей города Тифлиса“.

გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი თბილისის ეკლესია-მონასტერთა აღწერას, საინტერესო იყო გარკვევა, ხომ არ გამოიყენა პლ. იოსელიანმა ამ საკითხის დამუშავების დროს ეგ. იოსელიანის ნიერ შეკრებილი მასალა?

მართლაც, შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ პლ. იოსელიანის გამოკვლევას სწორედ ჩვენთვის საინტერესო ნაწილში ბევრი რამ აქვს საერთო S-3034 ხელნაწერთან. საილუსტრაციოდ მოგვაქვს რამდენიმე ადგილი.

«Церковь Метехская, может быть от греческого слова *ματοχή* означающего «подворье», освящённая во имя божией матери. Празднество совершается в субботу пятой недели великого поста, в день неседальный (акафиста). В ней замечательна могила с. мученицы Шушаники (Сусанны), замученной супругом своим, армянским владетельным князем Васкеном, за отвержение огнепоклонства, около 575 года по Р. Х. Купол, носящий характер древней архитектуры, есть произведение позднее, но всё прочее принадлежит к V веку. Относятся ко времени царя Вахтанга Горгастанла, храм Метехский есть древнейший между храмами тифлискими. Местоположение его весьма живописно: он стоит на твердой высокой скале».⁸

„აელაბარსა შინა არის ეკკლესია დიდ-შენი სახელსა ზედა ღმრთისმშობლისასა აკათისტოსად წოდებული, მეხუთესა კვირიაქესა დიდმარხვის შაბათიდღესა ზედა მაღალსა კლდესა ზედა, გუმბათიანი, ქვეთკირისა და თლილის ქვეთნარევად აშენებული ვახტანგ გურგასლანისაგან 480-სა წელსა. ამა ეკკლესიისა კლდის მთისა ძირსა ქვეშე ხიდსა თანა ტუილისისასა არს ნიში მოსალოცველი წმინდა მოწამისა აბო სპარსისა, რომელიცა ეწაზა ქრისტესთვის ადგილსა მას ამირ სპარსისაგან 791-სა წელსა და დღესასწაულსა მისსა დღესასწაულობს ქართველთა ეკკლესია იანუარის თვის 8-სა დღესა. იტყვიან კუალად, რომელ ამას ეკკლესიასა შინა იყოს მოსვენებული და დაფლული ქრისტესთვის წამებით მოკლული წმინდა მოწამე დედოფალი შუშანიკ, რომელიცა ეწაზა წელსა 432 სა ახლად გაკერპნსახურებულისა ქრმისა მისისა ვასქენისაგან. აქა არიან ორნი მღუღღნი“.⁹

ამით თავდება S-3034 ხელნაწერში მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიის აღწერა. პლ. იოსელიანთან კი ამის გარდა დამატებითი ისტორიული ცნობებია შეტანილი: მეტეხის ეკლესია შეაკეთა მეფე დიმიტრი თავდადებულმა. ვახტანგ მეხუთემ, შაჰნავაზად წოდებულმა, იგი საფანტის საწყობად გადააქცია. ერეკლე I სპარსელებს გადასცა ციხეც და ეკლესიაც. ერეკლე II განდევნა სპარსელები და ეკლესიაც აღადგინა. 1795 წ: ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად მეტეხის ეკლესია დაინგრა, ხოლო გიორგი XIII დროს ისევ შეაკეთეს.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც პლ. იოსელიანის გამოკვლევებისა და ჩვენი საკვლევი ხელნაწერის ცნობები სავსებით ემთხვევა ერთმანეთს.

⁸ Пл. Иоселиани, Древние памятники Тифлиса, 1844, გვ. 104-106.

⁹ ჩვენი მცენიერება, № I, გვ. 85.

«Церковь Кашоетская во имя С. великомученика Георгия, построенная в 1742 году князем Гиви Амилахваровым под названием Шах-Кулихань. Им же построен удивительный огромностью свода храм, в Шиогвимской пустыне, в 30 верстах от Тифлиса»¹⁰.

«Церковь Архангела Михаила и всех бесплодных сил, построена вновь священниками Сулхановыми. в 1805 году».¹²

„გარეთუბანსავე არის ეკლესია წმინდისა და ძლევაწემოსილისა მთავარმოწამისა გიორგისა, აპრილის 23-სა დღესა ზედა, ქაშოეთად წოდებული, გუმბათიანი, ჯვარნაკუშთად, ქვითკირისა. ესე აღაშენა გალავანითურთ წელსა 1742-სა თავადმან გიგმან ამილახუაროვმან, შაჰყულიხანად წოდებულმან, ოდეს იგი იყო განმგებელად ქართლისა. ამას შინა არის ერთი დეკანოზი. ამას ეკლესიასა შინა შეკრბებიან 23 დღესა აპრილის თთვისასა ტფილისელნი და გარემო სოფლებთაგან მოსულნი დღესასწაულობად. და ეგრეთვე სხუასაცა დღესა თჳსსა“.¹¹

„ავლაბარსავე შინა არის ეკლესია სახელსა ზედა მთავარანგელოსისა მიხაილისსა და ყოველთა ზეცისა უსხეულოთა ძალთასა, 8-სა დღესა ზედა ნოემბრის თთვისასა, აღშენებული მეტეხის ეკლესიის დეკანოზისა ზაქარიასა და ძმისა მისისა მლუდლისა იოსებ სულხანოვთაგან წელსა 1805-სა, და აქამომდე იყო იგი ეკლესიად სასაფლაოსა. და მას შინა არაეინ განწესებულებს მლუდელი“¹³.

პლ. იოსელიანის გამოკვლევის I ნაწილში აღწერილია 17 ეკლესია. ჩვიდმეტივე ეკლესიას დაედებნა შესატყვისი ხელნაწერში. აქედან პლ. იოსელიანის გამოკვლევის ცნობები მე-5, მე-6, 8—12 ეკლესიებზე ემთხვევა ხელნაწერის ცნობებს. ზოგ ეკლესიაზე პლ. იოსელიანი უფრო დაწვრილებით ჩერდება (1—4 და მე-7 ეკლესიები), ხოლო მე-16 ეკლესიაზე, პირიქით, ხელნაწერში უფრო მეტი მასალა შეტანილი.

ზოგან ერთმანეთს არ ემთხვევა ეკლესია-მონასტერთა აშენების თარიღი: 1. წმ. გიორგის კარის ეკლესია ხელნაწერის მიხედვით აშენებულია 1712წ. პლ. იოსელიანთან კი მისი აშენების დრო 1710 წელია. 2. წმიდა მოწამეთა ირაკლი და დარიას ეკლესია—1789 წ. პლ. იოსელიანთან—1822 წ. 3. ღვთისმშობლის კრების ტაძარი—1690 წ., პლ. იოსელიანთან—1680 წ.

ხელნაწერი ყველა ეკლესიასთან დაკავშირებით დაწვრილებით ჩამოთვლის საეკლესიო სადღესასწაულო დღეებს. აღნიშნავს რამდენი მღვდელი ემსა-

¹⁰ Пл. Иоселиани, Др. памятники Тифлиса, гл. 111.

¹¹ ჩვენი შეცნიერება, № I, გვ. 87.

¹² Пл. Иоселиани, Древние памятники Тифлиса. 1844, гл. 114.

¹³ ჩვენი შეცნიერება, № I, 1923, გვ. 86.

ხურებოდა ამა თუ იმ ეკლესიას. ჩანს, რომ მისი დამწერი სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო. პლ. იოსელიანი კი ასეთ საკითხებზე იშვიათად ჩერდება, იგი უფრო ისტორიული ცნობებითაა დაინტერესებული.

ხელნაწერის მეორე ნაწილი უკავია „ჰაოსთა ეკლესიათა“ აღწერას. ამავე ეკლესიების აღწერას ეხება პლ. იოსელიანიც თავისი გამოკვლევის მეორე ნაწილში. დასაწყისში ავტორი აღნიშნავს: «Некоторые из армяно-григоринских церквей также замечательны своею древностью. Их в Тифлисе всех числом 23., Вот примечательнейшие из них»¹⁴.

ამრიგად, ავტორი ამ ეკლესიათაგან მხოლოდ მნიშვნელოვანი ეკლესიების აღწერაზე ჩერდება. ხელნაწერში ეს ნაწილი გაცილებით უფრო ვრცელადაა წარმოდგენილი: სათაურიდან ჩანს, რომ „ჰაოსთა“ სარწმუნოების ეკლესიები თბილისში 22-ია — „აღწერა ტფილისსა შინა მდგომარეთა ჰაოსთა სარწმუნოებისა ეკლესიათა, რომელნიცა არიან რიცხვით 22-ნი“.¹⁵ აღწერილია სულ 21 ეკლესია. აქედან 9 ეკლესიას პლ. იოსელიანიც ეხება, დანარჩენი 12 ეკლესიის აღწერა კი მხოლოდ ხელნაწერშია წარმოდგენილი. ეს ეკლესიებია:

1. ღვთისმშობლის მიცვალების ეკლესია, აშენებული 1737 წ.
2. ღვთისმშობლის ხარებობის ეკლესია, „წოდებული ჯაბრით ანუ თუ შურით აშენებულად“—1729 წ.
3. წმინდა გიორგის ეკლესია, „სახელითა ქამოაანთ საყდრად წოდებული“—1727 წ.
4. წმინდა მთაფარანგელოზის ეკლესია—1792 წ.
5. „საყდარი სომეხთა, სახელსა ზედა წმინდისა მინასსა“—1790 წ.
6. ღვთისმშობლის ეკლესია—1775 წ.
7. წმინდა გიორგის ეკლესია—1775 წ.
8. ღვთისმშობლის ეკლესია, „წოდებული ხოჯა ბებუდოვის საყდრად“—1780 წ.
9. ღვთისმშობლის ეკლესია—1807 წ.
10. წმინდა გიორგის ეკლესია—1790 წ.
11. წმინდა გიორგის ეკლესია, „ზირკინაანთ საყდრად წოდებული“—1717 წ.
12. წმინდა გიორგის ეკლესია—1805 წ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეკლესია გვიანდელი ხანისაა, მე-18-მე-19 საუკუნეებისა. როგორც ჩანს, ამიტომ არ ეხება მათ პლ. იოსელიანი თავის გამოკვლევაში. დანარჩენი ცხრა ეკლესიიდანაც, რომელიც პარალელს პოულობს პლ. იოსელიანთან, 1—3, 5, 7, 9 ეკლესიები ხელნაწერში უცრო დანწერილებითაა აღწერილი¹⁶.

¹⁴ Пл, Иоселиани, Древние памятники Тифлиса :1844 გვ. 119,

¹⁵ „ჩვენი მეცნიერება“, № 1, ტფილისი, 1923. გვ. 88.

¹⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტის Sd ფონდში დაცულია საბუთი № 2343, იგი შეიცავს ცნობებს თბილისის სომხური ეკლესიების შესახებ. აღწერილია სულ ექვსი ეკლესია. ტექსტი არც ეგ. იოსელიანის ხელითაა დაწერილი და არც პლ. იოსელიანის ხელით. აქ მოცემული მასალა დაუშუშავენებელია და ენობრივადაც გაუმართავი. ფურცლის მეორე გვერდზე ეგ. იოსელიანის ხელით ჩამოწერილია თბილისის სომხური ეკლესიების სახელწოდებები, როგორც ჩანს, ეგ. იოსელიანს ეს ფურცელი ხელთ ჰქონდა. მასალა ამოწერილი უნდა იყოს ეგ. იოსელიანისათვის მისივე დავალებით.

სომხური ეკლესიების აღწერის შემდეგ პლ. იოსელიანი მოკლედ ჩერდება საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობაზე და მათ ეკლესიებზე.

ხელნაწერში ამისი შესატყვისი მასალა წარმოდგენილია 3v-4r. 3v-ზე აღწერილია „პრომის სარწმუნოების“ ეკლესია „სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლის მიცვალებისასა“. მოცემულია დაწვრილებითი ცნობები ამ ეკლესიის აშენების შესახებ. თითქმის ეგვიპე, ოღონდ უფრო მოკლედ, გამოვრებულია 4r-ზე. ხელნაწერში 3v-ზე „პრომთა“ ეკლესიის აღწერის შემდეგ დასმულია თარიღი [18] $\frac{8}{4}$ 37—1837 წლის 4 აგვისტო.¹⁷ თარიღის ქვევით

ავტორის ხელით მიწერილია: „მივეც“. რას უნდა ნიშნავდეს „მივეც“, ჩვენთვის გარკვეული არ არის. ხომ არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ხელნაწერი გადაეცა მეორე პირს. რაკი ეს მასალა გამოყენებული აქვს პლ. იოსელიანს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მეორე პირი პლ. იოსელიანი იყო.

ხელნაწერის IV ნაწილია: „აღწერა ტფილისის თემთა და უეზღთა შინა მყოფთა საეკლესიოთა ჩვენებათა“.¹⁸ აღწერილია თბილისის ახლოს მდებარე ეკლესიები:

1. ახბატი და სანანინი.
2. ახბატის ზემოთ—„მონასტერი მცირე, აღშენებული ძელისა ჭეშმარიტისა სახელსა ზედა“.
3. ახბატის ქვემოთ—„ეკლესია აგარაკისა, აწ ახტალად წოდებული“.
4. ახტალის პირდაპირ ორი მონასტერი.
5. „ნაქალაქევსა ბოლნისს—ეკლესია უგუმბათო, დიდშენი, სიონური“¹⁹. ეს ნაწილი პლ. იოსელიანის გამოკვლევაში წარმოდგენილი არ არის. ამრიგად, პლ. იოსელიანის გამოკვლევისა და ხელნაწერის მასალის შედარებამ ცხადყო, რომ ეს ორი ნაშრომი ერთნაირი პრინციპითაა აგებული აღწერილია თბილისის ქართული, სომხური და ბერძნული ეკლესიები. მართალია გამოკვლევასა და ხელნაწერში ეკლესია-მონასტერთა აღწერის რიგი ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ ამ მხრივ თვით პლ. იოსელიანიც არ იცავს თანმიმდევრობას: 1844 წლის გამოცემაში ეკლესია-მონასტრები სხვა რიგითაა დალაგებული, ხოლო 1866 წლის გამოცემაში ეს რიგი უკვე შეცვლილია.

ძირითადი მასალა კი პლ. იოსელიანთან და ხელნაწერში, გარდა ზემოთ აღნიშნული მცირეოდენი განსხვავებისა, ზედმიწევნით მიჰყვება ერთმანეთს. ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ პლ. იოსელიანი იცნობდა ამ ხელნაწერს. მან ხელნაწერის ცნობები გამოიყენა როგორც შავი მასალა. ეს მასალა შემდგომ გადაამუშავა, ზოგან შეკუმშა, ზოგან განაერთო ისტორიული ცნობებით, ფაქტებით დააზუსტა და დასრულებული სახით გამოსცა.

¹⁷ ეს თარიღი 1837 წლის 4 აგვისტოა და არა 8 აპრილი, რადგან ყველგან ეგ. იოსელიანის ავტოგრაფებში წილადის ზემო ციფრი თვეს აღნიშნავს, მაგ. H—2138 — გადაწერის თარიღად დასმულია 18 $\frac{10}{31}$ 20 — 1820 წ. 31 ოქტომბერი. H — 2206, გადაწერილი 17 $\frac{7}{22}$ 95—1795 წ. 22 ივლისს.

¹⁸ ჩვენი მცნაობა, № 1, გვ. 95.

¹⁹ ამ ეკლესიების შესახებ ცნობები ამოღებულია ვახუშტის გეოგრაფიიდან, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი. 1941, გვ. 35—37, 53—54.

ჩვენს ვარაუდს ხელს არ უშლის ხელნაწერის დაწერის თარიღიც. პლ. იოსელიანმა გამოკვლევა პირველად 1844 წელს გამოაქვეყნა, ხელნაწერი კი დაწერილია 1837 წელს.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული S—3034 ხელნაწერის ავტორი ეგ. იოსელიანი უნდა იყოს. ამისი დამამტკიცებელი საბუთებია:

1. S—3034 ხელნაწერი დაწერილია იმავე ხელით, რომლითაც S—3029. ეს უკანასკნელი კი ეგნატე იოსელიანის ავტოგრაფს წარმოადგენს.

S—3034 ხელნაწერი შავადაა ნაწერი, რაც უეჭველად ადასტურებს, რომ ეგ. იოსელიანი ხელნაწერის ავტორია და არა მხოლოდ გადაწერილი.

2. S—3034 ხელნაწერის მასალა ავტორის მიერ არსად არ ყოფილა გამოკვეთებული. პლ. იოსელიანი კი რომ იცნობდა და იყენებდა ამ მასალას, ეს S—3034 ხელნაწერისა და პლ. იოსელიანის გამოკვლევის შედარებამ ცხადყო. პლატონ იოსელიანისათვის უცხო პირის გამოუჭვეყნებელი მასალა ვერ გახდებოდა ხელმისაწვდომი, ეგნატე იოსელიანის მასალებს კი, რომელიც შესაძლებელია თვით პლატონ იოსელიანის თხოვნითაც იყო შეკრებილი, დაეკრდნობოდა და გამოიყენებდა.

ამავე S ფონდში დაცულია ხელნაწერი № 3053. იგი შეიცავს პლატონ იოსელიანის შავად ნაწერ მასალებს. მათ შორის დაცულია ერთი ფურცლის ფრაგმენტი, ფ. 158, დაწერილი იმავე ხელით, რომლითაც S—3029 და S—3034 ხელნაწერები. ეს ფურცელი ხელის მიხედვით და მელნის ფერთაც კი ისე წააგავს ჩვენს მიერ განხილულ ხელნაწერს, რომ ერთი შეხედვით მის ფრაგმენტადაც შეიძლება ჩავთვალოთ, მაგრამ შინაარსით იგი სრულიად სხვა მასალას შეიცავს. იგი, როგორც ჩანს, ეგნატე იოსელიანის სხვა ნაწარმოების, თარგმანის ან ორიგინალური ნაშრომის ფრაგმენტს წარმოადგენს.

პლატონ იოსელიანის შავად ნაწერ მასალაში ეგნატე იოსელიანის ავტოგრაფის გამოჩენა აგრეთვე იმაზე მიუთითებს, რომ პლატონ იოსელიანს ხელთ ჰქონდა ეგნატე იოსელიანის ნაწერები და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებდა კიდევ.

3. ეგნატე იოსელიანი თავისი დროისათვის განათლებული და განსწავლული პიროვნება იყო. იგი მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. სავარაუდებელია, რომ ორიგინალური ნაშრომის ავტორიც იქნებოდა. საამისოდ მას განათლებაც შესაფერისი ჰქონდა და კალამიც უჭირდა.

* * *

ეგნატე იოსელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. მოკლე ცნობები მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დაბეჭდილია „საქართველოს კალენდარში“, სადაც აღნიშნულია, რომ იგი „შესანიშნაო მწერალი იყო და სხვათა შორის ზედმიწევნით იცოდა სომხური ენა, რომლილითაც მრავალი ნაწერები სთარგმნა, სხვათა შორის ეგრეთწოდებული „დათი უძლეველის საზღვრის წიგნის შეყვანილება“. ეგ. იოსელიანს საჯაროდ წარმოუთქვამს სიტყვა საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო, მაგრამ სამწუხაროდ იმ სიტყვამან ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია“²⁰.

²⁰ საქართველოს კალენდარი, ვალერიან გუნიას გამოცემა, 1895, გვ. 488.

ჩვენს ფონდებში დაცულია რამდენიმე ხელნაწერი—„წიგნი საზღვართა დავითისი, უძლეველ ფილოსოფოსისა“. ზოგ მათგანს დართული აქვს ანდერძი, საიდანაც ჩანს, რომ თარგმნილია სომხურიდან ერეკლე მეფის ბრძანებით მღვდელ ფილიპესა და დოსითეოზ ნეკრესელის მიერ²¹. უკვე თარგმნილი ძეგლის გადმოთარგმნას ეგ. იოსელიანი აღარ მოჰკიდებდა ხელს, მით უმეტეს, რომ ამის შესახებ არც ერთი ხელნაწერი არ გვაწვდის ცნობას. ასე, რომ „საქართველოს კალენდარში“ მოცემული ცნობა არ უნდა იყოს სანდო. როგორც ზევით ვნახეთ, იქ ასევე მცდარად იყო წარმოღვენილი ეგ. იოსელიანის გარდაცვალების თარიღიც.

რაც შეეხება ეგ. იოსელიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვას საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო, ჩვენ მას არ ვიცნობთ. იგი ჯერ კიდევ ადრე ჩაუთვლიათ დაკარგულად.

ჩვენს ფონდებში დაცული ხელნაწერებიდან ეგ. იოსელიანის მიერ თარგმნილია:

1. სამი თხზულება S—3029 ხელნაწერიდან:

ა) „ფსალმუნთა განმარტება“,

ბ) „განმარტება 50-ისა ფსალმუნისა“,

გ) „კაცისათვის“, ფილოსოფიური ხასიათის თხზულებაა. სამივეს ცალცალკე დართული აქვს მთარგმნელის, ეგნატე იოსელიანის ანდერძი. სამივე თარგმნილია სომხურიდან.

2. „ქარაბადინი“ (H—2199), შემორჩენილია ბოლო სამი ფურცელი, დაწერილია ეგ. იოსელიანის ხელით. ბოლოში მიწერილია ანდერძი: „ესე ითარგმნა სომეხთა ენისა კმისაგან ქართველთა ენისა კმისა ზედა, პროტოიერეჟსა ეგნატი ონისიმე მღვდლის ძისა იოსელიანისაგან“.

3. „შემსგავსებანი“ (S—138), ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებაა, 33-ე თავის სათაურში ჩართულია ანდერძი: „ღმერთო შეიწყალე მწერალი ამისი ონისიმე მღვდლის ძე მთავარდიაკონი ცოდვილი ეგნატი და აცხოვნე, რომელმანცა სთარგმნა სომხურიდან ქართულსა ენასა ზედა“.

ჩვენს ფონდებში დაცულია აგრეთვე ეგ. იოსელიანის მიერ გადაწერილი ხელნაწერები:

1. კირილე ალექსანდრიელის „საუნჯე“ (H—2174), მთარგმნელი სომხურიდან ანტონ კათალიკოსი, გადაწერილია ეგ. იოსელიანის მიერ 1824 წ.

2. „ბოროტთა ანგელოსათვის“, (H—2175), მთარგმნელი რუსულიდან გაიოსი, გადაწერილია მღვდელი ეგნატე იოსელიანის მიერ 1842წ. 30 ივნისს.

3. სამი თხზულება H—2138 ხელნაწერიდან:

ა. „სამეფო ტომარი აღაპიტ დიაკონისა“, მთარგმნელი რუსულიდან გაიოს არხიმანდრიტი, გადაწერილია ეგ. იოსელიანის მიერ 1820 წ. 31 ოქტომბერს.

ბ. „შემოკლებული ისტორია კიროსისათჳს“—ბოლოში მიწერილია ცნობა პლ. იოსელიანის ხელით: „ეს არის დაწერილი მღვდლის ეგნატი იოსელიანისაგან“. პ. ი.

გ. „მოთქმით ტირილი საქართუშლოს მეფეს ღერკულესს ნეტარებისა ღირსსა ზედა“—სოლომონ ლიონიძისა. ბოლოში არ ერთვის გადაწერის ანდერძი, ხელის მიხედვით ეგ. იოსელიანს მიეკუთვნება.

²¹ იხ. ხელნაწერები: H—69, S—2564.



4. „საყოფაქცეოჲ ჰსჯა მარკოს აერელიასი, ჰრომის კეისრისა“ (H—2206) მთარგმნელი არხიერი გაიოს, გადაწერილია პროთოდიაკონ ეგნატი ონისიმე მლუღლის ძე იოსელიანის მიერ 1795 წ. 22 ივლისს.
5. პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ (H—2364), გადაწერილია პროთოდიაკონ ონისიმე მლუღლის ძე ეგნატი იოსელიანის მიერ 1794 წ. 13 ივნისს.
6. „ეპისტოლე იოანე ოქროპირისა, კვირიაკოსის მიმართ“ (H—2741), გადამწერი იგნატი, 1790 წ.
7. ოთხი თხზულება A—894 ხელნაწერიდან:
- ა. „წმინდა ქეთევანის შესხმა“;
 - ბ. „მღვდელმსახურების ინსტრუქცია“;
 - გ. ალექსანდრე I სიტყვა,
 - დ. შეთანხმება რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I და ავსტრიის იმპერატორს შორის—გადაწერილია ეგ. იოსელიანის მიერ 1816 წლის 22 ივნისს.
8. მხითარ სევასტიელის „რიტორიკა“ (S—2362) მთარგმნელი სომხურიდან ანტონ კათალიკოსი, გადაწერილია მთავარდიაკონ ეგ. იოსელიანის მიერ 1790 წ. 21 ივნისს.
9. „ღრამოტა მღვდელობისა, მიცემული კათალიკოსის ანტონი მეორისაგან ეგნატე იოსელიანისადმი 1810 წ. ორ ცალად: (Sd—2358, Sd—2359). ხელის მიხედვით მიეკუთვნება ეგ. იოსელიანს.
- ამრიგად, ეგ. იოსელიანი ძირითადად მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. მისი ორიგინალური ნაწარმოებებიდან ჯერჯერობით ცნობილი გახდა „მონასტრები და ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში“ (ხელნაწერი S—3034). შესაძლებელია, კიდევ გამოჩნდეს ეგ. იოსელიანის სხვა ორიგინალური ნაწარმოებებიც, ეგ. იოსელიანს გარკვეული წვლილი მიუძღვის აგრეთვე როგორც გადამწერს.

Ц. А. ЧАНКИЕВА

К ИЗУЧЕНИЮ ЛИТЕРАТУРНОГО НАСЛЕДСТВА ЭГНАТИЯ ИОСЕЛИАНИ

Резюме

В институте рукописей Академии Наук Грузинской ССР хранится рукопись S—3034, в которой описаны находящиеся в Тбилиси церкви грузин, армян и греков. Рукопись написана в 1837 г. В ней нет никаких сведений об авторе текста.

В этой же S коллекции хранится рукопись 3029, автограф Эгнатия Иоселиани. При сравнении почерка рукописей S—3029 и S—3034 видно, что они написаны одним и тем же лицом.

Священник Эгнатий. Онисимович Иоселиани, отец Платона Иоселиани, жил в 1767—1844 годах. Он был образованным человеком своего времени. Как духовное лицо Эгнатий Иоселиани, естественно, был бы заинтересован описанием тбилисских церквей.

5. ხელნაწერთა ინსტ. მთაბმე, V

Древности Тбилиси изучал также Платон Иоселиани. В 1844 г. Пл. Иоселиани опубликовал исследование «Древние памятники Тифлиса».

Сравнение книги Пл. Иоселиани с материалом, данным в рукописи, показывает, что в них представлен один и тот же материал, за небольшим лишь исключением.

Общие места этих двух документов позволяют безошибочно заключить, что Платон Иоселиани был знаком с рукописью Эгнатия Иоселиани и пользовался ею.

Эгнатий Иоселиани вёл и переводческую работу с армянского языка.

Кроме переводческих работ и оригинального труда, в наших фондах хранятся также и рукописи, переписанные Эгнатием Иоселиани.

1. Երևանի քաղաքի քաղաքապետարանի քարտեզի հիմամբ
 2. Երևանի քաղաքի քաղաքապետարանի քարտեզի հիմամբ
 3. Երևանի քաղաքի քաղաքապետարանի քարտեզի հիմամբ
 4. Երևանի քաղաքի քաղաքապետարանի քարտեզի հիմամբ
 5. Երևանի քաղաքի քաղաքապետարանի քարտեզի հիմամբ

5. 2004

ლ. ქაჯაია

პუნქტუაცია ძველ ქართულ ხელნაწერებში (V — X სს.)

ძველი ქართული ენის ძეგლების პუნქტუაცია დიდხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას, მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და დამუშავებული. რა დროიდან იხმარებოდა ძველი ქართული ენის ძეგლებში პუნქტუაცია და როგორი იყო მისი ხმარება? აი, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც დღესაც დგას ჩვენს წინაშე.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თავდაპირველად უძველეს წარწერებში სასვენი ნიშნები არ არსებობდა. სიტყვები და წინადადებები იწერებოდა ყოველგვარი ინტერვალის გარეშე. მათი განცალკევება თვით მკითხველს უხდებოდა. შემდეგ, დროთა განმავლობაში, ადამიანმა დაიწყო სიტყვების ერთმანეთისაგან გამოყოფა და საამისოდ საგანგებო ნიშნებიც გამოიყენა.¹ აი, რას წერდა ამის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი: „დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში, კაცობრიობას განკვეთისა და სასვენი ნიშნების საჭიროებაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა და უამათოდ წერდა და კითხულობდა. ამიტომ შედარებით ძალიან გვიან გაჩნდა განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები. მათი აუცილებლობის აზრიც ნელნელა განმტკიცდა და მხოლოდ თანდათანობით ჩამოყალიბდა მათი ხმარების წესრიგიც“².

პუნქტუაციის ხმარებით ძველი ქართული ენის ძეგლებში დაინტერესებული იყვნენ და არიან არა მარტო ჩვენი დროის მეცნიერები, არამედ ეს მტკიცდებულ საკითხს წარმოადგენდა ძველი დროის მეცნიერებისთვისაც. ამას ადასტურებს XI საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწის ეფრემ მცირის სიტყვები: ქართველებს „არარაჲ ელუაჴა წერტილითა გაკუშთისათჳს“, მაშინ, როდესაც ბერძნებს ეს „გაკუშთა“ შემოღებული ჰქონდათ და მათი წიგნები „მისანდობელ არს... მართლად გაკუშთილობისათჳს“. საჭირო იყო ქართულში „საკითხავთა გასაკუშთელად“ ნიშნების შემოღება. ეს დიდი ამოცანა ეფრემს ბერმა იოანე ფარაქელმა დააგალა. „ამისთჳსცა მე—ამბობს ეფრემი—ძალისაებრ ჩემისა... ყოველივე ჩემ მიერ თარგმნილი წიგნი ერთ წერტილად და ექუს წერტილად გამოკუშთია: ერთი წერტილი უკუშ მცირედ სასუშნად, ორი წერტილი გასაკუშთელად სიტყუსაჲ და სამი წერტილი დიდად სასუშნად და ექუს წერტილი სრულად დასაბოლოებელად და ახლად დასაწყებელად სიტყუსა“³.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 144; Gardthausen, V. Griechische Palaeographie, 1913., გვ. 397.

² იბ. დასახ. შრომა.

³ ხელნაწერთა ინსტიტუტის A—24; შდრ. თ. ქორდანიას, ქრონიკები I, გვ. 218

როგორც ჩანს, ეფრემ მცირის თეორიას საფუძვლად ედო პრაქტიკული საჭიროება, ტექსტის წაკითხვის გაადვილება. ამიტომ მას სასვენ ნიშნად აღებული აქვს წერტილი და ქმნის ამ წერტილის სხვადასხვა კომბინაციას. მას შემოაქვს ეგრეთწოდებული ერთი, ორი, სამი და ექვსწერტილიანი სისტემა და ტერმინები „მცირედ სასუშნად“, „დიდად სასუშნად“, „სრულად დასაბოლოებლად“ და „ახლად დასაწყებლად“ სიტყვისა. ზოგჯერ ეფრემი ექვს წერტილს იყენებს არა მარტო წინადადების დასაბოლოებლად, არამედ „გმის საქცევად“, ე. ი. სადეკლამაციო მიზნით.

სასვენი ნიშნების საკითხით თავის დროზე დაინტერესებულა ანტონ კათალიკოსიც, რომელსაც შემოუტანია ერთგვარი სისტემა: „დანიშვნა არასრულისა სიტყუსა იქმნების წერილთა შინა ღრამით ამით, მაგალითებრ (,) და ამას უკუშ ზედ-წოდებულ ვარია, ხოლო ჩუშნებრ მძიმე. დანიშვნა სრულისა იქმნების ნიშნითა ამით, მაგალითებრ (.), და ამას უკუშ ზედ-წოდებულ სტილმა, ხოლო ჩუენებრ—წერტილი. ხოლო დანიშვნა დასასრულ სიტყუსა იქმნების ნიშნითა ამით, მაგალითებრ (:), და ამას უკუშ ზედ-წოდებულ ჩუშნებრ—ორი წერტილი“⁴.

ზემომოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ ქართულში სასვენი ნიშნების გარკვეული სისტემა შეიქმნა XI საუკუნეში და იგი დაკავშირებული იყო ეფრემ მცირის სახელთან. ხოლო უფრო მოგვიანებით ჩნდება ახალი სისტემა ანტონის მიერ შემუშავებული. ჩვენი დროის მეცნიერების წინაშე კი იდგა ასეთი საკითხი: არსებობდა თუ არა ძველ ქართულში ეფრემამდე სასვენი ნიშნების ხმარება და როგორი იყო იგი? ამის შესახებ გამოთქმული იყო სხვადასხვა მოსაზრება. ს. გორგაძე თავის „ქართულ მართლწერაში“ წერს: „როგორც ძველი ხელნაწერებისა და დაბეჭდილი წიგნების განხილვა გვიჩვენებს, ჩვენს წინაპრებს არა ჰქონიათ საყოველთაოდ მიღებული წესი სასვენებელ ნიშანთა ხმარებისა. ზოგ ხელნაწერში ყოველი სიტყვის შემდეგ ორი წერტილი ზის, ზოგში თითო წერტილი, ზოგში ასეთი ნიშანი მხოლოდ მთელი ფრაზების შემდეგ გვხვდება, ხოლო განყოფილების ბოლოში სამი ან მეტი წერტილია დასმული. XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ცნობილი მეცნიერ-ლეთისმეტყველი ეფრემ მცირე შეეცადა ერთგვარი სიმწობრე და გარკვეულობა შეეტანა ნიშანთა ხმარებაში, მაგრამ მის მიერ შემოღებული საქაოდ რთული წესი ნიშანთა ხმარებისა მალე დავიწყებულ იქნა და სხვა წესებს დაუთმო ადგილი“⁵.

ეფრემ მცირემდე რომ არ არსებობდა სასვენი ნიშნები, ამ ვარაუდს ადრე აკად. ივ. ჯავახიშვილიც იზიარებდა. მაგრამ ხანმეტი პალიმფსესტების აღმოჩენის შემდეგ, რომელსაც პირველად მან მიაქცია ყურადღება, ცხადი გახდა, რომ სასვენი ნიშნები ეფრემამდე ბევრად უფრო ადრე არსებობდა: „სახარების ხანმეტი ტექსტები ცხად-ყოფენ, რომ როგორც განკვეთილობისა, ისევე სასვენი ნიშნები ქართულ მწერლობაში უკვე VI ს-ში უხმარიათ“⁶. რაც შეეხება შემდეგ საუკუნეებს, ე. ი. VII ს-დან მოყოლებულს ეფრემის ხანამდე,

⁴ ანტონ I გრამატიკა, 1885 წ. გვ. 293. (ეს სისტემა სომხურია. ანტონ კათალიკოსმა ქართული გრამატიკა შეადგინა მხითარ სებასტიელის გრამატიკის გვერდით და მეთოდით. ცხადია, რომ სომხური ენის სასვენი ნიშნების სისტემა უცვლელად გადამოიტანა).

⁵ ს. გორგაძე ქართული მართლწერა, ქუთაისი, 1916, გვ. 58.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 144.

ივ. ჯავახიშვილი სასვენი ნიშნების არსებობას უარყოფს. ამის შესახებ იგი წერს: „შემდეგ არაბთა ბატონობაში VII—VIII საუკუნეებში მომხდარი შედარებითი დაქვეითების წყალობით სასვენი ნიშნების ხმარებას გადაჩვეულან და მხოლოდ განკვეთილობის ნიშნები-ლა უხმარიათო“. ⁷

ამავე აზრს იზიარებს პ. ინგოროყვაძე. ამ მხრივ მან შეისწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის ხელნაწერი № 999, რომლის საფუძველზედაც გააკეთა დასკვნა: „VI—VII ს. ხელნაწერში ისეთის სიზუსტით არის ჩამოყალიბებული განკვეთილობის ნიშანთა ხმარება, ისეთის ზედმიწევნილობით შეფარდებულია იგი კითხვის ბუნებრივ მიმდინარეობასთან და ენის გრამატიკულ წყობასთან, რომ ამ მხრივ VI—VII საუკუნის ძეგლში წარმოდგენილი სისტემა არაფრით დაუფარდება ეფრემ მცირის მიერ შემოღებულ წესს“. ⁸ VIII—X საუკუნეების მწერლობაში კი „ჩვენ ვერ ვპოულობთ განკვეთილობის ნიშანთა ხმარების რაიმე გარკვეულს, მკვიდრად ჩამოყალიბებულს გრამატიკულ სისტემას“. ⁹

საერთო შეხედულება, რომ VIII საუკუნიდან მოყოლებული ეფრემის ხანამდე არ არსებობდა სასვენი ნიშნების ხმარება, ეყრდნობა თვით ეფრემ მცირის განცხადებას, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი.

არსებობდა თუ არა პუნქტუაციის შესახებ რაიმე ცნობა ეფრემ მცირემდე, ჩვენ არ ვიცით. საფიქრებელია, რომ იყო, მაგრამ ჩვენამდე მას არ მოუღწევია. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ბერძნებს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით ჰქონდათ გრამატიკული ნაშრომი, რომელიც დაკავშირებული იყო დიონისე თრაკიელის სახელთან (II-I სს. ჩვ. წ. აღ.). დიონისეს გრამატიკა საფუძვლად დაედო სხვა ენების გრამატიკებს, მაგალითად: სომხურს, სირიულს. ¹⁰ როგორც ბერძნებისათვის, ასევე სომხებისათვის დიონისე გახდა წყარო გრამატიკული ლიტერატურისა. ¹¹ სომეხი მკვლევარი პ. მხითარიანი შენიშნავს, რომ სომხური ანბანის გამოგონების შემდეგ, სომეხები დაუყოვნებლივ თარგმნიან რელიგიური და დოგმატური ხასიათის წიგნებთან ერთად, აგრეთვე ბერძენი გრამატიკოსის დიონისე თრაკიელის გრამატიკული ხასიათის წიგნს (პირველი მთარგმნელი იყო დავითი, რომელიც მოღვაწეობდა V ს.); მაგრამ ბრმად არ ემორჩილებიან მას. სომეხმა გრამატიკოსებმა შემდგომ იწყეს კომენტირება ბერძნული გრამატიკული ნაშრომისა, —ავსებდნენ, ცვლიდნენ და თან შეჰქონდათ კომენტარებში ენის კანონზომიერებიდან გამომდინარე დაზუსტებანი, ამავე დროს ქმნიდნენ სომხურ გრამატიკულ ტერმინებს. ¹² რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართველებს, რომლებსაც აღორფულ პერიოდში მჭიდრო კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდათ როგორც სირიულებთან, ასევე სომხებთან და ბერძნებთანაც, ჰქონდათ ამ სახის გრამატიკა? ცხადია, თუ ასეთი გრამატიკა ქართულ ენაზე იარსებებდა, მაშინ, შესაძლებელია, რომ მასში ქართული პუნქტუაციის შესახებ ყოფილიყო რაიმე ცნობა.

⁷ იქვე, გვ. 145.

⁸ პ. ინგოროყვაძე, ძველი ქართული წარმართული კალენდარი VI—VIII სს. ძეგლებში, საქ. მუხ. მთაბმე, ტ. VI, 1931, გვ. 375—376.

⁹ იქვე.

¹⁰ ს. ყაუხჩიშვილი, საბერძნეთის ისტორია, 1953 წ. გვ. 342.

¹¹ А до н, Н., Дионисий Фракийский и армянские толкователи, 1915, стр. 19.

¹² М х и რ ა ნ, ლ. მ. ჰინ ნაყისხი კხოაყიოიოი. „Պատմաբանասիրական հանդես“, № 4, 1960.

პუნქტუაციის შესახებ ძველ ხელნაწერებში (IX—X სს.) არავითარი ცნობა არ გვხვდება. ამგვარ ცნობას ვხვდებით მხოლოდ XI საუკუნიდან. ამ დროის ხელნაწერებში სასვენი ნიშნების აღსანიშნავად ვხვდებით ტერმინებს: „მცირედ სასუშნად“, „სრულად დასაბოლოებულად“ და „ახლად დასაწყებულად“ (ეფრემი); „წერტილი და მცირე-წერტილი“ (არსენ ვაჩეს ძე); სასვენი ნიშნებს უწოდებენ ზოგჯერ „წერტილს“ (ივანე ჯიბის ძე) ან „წენტილს“ (იოვანე მთავარაას ძე).

ეფრემზე აღრიხდელი დროისაა ივანე ჯიბისძის მიერ შავ მთაზე გადაწერილი სვინაქსარის ანდერძი (XI ს. 60-იანი წლები),¹³ რომელშიც გადამწერი პუნქტუაციის აღსანიშნავად ხმარობს ტერმინ წერტილს: „ყოველთა გვედრებით, ვინცა სწერდეთ, ნუ სცევალებთ (სიტყ) უასა, გინა თუ წერტილსა, რამეთუ ამისა (პირი)სათვის, ვედრებულ იყო“¹⁴. აღსანიშნავია, რომ ამ ხელნაწერში სასვენი ნიშნების ხმარების ისეთივე პრინციპია გატარებული, როგორც ახასიათებდათ აღრეულ ხელნაწერებს (IX—X სს.).

სასვენი ნიშნებზე ცნობას გვაწვდის შავ მთაზე, კასტანას მონასტერში გადაწერილი „ფსალმუნთა თარგმანების“ ანდერძი: „ეფრემ თარგმნისა მიერ ზემოკსენებულმან და პირველისა წიგნისა მისთვის დამწერელმან, იოვანე ხუცესმან მთავარაასძემან ესე აწ ჩემთვის გარდამოვიწერე, ვითარ ვგონებ, უნაკლულად და მართლად. ვისაცა გარდაწერა გენებოს, მინდობილ იყვენით, რამეთუ ვითა ვპოე, ეგრე დავწერე ყოველი და წენტილიცა... ქრონიკონი იყო ტია. დაწერა კასტანას ეფრემის მამობასა“¹⁵. მაშასადამე, გადაწერს „ფსალმუნთა თარგმანების“ გადაწერის დროს (1091 წ.) ხელთ ჰქონია ეფრემის დედანი და სასვენი ნიშნების მისივე სისტემა დაუცავს.

უფრო მოგვიანებით არსენ ვაჩეს ძის დოგმატიკონში იხმარება ტერმინები: „წერტილი“; და „მცირე წერტილი“. „ამას თანა ვვედრებით გადაწერის მნებებელთა მოწერად სხოლიონთაცა და მისწრაფებით შესწავებად ტონთა და წერტილთა და მცირე წერტილთა და ნაკლულ სიტყუათა და რამეთუ სხვა ჟამცა სარწმუნოებიაინისა სიტყუსა გადამწერელთა, უწიგნოთა ვიეთმე უმეტრებისამან გამოით აღავსეს იგი“¹⁶. ამ ხელნაწერშიც ეფრემის სასვენი ნიშნების სისტემაა დაცული.

ამრიგად, როგორც ამ ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, ძველად თვითონ გადამწერები აქცევდნენ ყურადღებას სასვენი ნიშნებს და მოითხოვდნენ სხვა გადამწერებისაგან ხელნაწერი დაკვირვებით გადაეწერათ და სასვენი ნიშნებიც უცვლელად გადაეტანათ.

ძველი ქართული ენის პუნქტუაციის შესწავლის თვალსაზრისით ჩვენ შევისწავლეთ ხანმეტი პალიმფსესტები VI—VII საუკუნეებისა,¹⁷ ხანმეტი

¹³ ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2211.

¹⁴ ანდერძი მთლიანი სახით გამოქვეყნებული აქვს ე. მეტრეველს, იხ. მისი შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის X ს. პირველ ნახევარში: „საქ. სახ. მუხუჟუმის მოამბე“, XX B, გვ. 99—102.

¹⁵ ამ ხელნაწერის ანდერძი გამოქვეყნებულია: იხ. Q ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, გვ. 44; თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 214.

¹⁶ არსენ ვაჩეს ძის დოგმატიკონი, XII—XIII სს. S—1463 (1r); S ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, გვ. 214.

¹⁷ გამოსცა ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, იხ. ქართ. პალეოგრაფია, გვ. 317—366.

ლექციონარი VII საუკუნისა¹⁸ და ყველა თარიღიანი ხელნაწერი IX—X საუკუნეებისა“.¹⁹

ხელნაწერებზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ ძველად ქართველებს V—X სს. შემოღებული ჰქონდათ გარკვეული სისტემა განკვეთილობისა და სასვენი ნიშნებისა, რომელსაც წმინდა პრაქტიკული დანიშნულებით იყენებდნენ: შინაარსი მართებულად წაეკითხა და გაეგო მკითხველს.

ძველ ქართულში სასვენი ნიშნებად ჩანს ერთი (·), ორი (:), სამი (:·), ოთხი (:··) წერტილი და მძიმის მსგავსი ნიშანი (>). ერთი, ორი, სამი წერტილისა და (>) ნიშნის ხმარება ქართულში ადრეული პერიოდიდან გვაქვს, ჯერ კიდევ V—VII საუკუნეების პალიმფსესტებში. რაც შეეხება ოთხ წერტილს, ის IX საუკუნიდან შემოდის ხმარებაში და იხმარება აზბაცის გასაფორმებლად.

ხანმეტ პალიმფსესტებში სასვენი ნიშნების არსებობას პირველად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება. სასვენი ნიშნებად აქ გამოყენებულია ერთი, ორი და სამი წერტილი. ერთი წერტილი მდებარეობს სტრიქონს ზევით და ასრულებს მცირე პაუზის მოვალეობას, ეფრემის სიტყვებით რომ ვთქვათ, იხმარება „მცირედ სასულწნად; ორი წერტილი დიდი პერიოდის დროს გვაქვს, ორი წერტილი და ხაზი (:—) ან სამი წერტილი (:··) იხმარება წინადადების ან თხრობის დასასრულს:

„ნუჟუჟე ხზრუნავთ და ხიტყუთ რაჲ ვჰამოთ“ ანუ
რაჲ ვსუათ ანუ რაჲ შევიმოსოთ. რამეთუ ამას
ყოველსა წარმართნი ხეძიებედ რამეთუ უწყის
მამამან თქუენმან ზეცათამან რამეთუ გიგმს
თქუენ ესე ყოველი არამედ ხითხ...

ნუ დახშჯით რათა არა დახისაჯნეთ რამეთუ
რომლითა ხშჯით მითცა ხისაჯნეთ და რომლითა
საწყაულითა მიხუწყვიდეთ მოგეწყოს თქუენ:—²⁰

როგორც მაგალითიდან ირკვევა, ერთი წერტილი, რომელიც სტრიქონს ზევით მდებარეობს, გამოჰყოფს მოკლე პერიოდს. ხოლო წერტილი, რომელიც მოთავსებულია სტრიქონზე, უნდა აღნიშნავდეს დიდი პერიოდის დასასრულს. თუმცა ამის თქმა გადაჭრით ძნელია, რადგან პალიმფსესტებში ჯერონობით გაბმულ ტექსტებთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ფრაგმენტებთან.

ამ ერთ წერტილს შეიძლება სხვა პალიმფსესტურ ოთხთავში სხვა ფუნქცია ჰქონდეს. მაგრამ აქ რომ წინადადების დასასრულს აღნიშნავს, ამას ჰადიშის ოთხთავის (897 წ.) პარალელური ტექსტიც ადასტურებს:

H—999 ხანმეტური პალიმფსესტი ჰადიშის ოთხთავი²¹

ღმერთმან ესრეთ შეამკვის: არა
მე უფროსლა თქუენ მცირედ მორწმუ-

¹⁸ აკ. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, 1944.

 უმეტეს სიტყუად. რამეთუ დასაბა-
 მითგან იყო სიტყუა სახარებისაჲ
 მის, სიტყუა იგი ღირსთა მიმართ
 ოხრის, რაჲთა არა კაცობრივთა გო-
 ნებათა საღმრთოთა კერძოჲ იგი მო-
 ძღურებაჲ შეაგინონ, რამეთუ რაჲამს
 ძმ სახელი ესმის, მიიბაცა და დედა-
 ცა გულსა მოიკადონ. მისთჳს სიტ-
 ყუა თქუა, რომელ იგი შემძლებელ
 იყო მუნქუესგე დასაბამსა სიტყუასა
 გამოქუთქუმელისა მისთჳს თქუმად.
 და იხილე³, რომელი იგი სახმ იწყო
 თქუმად, კიბენი აღჰმართნა და მრ-
 ვალსა მას დაკიბულსა აღიყვანნა, ძმ

დრჩითა. ხამხა ქემ, ვესარიო⁴ ირ
 დასაბამსა თი დანონ. ვო სს,
 ასე, ჭრითთან, ირქი საათობი
 კსნიდანლი⁵
 ჩაყე ვაქნ ჯამქმ ზეკრასი, ხქმ
 ღნიქ⁶ პიზარანსა ასათარანქ⁷ ირ
 აქნჯამი აოდასლოქსამქ ქს ქრ, ირ
 დასათარანსკან ანდრას კანდნ ამ-
 ფიქსაყ⁸ ირ ვქნი იროთან, ირ ვა-
 მსნაყ⁹ მქონდამასქ ვეიქოქსქან
 ღნიქრასყ¹⁰ ქსნიჲს კორქსაყ, ქ სქქრან
 ასათარანსქნი ღსქნი ქ შხაროის რარ-
 რან. ჯასაყ, ქქ ქ სქქრანსქ ღქ ირ-
 ვი. ხ ი¹¹, ხქქ ქ სქქრანსქ ღქ მქამქსნი.
 აქქ ვეიქოქს¹² ხ ვამქამსქ ქსიქსაქ
 ვეიქოქრქოქს¹³, ქ რანს ხს. ქ სქქრან-
 სქ ღქ რანს: ხ რანს ღქ თი საათობ,
 ხ საათობ ღქ რანს¹⁴. შხაროის¹⁵ ი¹⁶ ვქ
 რანს კიჯსაყ, ხრანსგა, აქქ ვქ ირქი
 დასანსაყ-ქსქღრს¹⁷ არქსიქ ღქრანსქნი
 პიზარანსქი დასათარანსქნი სქიქ, ხქ რა-
 სქნი ღნიქსაყ: სადასქსაქნი ვქსქსნი
 ვქ¹⁸ მქ ქაროქქსნი. ხ ირქ ქ ნიქსანსქნი
 ღნიქსანსქნი ღქნი, კანსდარქსნი აოდა-
 სლოქსანს რანსქსნი: ჭანსქი სქქრნი
 ვაროქსქსანს¹⁹ ხ რანს ქარქსანი ხ
 ქანსარქსანი ქსქსი ღსქქრ, ვქ მქ²⁰ მარ-
 ვქსქსნი მათიქ დასათობსქსნი ქარ-
 დასათოქსქსანი აქ ასდაყოფანსქსნი,
 ირქი ქსსაქ, რაქრ ხ მარქ ქ მათიქ
 ათსქქსანსქსნი, ხ ქსანდროქსქსნი, ხ ვაქქ
 ხა მარქსნიქ კარქსი. ქასანი აქნიქსქ ქ
 რანსქნი კორ ვეიქოქსნი ვაქ, ირ კაროქნი ღქ
 ანიქსნი ქ სქქრანი რარქათიქნი დასქარქ-
 სქანი მსქსნი: სე თანი ირქსნი²¹ ქნი
 კარქ ქ სქქ არქსანი. აანსქსა რას-
 სათსაყ, ხ ღნიქ რაქდამ ირქი რანსქ
 ვამქ²² ქ ვქსსი ირქოქსნი კორქოქსნი.
 ი²³ ქქ ვაქსი ქნიქ ირქსა, აქქ ვქსიქ
 ქამანსქსნი აყანს: ქ სქქრანსქ ღქ,
 ასე, რანს²⁴. ვქ დასქარქსანი ოდა-
 ვანსქსანი ხ ვქსნიქსანი ადათ ასდა-
 სანოქსქსანი:

* მათ. 16.16. **იოანე 1,1.
 ნესაშა: 1 პეტრე. 2 იხილმ.



თოკონია მჟონია

ერთი ძველი ბნომური ლიტერატურისა

გნომი ბერძნული სიტყვაა, მას მრავალი მნიშვნელობა აქვს. ვრცელი განმარტება გნომისა შეტანილია იოანე დამასკელის (VIII საუკ.) „გარდამოცემი“ (მესამე წიგნის XIV თავში). ეს განმარტება ქართველ მკითხველთათვის (ბერძნული ენის არმცოდნეთათვის) ცნობილი გახდა ეფრემ მცირისა (XI საუკ.) და არსენ იყალთოელის (XI—XII საუკ.) მიერ თარგმნილი „გარდამოცემის“ შეშვეობით. იოანე დამასკელის თხზულების ორ თარგმანში სხვადასხვა ტერმინებია გამოყენებული გნომის მნიშვნელობათა გადმოსაცემად.

„Ἰστέον δὲ, ὡς τὸ τῆς
 γ ν ὠ μ η ς θνομα πολυτροπον
 και πολυσημαντόν ἐστι. Πο-
 τὲ μὲν γὰρ θελοῖ τὴν παραι-
 νεσιν, ὡς φησιν ὁ θεὸς
 Ἄποστολος: Περὶ δὲ τῶν παρ-
 φένων ἐπιταγῆν Κυρίου οὐκ
 ἔχω, γ ν ὠ μ η ν δὲ δὲνωμα:
 ποτὲ δὲ βῆσλην, ὡς ἔθαν
 φησιν ὁ προφήτης Δαβὶδ:
 Ἐπὶ τὸν λαόν σου κατεπα-
 νουρήσαντο γ ν ὠ μ η ν; πό-
 τε δὲ φηφον, ὡς ὁ Δαυὶδ:
 Περὶ τίνας ἐξῆλθεν ἡ γ ν ὠ-
 μ η ἡ ἀναιδῆς ἀντη; ποτὲ
 δὲ ἐπὶ πίστεις, ἢ δόξης, ἢ
 φρονήματος, και ἀπλῶς ἐπι-
 πειν, κατὰ εἶκον: οὕτως ση-
 μαίνόμενα λαμβάνεται τὸ τῆς
 γ ν ὠ μ η ς θνομα¹“.

ეფრემ მცირის
 თარგმანი
 „ხოლო ესე საცნაურ
 იყავნ, ვითარმედ ცნო-
 ბისა, ვინა შეცნი-
 ერებისა, ანუ გან-
 ზრახვისა სახელი
 მრავალ სახე არს, და
 მრავალთა პირთა მო-
 მასწავებელი. რანეთუ
 ოდესმე სწავლასა მო-
 ასწავებს, ვითარ-იგი
 საღმრთოა მოციქული
 იტყუს, ვითარმედ: ქალ-
 წულთათჳს ბრძანებაჲ
 უფლისა მიერ არა მა-
 ქუს, ხოლო განზრ-
 ხვისა მიესცემ. და
 ოდესმე ზრახვისა, ვი-
 თარ-იგი წინააღწარმე-
 ტყუელი დავით იტყო-
 დის, ვითარმედ: ერსა

არსენ იყალთოე-
 ლის თარგმანი
 „ხოლო შესწავებაჲ
 საგმარ არს, ვითარმედ
 ჯერჩინებისა სა-
 ხელი მრავალ სახე და
 მრავლისა დამნიშვნე-
 ლი არს. რანეთუ ოდეს-
 მე თანა-სათნოყოფასა
 ცხად-ჰყოფს, ვითარც
 იტყუს საღმრთოა მო-
 ციქული, ვითარმედ:
 ქალწულთათჳს ბრძანე-
 ბაჲ უფლისაჲ არა მა-
 ქუს, ხოლო ჯერჩი-
 ნებასა მიესცემ. ხო-
 ლო ოდესმე ზრახვისა,
 ვითარ-იგი რაჟამს იტ-
 ყოდის წინააღწარმეტ-
 ყუელი დავით, ვითარ-
 მედ: ერსა შენსა შე-
 და მოძმატჳს ჯერჩი-

¹ Migne, Patr. gr. t. 94. col. 1045.

ზედა ძმაცუვიდეს, ზაკუვით ზრახეს. ხოლო ოდესმე განჩინებისა, ვითარ-იგი დანიელ იტყუას ვისთხმე, ვითარმედ: გამოვლეს განჩინებაჲ ურცხუნოებით. ხოლო ოდესმე სარწმუნოებისათჳს, ანუ ნებისა ანუ განზრახვისა. და რათა ერთბაშად მარტივად ვთქუა: ოცდა რვა სახედ მოიდებვის სახელი ესე, რომელსა ღნომი უწოდიან. და შემოკლებულად ითქუმოდედ, დანიშნულთაებრ მოიდებვის სახელი ჯერჩინებისაჲ“ (A—24, ფ. 94v)

ნებაჲ. ხოლო ოდესმე განჩინებისა, ვითარცა იტყუას დანიელ, ვითარმედ: ვისთჳს გამოვლად ჯერჩინებაჲ უსახური. და ოდესმე სარწმუნოებისათჳს, ანუ თნებისა, ანუ ცნობისა. და შემოკლებულად ითქუმოდედ, დანიშნულთაებრ მოიდებვის სახელი ჯერჩინებისაჲ“ (S—1463, ფ. 83 V).

სიტყვა გნომი იოანე დამასკელის თხზულების თარგმანმდებ იყო ცნობილი ქართულ ლიტერატურაში. ეფრემ მცირის გადმოცემით, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები თარგმნიდნენ ამ სიტყვას, „ვითარცა ადგილსა შეეტყუებოდის“ (A—24, ფ. 94v), ე. ი. კონტექსტის მიხედვით ანუ შესატყვისად.

ძველ ქართულ ლიტერატურაში გვაქვს არა მარტო სიტყვა გნომი, არამედ რამდენიმე ძველიც გნომების სახელწოდებით. ერთ-ერთი ასეთი ძველი ნილო სინელის „ღნომნი სწავლითნი სარგებელად სულისა“, რომელიც ოთხი ხელნაწერთი (A=A—60, გადაწერილია XIII საუკ.² B=A—67, გადაწ. XV საუკ.³ C=H—1246, გადაწ. 1754 წელს.⁴ D=S—269, გადაწ. XVII საუკ.⁵) არის წენამდის მოღწეული. თხზულება თარგმნილია არაუადრეს XII საუკუნისა⁶.

² Ф. Жордания, Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. I, Тифлис, 1903, стр. 59.

³ იქვე, გვ. 66.

⁴ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. III, შედგენილია და დასაბუქდად დამხადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 188.

⁵ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I, შედგენილია და დასაბუქდად დამხადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ. ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1959, გვ. 283.

⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 549—50.

ჩვენ მიერ გამოყენებული ხელნაწერები; A—24, 60, 67, H—1246, S—1463 და 269 დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

А ხელნაწერ კრებულში ამ თხზულების ტექსტს ერთვის „შეისწავე“ რომელიც შეიცავს გნომის ზოგად განმარტებას: „შეისწავე, ვითარმედ ღნომი ეწოდების ესევითარსა (!) სიტყვათა, ვითარ ესე არიან ამის საკითხავისანი მოკლედ და მკუშთად მეტყუელთა, და ძალი ესე არს ღნომისაჲ. ხლოო შედარებით თარგმნაჲ მისი, რომელსა ბერძულად ოცდა ორი ძალი აქუს, უღონო არს, ამისთჳს ბერძულადვე დაიდვა“ (გვ. 285).

ქართველ სწერალს სწორად აქვს ნაჩვენები გნომის დამახასიათებელი ნიშნები. გნომი, მართლაც, მოკლედ და ნათლად გამოთქმული ბრძნული აზრია, სწავლა-დარიგებაჲ.

ნილო სინელის თხზულება გნომების სახელწოდებით არის ცნობილი ძველ ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ ე. მინის მიერ გამოცემულ ბერძნულ ტექსტს⁷ განსხვავებული სათაური აქვს: ΚΕΦΑΛΑΙΑ Η ΠΑΡΑΙΝΕΣΙΣ⁸ ქართველი მთარგმნელი, ალბათ, ისეთი ნუსხით სარგებლობდა, რომელშიაც ნილო სინელის ამ თხზულებაზე წარწერილი იყო სათაურად გნომი, ამიტომ დაურთო მან თარგმანს გნომის განმარტება.

აღნიშნული თხზულება თარგმნილია რუსულ ენაზეც XIX საუკუნეში⁹. თარგმანი მომდინარეობს ბეჭდური გამოცემიდან, მაგრამ შედარებულია რომელიღაც ბერძნულ ხელნაწერთან, ამიტომ მას აქვს ვარიანტის მნიშვნელობა. ე. მინის მიერ გამოცემული ბერძნული ტექსტი ნილო სინელის თხზულებიან შეიცავს 139 სწავლა-დარიგებას. მათ შორის 25 სწავლა-დარიგება (1—25), ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეკუთვნის ევაგრე პონტოელს.¹⁰

ძველ ქართულ და ახალ რუსულ თარგმანებს, ე. მინის მიერ გამოცემულ ბერძნულ ტექსტთან შედარებით, აკლიათ 1—24 სწავლა-დარიგება. ბერძნულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ ტექსტებს ბოლოში დართული აქვთ დამატებანი (ბერძნულს ერთვის 8 სწავლა-დარიგება¹¹, რუსულს¹²—4). ახალი რუსული თარგმანის დასაწყისი და დასასრული (დანართის გამოკლებით) ისეთივეა, როგორც ძველი ქართული თარგმანისა, მაგრამ შედგენილობის მხრივ ეს ტექსტები ერთმანეთისაგან რამდენადმე სხვაობენ. ასე, მაგალითად, რუსული თარგმანის შუა ნაწილში ჩამატებულია ბერძნული ხელნაწერიდან ერთი სწავლა-დარიგება¹³, რომელსაც შესატყვისი არ ეძებნება ე. მინის მიერ გამოცემულ ბერძნულ ტექსტსა და ქართულ თარგმანში. მაგრამ ქართული შეიცავს ე. მინის გამოცემისა და რუსული თარგმანისათვის სრულიად უცნობ ორ სწავლა-დარიგებას:

„განცხადებულისა ცხორებისა თანა დაფარულთაცა სათნოებათა მიერ განშუშნდი; რამეთუ სული არცა სათნოებისაჲ, არცა სიბოროტისაჲ დაიმაღვის“ (გნომი 85).

⁷ Migne, Patr. gr. t. 79, col. 1249—1264.

⁸ იქვე, გვ. 1249.

⁹ Творения Нила Синайского, ч. II. Творения святых отцев в русском переводе, т. XXXII, М., 1858, стр. 233—245.

¹⁰ Fr. Degenhart, Der hl. Nilus Sinaita, sein Leben und seine Lehre vom Mönchtum, Beiträge zur geschichte des alten Mönchtums und Benediktinerordens. herausg. von J. Hewegen, Heft 6, Münster in Westf. 1915, S. 14.

¹¹ Migne, Patr. gr. t. 79, col. 1261—64.

¹² Творения Нила Синайского, ч. II, стр. 244—45.

¹³ იქვე, გვ. 239.

„ნურარას ჰგონებ უდიდებულეს სიბრძნის-მოყუარებისა; რამეთუ არს იგი დედა შჯულისა, და თანა-მოსაყდრე ღმრთისა მეუფებისა“ (გნომი 94). ეს უკანასკნელი სწავლა-დარიგება, შეიძლება ითქვას, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის 24 დარიგება ერთად, რომელიც აკლია ქართულ თარგმანს.

ჟ. მინის მიერ გამოცემულ ბერძნულ ტექსტთან შედარებისას ზოგჯერ მცირე სხვაობას გვიჩვენებს ქართული თარგმანი¹⁴, მაგრამ საერთოდ იგი ახლო მისდევს ბერძნულს,

„Τὰς πράξεις αἰεὶ τὰς ἀγαθὰς ἐπίσπευθε, μὴ ποτε καταλιπὼν αὐτὰς, ἥμισυ τῆς ἀπειλῆς“ (col. 1260)

„Ὅταν σοι λογιμὸς ἤμυπαθείας ἐγγένηται, ἀντίστησον αὐτῷ τῆν τῶν ἀνθρώπων ἀισχύνην, καὶ τῆν τοῦ Θεοῦ παράσχευσιν“ (col. 1253).

ქართულ თარგმანში გამოყენებული იშვიათი სიტყვები: ვნებული-გემოვნება (ἤμυπαθεία) და კერძოსრული (ἥμισυ τῆς) გვიჩვენებენ ამ თარგმანის უშუალო მიმართებას ნილო სინელის თხზულების ბერძნულ დედანთან.

ნილო სინელი V საუკუნის მწერალი და საეკლესიო მოღვაწეა, ამიტომ ბუნებრივი ჩანს მის თხზულებაში ზოგიერთი დარიგება ღვთის მიმართ ლოცვის შესახებ. მაგრამ ნილო სინელის სწავლა-დარიგებათა უმრავლესობას უშუალო კავშირი არ აქვს რელიგიასთან. მაგალითად:

„ღვნოსა მცირედ სუჭმდი; რამეთუ რაოდენ შემოკლდეს, ესოდენ ქველის-მოქმედ ექმნების მსუმელთა“ (გნომი 35).

„ჰრიდგე ენასა; რამეთუ მრავალ გზის აღმოიტყვს მას, რომლისა დაფარვა უმჯობეს არს“ (გნომი 20).

„ყოვლისა საქმისა დასასრულსა პირველ დაწყებამდე გამოიკულევი“ (გნომი 6).

„უკუეთუ ვინებს, რაათა სახლისა შენისაგან იოტო ყოველი საგუჭმელი, ნუ ძვრსა უზრახავ მენ თანამეტომესა კაცსა; რამეთუ რომელი ამას ჰყოფდეს, სამართლად განაძვნებს მას“ (გნომი 103).

რასაკვირველია, ასეთი დარიგებანი ვერ იქნებოდნენ განკუთვნილნი მხოლოდ სასულიერო მოღვაწეთათვის.

ნილო სინელის თხზულების ქართული თარგმანი შეიცავს 115 გნომს ანუ სწავლა-დარიგებას. მათ შორის არ ჩანს უშუალო, შინაარსობლივი კავ-

¹⁴ აი, ერთი მაგალითი:

„Αἰεὶ τι κερθαίνειν ἐκ τῆς φεαρίας τῆς τῶν ἀγίων σποῦδαζε, ἐπιτήρει δὲ αὐτῶν βλάμια, καὶ σχήμια, ἐπαφελῆς γὰρ ἑκάτερον“ (col. 1256)

„Старайся всегда воспользоваться чем нибудь от лицецерения святых; наблюдая их взгляд и наружность, потому что весьма полезно то и другое“ (стр. 238).

„მარადის მოსწრაფე იყავ მოქალაქობისაგან წმიდათადა შეძინებად რაასმე, და დაცვად მსგავსებასა მათისა ზედვისა და ქვევისა და მეტყუელებისა; რამეთუ თითოეული მუთვანი მარგებელ არს (გნომი 60).

შირი, მაგრამ ძირითადად ორი გნომი განსაზღვრავს მთელი თხზულების მნიშვნელობას. ერთი მათგანი, რომელიც ზემოთ იყო დამოწმებული, სიბრძნის-მოყვარებას აცხადებს უდიდებულესად (94), მეორე—უაღრეს მნიშვნელობას ანიჭებს სათნოებას (68). აღნიშნული გნომების მიხედვით უფრო გასაგები და ნათელი ჩანს სწავლა-დარიგებანი, მაგალითად, ზნეობრივი სიწმინდის დაცვის, სწავლების, სიკეთის შესახებ და სხვ.

ნილო სინელს თავის თხზულებაში არა ერთხელ აქვს ფართო მნიშვნელობით ნახშირი კეთილი საქმე (გნომი 86, 115 და სხვ.), რომელიც უბირის-პირებდა არაკეთილს, ბოროტს. კეთილი საქმეა, მაგალითად, ადამიანის სულიერი და ხორციელი სიწმინდის დაცვა: „მოიგე უმანკოებაა გულისა და სიწმიდე ჯორცთაჲ (61). ამ სწავლა-დარიგებიდან ჩანს, რომ ყოველ ადამიანს შეუძლია უმანკოების, სიწმინდის, „მოგება“, ე. ი. მოპოვება, შეძენა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ზრუნვა, მისწრაფება სიკეთისადმი.

ადამიანს მუდამ ებადება სხვადასხვა აზრი, აუცილებელია მათი გარჩევა: რომელია კეთილი, ე. ი. კარგი ან ცუდი. „არა დაცხრების გონებაა შობად გულის-სიტყუათა, ხოლო დრკუთა მარგლიდ, და კეთილთა იმუშაკებდ“ (45). ბოროტი აზრები უნდა იქნენ ჩახშობილნი კეთილთა საშუალებით (48).

ხორციელი სიწმიდის დაცვაც ასეთივე წესით ხდება. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ ადამიანმა არ დაკარგოს ზომიერების გრძნობა. „მხოლოდ მას მისცემი ჯორცთა რაოდენი უქმს მიღებად, და ნუ რაოდენი ჰნებაეს“ (24). მაგრამ შეიძლება ადამიანი, მაგალითად, შეჩვეული იყოს უზომოდ ღვინის სმას, როგორ დაიცვას მან სიწმინდე ხორცთა? ნილო სინელი იძლევა ასეთ დარიგებას: „უკუეთუ ბოროტთა რაათმე ჩუეულებითა შეპყრობილ ხარ, მცირედ-მცირედ მოიკუშთე იგი, და თვნიერ მრავლისა შრომისა აღმოჰმხუთა ეკალი სულისაჲ“ (92).

ხორციელი სიწმინდის დაცვა არ არის თვითმიზანი. ადამიანის სიწმინდე უნდა ჩანდეს მოქმედებაში, შრომაში. „აშრომებდ ჯორცთა კეთილთა შრომათა მიერ“ (34).

კეთილი შრომა სიკეთის წყაროა, ადამიანთა საზოგადოებისთვის არის სასარგებლო; სიზარმაცე, უსაქმობა იძლევა სრულიად საწინააღმდეგო შედეგს: „დღედად ბოროტთა უდებებაჲ ჰგონე“ (70). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიზარმაცე არის მშობელი ბოროტებისა.

ადამიანთა ურთიერთობის საკითხსაც სიკეთის თვალსაზრისით განიხილავს ნილო სინელი. იგი აძლევს რჩევას კეთილ, ე. ი. პატიოსან ადამიანს, რომ არ იქონიოს ურთიერთობა არაკეთილთან. „ნუ აღერვეი მას, რომელსა კეთილთა მიერ გინებულად ხედავ“ (8). ჩანს, ადამიანთა ურთიერთობაშიც მელაენდება ვინ არის კეთილი და არაკეთილი. კეთილთაგან გინებული არის არაკეთილი, ე. ი. ბოროტი, ცუდი, ხოლო კეთილთა გამოცნობა უფრო ადვილია: კეთილი არის ის, ვინც კეთილ, ე. ი. პატიოსან შრომას ეწევა.

ნილო სინელი გვასწავლის, რომ კეთილი, ე. ი. პატიოსანი, კარგი ადამიანი არ უნდა მფარველობდეს არაკეთილს, ცუდს, ბოროტს. „ნუ თანა-მოსაჯულ ხარ ბოროტთა, რამეთუ მათ სიბოროტედ ცხებულ ჰყოფ, და თავსა თვსსა შეამწიკულებ ზიარებითა წყულულებისაჲთა“ (76).

ამ სწავლა-დარიგებაში ჩაქსოვილი აზრის უფრო ნათელსაყოფად შეიძლება მივმართოთ კონკრეტულ მაგალითს: პატიოსანმა ადამიანმა მფარველო-

ბა თუ გაუწია ქურდს, ამით წააქეზებს ბოროტმოქმედს, ხოლო თვითონ შეი-
რიცხვენს თავს, შეილახავს პრესტიჟს ქურდის მფარველობით.

მაგრამ ზოგჯერ ისიც არ არის საკმარისი, რომ კეთილი მოსოროდეს
არაქეთილს. ამ უკანასკნელს შეუძლია შორიდანაც ავნოს პატოხსან ადამიანს,
მაგალითად, ცილი დასწამოს მას. ნილო სინელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს
ასეთ შემთხვევაში უდანაშაულო ადამიანის სულიერ სიმტკიცეს, რწმენას თა-
ვისი სიმართლისადმი. „იგინო რაჲ, განიცდიდ, ნუ სადა გექმნას რაჲმე ღირს
განებისაჲ, ხოლო თუ არა გექმნას, კუამლად მლტოლვარედ ჰგონე გინებაჲ
იგი“ (64).

კეთილისა და არაქეთილის, ე. ი. ბოროტის დაპირისპირება არ ნიშნავს
საერთოდ ორი საწყისის არსებობის აღიარებას. კეთილი ადამიანი უპირისპი-
რებდა არაქეთილს იმ მხრივ, რომ მონაწილეობას არ ღებულობს არაქეთილის
მოქმედებაში (ბოროტმოქმედებაში), მაგრამ მის მოვალეობას შეადგენს ზრუნ-
ვა მცოდნელის, ე. ი. დანაშაულის ჩამდენი ადამიანის აღზრდა-გამოსწორები-
სათვის. „ასწავებდ მცოდნელსა, და ნუ ძვრსა უზრახავ დაცემულსა; რამეთუ
მეორე ესე მაგინებელისაჲ არს, ხოლო პირველი თანა-ღმობილისაჲ“ (77).

ნილო სინელი არ ივიწყებს მოყვასისთვის ზრუნვის საკითხსაც (74).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ არა ერთი სასარგებლო აზრი, რჩევა-და-
რიგება შემოუტანია ნილო სინელის თხზულების თარგმანს ძველ საქართველო-
ში, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართველთა ზნობრივ აღზრდას, ამაღლებას.
მაგრამ ამით არ შემოიფარგლება ძველის მნიშვნელობა. ქართულ თარგმანს,
როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემოუნახავს ზოგიერთი, დღემდე სრულიად უცნო-
ბი ვნომი. ეს ფაქტი გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ, რომ ნილო სინე-
ლის თხზულების ბერძნული ტექსტი უთუოდ საჭიროებს აღდგენას და ამ საქ-
მის გაკეთება შეუძლებელია ძველი ქართული თარგმანის გამოუყენებლად.

ТОРНИКЕ ЧКОНИЯ

ОДИН ПАМЯТНИК ГНОМИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

Резюме

Памятник гномической литературы «Поучительные гномы Нила»
переведенный с греческого на грузинский язык в XII веке, пред-
ставляет собой краткую редакцию произведения Нила Синайского (V в.)
«ΚΕΦΑΛΑΙΑ Η ΠΑΡΑΙΝΗΣΙΣ», но эта редакция сохранила нам некоторые
гномы, отсутствующие в греческом подлиннике.

წმიდისა მამისა ჩუენისა ნილოზისი¹
 (285) ღწმინე² სწავლითნი სარბიბადად სულისა³.
 გუბაჟაროზინ მამარ⁴

- 1 შინი ღმრთისაა გაქუნდინ და სურვილი, და ყოველთა მიმართ გან-
წმედლიად იჯუმეველ წამებასა სუნიდისისასა.
2. თუთ ღმრთისა⁵ ზედა-მდგომელობა⁶ გრწმენინ თითოეულისათჳს, რა-
საცა⁷ იქმოდი⁸.
- 3 ველტოდე ქებათა, და გრცხუწოდენ⁹ ძაგებათაგან.
- 4 გიხაროდენ რაჟამს სათნობასა¹⁰ იქმოდი, არამედ ნუ აღზუავენბი,
ნუ სადა ნავის დანთქმა¹¹ იქმნეს ნავთ-საყუდეღსა შინა.
- 5 რაოდენცა შუჯულსა¹² შინა წარემატებნი, ეგოდენ ნაკულღევანება¹³
უწყოდე სრულებისაგან.
6. ყოვლისავე საქმისა დასარულსა პირველ¹⁴ დაწყებამდე¹⁵ გამოიკუ-
ლევი.
- 7 დამე და ღდე უკუანასკნელისა¹⁶ ღღისა მიმართ მიხედვიდი¹⁷
- 8 ნუ აღერევი მას, რომელსა ქეთილთა მიერ გინებულად¹⁸ ჰხედავ.¹⁹
- 9 ესწრაფე არცა ერთისა ვის სავენებელ ყოფად მათ მიერ²⁰, რომელთა—
იგი ანუ იტყუ, ანუ იქმ, ანუ ჰვილასოფოსობ.²¹
- 10 ნუ გიხარის ყუავილოვნებათა²² ზედა საწუთოასათა²³; რამეთუ ყუავი-
ლი თივისა²⁴ ვიდრე განხილვამდე დაქნების.
- 11 შემაწუხებელთა შენათა ჰმადლობდი, და საწონი ცოდვითა²⁵ აღსუ-
ბუქნების.
- 12 განსაცდელთა შინა ეკრძალებოდე; რამეთუ მრავალნი უადრესნი მათ
მიერ იმხილნეს.
- 13 (286) ნუ აბრალებ²⁶ ღმრთისა²⁷ სულგრძელებსა; რამეთუ საზოგა-
დოა²⁸ წამალი არს იგი.
- 14 გდაგდინ უჯაკობა²⁹ საწუთოასა³⁰, ხოლო ღმერისა ნუ შეასმენ მის³¹
ძლითა³².

¹ წმიდისა მამისა ჩუენისა ნილოზისი—A. ნილოზი C. ² უწმინე მისნივე ღწმინე A.
³ სარგებელნი სულისანი C. ⁴ მამაო გუაქუთობენ A. გუაქუთობენ მამაო—C. ⁵ ღწ D. ⁶ ზედა
 მდგომელობა C. ⁷ რაასაცა D. ⁸ იქმოდე D. ⁹ გრცხვენოდენ C. ¹⁰ სწონბასა D. ¹¹ ნავისა დან-
 თქმა CD. ¹² სჯულსა BC. სჯულსა D. ¹³ ნაკულღევანება B. ნაკულღევანება C. ¹⁴ პდ B.
¹⁵ უწყებამდე B. უწყებამდე C. ¹⁶ უკანასკნელისა C. ¹⁷ მიხედვიდი D. ¹⁸ გინებულად—BC..
¹⁹ ზედავ ABD. ²⁰ მიერ—BC. ²¹ ჰვილასოფოსოფ. B. ჰვილასოფოსოფ C. ფილასოფოსოფ D
²² ყუავილოვნებათა BC. ²³ საწუთოასათა BD. საწუთოასათა C. ²⁴ თივისა CD. ²⁵ ცოდვითა
 BC. ²⁶ აბრალებ BCD. ²⁷ ღწ C. ღწ D. ²⁸ საზოგადო C. ²⁹ უჯაკობა C. ³⁰ საწუთოასა B.
 საწუთოასა C. ³¹ მწ C. ³² ძლით CD.

15 ვეკრძალნეთ თავთა თუსთა, და სხუათა¹ არღარა ვჰკდედეთ²; რამეთუ მრავალი რაჲ არს ჩუენ ჴორის, რომლისათუს-იგი ვჰკდედით³ სხუათა⁴.
16 ფსალმუნებაჲ⁵ მიმდემ იყავენ შენდა; რამეთუ ღმრთისა⁶ სახელის-
ლებჲა სდევენის ეშმაკთა.

17 ლოცვაჲ სიფრთხილით იქმნებოდენ⁷; რაჲთა არა მათ ვითხოვდეთ ღმრთისაგან, რომელი მას არა სთნავს.

18 მარადის ივსენებდი⁸ ღმერთსა, და ცა იქმნეს⁹ გონებაჲ¹⁰ შენი.

19 აღურ-ასხენ თუალსა; რამეთუ ვითარ-იგი არა უწყი, განიბნენის.

20 ჰრიდე ენასა¹¹; რამეთუ მრავალ გზის აღმოიტყუს¹² მას, რომლისა დაფარებაჲ¹³ უმჯობეს არს¹⁴.

21 მუშაკობდი გონებასა შენსა¹⁵ წურთითა შჯულისაჲთა¹⁶; რამეთუ აღმოჰხუტურის ბოროტთა გულის-სიტყუათა¹⁷ ზედაჲსზედა¹⁸ წურთითა თუსითა¹⁹.

22 სათნოებათა შენთა ჰფარევედი, ხოლო მოწამედ²⁰ ცხოვრებისა²¹ შენისა²² მრავალნი მოიგენ²³.

23 მოიძულენ²⁴ გორცთა გემოვნებანი. რამეთუ გორცთავე თანა სულსა-
ცა ბიწიან ჰყოფენ.

24 მხოლოდ მას მისცემდი გორცთა რაოდენი უტმს მიღებად, და ნუ²⁵ რაოდენი ჰნებავს.

25 ნუ გიყუარს²⁶ შუშბაჲ²⁷; რამეთუ შეგიტმს სიყუარულსა სოფლისა ამის მიმართ, და მტერობაჲ²⁸ ღმრთისაჲ ამათ ორთაგან იშვების²⁹.

26 გარე მიაქცევდ საწუთოთა სიხარულთა, რომელნი—იგი უბრკუმენ და შეეცთუნებენ მოხარულთა.

27 სიმდიდრე უკუეთუ გაქუს, განაბნიე; ხოლო უკუეთუ არა გაქუს³⁰, ნუ შეიკრებ³¹.

28 საჭურველად შეჰრაცხე მარხებაჲ³², და ლოცვაჲ³³ ზღუდედ, ხოლო ცრემლნი საბანელად.

29 რაოდენი რაჲ სცოდე ყოველსავე სულთქუმით ივსენებდ; რამეთუ ამიერ შექმნების სულსა სამარადისოჲ³⁴ ღმობიერებაჲ³⁵.

30 იღუწოდ გლახაკთა, რამეთუ ივინი დაგუაგებენ ჩუენ მსაჯულსა.

31 საწმარსა წმიდათასა ეზიარებოდე, რამეთუ ამათ მიერ იქმნების ღმრთისა მიმართცა ზიარებაჲ³⁶ შენი.

32 ეკლესიასა, ვითარცა ზეცათა შინა ვილოდე, და ნუმცა რას³⁷ ქუეყნი-
ერსა მოიგონებ³⁸ მას³⁹ შინა.

33 საჭიროდ ჰგონე კმამყოფელობაჲ⁴⁰, და ღმერთსა⁴¹ მიუგდე ზრუნვაჲ⁴² მისთვის.

34 აზრომებდ გორცთა კეთილთა შრომათა მიერ, ხოლო იღუწიდი⁴³ ყოვლად არა დავრდომასა მათსა.

¹ სწათა C. ² ვკდედეთ BC. ³ ვკრედეთ BCD. ⁴ სხუათა—BCD. ⁵ ფსალმუნე-
ბა C. ვსწება D. ⁶ ღმ CD. ⁷ იქმნებოდე D. ⁸ ივსენებოდი B. ⁹ ცა იქმნეს ცაქმნეს
B. ცაქმნეს C. ¹⁰ გონება C. ¹¹ ენასა B. ¹² აღმოიტყუს B. ¹³ დაფარება C. ¹⁴ არს BD.
არს C. ¹⁵ შენსა | სჯა D. ¹⁶ სჯულისათა B. სჯულისათა CD. ¹⁷ გღის სიტყუთა ბრტ-
თა D. ¹⁸ ზა ზა B. ზასზა C. ზა ზა D. ¹⁹ თუსით B. ²⁰ მწმედი D. ²¹ ცხოვრებისა C.
²² შენსა B. ²³ მოიგენ B. ²⁴ მოიძაგენ B. მოიძულენ C. ²⁵ ანუ BCD. ²⁶ გიყვარს C. ²⁷ შუშბა C.
²⁸ მტერობა C. ²⁹ იშვების BD. ³⁰ გაქუს C. ³¹ შეიკრებ BC. ³² მარხვა C. ³³ ლცვა C. ³⁴
სმრდისო C. ³⁵ ღმობიერება C. ³⁶ ზიარება C. ³⁷ რას BD. ³⁸ მოიგონებ B. ³⁹ მთ BCD. ⁴⁰ კმა
მყოფელობა B. კმა მყოფელობა C. ⁴¹ ღმ BD. ⁴² ზრუნვა C. ⁴³ იღუწიდი BCD.

35 ღუნოსა¹ მცირედ სუშმდი; რამეთუ რაოდენ² შემოკლდეს, ესოდენ ქველის-მოქმედ ექმნების მსუშმელთა³.

36 გულის-წყრომასა სტანჯვედ; რამეთუ სიბოროგისა მამა⁴ არს განსრული საზომისაგან.

37 სნეულებათა შინა პირველ მკურნალთა და წამალთაჲსა⁵ ლოცვასა იწუმევდ.

38 მღდელთა ყოველთა⁶ ვიდრემე⁷ პატივ-სცემდი, ხოლო კეთილთა ოდენ თანა-ურბიოდე.

39 შეიყუარენ⁸ სახლნი ღმრთისანი, ხოლო სახლად ღმრთისა⁹ თავი თჳსი შეჰმზადე.

40 ეკლე (287) სიად მისლვასა იმსთობდ; რამეთუ შფოთისაგან და ღელვათა გარეშეთა მიგნისს ჩუენ.

41 რაოდენნი ქუეყანასა ზედა საწუთო¹⁰ არიან¹¹; ნუმცაოდენ¹² გაწუხებს განშორებაჲ¹³. მათგან.

42 რაეამს გულის-სიტყუაჲ ვნებული-გემოვნებისაჲ¹⁴ მოგიტდეს შენ, წინა აღუდგინე მას სირცხული¹⁵ კაცთაჲ¹⁶ და წინა აღმდგომობაჲ¹⁷ ღმრთისა¹⁸ მიმართ.

43 მოიკრძალენ¹⁹ სასმენელნი, და უფროასლა²⁰ სახედველნი შენნი; რამეთუ ამით მიერ შემოვლენ ისარნი სიბოროტისანი.

44 ილოცვიდე რაჲ, ღმრთისა²¹ მიმართ აღიყვანე გულის-სიტყუაჲ შენი; დაღათუ²² მიმოგანბნევით განვიდეს მიერ, კულად მუნვე შეიყვანე²³.

45 არა დასცხრების გონებაჲ²⁴ შობად გულის-სიტყუათა²⁵; ხოლო შენ დრკუთა²⁶ მარგლიდ, და კეთილთა იმუშაქებდ.

46 გიხაროდენ სიმდაბლისათჳს; რამეთუ მის მიერ სიმადლე მრავალ, და დაცემად ვერ შემძლებელ არს.

47 ესოდენ ილუწიდ, რაოდენ²⁷ სტანჯნე ჯორცთა აღძრვანი; ხოლო დასნეულდენ თუ სიმრთელედ²⁸ ოდენ, და ნუ შუშბულებადცა ჰკურნებ ჯორცთა.

48 ბოროტნი გულის-სიტყუანი²⁹ სხუათა³⁰ კეთილთა გულის-სიტყუათა³¹ მიერ აღმოყარენ³².

49 იგონებდი ზეცისა კეთილთა შუშნიერებასა და არარაჲ ოდეს შემოგიტდეს შენ სურვილი ქუეყანისაჲ³³, ანუ მის მიმართა შუშბათაჲ³⁴.

50 რაეამს ღმრთისათჳს³⁵ რაჲმე მოიგონო³⁶, უკუეთუ მდაბალი³⁷ იყოს; აღამაღლებდ³⁸, ხოლო უკუეთუ მაღალი, დაამდაბლებდ³⁹, ნუ ღმერთსა, არამედ თავსა თჳსსა. რამეთუ არარაჲ უცთომელ არს ზეშთა საზომისა მის, რომელსა დავიტევდეთ აღრჩევად.

51 ბოროტნი მოგონებანი თესლ-ყოფად ეშმაკისა⁴⁰ ირწმუნენ⁴¹; რამეთუ ესრეთ იგინიცა დასცხრენ, და მთესვარსა პრცხუშნეს⁴².

¹ ღუნოსა B. ღუნოს C. ² რაოდენ C. როდენ D. ³ მამალა C. ⁴ მამა B. ⁵ წამალთასა C. ⁶ ყოველ C. ⁷ ვიდრემე — C. ყოთა ვემე B. ⁸ შეიყუარენ B. შეიყარენ C. ⁹ ღმრთისანი CD¹⁰. საწუთო-რო BCD ¹¹ არს D. ¹² ნუმცაოდენ CD. ¹³ განშორება C. ¹⁴ გემოვნებისა C. ¹⁵ სირცხული B ¹⁶ კაცთა C. ¹⁷ წინა აღმდგომობა C. ¹⁸ ღმრთისანი BCD ¹⁹ მოიკრძალენ B. ²⁰ უფროასლა CD. ²¹ ღმრთისანი BCD. ²² დაღათუ და დაღათუ BCD. ²³ შეიყვანე B. ²⁴ გონება C. ²⁵ გულის სიტყუათა C. ²⁶ დრკუთ C. ²⁷ რაოდენ C. ²⁸ სიმრთელედ B. ²⁹ გულის სიტყუანი C. ³⁰ სხუათა C. ³¹ გულის სიტყუათა C. ³² აღმოყარენ A. ³³ ქუეყანისა C. ³⁴ შუშბათა C. ³⁵ ღმრთისანი C. ³⁶ მოიგონო B. ³⁷ მდაბალ C. ³⁸ ამაღლებდ D. ³⁹ დამდაბლებდ B. დამდაბლებდ CD. ⁴⁰ ეშმაკისად BC. ⁴¹ ირწმუნენ B. დარწმუნენ D. ⁴² პრცხუშნეს C.

52 ფრიად ერიდე სიცილსა, რამეთუ დაჰჳსნის სულსა; რომელი-იგი და-
 ინსნას¹ რაჲ, ადვილად წარიყრის აღურსა შჯულისასა².

53 საქმედ და ლოცვად განჰყავ³ სული შენი; რამეთუ ესრეთ არა
 მრავალთა შემოსავალთა⁴ პაოებს ჩუენდა მომართ ეშმაკი.

54 საქმე ყოფად ჰგონე წარკითხვაცა⁵ შჯულისა⁶; რამეთუ რაჲემს
 ენისა თანა გონებასაცა უნდეს მოსთულებად⁷ რაჲმე, გამოეციებს მას საუნ-
 ჯესა შინა წერილთასა.

55 დაღათუ საქმედ სძრავ ჳელსა, ენაჲ⁸ ფსალმუნებდინ⁹, ანუ გონე-
 ბაჲ¹⁰ ილოცევდინ; რამეთუ მარადის ჳსენებასა ეძიებს ჩუენგან ღმერთი.

56 ყოველსავე საქმესა ლოცვისა მიერ დაჰბეჭდედი¹¹; ხოლო უფროას-
 ლა¹² მას, რომელსა¹³ ზედა მეჭუშლად¹⁴ იხილო გონებაჲ¹⁵.

57 ჳნებაეს თუ ჳელთ-საქმრისა შენისა¹⁶ საღმრთოდ და არა მიწიერად¹⁷
 კმნაჲ¹⁸, საზოგადო იყავნ შენდა მისგანი¹⁹ მათჯს, რომელთა უჳმდეს²⁰.

58 გიხაროდენ დამთხუჳვასა ზედა წმიდათასა; რამეთუ მათ მიერ ღმერ-
 თი გამოგეცხადებინ²¹.

59 ქენმარტად წმიდათა (288) საქმეთა მიერ განარჩევიდი²²; რამეთუ
 თითოეული ხე თვისსა ნაყოფისაგან იცნობების.

60 მარადის მოსწრაფე იყავ²³ მოქალაქობისაგან წმიდათაჲსა²⁴ და შე-
 ძინებდალ რასმე²⁵ და დაცვად მსგავსებასა წათისა ხედვისა და ქცევისა და
 მეტყუშლებისასა²⁶; რამეთუ თითოეული მათგანი მარგებელ არს.

61 მოიგე²⁷ უმანკობაჲ²⁸ გულისა²⁹ და სიწმიდე ჳორტთა³⁰; რამეთუ
 ორნივე ესე ტაძარ ღმრთისა³¹ გყოფენ შენ.

62 ესრეთ დაიციე³² ტაძარი შენი³³, ვითარცა დამბადებელისა³⁴ და-
 განშჯად³⁵ მისსა მგულბელისა³⁶, და ხატად თჯსა³⁷ წმიდად³⁸ მომლონებელი-
 სა³⁹ შენისა⁴⁰.

63 საერისკაცონი ზრახვანი ღმრთისაგან განამორბენ⁴¹ გულის-სიტყუა-
 სა⁴². ეინაჲ⁴³ ნუცა შენ პზრასავ⁴⁴ მათ თანა⁴⁵, და მზრახვალთა⁴⁶ მათთაგან⁴⁷
 მისდერქ.

64 იგინო რაჲ⁴⁸, განიკვიდ, ნუ სადა⁴⁹ გექმნას რაჲმე⁵⁰ ღირს⁵¹ გინები-
 საჲ⁵², ხოლო თუ არა გექმნას, კუამლად მლტოლვარედ⁵³ ჰგონე გინებაჲ⁵⁴
 იგი.

¹ დაჳსნას B. ² სასჯელისასა BD. ³ სსჯელისსა C. ⁴ გწყავ A. გწყვ BD. ⁵ შემოსლვა-
 თა BC. ⁶ წარკითხვაცა BC. ⁷ სჯლისა B. სჯლისა C. ⁸ ფსალმუნებდინ B. ⁹ მოსთულებდ B.
¹⁰ ენა C. ¹¹ ფსალმუნებდინ A. ¹² გონება C. ¹³ დაჰბეჭდედე BCD. ¹⁴ უფროსლა C. ¹⁵ რისა BCD
¹⁶ მეჭეველად C. მეჭუშლად D. ¹⁷ გონება C. ¹⁸ შენისა BCD. ¹⁹ მიწიერად ABC. ²⁰ კმნაჲ B
²¹ კმნა C. ²² მისგან BC. ²³ უხმდეს B. ²⁴ გამოგუშვებადების B. გამოგეცხადების C. ²⁵ განარ-
 ჩევიდა D. ²⁶ იყენ BCD. ²⁷ წოასა B. წოასა C. წოასა D. ²⁸ რმემე BD. ²⁹ მეტყულებისსა C
³⁰ მოაგე B. ³¹ უმნკობა C. ³² სლრისა B. სლრისა CD. ³³ ჳრტთა C. ³⁴ ღმ CD. ³⁵ დაიცვ B.
³⁶ შენი ქორტთა შნთა D. ³⁷ დამბადებლისა D. ³⁸ განშჯად BC. განსჯად D. ³⁹ მგუ-
 ლბელისა BCD. ⁴⁰ თსად BCD. ⁴¹ წდად D. ⁴² მომგონებლისა BC. ⁴³ შრსა BC.
⁴⁴ შინა D. ⁴⁵ გნგმოგობენ D. ⁴⁶ გულის-სიტყუასა სიტყუასა B. სიტვისა CD. ⁴⁷ ეინა D
⁴⁸ ზრახველთა გნცა D. ⁴⁹ მთთა BCD. ⁵⁰ იგინო რაჲ იგი ნურა B. იგი ნურა C. ⁵¹ ნუსადა
 BDA. ⁵² რამე C. ⁵³ ღირსი BCD. ⁵⁴ გინებისა BC. გინებისა D. ⁵⁵ მლტოლველად BD.
 მლტოლველად C. ⁵⁶ გონება B. გონება C.

65 რომელთათვის-იგი¹ გეუსამართლოებოდინ², მოთმინებისა მიმართ მივიღტოდე მათთვის; და მეუსამართლოეთად მიიქტეს სავნებელი იგი მეუსამართლოებისაჲ³.

66 რაჟამს სიმდიდრესა ანუ დიდებასა⁴, ანუ საწუთოასა⁵ ძლიერებასა ქებულად ჰხედვიდე⁶, მოიგონებდ⁷ მათ შორისსა⁸ განზრწნადობასა⁹ და განერე სამიქედურსა მათსა.

67 დაითმენდ¹⁰ ჭირთა; რამეთუ მათ შორის სათნოებანი, ვითარცა ეკალთა შორის ვარდნი აღმოეცენებიან და აღიზარდებიან.

68 ნურარაჲ¹¹ გგონიეს სწორ ყოფად პატევსა¹² სათნოებისასა; რამეთუ მოხედვია¹³ არს ღმრთისაჲ¹⁴, ვინაჲცა¹⁵ მსგავსადე¹⁶ მისსა უქტეველ არს.

69 ეგლოვდ ცოდვილსა შუებით მყოფსა; რამეთუ მახვლი სასჯელისაჲ¹⁷ განვრცების მის ზედა.

70 დედად ბოროტთა უღებებაჲ¹⁸ ჰგონე; რამეთუ კეთილნი რომელნი გაქუნდენ, მიგბარავს, და რომელნი არა გაქუნდენ,¹⁹ არა გიტევებს მოგებად.

71 რაჟამს ბოროტთა ვინმე იქმოდის და მათ ზედა არა პრეტუშნოდის²⁰, ძნელ არს წყლულებია მისი, და დაცემია²¹ განწირვად მიიწევის.

72 რაოდენ გზისცა ურევულ იყო, მოიგონებდ²² რაოდენ²³ განმზადებულ არს მორწმუნეთადა²⁴, და ნაყოფად სულისა მადლი მოიწიოს²⁵ შენდა.

73 უტმს მორწმუნესა დამდაბლებია²⁶ ყოველთა მიმართ; რამეთუ ზოგთა ვიეთმე მიმართ მდაბლობაჲ²⁷ ზმნილობასა აჩუშნებს²⁸ სიმდაბლისასა.

74 მოყუსისა მიმართ სიყვარულისათვის ნურარაჲ²⁹ გცონის. გარნა ეგოდენ, რაოდენ³⁰ მისსა მიმართი³¹ სიყვარული ღმრთისა³² მიმართსა³³ სიყვარულსა შენსა³⁴ არა ავენებდეს.

75 ნუვისდა³⁵ მოკიდულ³⁶ ხარ გარეგან შუჯულისა³⁷ ღმრთისა³⁸, ნუცაეის³⁹ თანა-გელმის; რამეთუ უღირს მისსა ჰყოფს მას, რომელი რასაცა უფროას⁴⁰ მისსა პატივ-სცემდეს.

76 ნუ თანა-მო(289)საჯულ ხარ ბოროტთა, რამეთუ მათ სიმბოროტედ ცხებულ ჰყოფ, და თავსა⁴¹ თვისსა შეამწიკულებ⁴² ზიარებითა წყლულებისაჲ⁴³.

77 ასწაეებდ მცოდველსა, და ნუ ძვრსა უზრახავ დაცემულსა; რამეთუ მეორე ესე მავინებელისაჲ⁴⁴ არს, ხოლო პირველი თანა-ღმობილისაჲ⁴⁵.

78 მარადის მოსწრაფე იყავ სმენად⁴⁶ და სიტყუად⁴⁷ წმიდათასა; რამეთუ ბაძვად კეთილისა აღგიდგინებენ სულსა.

¹ იგი]—BC. ² გეუსამართლოებოდინ A. გეუსამართლებოდინ B. ³ მეუსამართლოებისა C. ⁴ ღბ-სა CD. ⁵ საწუთოათასა B. საწუთოთას CD. ⁶ ხედვიდე A. ⁷ მოიგონებდ B. მოგონებდ D. ⁸ შს D. ⁹ განზრწნადობ-სა B. განზრწნადობასა C. განზრწნილ-სა D. ¹⁰ დაითმენდ B. ¹¹ ნურა რარა B. ნურა რა C. ¹² პატივ BCD. ¹³ მოხედვა C. ¹⁴ მოხედვად ლ არს BD. ¹⁵ ვინაჲცა C. ვინაჲცა D. ¹⁶ მგავსადე B. ¹⁷ სასჯელისა C, სჯელისა D. ¹⁸ უღებება C. ¹⁹ გაქუნდენ C. ²⁰ პრეტუშნოდის C. ²¹ დაცემა BC. ²² მოიგონებდ B. ²³ რაოდენ D. ²⁴ მორწმუნეთა და CD. ²⁵ მოიწიოს B. ²⁶ დამდაბლება C. ²⁷ მდაბლობა C. ²⁸ აჩუშნებს-ს C. ²⁹ ნურა C. ნურა D; ³⁰ რაოდენ] + ეგოდენ რაოდენ D. ³¹ მრ-თ BCD. ³² ღმ CD. ³³ მრ-თ D. ³⁴ შენსა სიყვარულ-სა A. ³⁵ ნუ ვისა BC. ნუ ვის D. ³⁶ მოკიდებლ B. მოკიდებულ C. და მოკიდებლ D. ³⁷ სჯულისა B სჯულ-ისა CD. ³⁸ ღმ CD. ³⁹ ნუცა ვის ABCD. ⁴⁰ უფროს CD. ⁴¹ თვის-ს D. ⁴² შეამწიკულებ A. ⁴³ წყლულისაჲთა (?) A. წყლულების-სთა C. წყლულებისათა B. ⁴⁴ მავინებლისა C. ⁴⁵ თანა ღმობილისა B. თანა ღმობილისა C. ⁴⁶ სმენად] თანა სმენად C. ⁴⁷ სიტყვად C.

79 სახლად სახლადისა ეკლესიად თითოეულსა¹ თვის გონება² გუაქუს³; და მას შინა თანამდებ⁴ ვართ სრულ ყოფად წესთა ეკლესიისათა⁵.

80 კრებაჲ თუ აღესრულებოდის, ეკლესიად მივედ, ხოლო თუ არა აღესრულებოდის, შენ იკითხვედ ფსალმუნსა, სამოციქულოსა, სახარებასა.

81 სათნოებათა დიდებასა⁶ წმიდათაგან⁷ იჭკრობდი; რამეთუ უკუდავად დაადგრებიან მათნი დიდებანი⁸ შემდგომად სიკუდილისაჲცა.

82 სიბოროტე მაშინ მოიძულო⁹, რაჟამს გულად იღო, ვითარმედ აღლესულ მახვლ ბოროტისა არს იგი ჩუენ ზედა.

83 უკუეთუ ასწავებ¹⁰ მცოდველსა, შეზავენ თანა-ლმობითა სიტყუანი¹¹ შენნი, და ესრეთ ყური მისი მოღბების¹², ხოლო გული განათლდების.

84 რაჟამს წმიდათა ეზრახებოდი,¹³ იკითხვედ მათგან სულისათჳს. ხოლო რაჟამს არა ესევეითართა ჰზრახვიდე¹⁴, თუთ შენ იტყოდე სულისათა.

85 განცხადებულისა ცხობრებისა თანა დაფარულთაჲცა სათნოებათა მიერ განმუშნდი; რამეთუ სული არცა სათნოებისაჲ¹⁵, არცა სიბოროტისაჲ¹⁶ დაიმალვის.

86 მარადის კეთილთა საქმეთა შინა¹⁷ მოსწრაფე იყავ, ნუსადა კერძო სრულად დამტევებელი მათი წარხზდე.

87 ესრეთ რბიოდ¹⁸, რაათა ეწიო¹⁹, ესე იგი არს დაუცხრომელად. რამეთუ ჯერ-არს სათნოებასა შინა სრბაჲ¹⁹, ვიდრე განსლვადმდე ამის საწუთოასა²⁰ სტადიონით.

88 ნუ იქმნები სულმოკლე აღსრულებისათჳს მცნებათაჲსა²¹; რამეთუ ესევეითართა მათ ურგები შრომაჲ²² შრომისა ზედა დაერთვის.

89 ბირველ ჭირისაჲცა ილუწიდ მოგებად მოთმინებისა, რაათა ჰპოო იგი ჭირთა შინა ყოვლად საჭურველად მომზადებულად.

90 ჰბრძოდე ბოროტთა გულის-სიტყუათა²³, და იტყოდე მათდა მიმართ რაოდენი შჯულსა²⁴ შინა თქმულ არს.

91 მოსწრაფებითა მტრელთა მიაქციე თუალი შენი საწუთოასა²⁵ ამისგან; რამეთუ კუამლი ბოროტი შემამრღუშველი²⁶ სულისაჲ²⁷ აღმოვალს მიერ.

92 უკუეთუ ბოროტითა რაათემ ჩუტულებითა²⁸ შეგპრობილ ხარ, მცირედ-მცირედ²⁹ მოიკუტეთ³⁰ იგი, და თუნიერ მრავლისა შრომისა აღმოჰფხურა³¹ ეკალი სულისაჲ³².

93 სიწმიდით შეიყუარე³³ ღმერთი; რამეთუ წმიდაჲ არს, და ყოველთა ზედაჲსა³⁴ მისსა ყოველივე მეორედად³⁵ შეგერაცხენ³⁶.

94 ნურარას³⁷ ჰგონებ უდიდებულეს სიბრძნის-მოყუარებისა; რამეთუ არს იგი დედა (290) შჯულისა³⁸, და თანა-მოსაყრდე³⁹ ღმრთისა⁴⁰ მეუფებისა⁴¹.

¹ თუთეუელთა BD. ² გონება C. ³ გაქუს A. გუქუს C. ⁴ თანა მდებ. D. ⁵ ეკლესიისათა D. ⁶ დბაჲსა C. ⁷ წიგნთა D. ⁸ დბანი C. ⁹ მოძლო B. ¹⁰ ასწავებ B. ასწავებ CD. ¹¹ სიტყუანი C. ¹² ღბების D. ¹³ ეზრახებოდე C. ¹⁴ ხრახვიდე B. ზრახვიდე C. ¹⁵ სათნოებისა BCD. ¹⁶ სიბოროტისა C. სიბოროტისა D. ¹⁷ შინა საქმეთა C. ¹⁸ რბიოდ B. ¹⁹ სრბა C. ²⁰ საწუთოასა B. საწუთოასა C. საწუთოასა D. ²¹ მცნებათაჲსა B. მცნებათაჲსა CD. ²² შრომა C. ²³ გულის სიტყუათა ²⁴ სჯულსა BCD. ²⁵ საწუთოასა BD. საწუთოასა C. ²⁶ შემამრღუშველი D. ²⁷ სულისა BC. ²⁸ ჩუტულებითა C. ²⁹ მცირედ D. ³⁰ მოკუტეთ B. მოკუტეთ C. ³¹ აღმოჰფხურის D. ³² სულისა C. ³³ შეიყუარე B. ³⁴ ბუა C. ³⁵ მეორედად D. ³⁶ შეგერაცხენ. BC. ³⁷ ნურაჲ რას B. ნურა რას GD. ³⁸ სჯულისა BC. სჯულისა D. ³⁹ თა მოყრე DC. ⁴⁰ დეა BC. ⁴¹ მეუფებისა C. მებრესა D.

* შდრ. I კორ. IX, 24.

95 გნებავს თუ ტადარ¹ ღმრთისა² ყოფაჲ³, მსხუტრბლად შეყუარებულად⁴ სამარადისოჲ⁵ ლოცვაჲ⁶ მოართუ მას⁷.

96 უდებებით მცხოვრებელსა ნუ მიიყვანებ თანა-მზრახველად; რამეთუ ბოროტთა ზედა მოხარული, კეთილთა სძულობსცა და ზრახებად არა თავს-იდებს.

97 ყოვლისა ხრწნილებსიან განეშორე, და საიდუმლოჲსა⁸ სერისიან ყოველსა დღესა მოილებდ⁹; რამეთუ ესრეთ ვორც კრისტესსა იქმნებიან ჩუენნი ესე.

98 რომელთათჳს-იგი ღმრთისაგან¹⁰ განისწავლებოდი¹¹, ნუ სდრტუნავ. რამეთუ ვითარცა მამაჲ¹² გსწავლის¹³, და ვითარცა ქველის-მოქმედი¹⁴ ღირს მადლობისა არს.

99 რაჟამს უბატივო¹⁵ იქმნი, გიხაროდენ; რამეთუ უკუეთუ უსამართლოდ იგინე, დიდ არს სასყიდელი შენი; ხოლო უკუეთუ სამართლად, აღსუბუქენ¹⁶ საღმე საგუშმელისაგან¹⁷, უკუეთუ ოდენ¹⁸ განჰბრძნდე.

100 აჩრდილსა, და ურემსა, და კუამლსა მიამსგავსენ¹⁹ შემაწუხებელნიცა და²⁰ მახარებელნი ამის სოფლისანი; რამეთუ ვითარცა აჩრდილნი არა დაადგრებიან, და ვითარცა კუამლი ივლტიან, და ვითარცა ურემი იქცევიან.

101 მარადის ისწრაფე წარმართებად კეთილთა შინა; რამეთუ რომელი მცირედსა²¹ მცირედსა ზედა დაპრთვიდეს²², მცირედსა შინა²³ დიდსა სიმდიდრესაჲ შეიკრებს²⁴ მრავალთა მიერ საძიებელსა.

102 გნებავს თუ, რაათა სატანჯველისა სატკივარობასა²⁵ განერე, ნუოდეს ვის²⁶ ავიენებ; რამეთუ ამით განრისხნების²⁷ ღმერთი.

103 უკუეთუ გინებს, რაათა სახლისა შენისაგან იოტო ყოველი საგუშმელი²⁸, ნუ ძვრსა უზრახავ შენ თანამეტომესა კაცსა; რამეთუ რომელი ამას ჰყოფდეს, სამართლად განიძუნებს მას.

104 გნებავს თუ ყოვლისავე²⁹ ცოდვისა ზეშთა ყოფაჲ, ნუ ისმენ საქმეთა უცხოასათა³⁰; რამეთუ მრავალ არიან შენ შორის მათგანნი, რომელთა სხუათა³¹ თანა ყოფად ეჭუ.

105 ევლტოდე აშპარტავანებასა³², შ კაცო, დაღათუ მდიდარ იყო, ნუსადა³³ წინა-განმწყობად შენდა გაქუნდეს ღმერთი³⁴.

106 გიყუარდინ სიმდაბლე, დაღათუ დიდ იყო³⁵, რაათა³⁶ აშპაღლდე³⁷ დღესა მას სასჯელისასა.

107 ნუ ჰკდემ კაცსა, და ბოწი არა გაქუნდეს³⁸ ყოველსა შინა ცხოვრებასა³⁹ შენსა.

¹ ტადარ]—D. ² ღმრ CD. ³ ყოფა C. ⁴ შეზვებლდ BC. შეხავებლდ D. ⁵ სმრდისო CD. ⁶ ლოცვა C. ⁷ მოართუათ D. ⁸ საიდუმლოჲსა B. საიდუმლოჲსა C. ⁹ მოაღუებ B. ¹⁰ ღმრ CD. ¹¹ განისწავლები BCD. ¹² მამა C. ¹³ გასწავლის BC. ¹⁴ ქველიმოქმედი D. ¹⁵ უბატიო BD. უბატიო C. ¹⁶ აღსუბუქენ A. აღსუბუქენ B. აღსუბუქენ C. ¹⁷ საგუშმელთგნ B. საგუშმელთგნ CD. ¹⁸ ოდენიარა C. ¹⁹ მიამსგავსენ B. მიამსგავსენ D. ²⁰ და]—BCD. ²¹ მცირედსა]—BCD. ²² დაპრთვიდეს]—BCD. ²³ შინა] + შეიძინებდეს C. ²⁴ შეიკრებს D. ²⁵ სატკივარობასა C. ²⁶ ნუოდეს] ნუვის D. ²⁷ განრისხნების D. ²⁸ საგუშმელი C. —გუშმელი D. ²⁹ ყოვლსა BC. ყოვლსა D. ³⁰ უცხოასათა B. უცხოასათა C. უცხოასათა D. ³¹ სხუათა C. ³² აშპარტავანებასა D. ³³ ნუსადა A. ³⁴ ნუსადა წინა-განმწყობად შენდა გაქუნდეს ღმერთი]—BCD. ³⁵ გიყუარდინ სიმდაბლე დაღათუ დიდ იყო]—BCD. ³⁶ რაათა] + არ BC. ³⁷ არა ჰმღლდე B. ³⁸ გაქუნდეს C. ³⁹ ცხოვრებასა D.

108 რაჟამს ეკლესიას იყო, ნუ განსცხრები¹, რამეთუ წინაშე მეფისა მდგომნი არცა იცინიან, არცა განსცხრებიან.

109 ნუ უგულუბელს-ჰყოფ ცხორებასა² შენსა, ნუცარას³ იქმ უკრძალველად გარეგან შჯულისა⁴, რაათა არა მიემთხვო უსჯულოთავე⁵ წარსაწყმედელსა.

110 (291) ყოვლითა კრძალულებითა იქსენებდ თქუმულთა ამით, რაათა ცხორებაა შენი ბრწყინვალედ გამოაჩინონ.

111 ებაცვე განკრძალულსა ცხორებასა⁶, რაათა კადნიერება⁷ გაქუნდეს⁸ მოქცევად მცოდველთა. ნუვის პრისხავ ცუდად, რაათა არა დაისაჯო⁹, ვითარცა მალალცნობაა¹⁰

112 ნუ ეცინი დაცემასა ზედა სხვასა, რაათა არა საცინელ იქმნე მათდა, რომელთაგან არა გნებავს.

113 დაიცვენ¹¹ სწავლანი ესე, რაათა გვრგვინი დიდებისა¹² მოგატყუან¹³ ზენ.

114 ექმენ მყრობელ მცნებათა ამით, რაათა წარმოგადგინონ შენ წარჩინებულად წინაშე კაცთა, და სათნოდ ღმრთისა¹⁴; რამეთუ ესრეთ მოიმაძღვების¹⁵ ღმერთი.

115 მარადის მოსწრაფე იყავ წარმართებად კეთილთა საქმეთა.

¹ განსცხრები C. ² ცხვრებასა C. ³ ნუცარას B. ⁴ სჯულისა BC. სჯულისა D
⁵ უსჯულოთავე D. ⁶ ცხოვრებასა CD. ⁷ კადნიერება C. ⁸ გვეწენდეს C. ⁹ დაისაჯო B
¹⁰ მალალ ცნობა C. მღლ ცნობა D. ¹¹ დაიცვენ B. ¹² დიდებისა—A. დიდებისა C
 დბისა D. ¹³ მოგატყუან B. ¹⁴ და BCD. ¹⁵ მოამაძღვების B.

ლექსიკონი

- აღზუაგება (4¹) გაამპარტაგენბა.
 აღრევა (8) შერევა.
 აღურ-სხმა (19) ალაგმვა, დამორჩილება.
 აღძრვა (47) მღელვარება, აღბორგება.
 ბოროტ-ი 1) (51, 92) ცუდი.
 2) (71, 77, 96) ცუდი, არაკეთილი.
 3) (21, 90) ცბიერი, ვერაგი.
 4) (70) ბოროტება, მანკი.
 5) (82) დემონური.
 ბრკუმა (26) ბორძიკი.
 განვრცობა (69) გადაწვდენა.
 განკრძალულ-ი (111) ბატიოსნად დაცული.
 განრომა (66, 102) თავის დაღწევა.
 განსწავლა (98) გაწვრთნა, აღზრდა.
 განცდა (64) მიხედვა.
 განცხადებულ-ი (85) ცხადი, საჩინო, გამოჩენილი.
 განცხრომა (108) მხიარულება, გართობა.
 განწირვა (71) სასოწარკვეთილება, უიმედობა.
 განხილვა (10) ხელის შეხებით გასინჯვა, შემოწმება.
 გარეგან (75, 109) გარეშე.
 გარე-მიქცევა (26) მიბრუნება.
 გაჩნა (74 და სხვ.) მაგრამ.
 გემოვნება (23) სიამოვნება.
 გონება || ჰგონე (33, 54, 64, 70, 94) მიჩნევა, აღიარება.
 გონება 1) (18, 21, 46, 70, 79) გონება.
 2) (56) აზრი, განზრახვა.
 გულს-სიტყუა (21, 42, 44, 63, 93) აზრი, განზრახვა.
 დაგება (30) შერიგება, შეწყალება.
 დადგრომა 1) (81) დარჩენა.
 2) (100) გაჩერება, დარჩენა.
 დამბადებელი (62) შემქმნელი.
 დამდაბლება (73) თავმდაბლურად მოქცევა.
 დამთხუწვა (58) შეხვედრა.
 დართვა (101) მიმატება, დამატება.

¹ ფრჩხილებში ჩასმული ციფრი უჩვენებს, რომელ გნომში გვხვდება გასამარტავი სიტყვა.

დაუცხრომელად (87) შეუსვენებლად, განუწყვეტილად.

დაღათუ 1) (55) თუ.

2) (105, 106) თუნდაც, კიდევაც რომ.

დაცხრომა (45) შეწყვეტა.

დაჯხნა (52) დაუძღლორება.

დრკუ (45) მრუდი, უსწორო; ცუდი.

(„არა დასცხრომის გონებაა შობად გულის-სიტყუათა; ხოლო შენ დრკუ-თა მარგლიდ, და კეთილთა იმუშაკებდ“).

ეხევითარ-ი (84) ასეთი, ამნაირი.

ვიდრემე (38) ხომ.

ვითარცა (98 და სხვაგანაც) როგორც.

ვინაჲ (63) ამიტომ.

ვნებული-გემოვნება (42) სრული განცხრომა, ავხორცობა.

ზედა-მდგომელობა (2) თავს დადგომა.

ზედაჲზედა (21) განუწყვეტილად, ზედიზედ.

ზიარება (31, 76) ურთიერთობა.

ზმნილობა (73) მოჩვენებითობა, სიყალბე.

ზოგთა ვიეთმე (73) ზოგს ვინმეს, ზოგიერთს.

ზრახება (96) რჩევის მიცემა.

ზრახვა 1) (63) ლაპარაკი.

2) (63) საუბარი.

ზღუდე (28) კედელი.

თავს-დება (96) კისრება.

თანა-ღმობა (75) თანაგრძნობა.

თანა-ღმობილ-ი (77) თანაგრძნობი, გულშემატკივარი, მსურველი გამოსწორებისა.

თანამდებ (79) მოვალე

თანამეტომე (103) ერთი ტომისა, თვისტომი.

თანა-მზრახველ-ი (96) მრჩეველი.

თანა-მოსაყდრე (94) თანამდგომი.

თანა-მოსაჯული-ი (76) მფარველი, დამცველი.

თანა-რბევა (38) მისწრაფება.

თივა (10) ბალახი.

თნება (17) მოწონება.

თჳნიერ (92) გარდა, გარეშე.

კადნიერება (111) გაბედვა, შემართება.

კდება (15, 107) დაცინვა, შერცხვენა.

კერძოსრული-ი (83) ნახევრად შესრულებული, დაუმთავრებელი.

კმაყოფიელობა (33) კმაყოფილება, უხვობა, უზრუნველყოფა, თვითდაკმაყოფილება.

კრება (80) ღვთისმსახურება, წირვა.

კრძალვა (12, 15) სიფრთხილე.

კრძალულება (110) მოკრძალება.

ღმობიერება (28) გულმტკივნეულობა.

მადლ-ი (72) წყალობა.

მარხვა (28) მარხვა пост.

- მაღალცნობა (111) ამაყი, ქედმაღალი.
- მგულებელ-ი (62) განზრახველი, განზრახვის მქონე.
- მდაბლობა (73) თავმდაბლობა.
- მეორედ-ი (93) მეორეხარისხოვანი, ნაკლებ მნიშვნელოვანი.
- მეუსამართლოე (65) დამჩაგვრელი, შემაწუხებელი.
- მზრახვალ-ი (63) იხ. ზრახვა.
- მიდრეკა (63) განზე გადგომა.
- მიერ (44, 91) იქედან.
- მილტოლვა (65) მიმართვა, მისწრაფება.
- მიმდემ (1ხ) მიდევნებით, შეუწყვეტლად.
- მიმთხუევა (109) შეხვედრა.
- მიქცევა (65, 91) მიბრუნება, გადასვლა.
- მლტოლვარე (64) სწრაფად წარმავალი.
- მოგება 1) (70, 89) მოპოვება, შეძენა.
2) (61) მოპოვება შრომა-მოღვაწეობით.
- მოგონება 1) (50, 62, 72) გაფიქრება, განზრახვა.
2) (51) აზრი, ზრახვა.
- მოკიდულ-ი (75) მიკედლებული, დამოკიდებული, მიმხრობილი.
- მოკრძალვა (43) დაცვა, შემოზღუდვა.
- მომლონებელ-ი (რ2) შემქმნელი.
(„და ხატად თუსსა წმიდად მომლონებელისა შენისაჲ“).
- მოხთულა (54) შეკრება.
- მოხწრაფე (78, 115) მონდომილი.
- მოხწრაფება (60, 91) მცდელობა, მისწრაფება.
- მოხწრაფე ყოფა (86) სწრაფვა, მიშურება.
- მოტყუება (113) მოგვრა, შეძენა.
- მოქცევა (111) გამოსწორება, ცული საქმისაგან მოშორება.
(„რათა კადნიერებაჲ გაქუნდეს მოქცევიად მცოდველთა“).
- მოყუას-ი (74) ახლობელი.
- მოჯდომა (42) მოსვლა.
- მხოობა (40) აღრე აღგომა და წასვლა.
- მუნ (44) იქ.
- ნავთ-საყუდელ-ი (4) ნავთსადგური.
- ნავის დანთქმა (4) ხომალდის დამსხვრევა, ჩაძირვა.
- ნუ ხადა 1) (15) რათა არასოდეს.
2) (4) რათა არა.
3) (86) რაიმე მიზეზით.
4) (64) ხომ არ.
- ოტება (103) განდევნა, მოშორება.
- პატივ-ი (68) ღირსება.
- პირველ (6, 89) პირველად, უწინარეს, წინასწარ.
- რამეთუ (96 და სხვაგან) ვინაიდან, რადგან, იმიტომ რომ.
- რიდება (2^რ) გაფრთხილება; შეკავება.
- საბანელ-ი (28) აბანო.
- საგუშმელ-ი (99) სასჯელი.

ხადმე (99) ოდენმე.

(„აღსუბუქენ სადმე საგუმეღისაგან უკუეთუ ოდენ განპბრძნდ“)

საზოგადო (13, 57) საერთო.

საზომ-ი (36) ზომიერება; ზომიერების ფარგლები.

სამართლად (99) სამართლიანად.

სამჭედურ-ი (66) ანკესი; მისატყუებელი, სატყუარა.

სასმენელ-ი (43) ყური.

სასყიდელ-ი (6) მისაზღვეველი, ჯილდო.

სასჯელ-ი (99) გასამართლება, განსჯა.

სატკივარობა (102) სიმწვავე, სიძნელე, სიმძიმე სასჯელისა.

საწუთო 1) (41) წუთიერი, დროებითი.

2) (10, 87, 91) წარმატალი ცხოვრება.

2) (66) ამქვეყნიური.

საჭურველ-ი (8) იარაღი.

სახედველ-ი (43) თვალები.

სახელის-დება (16) სახელის წოდება.

საჭმარ-ი (31) საჭიროება.

სიზორგილე (36) სიცოფე, სიშმაგე.

სიზოროტე (82) სიცუდე, მანკიერება.

სიმდაბლე (73) თავმდაბლობა.

საფრთხილე (17) სიფხიზლე.

სოფელ-ი (100) ქვეყანა; ამქვეყნიური ცხოვრება.

სრბა (87) სირბილი; სწრაფვა.

სრულება (5) სისრულე, სრულყოფილობა.

სტადიონ-ი (87) ასპარეზი, მოედანი.

სწავლა (113) სწავლა-დარიგება, რჩევა.

სწორ-ი (68) თანასწორი.

სწრაფვა (100) ცდა, გულმოდგინება.

ტევება (70) გაშვება, მიშვება.

უაღრეს-ი (12) უმაღლესი, აღმატებული.

უდებება 1) (70) სიზარმაცე.

2) (90) დაუდევრობა.

უვაკობა (14) უსწორმასწორობა, უთანაბრობა.

უკრძალველად (109) განურჩევლად.

უკუეთუ (50 და სხვ.) თუ, უკეთუ.

ურგებ-ი (88) უსარგებლო.

ურვეულ-ი (72) შეწუხებული, შეჭირვებული, სულით დაცემული.

უხჯულო (109) უწყისო; წყის, კანონის დამრღვევი.

უპაველ-ი (68) შეუცვლელი; დაურღვეველი.

უმის (24, 57, 73) ესაჭიროება, მართებს, სჭირდება.

ქველის-მოქმედ-ი 1) (35) მარგებელი, სასარგებლო.

2) (98) კეთილისმყოფელი.

ქცევა (100) ბრუნვა, ტრიალი.

ღუწოლა (47, 89) ზრუნვა.

შემამრღუწველ-ი (91) მღვრიედ გადაშქცევი.

შემზადება (39) მომზადება, მოწყობა.

- შემოკლება (35) შემცირება.
 შერაცხა (93) მიჩნევა, ჩათელა.
 შესმენა (14) ცილის დაწამება.
 შექლომა (49) შესვლა.
 შუშა 1) (25) ფუფუნება.
 2) (49) სიამოვნება.
 შუშულემა (47) ფუფუნება, განცხრომა.
 შჯულ-ი (5, 90, 109 და სხვ.) კანონი.
 ცონა (74) დაზარება.
 ცხებულ-ყოფა (76) გადატ. მნიშვნ: წაქეზება.
 ცხორება 1) (110) სიცოცხლე.
 2) (109) ცხოვრება.
 ძლიერება (66) ძალის ქონება, მბრძანებლობა, ბატონობა.
 ძლით (14) გამო.
 ძვრის ზრახვა 1) (103) ცუდის თქმა.
 2) (77) გაკიცხვა, დაძრახვა, დაგმობა.
 წამება (1) მოწმობა.
 წარსაწყმედელ-ი (109) დასალუბავი დასაკარგავი.
 წერილ-ი (54) წიგნი.
 წინა-განმწყობ-ი (105) მოწინააღმდეგე.
 წურთა (21) სწავლა-დარიგება.
 წულულემა (76) გადატ. მნიშვნ: ცუდი საქმე, ბოროტმოქმედება.
 ჭირ-ი 1) (7) გაჭირვება, მწყუხარება.
 2) (89) საჭიროება, აუცილებლობა.
 ჭვრვა (8) ყურება.
 ხატ-ი (62) სახე.
 ხსენება (18) მოგონება.
 ჭუმევა (1) ხმარება, გამოყენება.
 ჯერ-ყოფა (87) საჭიროება.

ნ. შანჩავაძე

ალალარ ხანის წერილები მ. არლუთინსკი-დოღოგორუქისადმი

(ენობრივ-პალეოგრაფიული მიმოხილვა)

წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს, შეისწავლოს დაღესტნური წარმოშობის არაბული დოკუმენტების ერთი ჯგუფი, რომელიც დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში¹. დოკუმენტები წარმოადგენენ ლაზილუმუქელი ალალარ ხანის წერილებს მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოღოგორუქისადმი².

დაღესტნური წარმოშობის არაბული დოკუმენტებისა თუ ხელნაწერების შესწავლა-გამოცემის საქმეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აკად. ეგ. კრაჩკოვსკი. მან პირველმა მიუთითა ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არაბულ წერილობით ძეგლთა დიდ მნიშვნელობაზე. ნაშრომში „Арабская письменность на Северном Кавказе“ იგი წერს: „Исключительное и едва ли не наиболее важное значение за период XVIII—XIX вв. имеют арабские источники, относящиеся к Кавказу. Их основное преимущество в том, что являются источниками не со стороны, а возникли в той самой среде, которой посвящены“³. და შემდეგ: „Нужно положить начало опубликованию этих памятников“⁴.

საერთოდ დაღესტნური წარმოშობის ისტორიული ძეგლების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ისტორიული, არამედ წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. ამგვარ ძეგლებზე მუშაობა აშკარას ხდის და ავლენს დაღესტნური არაბულისათვის დამახასიათებელ რიგ თავისებურებებს, რთაც იგი განსხვავდება კლასიკური არაბული ენის ნორმატივებისაგან. როგორც აკად. გ. წერეთელი აღნიშნავს: „იმ თავისებურებებისა და გზების გასათვალისწინებლად, რომლითაც ვითარდებოდა არაბული ენა კავკასიის მთიანეთის პირობებში, საყურადღებოა ჩრდ. კავკასიური წარმოშობის ყოველი არაბული ძეგლი, დამოუკიდებლად მისი შინაარსისა“⁵.

¹ დოკუმენტები ჩამოტანილია ჩრდილო კავკასიიდან. შეიძინა იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებამ აკად. გ. წერეთლის მეშვეობით.

² აქ წარმოდგენილია წერილების ენობრივ-პალეოგრაფიული ანალიზი; ხოლო არაბულ ტექსტს, თარგმანსა და კომენტარებს ვამზადებთ გამოსაცემად.

³ И. Ю. Крачковский, Избр. соч., т. VI, гл. 560.

⁴ იქვე, გვ. 570; განსაკუთრებით საყურადღებო და საინტერესოა დაღესტნური არაბული ხელნაწერებისა თუ დოკუმენტების შესწავლისადმი მიძღვნილი მთელი რიგი ნაშრომები ეგ. კრაჩკოვსკისა და გ. წერეთლის. აგრეთვე ა. ბარაბანოვის, ა. გენკოსი, თ. მარგველაშვილის და სხვ.

⁵ გ. წერეთელი, შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი, საქართველოს მხელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. IXB (1), თბილისი, 1936, გვ. 103.

ხელნაწერთა ინსტიტუტში (ყოფ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში) დაცული დაღესტნური წარმოშობის არაბული დოკუმენტების შესწავლას რიგი შრომები მიეძღვნა: აკად. გ. წერეთლისა— „შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი“⁶, მისივე *Вновь найденные письма Шамиля*⁷, თინათინ მარგველაშვილისა— „საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან დაღესტნური წარმოშობის ერთი არაბულენოვანი საბუთის მიხედვით“⁸, ე. სიხარულიძისა— „ნაიბ ჰაზუს წერილები ბარონ ნიკოლაისადმი“⁹.

აღალარ ხანის წერილები ყურადღებას იქცევენ იმით, რომ ისინი წარმოადგენენ პირველწყაროს— შეიცავენ გასული საუკუნის 40-იან წლებში მეფის რუსეთის წინააღმდეგ დაღესტნელთა ცალკეული საბრძოლო ეპიზოდების დაწერილებით ინფორმაციას. კერძოდ, აღწერილია ქუთისის, ქამაშის ბაჰიკლას, ქუმის, ქუხისა და სხვ. ბრძოლები. წერილები შემდეგი წლებსაა, 1263 წ. (1 ც.), 1264 წ. (4 ც.), 1265 წ. (8 ც.), 1266 წ. (17 ც.)— პიჯრით, რომლებიც მოიცავენ ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1846-50 წლებს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული¹⁰, ეს არის ხანა შამილის მიერ სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა და მისი წარმატებითი ბრძოლებისა.

რამდენადაც ზემოაღნიშნული წერილები საკმაო რაოდენობის ფაქტობრივ ისტორიულ მასალას შეიცავენ იმდროინდელი პოლიტიკური თუ ეკონომიური ვითარების (ცალკეული საომარი ოპერაციები და ეპიზოდები, ტყვეების გაცვლა-გამოცვლის, ვაჭრობის, გადასახადების აკრეფის საკითხები) თვალსაზრისით, მათი გაცნობა გარკვეულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს.

წერილების ავტორი აღალარ ხანია— ლაზი-ლუმუქის სახანოს მმართველი, გენერალ-მაიორი, მეფის რუსეთის საიმედო ძალა დაღესტნელთა დამორჩილების საქმეში. ხოლო ადრესატი— მთავარსარდალი მოსე ზაქარაიას ძე არღუთინსკი-დოლაგორუკი, გენერალ-ადიუტანტი, რომელსაც დაღესტანში სხვადასხვა მალალი სამხედრო-ადმინისტრაციული თანამდებობა ეკიბრა.

ამ წერილების დამწერის ვინაობის შესახებ ცნობები არა გვაქვს. ვიცით მხოლოდ, რომ ერთ ხანს აღალართან მდივნად მსახურობდა მუჰამედ-მირზა, რომელიც წარმოშობით აულ ქუხიდან იყო. მურიდების მიერ ქუხის დაპყრობის შემდეგ იგი ღუშუქში გადასულა და აღალართან დაუწყია სამსახური. სარგებლობდა ხანის დიდი ნდობითა და პატივისცემით¹¹. თუ სარწმუნოა

⁶ იქვე, გვ. გვ. 103—120.

⁷ Труды Первой сессии Ассоциации арабистов, М.—Л., 1937, стр. 95—112.

⁸ ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, II, გვ. 95—104.

⁹ ნაშრომი ხელნაწერის სახით ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში.

¹⁰ С. К. Бушувев, Борьба горцев за независимость под руководством Шамиля, М.—Л., 1939., გვ. 64; Г.—А. Д. Даниялов, к вопросу о социальной базе и характере движения горцев под руководством Шамиля, დაბეჭდილია საკავშირო აკადემიის დაღესტნის ფილიალის სესიის მასალებში— О движении горцев под руководством Шамиля, მახაჩკალა, 1957, გვ. 46; Х. М. Хашаев, Движущие силы мюридизма в Дагестане, დაბეჭდილია იქვე, გვ. 77.

¹¹ А. Омаров, Воспоминания муталима, ССКГ, вып. II, Тифлис, 1869, გვ. 19.

როგორც ზემოხსენებული ავტორების ნაშრომებიდან ირკვევა, მათ მიერ შესწავლულ ჩრდილოკავკასიურ არაბულ დოკუმენტებსა თუ ხელნაწერებში „ზამირ იშარა“ საკმაოდ მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი¹⁷. სწორედ ამ მრავალგვარობამ გამოიწვია ა. ბარაბანოვის მიერ ფუნქციების მიხედვით მათი ოთხ ჯგუფად დაყოფა¹⁸, რაც, როგორც თ. მარგველაშვილმ შენიშნავს¹⁹, ხელოვნური ჩანს.

ალალარის წერილებში „ზამირ იშარა“ შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

ა) სტრიქონს ზევით: 1 —, 2 —, 3. —, 4. —, 5. —, 6 —, 7 —, 8. —, 9. —;

ბ) სტრიქონს ქვევით: 10 —, 11. —, 12 —, 13. —, 14 —, 15 —, 16 —, 17. —, 18 —, 19 —

(ჩამოთვლილიდან ზოგიერთი ნიშანი საერთოა ორივე შემთხვევისათვის).

აქ აღრიცხული „ზამირ იშარადან“ ცალკე უნდა გამოიყოს № 1 ნიშანი, რომელიც არსებითად განსხვავდება სხვა ნიშანთაგან. ამ ნიშნით იწყება ყველა ახალი წინადადება, ახალი აზრი. იგი იწერება წინადადების დასაწყისში პირველი სიტყვის თავზე. ზოგჯერ ამ ნიშანს აბზაცის ჩვენების ფუნქციაც აქისრია. ამ შემთხვევაში იგი იმავე დანიშნულებას უნდა ასრულებდეს, რასაც ძველ ქართულში საზედაო ასო:

ثم ان كنتم تعجبون على عدم خبر تحركه... فقتل من رجاله هناك بناءً على ما يقوله بعض الناس ثلثون رجالا... ولكن العلم بالحقيقة عند الله... فهذا حصل (Ard—79)

(სიტყვებს ثم, فقتل და فهذا—თავზე აწერია ზემოხსენებული ნიშანი № 1).

„შემდეგ, ჭეშმარიტად განცვიფრებული ხარო მისი წასვლის შესახებ ამბის უქონლობით... მათი კაცებისაგან დაიხილნენ, იმის საფუძველზე, რასაც ზოგნი ამბობენ, სამოკდაათი კაცი, თუმც, ჭეშმარიტი ცოდნა ალაჰთანაა... ეს არის, რაც მათ დაემართათ“.

დალესტნის ენის, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტში არაბული ხელნაწერების ფონდში ინახება კალიგრაფიულად მეტად ლამაზად შესრულებული 1828 წელს გადაწერილი ყურანი (გადამწერი უცნობია), რომლის ამი-ებზე მიწერილია ცნობილი შეიხის ჯემალედინ ჰუსეინ დაზილუმუქელის კომენტარები. ყოველი კომენტარის დასაწყისში სიტყვას თავზე უზის № 1

¹⁷ „ზამირ იშარას“ რაობისა და ფუნქციების შესახებ მსჯელობა საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი ზემოხსენებული ავტორების ნაშრომებში, ამიტომ აქ ამაზე არ შეეჩერდებით.

¹⁸ А. М. Баранов, დასახ. ნაშრ., გვ. 184—186.

¹⁹ თ. მარგველაშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 215.



ნიშანი. ამავე ინსტიტუტის თანამშრომლის კ. მ. ბარკუევის ცნობით მას

إشارة المبتدأ (= დასაწყისის ნიშანი) უწოდებენ. ვფიქრობთ, იგი სიტყვა

مبتدأ-ის²⁰ გრაფიკული სახესვავაა.

რაც შეეხება ყველა დანარჩენ „ზამირ იშარას“, მათ სრულიად სხვა ფუნქციები აქვთ (აღნიშნავენ ქვემდებარის, შემასმენლის, პ. დამატების, ვითარების, დროის, ადგილის გარემოებების, ნაცვალსახელოვანი სუფიქსებისა თუ ცალკე მღვთი პირის ნაცვალსახელების დაკავშირებას)²¹, გარდა — ნიშნისა, რომელიც, როგორც ცნობილია²², იხმარება წინადადების ერთგვაროვანი წევრების, ან ერთგვაროვანი წინადადებების ჩამოთვლისას. წინამდებარე მასალაშიც იგივე დასტურდება. იმავე კ. მ. ბარკუევის ცნობით, ამ ნიშანს

إشارة العطف უწოდებენ. როგორც ჩანს, გრაფიკულადაც იგი عطف-სიტყვის განვითარებაა²³.

აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე „ზამირ იშარა“ ერთსა და იმავე წერილში სხვადასხვა ზომითაა ნახმარი (იგივე დასტურდება დადესტნის ენის, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის არაბულ დოკუმენტებშიც). ამ შემთხვევაში ნიშანთა ზომა არ ცვლის მათ ფუნქციებს.

მაგალითად:

فبتاً على ذلك أمرت لاهالي محلة وقرى في هذه الطرف من النهر بنقمة الى واحدة من قرىتي كركلي او كمي... وكتبتم اليكم الكواغد بالامر بذلك وبالنصح بما رأيته وبالتهديد بما علمته (Arid—84)

(სიტყვებს ამრთ თავზე აწერია № 3 ნიშანი დიდი ზომისა, ხოლო სიტყვებს, *بالامر*, *بالنصح*, *بالتهديد* — იგივე ნიშანი პატარა ზომისა.)

„ამის საფუძველზე, ვუბრძანე მდინარის ამ მხარეს (მცხოვრებ) *وقرى*-ის

მაპალის ხალხს გადასახლება ერთ-ერთში ორი აულიდან: *كركلي*-სა ან *كمي*...-ში... მივწერე მათ წერილები ამ ბრძანებით და (იმ) რჩევით, როგორცაც ვფიქრობ და (იმ) მუქართ, როგორც ვიცი“.

დიდი — ნიშნით ავტორმა დაუკავშირა ერთმანეთს შემასმენლები — „უბრძანე“, „მივწერე“; ხოლო პატარა — ნიშნით — პირდაპირი დამატებები — „ბრძანებით“, „რჩევით“, „მუქართ“.

რაც შეეხება „ზამირ იშარას“ ნიშანთა მოხაზულობას, როგორც თ. მარგველაშვილი შენიშნავს, მათი გრაფიკა და რიცხვი ზუსტად დადგენილი არა-

²⁰ ეს ტერმინი არ უნდა ავურიოთ გრამატიკულ ტერმინ მბთდა-თან, რაც ქვემდებარეს აღნიშნავს.

²¹ А. М. Барабанов, დასახ. ნაშრ., გვ. 184; თ. მარგველაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 212.

²² А. М. Барабанов, იქვე, გვ. 200—206; თ. მარგველაშვილი, იქვე, გვ. 215.

²³ ამ თვალსაზრისით სპეციალურ შესწავლას მოითხოვს საკითხი, თუ რომელი სიტყვიდან მომდინარეობენ „ზამირ იშარას“ ის ნიშნები, რომელთაც არაბული ასოების მოყვანილობა აქვთ, მაგ., م (س) და س (م) და სხვ. ხოლო ამ საკითხის გარკვევის შემდეგ, ალბათ, შესაძლებელი გახდება „ზამირ იშარას“ წარმოშობის საკითხის დადგენაც.

სოდეს ყოფილა²⁴. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება წინამდებარე მასალის „ზამირ იშარა“, რომელიც ა. ბარაბანოვის მიერ აღწუსებული ამხსნელი ნიშნებისაგან ძირითადად განსხვავდება მოხაზულობითაც და რაოდენობრივადაც.

2. დიაკრიტიკული „ დიაკრიტიკულ „ო-თან“²⁵ (d—66, 72) ერთად ჩვენს მასალაში გვხვდება აგრეთვე დიაკრიტიკული „, რომელსაც ქვეშ სამი წერტილი აქვს:

ثم انكم كنتم كتبتم الينا في كاغذكم الشريف بانه لو كانت الجراحات قد حصلت في المقابلة لما تفكرتم بها الخ فيا ايها العالي بالجاه انه لو كانت هذه الجراحات حصلت بنا في المقابلة لكننا راخمين بها اشد الرضاء (Ard. 75)

(სიტყვებში ან და ან—ს-ს ქვეშ სამი წერტილი აქვს.).

„შემდეგ, ქეშმარიტად თქვენ მოგვწერეთ თქვენს კეთილშობილურ წერილში, რომ ეს ქრილობები ბრძოლაში რომ ეოფილიყო მიღებული, ნამდვილად არ იფიქრებდით მათზე. და ა. შ. ო, თქვენო აღმატებულებავ, რომ ეს ქრილობები ჩვენ ბრძოლაში მიგველო, ნამდვილად ძალიან კმაყოფილნი ვიქნებოდით“.

وبانه لا يرجع الا بفعل شيء ما و الا بعد ايقاع افساد ما كما انه كان خارج في هذه السفر بالتدبير العظيم بتغير تديره بتلك المقابلة الواقعة في قرية كمشي (Ard. 66)

(ან-ში ა-ს ქვეშ სამი წერტილი აქვს).

„...და რომ არ დაბრუნდება იგი, ვიდრე არ მოიმოქმედებს რასმე და ვიდრე არ ჩამოაგდებს რაიმე შფოთს, ისე როგორც გავიდა იგი ამ ლაშქრობაში მნიშვნელოვანი მოთათბირების მიზნით, შემდეგ კი შეცვალა თავისი თათბირი აულ კმში-ში მომხდარი იმ ბრძოლით“.

მოყვანილი მაგალითების სიმციროს მიუხედავად შეიძლება დავასკვნათ, რომ დიაკრიტიკული „ აღნიშნავს III პ. მამრ. სქესის ნაცვალსახელოვანი სუფიქსის „-ს ხმარების იმ შემთხვევას, როდესაც იგი წარმოადგენს القصة-ის.

²⁴ თ. მარგველაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

დალესტნის ენის, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ერთ-ერთ ხელნაწერში

²⁵ شرح العضوية, რომელიც გადაწერილია თგორ-ში შები-ის მიერ 1908 წელს, „ზამირ იშარა“ მრავლად არის წარმოდგენილი. გამოყენებულია როგორც ძირითადი სახე, რომელიც „ზამირ იშარასი“, ისე მისგან წარმოებული ნაიოსახეობაც:

—ع, ع, ع, ع (عطف) (შდრ.);

—ع, ع;

—ع, ع, ع;

—ع, ع;

—ع, ع, ع და სხვ.

²⁶ დიაკრიტიკული „-ის შესახებ იხ. ა. ბარაბანოვის დასახ. ნაშრ., გვ. 212—142; თ. მარგველაშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 217.

3. შენიშვნები გახმოვანების შესახებ. წინამდებარე მასალის შესწავლისას შემდეგმა ფაქტმა მიიქცია ჩვენი ყურადღება: ზოგიერთ სიტყვას ზემოდან უხის არაბული „ორის“ გამომხატველი გამოსახულების მსგავსი ნიშანი ζ , რომელიც მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში გვხვდება. ერთი შეხედვით, თითქოს ის „ზამირ იზარას“ რივისა უნდა იყოს, მაგრამ მისი ხმარების შემთხვევების ზუსტი აღნუსხვის შემდეგ ვაირკვა მისი რაობა.

ნიშანი ζ კომბინირებულია და მიღებულია ორი ქათჰას გადაბმის შედეგად: პირველი ქათჰა კუთხით დახრილია სტრიქონისაკენ, ხოლო მომდევნო ქათჰა გრძელ ხმოვანს აღნიშნავს და ამიტომ საერთო წესის თანახმად ვერ-

ტიკალურად იწერება. მაგ.: ζ ζ ζ ζ ζ
 არის მაგალითები, სადაც ერთმანეთზე გადაბმულია ა) დამმა და ქათჰა,

ბ) ქათჰა და დამმა; გ) ორი დამმა²⁶.

ცალკეა ერთადერთი მაგალითი, სადაც ორი ქესრია ერთმანეთზე გადაბმული.

ნებისმიერი ჩანს გახმოვანება: ზოგჯერ მთელი სიტყვა სრულად არის გახმოვანებული, ხან ნაწილობრივ. ნებისმიერია აგრეთვე თეშდიდისა და თენვინის აღნიშვნა.

4. საინტერესო ჩანს ზოგიერთი ასოს დაწერილობა, პირველ რიგში ζ -ის. ჩვენს წერილებში ζ -ს ზემოთ წერია ნიშანი ζ ²⁷. იგი ჩვეულებრივ განასხვავებს „სინის“ გაშლილი და გაუშლელი, ანუ კბილებიანი სახით დაწერილობას. გაშლილი ხაზიანი „სინი“ ხან ზემოხსენებული ნიშნით წერია (d—66, 79), ხან უმისოდ (d—31, 67). აღსანიშნავია, რომ „სინს“ ζ ნიშანი მაშინაც აქვს, როდესაც იგი კბილებით წერია და მოსალოდნელი არ იყო მისი აღნიშვნა. ამ ნიშნის ხმარება ζ -ზე ნებისმიერი ჩანს. შესაძლოა, უფრო ხშირად ζ უკბილებოდ იწერებოდა ამ ნიშანთან ერთად და როცა კბილებიანი ζ -ს წერდნენ, ანალოგიით ამ ნიშანს უკეთებდნენ.

ჩვეულებრივ ζ -ს ოთხნაირი მოხაზულობა აქვს. აქ კი იგი გვხვდება ყველა მდგომარეობაში მხოლოდ ერთი სახით ζ : ζ , ζ , ζ , ζ და სხვ.

ჰაიპევესი მარცხნივ და ორმხრივ გადაბმული მხოლოდ ζ სახითაა: ζ , ζ და სხვ. დანარჩენ შემთხვევაში მისი დაწერილობა არ განსხვავდება ჩვეულებრივისაგან.

არავითარი თანმიმდევრობა არ არის დაცული ჰამზის აღნიშვნაში: ζ , ζ (d-24)—მაგალითების გვერდით არის „უჰამზო“ მაგალითებიც: ζ ζ (d-23); ζ (d-24); ζ (d-77) და სხვ.

²⁶ უნდა აღინიშნოს, რომ დაღესტნის ვნის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ერთ-ერთ არაბულ დოკუმენტში სამი ნიშანიც კი იყო ერთმანეთზე გადაბმული: სიტყვებში ζ ζ — ქათჰა, სუქუნე და დამმა (იხ. Документы, собранные Нурмагометовым, опись № 1—2).

²⁷ სხვა ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არაბულენოვან ძეგლებში „სინს“ ახლავს აგრეთვე ნიშანი V (იხ. ა. მარგველიაშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 218).

შეიმჩნევა ცდა ალფის მარცხნივ გადაბმისა (თუ შეიძლება ამას „გადაბმა“ ვუწოდოთ): გრძელ ა-ს შემდეგ მარცვალი ალფის თავზე ეწერება; როგორც ჩანს დამწერი კალმის აუღებლად იქვე აგრძელებდა წერას²⁸. ეს შეიმჩნევა არა მარტო სიტყვის შიგნით, არამედ ს ნაწილაკთანაც, რომელსაც მომდევნო სიტყვა თავზე ეწერება.

გრაფიკულ თავისებურებათაგან ყურადღებას იქცევს აგრეთვე ალიფმამ-დულაზე ჩათჰას აღნიშვნა, მაგ., آلآ (d—28); آمر (d—71); آمرت (d—84) და ა. შ.

შეიმჩნევა ლამ-ალფის ან ვერტიკალური ჩათჰას ნაცვლად ანალოგიით ლამზე მედლის აღნიშვნა, მაგ., آل (d—71), آل (d—70).

5. ენობრივ თავისებურებათა შესახებ. ზოგიერთი სიტყვის გახმოვანება არ შეესაბამება კლასიკური არაბულის ნორმებს. თუმც ასეთი მაგალითები ერთეულების სახითაა და, შესაძლებელია, დამწერის შეცდომაც იყოს:

آل —ბორცი	აქ:	آل (d—31);
رَكِب (ა)—შეჯდა (ცხენზე,...)	აქ:	رَكِب (d—79);
بندقة —თხილი; ტყვია.	აქ:	بندقة (d—37);
فَرَح —სიხარული, ბედნიერება	აქ:	فَرَح (d—36);
بعد —შემდეგ	აქ:	بعد (d—83);

გვხვდება „ნარევი მრავლობითი“ (მსხვრეული მრ-ის ფორმა + at) იქ, სადაც კლასიკურ არაბულში მსხვრეული მრავლობითის ფორმაა. მაგ., حَال მრ. أحوال — მდგომარეობა, გარემოება—აქ: أحوالات (d—70). خبر მრ. أخبار —ამბავი, ცნობება, შეტყობინება—აქ: أخبارات (d—70). სიტყვა سلدة -დან (საღდათი) დამწერმა აწარმოვა მდ. სქესის „სწორი“ მრავლობითი (რად-გან სიტყვა س -ზე ბოლოვდება): على امور السلدات (d—24)²⁹. ამის პარალელურად გვხვდება აგრეთვე, ამავე ფორმიდან ნაწარმოები მამრ. სქესის „სწორი“ მრავლობითი: بعض السلداتين (d—22). ფაქტიურად აქ ორმაგი (მამრ. და მდ. სქესის) „სწორი“ მრავლობითის ფორმაა. სიტყვისაგან جاسوس ნაწარმოებია „მსხვრეული“ და „სწორი“ მრავლობითი: جاسوسون (d—30) || جواسيس (d—28); „ოფიცერი“— افسار მრ. أفسرات ³⁰ (ტაჰირ ყარახელის ქრონიკაში

²⁸ შდრ. Н. В. Юшманов, Грамматика литературного арабского языка, Ленинград, 1928 г., სადაც ნათქვამია, რომ „В скорописи неуписавшееся слово заканчивается поворотом вверх“ (გვ. 6).

²⁹ შდრ. И. Ю. Крачковский, Новые рукописи истории Шамиля Мухаммеда Тāхира ал-Қарāшī, Избр. соч., т. VI, гв. 599—600.

³⁰ იქვე, გვ. 600.

ეს მაგალითები აშკარად მიუთითებენ ერთ-ერთი დაღესტნური ენის—
 ლაკურის გავლენის კვალზე²².

მოსალოდნელი ორობითი რიცხვის ნაცვლად მხოლოდობითა შემდეგ მაგა-
 ლიტებში:

الى فوق قرية چكنى و قبي (d-23);

الى محلة وزقى و همچقطى (d-77);

فى طرف ابو خى و محى (d-79)

აქაც უნდა ვივარაუდოთ კავკასიური ენების გავლენა: როგორც ცნობი-
 ლია, ამ ენებისათვის ორობითი რიცხვი უცხოა.

ხშირად თეშდიდიანი კავშირების შემდეგ ქვემდებარე აკუზატივის ნაც-
 ვლად სახელობითშია დასმული:

(d-73) و لكنّ افسدون لا نبذلون مرضى على بذلك الرجل

„თუმც მარბიელებმა არ გადასცვალეს მიწზე ალი იმ კაცზე“.

(d-77) ثمّ انّ افسدون قد احرقوا القرية

„შემდეგ, ქეშმარიტად მარბიელებმა გადასწვეს სოფელი“.

(d-83) انّ المخبرون يخبرونا

„ქეშმარიტად მაცნეებმა შეგვატყობინეს“.

აღრეულობა აგრეთვე ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების ფორმათა-
 ხმარების წესებით:

ა) ქვემდებარე აკუზატივშია:

(d-27) فصدر من النواب التماس

„ნაიბებისაგან სიზარმაცე გამოვლინდა“.

(d-25) وصل لدينا امركم

„მოგვივიდა თქვენი ბრძანება“.

(d-77) قتل من المرادين رجالا كثيرا

„მურიდთაგან დაიხოცნენ მრავალნი“.

(d-37) وكان فى يد كل واحد منهم خشبا واحدا

„თითოეულ მათგანს ხელში ჰქონდა თითო ძელი“.

ბ) პირდაპირი დამატება სახელობითშია:

(d-77) فطلبنا ... كتبة الكاغذ

„ჩვენ ვთხოვეთ წერილის დაწერა“.

(d-72) أرى صلاحاً استبدال

„მართებულად მიმაჩნია გაცვლა“.

²² ლაკურში აღსარიცხი სახელი მხოლოდობით რიცხვშია დასმული. იხ. Л. И. Жирков, Лакский язык, Фонетика и морфология, М., 1955, გვ. 53.

...فقد طاقوا فقد علم المفسدون (d-72);

„როდესაც მარბიელებმა გაიგეს მათი ძალის დაკარგვა“...

حصل له منه ضررا كثيرا جدا (d-85).

„მას ძალიან დიდი ზარალი მოუვიდა მათგან“.

უნდა შეენიშნოთ, რომ საერთოდ აღნიშნული შემთხვევები, რასაკვირველია, არ შეიძლება დადგინდეს არაბულსათვის დამახასიათებელ მოვლენად ჩაითვალოს. შემოაღნიშნული და მსგავსი შეცდომა-დარღვევანი იმაზე მიუთითებენ, რომ აღალარის ამ წერილების დამწერი სუსტად იყო მომზადებული კლასიკურ არაბულში²⁵.

საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: الى (=კენ) ნაწილაკის ნაცვლად ხშირ შემთხვევაში الى (=წინაშე, თან, ახლოს²⁴) იხმარება იმავე მნიშვნელობით:

ارسل الرجال لديهما (d-79)

„მან გაგზავნა ეს კაცები მათთან (ორთან)“.

ذ ذهبوا ليه (d-25)

„ისინი წავიდნენ მასთან“.

فوصله لديكم (d-66)

„ჩვენ გამოგვგზავნეთ იგი თქვენთან“.

... وصل لدينا امركم (d-70)

„მოგვივიდა თქვენი ბრძანება...“ და სხვ.

აქ უნდა გამოირიცხოს ლაკური ენის გავლენა. ცნობილია, რომ ლაკურში გამოიყენებოდა საგნის მდგომარეობისა და მიმართულების გამომხატველი თანდებულები²⁵.

ზმნა هجم على ნაწილაკით ნიშნავს ვინმესთან მივიდა მოულოდნელად, თავს დაესხა ვისმე²⁶. ტექსტში ყველგან გავებულია იგი როგორც „თავდასხმა“ და მოსალოდნელი الى-ს ნაცვლად الى ნაწილაკია მასთან (გარდა ერთი შემთხვევისა — d 85):

هجم الى قرية كمشي (d-79)

„იგი თავს დაესხა აულ კმში“.

جيش الهاجمة الى قرية (d-83),

„აულზე თავდამსხმელი ჯარი...“ და სხვ.

من عند عمر المحمد (d-71), وصل لدينا من عندكم (d-25),

جاء من عند المفسد شمويل الى عند المنسد (d-72).

დასტურდება სიტყვების განმეორება წინადადებებში, რაც უმართებულოა: و امره بالهجوم أولا الى قرية همجتطى لافسادها أولا و لافساد محلة وزقى بعدها

²⁵ შდრ. შამილის აბოლონ რუნოვსკისადმი და ბართონ ნიკოლაისადმი მიწერილი წერილების ენა. იხ. გ. წერეთლის Письмо Шамиля из Калуги, გვ. 113; შამილის წერილები ბართონ ნიკოლაისადმი, გვ. 120.

²⁴ იხ. გ. წერეთლის მიერ შედგენილი არაბულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 228.

²⁵ ვ. თოფჩიანი, ბრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში, საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV, 1940, გვ. 333.

²⁶ გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 271.

(d—70)—„უბრძანა მას თავდასხმა ჯერ აულ همقطى-ზე, რათა თავდაპირველად იგი დაერბია, ხოლო მის შემდგომ კი وزقى-ის მაჰალა“.

انّا كنا كتبنا اليكم بانّ عدد الجنازة الباقية في قرية كمي بانّا عشرين جنازة
 (d—72)—„ქეშმარიტად, ჩვენ მოგწერეთ თქვენ, რომ აულ კმი-ში დატოვებული გვამთა რაოდენობა 20-ია“.

انّي كنت اجزت الحشيش لهما كما امرتني بقدر الكفاية لهما في الشتاء
 (d—31)—„ქეშმარიტად, მე მოგვეტვი მათთვის ჰაშიში ამ ზამთარში, როგორც მიბრძანე, საკმარისი რაოდენობით“.

უადგილოა من ნაწილაკი, ვერ ზმნასთან შემდეგ მიაგალითში: ولم اقدر

منّي الا الان لان اذهب لرؤية كل بيت معطاة لهما (d—24)

„მე მხოლოდ დღეს შევეძელი, რათა წავესულიყავი მათთვის მიცემული ყველა სახლის დასათვალღიერებლად“. აგრეთვე—في ნაწილაკი შემდეგ მიაგალითში:

ერთად, ვინც მასთან იყო“.
 (d—37)—„ჰაჯი მურადი გამოვიდა იმათთან ერთად, ვინც მასთან იყო“.

6. საანალიზო წერილებში საკმაო რაოდენობითაა რუსულის გზით შესული სამხედრო ტერმინოლოგია³⁷. ასეთია: يرناال ليطنانة || يرناال ليطنانة — генерал-лейтенант; ينرال اطوانة || غنرال اطوانة — генерал-адъютант; پولكونيك || غواردية — прапорщик; پره پره چيك || پره پره چيك — полковник; پولكونيك — гвардии полковник; پولى پولكونيك — подполковник; چين — чин; مايور — майор; فطليون — батальон; سلدة — солдат; افسار — офицер; افتر — эполеты; გარდა ამისა, კინაზ || كيناز — князь. ზემოხსენებულმა სამხედრო ცნებებმა არაბულში შეჭრით განიცადა რიგი ფონეტიკური ცვლილება³⁸. ჩვეულებრივ რუსული к > ك-ს³⁹. ამ მხრივ კანონზომიერება დარღვეულია სიტყვაში كاسفسكه — каспийских.

გვხვდება აგრეთვე არაარაბული (თურქულ-სპარსულ-ლაკური) წარმოშობის სიტყვები, როგორცაა: سردار — სარდალი; يرغان — იორღა; تومان — თუმანი; مانه — მანეთი; سلتان — სულთანი; كوماك — ქომაკი; توف — თოფი; بيك — ბეგი; بك — ლაკური სიტყვაა, აღნიშნავს ზვინს⁴⁰. ლაკურია აგრეთვე زوخ — მამაკაცის საკუთარი სახელი „წახოი“?!

³⁷ დადესტნურ არაბულში შესული სამხედრო ტერმინების შესახებ იხ: И. Ю. Крачковский, Новые рукописи... გვ. გვ. 599—603; თ. მარგველაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 228—237.

³⁸ ამ ფონეტიკური ცვლილებების შესახებ იხ. И. Ю. Крачковский, დასახ. ნაშრ., გვ. 600.

³⁹ გ. წერეთელი, Вновь найденные письма Шамиля, გვ. 106.

⁴⁰ Г. Б. Муркелинский, Русско-лакский словарь, Махачала, 1953, გვ. 704-სიტყვა слог.

გაუგებარია ^سالمكطنين-ს მნიშვნელობა:

ولكنَّ انَّ المكطنين الذين هم في قلعة غازى عموق يتكلمون في حق ذلك

لنصراني و يقولون باننا نعطي لاجل اعدائه عشرون تومانا (Ar Id 71)

გაუგებარია აგრეთვე ^نزائيتك—შესაძლოა აქ რუსული სიტყვა забота

იყოს?!

فبناءً على هذا يقع بينهم و بين رجالنا المعاندة البليغة و الفتنة الشديدة بلا شك

كما كانت كذلك في الزمان القبلية ان لم تضع عليهم و على رجالنا ^نزائيتك القدغة

لشديدة و التنبية البليغة على من آذى الناس (Ar Id 69)

—تكاهل?

فصدر من النوائب التكاثل و تكاهل.

7. ზოგიერთ გეოგრაფიულ და ეთნიურ სახელთა გადმოცემისას გამოყენებულია დაღესტნური ენებისათვის დამახასიათებელი ბგერების გამომხატველი ასოები⁴¹: ق, ق, ل, ر, ك. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს გარკვეულია შემოხსენებული ასოების ფუნქციები, მაინც ძალიან ჭირს აქ წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელების წაკითხვა და მათი ქართულად გადმოცემა⁴².

განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს მათ წაკითხვაში ერთიანი კანონზომიერების დადგენა. მაგ., القلعة الكربية—გერგებლის ციხე; ككن—კიკუნი

არიანის (თუმც მოყვანილ მაგალითებში კ—გადმოცემულია ერთი რიგის ბგერებითი გ, ქ, კ).

აქვე შევნიშნავთ, რომ გეოგრაფიულ დასახელებათა უმრავლესობა წარ-

მოდგენილია ^ي—დაბოლოებით: بحكلى, كمشى, كمشى, و جوخى, و خنزخى

ა. შ.⁴³ აქ საგულისხმო უნდა იყოს ა. გენკოს შენიშვნა, რომ შამილი სოფ. დარლოს უწოდებდა დარღს⁴⁴.

ამრიგად, სხვაობა ალალარის წერილების ენასა და კლასიკურ არაბულს შორის მეტად საგაძნობია. ადვილი შესამჩნევია, რომ წერილების ენა დიდი დახვეწილობით არ გამოირჩევა.

(ქვემოთ ნიმუშად მოგვყავს ალალარის ორი-წერილის ფოტოკოპირი).

⁴¹ იხ. А. М. Барбанов, Хроника Мухаммеда Тахира ал-Карахи, შესავალი.

⁴² გეოგრაფიულ სახელთა წაკითხვაში დამეხმარნენ დაღესტნის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები მ. ს. საიდოვი და ე. მ. ბარკუევი, რომლებიც გარდა კლასიკური არაბული ენისა, ფლობენ რამდენიმე დაღესტნურ ენასაც.

⁴³ შდრ. გ. წერეთელი, Письмо Шамиля из Калуги, სადაც შენიშნულია, რომ აღნიშნულ წერილში გეოგრაფიულ სახელებში ბოლო თანხმოვანს ყოველთვის სუქუნე აქვს. ЗИВ, V, 1935, გვ. 113.

⁴⁴ А. Генко, Арабская карта эпохи Шамиля, ЗИВ АН СССР, II(1), 1933, გვ. 24.

Н. Г. КАНЧАВЕЛИ

ПИСЬМА АГАЛАР-ХАНА М. З. АРГУТИНСКОМУ-ДОЛГОРУКОМУ

Резюме

В Фонде восточных рукописей Института рукописей АН Грузинской ССР хранится ряд документов дагестанского происхождения—письма Агалара—Казикумухского хана главнокомандующему М. З. Аргутинскому-Долгорукому.

В письмах дается картина борьбы дагестанцев против политики на-ризма в сороковых годах прошлого столетия.

Письма написаны на арабском языке.

Определенный интерес представляют собой встречающиеся в письмах переплетённые гласные, внешне сходные с „Замир ишара“. При анализе

текста выявлен особый вид „замир ишара“ اشارۃ المبتدأ , обозначающий начало нового предложения. Встречаются и некоторые языковые элементы, объясняющиеся влиянием одного из местных дагестанских языков—лакского. Наряду с диакритическим 9-ом, в тексте есть и диакритический و с тремя точечками снизу.

В письмах нередко нарушены нормы арабского языка; это обстоятельство не позволяет считать язык писем ни образцом классического языка, ни типичным для дагестанского арабского.

الى جناب العالی بانی غزال طوطی کلباز اربو شلمی العار وکی
وبعد

فقد كنت ارسلت اربعه جاكوس اطراف المریدین للاستخبار

فجاوا احد منهم اباربا ونجیرا بآة المفسد سوبل قد وصل فی اوج

السیب السابج من شهر محرم ووفت ملتسا الی فرسے ثغوری

وبآة وصل ثوفانهم فی تلك الیوم الی فرسے چوفی وبآة

قد تحرك جهوش المفسدین الآن بید عظیم وبآتهم وصلوا

الی حد وذا فلما اخبرنا انذا الی سوس بھذہ الاخبار کتبنا

لذہ الکاتبذ الی جنابکم العالی لاعلمکم ما علمنا وما سمعنا

فانذیر عندکم انذیر وسمعنا منہ بآة ثلاثه جاكوس من جهوش

قد قلعوا المفسدون بضریر انذیرهم انذیرا والبیانی صحتکم

وانا اخلصکم انذار حور و فی شهر محرم ووفت انظر

۱۳۶۶



الجزيرة العلى بالجاه نزال اطوطنة كنهاز ارفوشكي الفاروقى
و بعد

فاتمم كنتم قد سلمتم الكانذ الى ابدى بخار نازى غوف فى صن
اموالهم وانضمهم المفاضة فى السنم المصنفة فى فرهن كبر بشرف
قد ابوا بحمل ذلك الكانذ الى ضاب العلى بالجاه حاكم محال كج
وسموا الى يد ذلك الكانذ وانبوا عند افارة ما لهم على المغبر
وبينوا لى قدر اموالهم و عدد سهاها اخ فلما وجدوا لى
المفاضة كبرى قال انا لا نقدر لان نغرم اموالكم من ذلك المغبر
الا بعد اضهار الامر الى ضاب الاعلى بابى السردار الاعظم اخ
فبدلك القول قد جمعهم الى طرفنا وسلم الى يديهم كانذ المكتوب
الى ضاب العلى قد تم ما فيه اخ ثم ان ابوا التجار قد نضاجهم
الامر وصاروا غمهم فغبر قينا اعلى لك اتوقع من ضاب العلى
بان توصلوا الى غمهم وان تجهدوا لغرب اموالهم من المغبر
اخ

Handwritten notes in Armenian script, including the name "Կոնստանդին Բոլոր" (Konstantin Bolor) and other illegible text.



პლ. მახავაძენი

ლაფსჯალდის ხელნაწერი

დღესაც გვაოცებს მაღალი მხატვრული გემოვნებით შესრულებული ქართული ხელოვნების ჩვენამდე მოღწეული ძეგლები. ქართველ ხელოვანთა მხატვრული ფანტაზია მუდამ დაუშრეტელი, შემოქმედებითი იყო. არქიტექტურული ორნამენტი, პედური თუ ფერწერული დეტალი ყოველთვის მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი: ვერსად ვერ შეხვდებით ერთიდაიგივეს განმეორებას.

„ქართული ხუროთმოძღვრების და ყოველნაირი მხატვრული შემკულობის ძირითად დებულებას—წერს ივ. ჯავახიშვილი—მთლიანი ერთეულის მკაცრი სიმეტრიულობა და ამ ერთეულის ცალკეული ნაწილების განუმეორებლობა შეადგენდა“¹. განუმეორებლობის ეს პრინციპი შესაძლებლობას აძლევდა ოსტატს, შეექმნა ახალი სახეები, წარმოედგინა ერთი მოტივის მრავალსახოვანი განვითარება.

შუასაუკუნეების ხელოვნებაში დიდი ყურადღება ექცეოდა ხელნაწერ წიგნთა დეკორატიულ მორთულობას, ხელნაწერი წიგნის მხატვრულ გაფორმებას. ტექსტის შემოკობას კამარებით, თავსართებით, ინიციალებით ან შინაარსის ლამაზურათბელი მინიატურებით. მის მიხედვით მომხატველნი სავსებით დაუფლებულნი ჩანან ხელნაწერი წიგნის მორთულობის ოსტატობას.

ხელნაწერი წიგნის დეკორატიული მორთულობის განვითარებაში შუასაუკუნეების საქართველოში დიდი როლი ითამაშეს მონასტრებმა.

როგორც ცნობილია, მონასტერი მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. იქ საკმაოდ იგრძნობოდა ეპოქის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემა². ასეთი კერები საქართველოში ბევრი იყო. თითქმის ყველა მონასტერი მწიგნობრობის ცენტრს წარმოადგენდა. იგი ამასთანავე დიდ როლს თამაშობდა მინიატურული მხატვრობის განვითარების საქმეში. ამ მხრივ ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზღვარგარეთის ქართულ საეანეებსაც, რომლებიც წარმოადგენდნენ „იმდენად არა საკულტო, რამდენადაც საგანმანათლებლო დაწესებულებებს“³.

რადგან მონასტერი კულტურული ცენტრი იყო, მონაზვნები პირველი მწერალნი და ვადამწერნი იყვნენ ძველ საქართველოში. მონასტრებში გავრცელებული

¹ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისთვის 1. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. თბილისი, 1946, 192 გვ.

² ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაგ. 1, თბილისი, 1962, 33-40.

³ კ. კეკელიძე, ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი, 1954, 33-37.

ბულ ხელობას „ქელი მწიგნობრობისა“ წარმოადგენდა. საშუალო საუკუნეების ყოველ დიდ მონასტერს ამგვარი ხელობის მქონე ძეგლები ჰყავდა⁴.

ამ მონასტრებში წარმოებდა ორიგინალური ნაწარმოებთა თხზვა, უცხო ენებიდან თარგმნა და რედაქტირება, ახალი ნუსხების დამზადება, ძველი ხელნაწერების გაცხოველება და აკინძვა და ა. შ.⁵

წიგნის შექმნისათვის საჭირო მუშაობას ივ. ჯავახიშვილი „წიგნის შემზადებას“ უწოდებს⁶. ამ პროცესში ჩაბმული იყვნენ ეტრატის შემქმნელი, გადამწერი, მხატვარი, ამკინძავნი, მმოსელნი, მკაზმველნი. მათ შორის შრომის განაწილებაზე ქართულ ხელნაწერებში ცნობები არ შემონახულა. მაგრამ ცხადია, რომ ყველა ესენი ერთმანეთზე დამოკიდებული იქნებოდნენ: გადამწერი ეტრატის შემქმნელზე, ამკინძავი გადამწერსა და მხატვარზე, ყდის შემმოსველი ამკინძავზე და ა. შ.

რაც შეეხება მხატვრისა და გადამწერის ურთიერთდამოკიდებულებას, ხელნაწერი წიგნის მორთულობა ტექსტის გადამწერის შემდეგ სრულდებოდა. მაშინ როცა მინიატურას მთლიანი გვერდი ეკიბრა, მხატვარს შეეძლო დამოუკიდებლად მოეხატა იგი, მხოლოდ ფორმატი იყო წინასწარ განსაზღვრული (ფორმატს კი ხშირად გადასაწერი ხელნაწერის მიხედვით განსაზღვრავდნენ). იმ შემთხვევაში კი, როცა მინიატურა ტექსტში იყო ჩართული, ან ხელნაწერში ორნამენტული შემკულობა იყო წარმოდგენილი, მხატვარი მთლიანად დამოკიდებული იყო გადამწერზე. გადამწერი მუშაობის პროცესში ითვალისწინებდა მოსართავად თუ საილუსტრაციოდ განკუთვნილ ადგილებს.

თუ კი ხელნაწერის მორთულობა მარტივი სინგურით დაფერილი საზედაო ასოებით იყო წარმოდგენილი, გადამწერი მას თავად ასრულებდა. უნდა აღინიშნოს, რომ „მხატვრული ელემენტი ხელნაწერში სხვაზე ადრე თვითონ მწერალს შეჰქონდა: კალიგრაფიული ხელი, ტექსტის ორ სვეტად ჩამოსხმა, ვანიერი აშიები, განსაკუთრებით კი ტექსტის გადასაწერად ნახშირი ფერადი მელანი წინასწარვე ქმნიდა ხელნაწერში საზეიმო მხატვრულ განწყობილებას“⁷.

ხელნაწერის შემკობას თავსამკაულებით, კამარებით, საზედაო ასოებითა თუ მინიატურებით სპეციალური მხატვარი ასრულებდა. მდიდრულად შემკულ ხელნაწერებს კი დახელოვნებული ოსტატი ესაჭიროებოდა. ხშირად ეს ოსტატები ბერძენები იყვნენ და ისინი ქართველ გადამწერებთან ერთად ხელნაწერის დასსრულებაში ერთად თანამშრომლობდნენ. ამის საუკეთესო მაგალითს ვანის ოთხთავი წარმოადგენს.

თუ როგორ ნაწილდებოდა სამონასტრო სამდივანო-სამწიგნობრობებში მუშაობა ხელნაწერის დამსურათებლებს შორის, ამ მხრივ მასალას იძლევიან თვით მოხატული კოდექსები.

ხელნაწერის მოხატვაზე მუშაობდა ერთი ან რამდენიმე მხატვარი. იმ ხელნაწერებში, რომლებიც დაწვრილებითაა ილუსტრირებული, მაგ. გელათისა და ჯრუჭის ოთხთავებში, რამდენიმე ოსტატის ხელი გამოირჩევა. ამის დადგენა შე-

⁴ შ. მეხსია, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხი X—XII სს. მიმოხილველი, ტ. 1, 1949, გვ. 60.

⁵ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კვება, თბილისი, 1962, ტ. I, ნაკვ. 1, გვ. 40.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 65.

⁷ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი. აბა-ლისი, 1952, გვ. 20.

საძლებელია ხელნაწერის მხატვრულ—სტილისტური ანალიზის საფუძველზე. შმერლინგი ჯრუჭის მეორე თხზავის მხატვრობას 4 ძირითად მხატვარს მიაწერს. ის გარემოება, რომ ამ ოსტატებს არ აქვთ დანაწილებული ცალკეული რვეულები ანდა გვერდები, ამტკიცებს, რომ კოლექტივის წევრთა შორის იყო მჭიდრო ურთიერთობა, შესაძლოა, მათი მუშაობა წარმოებდა ერთ საერთო სადგომში და არა ცალკეულ სენაკებში⁸.

ამ მონასტრებში ქართველებს უხდებოდათ თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის ოსტატებთან, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ქართული კულტურის ზიარებას მოწინავე ქვეყნის კულტურასთან.

XI—XII სს. ქართული სასულიერო მწერლობა განიცდის მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიურ გავლენას. ლიტერატურაში ეს მიმართულება, პირველ ყოვლისა, გამოიხატა იმაში, რომ ახალ თხზულებებს თარგმნიან მარტოდმარტო ბერძნული ენიდან⁹.

ეს გავლენა შეეხო არა მარტო ლიტერატურას, არამედ მინიატურულ მხატვრობასაც. XI ს.-დან დაწყებული ხელოვნების დარგებს შორის ყველაზე მეტად ხელნაწერ წიგნთა დეკორატიული მორთულობა განიცდის ბიზანტიურ გავლენას¹⁰.

„საქართველოს ორგანულად ჩაბმამ ბიზანტიის საეკლესიო და ფილოსოფიურ კულტურაში, შეაპირობა ასეთი მოვლენები, როგორც იყო XI—XII სს-ში ცალკეულ ქართულ ხელნაწერთა დეკორის შექმნა ბერძენი ოსტატების მიერ, რომელნიც ზოგჯერ ქართველებთან ერთად ხელისხელჩაყიდებული მუშაობდნენ.“¹¹ ბერძენ ოსტატებთან თანამშრომლობამ ქართველ ოსტატებს შესაძლებლობა მისცა დაუფლებოდნენ ბიზანტიური მხატვრობის ტექნიკასა და ხერხებს.

რადგან სასულიერო ლიტერატურა ითარგმნებოდა ბერძნული ენიდან, ამიტომ, თუ კი დედანს დეკორის რაიმე ელემენტი ახლდა, იგი ტექსტთან ერთად ქართულ ხელნაწერში გადაჰქონდათ. ეს მხატვრობა შემდეგ სახეშეცვლილი თუ იმავე სახით სხვა ხელნაწერებშიც გადადიოდა. ასე რომ ბიზანტიური ხელნაწერი წიგნის მორთულობის ელემენტები ვრცელდებოდა ქართულ ხელნაწერებში.

რადგან წიგნი მოძრავი ელემენტია, მისი გადატანა და სხვა პირობებში გამოყენება თავისუფლად შეიძლება, ამიტომ ბიზანტიური დეკორის მიბაძვით შექმნილი ხელნაწერები, ან ბიზანტიელი ოსტატების მიერ შესრულებული კოდექსები, აღნიშნულ პერიოდში, საქართველოში პოულობენ გავრცელებას.

გარდა ამისა, ბიზანტიური მხატვრობის ტრადიციებზე აღზრდილები ჩამოდიოდნენ რა საქართველოში, ნერგავდნენ ბიზანტიურ გავლენას, სადაც ამისათვის საკმაო ნიადაგი იყო მომზადებული. „საქართველოში გელათი გადაიქცა

⁸ რ. შმერლინგი, ჯრუჭის მეორე კოდექსის (H—1667) ოსტატები, თეზისები ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიისა, თბილისი, 1958, გვ. 9.

⁹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1941, გვ. 51.

¹⁰ P. Шмерлинг, Малые формы в Архитектуре Средневековой Грузии, Тбилиси, 1952, стр. 253.

¹¹ რ. შმერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, თბილისი, 1940, გვ. 18.

აკადემიად, მსგავსად ათონის აკადემიისა, სადაც იგივე სული და ტრადიციები ტრიალებდა, რაც თანამედროვე ბიზანტიის სკოლებში¹².

ყოველივე ამან განაპირობა ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ხასიათი: ბიზანტიური ხელნაწერებიდან მან შეითვისა ცალკეულ დეკორაციულ ელემენტთა სტრუქტურული აგებულება, საფერწერო ტექნიკის თავისებურებანი, ორნამენტული სახეები და სხვ. იქმნებოდა ისეთი შედეგები ქართული კულტურისა, სადაც ეროვნულ საწყისებთან შერწყმული იყო საუკეთესო ტრადიციები მაღალგანვითარებული ქვეყნისა. ეს ნიმუშები ცხადყოფენ, რომ ქართული ლიტერატურისა თუ წიგნის ხელოვნება თავისი განვითარების დონით, განსახილველ პერიოდში, არაფრით არ ჩამოუვარდებოდა თუნდაც ისეთი მოწინავე ქვეყნის განვითარების დონეს, როგორც იყო ბიზანტია.

XI ს. ქართულ ხელნაწერებში, რომლებიც მრავალი შემონახული ეგზემპლარითაა წარმოდგენილი, რამდენიმე ცალკეული სკოლა გამოირჩევა: ტოკლარჯეთისა, რომელიც ხელნაწერის მორთულობათა (კამარების, თავსამკაულთა და სახედაო ასოების) ნახატისა და დაფერვის ორიგინალობით ხასიათდება და ათონის, კონსტანტინეპოლისა და შავი მთის სკოლები, რომლებიც ხელნაწერთა მორთულობის ხასიათით ბიზანტიურ ხელნაწერთა ნიმუშებს უახლოვდებიან¹³. პირველი სკოლა გრაფიკული ტიპის ხელნაწერებს აერთიანებს, მეორე პირობითად ცხოველხატულად წოდებულ ხელნაწერთა ჯგუფს წარმოადგენს. XI ს. დაწყებული ამ ორი ტიპის ხელნაწერთა განვითარების გზა ერთმანეთის პარალელურად მიდის. XI ს. შეიძლება დავუპირისპიროთ ერთმანეთს ურბნისის ოთხთავი და სეინაქსარი H—2211, A—1 ხელნაწერს, ალავერდის ოთხთავსა და S—143-ს; XII საუკუნეში ასტრონომიული ტრაქტატი—გელათის, II ჯრუჭის ოთხთავებს და სხვ.

თავის მხრივ XI—XII სს. ცხოველსახული მიმართულების ხელნაწერები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ხელნაწერები, რომლებიც საქართველოს გარეთ არსებულ საზღვარგარეთულ კერებში შესრულდნენ (ალავერდის, S—962, ვანის ხელნაწერი) და ხელნაწერები, რომელთა სამშობლო საქართველო იყო და რომლებიც გვიხატავენ ბიზანტიური ტრადიციების საქართველოს ნიადაგზე დანერგვის სურათს.

XI—XII სს. საქართველოს მხატვრული მოღვაწეობის ცენტრებში აღმოცენდნენ ილუსტრირებული ხელნაწერები, რომლებიც შესრულებული არიან ისეთივე ოსტატობითა და ბრწყინვალეობით, როგორც ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქის ხელნაწერები¹⁴. ასეთებია გელათის, ჯრუჭისა და სხვ. ხელნაწერები. ეს ხელნაწერები სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არიან როგორც ბიზანტიური მიმართულების მდიდრულად მორთული „სახეიმი“ ხელნაწერები¹⁵.

ქართველი ოსტატები არასოდეს არ ყოფილან ბრმა მიმდევრები ნიმუშისა. მათ ყოველთვის შეჰქონდათ საკუთარი ორიგინალური სტილი ხელნაწერას მხა-

¹² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1946, გვ. 100.

¹³ რ. შშერლინგი, ქართულ ხელნაწერთა დეკორის სისტემის განვითარების საწყისი ეტაპი. თეზისები საზოგადო მეცნ. განყ. XVI სამეცნიერო სესიისა. თბილისი, 1944, გვ. 6—7.

¹⁴ შ. ამირანაშვილი, Вклад Грузии в сокровищницу художественной культуры. Тбилиси, 1953 стр. 24.

¹⁵ რ. შშერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, თბილისი 1940, გვ. 21.

ტვრულად დამუშავების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ოსტატს ორი-გინალით სარგებლობის დროს უნებურად შეაქვს თავისი საკუთარი. აქ ყოველთვის იხლართება ძველი და ახალი, უცხოური და ადგილობრივი. ასე მაგ. ჭრუჭის I ოთხთავში მისი მხატვრობის იკონოგრაფიული თუ სტილისტური თავისებურებანი ცხადყოფენ, რომ ხელნაწერის მომხატველს თევდორე „კამარათამწერალს“ ხელთ ჰქონია ადრექრისტიანული ხელოვნების ნიმუში, მაგრამ ქართველ ოსტატს ამ ორიგინალისათვის ბრმად არ მიუბაძავს, თავისი საკუთარი შემოქმედებითი კვალი დაუმჩნევია.

ამიტომ განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ინდივიდუალურის წინ წამოწევისა და მის შესწავლას, ხელნაწერი წიგნის მორთულობის განხილვას ორიგინალთან მიმართებაში, იმ მსგავსებისა თუ განსხვავების აღნიშვნას, რაც თავს იჩენს იკონოგრაფიასა თუ სტილში, ორნამენტულ ნახატობასა, კოლორიტსა თუ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებაში. ყოველივე ეს დაგვეზმარება ოსტატის შემოქმედებითი უნარის, მისი ნაციონალური თავისებურებების გამოვლენაში.

სწორედ ასეთ შედარებით შესწავლას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი ბიზანტიელი მხატვრის მიერ მოხატული ვანის ოთხთავის მიბაძვით შესრულებულ ლაფსყალდის ხელნაწერის მაგალითზე

* * *

სვანეთის დიდებულმა მხარემ ხელოვნების მრავალი შესანიშნავი ძეგლი შემოგვინახა. სვანეთის მრავალრიცხოვან ეკლესიებში ფრესკული მხატვრობის ადრეული ნიმუშებია შემორჩენილი, ქედური ხელოვნების მრავალი ძეგლია დაცული.

სვანეთში არსებული სიმდიდრის მცირეოდენი ნაწილი თავმოყრილია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. აქ ინახება მრავალი ფერწერული თუ ქედური ხატი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აქ დაცული უნიკალური ხელნაწერები. აქ ინახება მინიატურული მხატვრობის ადრეული ნიმუში—ადიშის ოთხთავი, მესტიის XI ს. ხელნაწერი, იენაშის, ლაფსყალდის ოთხთავები.

ვისაც კი ლაფსყალდის ხელნაწერი უნახავს, შეუძლებელია, რომ არ აღფრთოვანებულიყო ამ ხელნაწერით, როგორც დამწერლობის შესანიშნავი ძეგლით, როგორც დეკორაციული მორთულობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშით. ათვლიერებთ რა მხატვრული თვალსაზრისით მაღალ დონეზე შესრულებულ შემქულობას, გაოცებთ მათი ასეთი შენახულობა. ფერადოვნების სიფაქიზე, ფერწერის უაღრესად დახვეწილი ტექნიკა. გაგონდებათ ვანის, გელათის, ალავერდის, ჭრუჭის ოთხთავები.

მორთულობათა შემადგენლობით, ტექსტში არსებული მინაწერებით—ლაფსყალდის ხელნაწერმა მკვლევართა ყურადღება მიიპყრო.

პირველი ცნობა ლაფსყალდის ხელნაწერის შესახებ მოგვაწოდა დ. ბაქრაძემ წიგნში „Сванетия“ (1864 წ.). ჩამოსთვლის რა ლაფსყალდის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში თავმოყრილ სიძველეებს, რამდენიმე სიტყვით აგვიწერს ამ ოთხთავის გარეგნულ მხარეს, გვაძლევს ხელნაწერში არსებული მინაწერების მხედრულ ტრანსკრიპციას რუსული თარგმანით.

1895 წელს ეს ხელნაწერი ნახა უვაროვამ (ხელნაწერის ხის ყდაზე ტექსტით მინაწერი მისი ავტოგრაფია). ცნობები სვანეთში დაცული ძეგლების შესა-

ხეგ მან დაბეჭდა MAK-ის მე-10 ტომში, სადაც ეხება 5 მოხატულ ხელნაწერს, კერძოდ აღნიშნის, მესტიის, ლაფსყალდის, იენაშისა და უბინაშისას.

ქართული ენის არცოდნა, როგორც თვითონ აღნიშნავს, მას არ აძლევდა საშუალებას დაწვრილებით გაცნობოდა ქართულ ხელნაწერებს, ამიტომ დაინტერესდა ხელნაწერის დეკორით, მინიატურებით, იკონოგრაფიით, ტექნიკით. მას აინტერესებდა, შესძლებდა თუ არა პალეოგრაფიული მონაცემების გარეშე ხელნაწერის ამა თუ იმ დროისათვის მიკუთვნებას. ამ ამოცანას იგი გადაწყვეტილად თვლის და აღნიშნავს, რომ მისი დათარიღება ემთხვევა დ. ბაქრაძისა და ა. ხახანაშვილის თარიღებს. თუმცა, ლაპარაკობს რა ამ ხელნაწერების შესახებ, მაგ. ვგაძლევს რა ლაფსყალდის ხელნაწერის მორთულობათა მოკლე აღწერილობას, მხატვრობის, იკონოგრაფიის, ტექნიკის თავისებურებათა აღნიშვნის გარეშე, მინაწერების საფუძველზე ათარიღებს ხელნაწერს.

MAK-ის მე-10 ტომში დაბეჭდილია. ხახანაშვილის წერილი „Сванетския рукописния евангелия“. ა. ხახანაშვილი ძირითადად დაინტერესებულია ხელნაწერში არსებული მინაწერებით. დ. ბაქრაძისაგან განსხვავებით მას არ მოჰყავს მხედრული მინაწერები, გარდა ცაიშის მთავარეპისკოპოსის მინაწერისა.

1910 წელს სვანეთში იმოგზაურა ე. თაყაიშვილმა. მოგზაურობის მასალები მან მოათავსა წიგნში „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“. წიგნი დიდ ინტერესს შეიცავს იმ მხრივ, რომ აქ აღწერილია დღეისათვის უკვე დაკარგული ბევრი ძეგლი. დაწვრილებითაა ჩამოთვლილი სვანეთის ამა თუ იმ ეკლესიაში დაცული ნივთები, ხელნაწერები. თაყაიშვილს წაუკითხავს მათზე არსებული ყველა მინაწერი. სათანადო აღგილას მიუთითებს იმ ფოტოსურათების ნომრებს, რომლებიც ამ ექსპედიციის მონაწილე ფოტოგრაფ ერმაკოვის კოლექციაში ინახება.

იმ პერიოდში ეს ხელნაწერი ლაფსყალდის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში ინახებოდა. ე. თაყაიშვილი გვაძლევს ამ ხელნაწერის ჭედური ბულის აღწერილობას, ჩამოთვლის დეკორის შემადგენელ ელემენტებს და ხელნაწერში არსებული მინაწერების საფუძველზე აღადგენს ხელნაწერის ისტორიას.

ლაფსყალდის ხელნაწერი წარმოადგენს ოთხთავს, დაწერილს ეტრატზე, ზომით 29×20 სმ-ზე, დაწერილია ნუსხურით ორ სვეტად. სვეტში 21 სტრიქონია. ხელნაწერს შერჩენილი აქვს თავდაპირველი ხის ყდა, რომელზედაც გადაკრულია ფარჩა, დღეისათვის დაზიანებული და გაცვეთილი. ფარჩა ღია მწვანე ფერისაა, მაგრამ ყდის 1 ფრთაზე იმდენად შეცვლილი, გაყავისფრებული, რომ ერთის შეხედვით ტყავს მოგაგონებთ. იქ კი, სადაც კარგადაა შემორჩენილი, ოქროს ძაფებით ორნამენტული ნახატია გამოყვანილი.

ყდის ზედაპირი მორთულია მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტებით, ორნამენტული ზოლებით, როზეტებით, მახარებელთა, მოციქულთა, ტახტზე მჯდომა ქრისტესა და ჯვარცმის კომპოზიციის გამოსახულებებით. წრეში ჩასმული სტილიზებული ყვავილების მწკრივი სწორკუთხედ ჩარჩოდ გარს უვლის ყდის კიდეებს, ქრისტესა და ჯვარცმის კომპოზიციებს.

ყდის 1 ფრთაზე მედალიონებში წარმოდგენილია მახარებელთა, ხოლო ზურგის ფრთაზე მოციქულთა გამოსახულებანი ბერძნული წარწერებით. დაზიანებულია ჯვარცმის კომპოზიციაში მედალიონებში ჩასმული ანგელოზის, დეიანსობლის, იოანეს გამოსახულებანი, მოციქულთა ორი გამოსახულება და ზო-

გიერთ ნაწილში ამოვარდნილი ორნამენტირებული ზოლები შეცვლილია ახალი ფირფიტებით. წინა ფრთაზე 14 როზეტა შემორჩენილი, ზურგის მხარეს 9.

ლაფსყალდის ხელნაწერის მორთულობას შეადგენს მახარებელთა გამოსახულებანი (იხ. ტაბ. I), კამარები, (იხ. ტაბ. II), თავსამკაულები, ინიციალები. აქ წარმოდგენილი მინიატურული თუ დეკორაციული ელემენტების განაწილებაში შემდეგი თანმიმდევრობაა დაცული: ხელნაწერის პირველი ფურცელი თავისუფლად არის დატოვებული (მინაწერი მასზე შემდეგ არის შესრულებული). მეორე გვერდზე ევსებიოსის კარპიანესადმი წერილია, რომელიც მორთულობის გარეშეა მოცემული: ტექსტის მარცხენა სვეტში ჩაწერილი სინგურით შესრულებული სამსტრიქონიანი სათაურითაა აღნიშნული. მე-3 და მე-4 ფურცლის ორივე მხარეს განლაგებულია კამარები; შემდეგ მოდის სახარების ტექსტი—თითოეულ მათგანს კი წინ უძღვის სახარებათა თავების ჩამომთვლელი ნუსხა.

ხელნაწერი მდიდრულადაა მორთული. დეკორი ძირითადად თავმოყრილია აქ, სადაც სახარებათა ტექსტი იწყება. თითოეულ თავს წინა ფურცლის verso მხარეს უძღვის მახარებლის გამოსახულება, რომელსაც მთელი გვერდი უკავია. ტექსტი იწყება ლამაზი ინიციალით, ორ სვეტად დაწერილი ტექსტი დაგვირგვინებულია მდიდრული თავსამკაულით. თვით ხელნაწერში აბზაცების დასაწყისში მრავალი მარტივი სახის ინიციალია, სინგურით ან ყავისფერი მეღნიტ ნაწერით.

ამგვარად, ძირითადი ყურადღება ამ დასაწყისი გვერდის გაფორმებაზეა მიბურობილი. თვით ტექსტში არ გვხვდება არც მინიატურები, არც თავსართები და ინიციალები. აბზაცების დასაწყისში გვხვდება დიდი ზომის მთავრული ასოები იმ განსხვავებით, რომ დასაწყის გვერდებზე ისინი, თავსართებში ჩაწერილი სათაურების მსგავსად, მოოქროვილია სინგურზე. სინგურით ნაწერია სახარებათა თავების აღმნიშვნელი რიცხვები—პატარა ზომის მთავრული ასოები აბზაცების დასაწყისში, რომლებიც ზოგჯერ ზევით და ქვევით ქარაგმის-მაგვარი სამი ზახითა და გვერდებზე წერტილებითაა აღნიშნული. ხელნაწერის მონოქრომული ფურცლების მორთულობას წარმოადგენს თვით ორ სვეტად ლამაზი ხელით დაწერილი ტექსტი. ვანის ხელნაწერთან შედარებით ტექსტი ოდნავ მუქი მეღნიტითაა შესრულებული.

ხელნაწერი შედგება რვეულებისაგან, თითო რვეული 8 ფურცელს, ე. ი. 16 გვერდს შეიცავს; ხელნაწერებში სულ 33 რვეული, ე. ი. 264 ფურცელია. თითოეული რვეული პაგინირებულია. მთავრული ასოების ანბანური თანმიმდევრობა აღნიშნავს რიცხვებს. ეს აღნიშვნები რვეულის ბოლოს ქვედა არეს შუაშია გაკეთებული. ეტრატზე ჩანს გახაზული პორიზონტალური ზახები ასოებისათვის და ვერტიკალური ზახები სვეტების მოხაზულობისა და საზედაო ასოებისათვის.

ხელნაწერი წიგნის, კერძოდ ოთხთავის მხატვრული სახის შესაქმნელად ლაფსყალდის ოსტატი მიმართავს ისეთსავე ხერხებს, როგორსაც ე. წ. ვანის ოთხთავის მომხატველი¹⁶.

ხელნაწერის მორთულობა შედგება ვანის სამკაულთა რეპერტუარში შემავალი ელემენტებისაგან (ვანის ხელნაწერისაგან განსხვავებით აქ არ არის მინიატურა ევსებიოსისა და კარპიანეს გამოსახულებით, სატიტულო ფურცელი ქრისტესა და მახარებელთა გამოსახულებით და მახარებელთა მინიატურაში

¹⁶ ელ. შაჰავარიანი, ვანის ოთხთავის დეკორაციული მორთულობა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბ., 1960, გვ. 139.

დართული ახალი აღქმის კომპოზიციები). არა მარტო დეკორის ელემენტების განაწილების თანმიმდევრობა ტექსტში, არამედ ამ ცალკეული დეკორაციული ელემენტების (კამარების, თავსართების, ინიციალების) აგებულება ვანის ოთხთავის მორთულობას ემსგავსება.

კამარები წარმოადგენენ (იხ. ტაბ. II) სვეტებზე დაყრდნობილ სწორკუთხა ფორმის ანტაბლემენტს. სვეტისთავეებსა და ბაზებზე დგანან ფიგურები, რომლებიც ვანის ხელნაწერის მსგავსად თვეების სიმბოლურ გამოსახულებებს წარმოადგენენ, და იმავე საქმიანობას ეწევიან, რაც ვანის ხელნაწერში: თებერვალი ცეცხლთან თბება, მარტი მეომრის ტანისამოსშია, აპრილს ბატკანი ჰყავს ყელზე მოკიდებული, მაისს ყვავილებს თაიგული უჭირავს, ივნისი ცელავს, ივლისი ანაივებს, აგვისტო სვამს ჭიქიდან, სექტემბერს გოდორი აქვს ზურგზე, ნოემბერი ხნავს, დეკემბერი თესავს. მხოლოდ აქ იანვარს სავესე ლანგარი მი-აქვს, მაშინ როცა ვანის ოთხთავში მაგიდას უზის სასმისით ხელში.

ძირითადი განსხვავება ამ გამოსახულებებს შორის ის არის, რომ ლაფსყალდის ხელნაწერში მათი განაწილების თანმიმდევრობაა შეცვლილი. თუ ვანის ხელნაწერში ეს სიმბოლოები ბაზებზე და სვეტისთავეებზე ისე არიან განაწილებულნი, რომ წლის დასაწყისად მარტია აღებული, ლაფსყალდის ხელნაწერში წელი სექტემბრის თვის გამოსახულებით იწყება.

თავსამკაულებს ასევე ასო II-ს ან სწორკუთხა ფორმა აქვთ. სულ 8 თავსამკაულია, აქედან 4 თავსამკაული, ისე როგორც ვანისაში, ამკობს სახარების თავების ნუსხას. თავსამკაულები კამარის ანტაბლემენტის მსგავსად იგივე აგებულებისაა: საფუძველში გამოწეული სწორი ხაზი აქვთ, აქეთ-იქით სტილიზებული ხეებით. ზედა კუთხეებში კი ფოთლოვანი ორნამენტებია. ეს ოთხი თავსართი დაუმთავრებელია. მხოლოდ ძირითადი ნახატია შესრულებული სინგულოთ და სინგულოთვე დაფარულია ფონი. ეს თავსართები საინტერესონი არიან ტექნიკის თვალსაზრისით. აქ ჩანს, თუ როგორია ორნამენტული ნახატის შექმნის თანმიმდევრული პროცესი საღებავებით, მის შევსებამდე.

ძირითადი მონახაზი, როგორც ვხედავთ, სრულდებოდა სინგულოთ. შემდეგ ფონი იფარებოდა აკვარელისებური გამჭვირვალე სინგულოთ. ნახატი, როგორც ჩანს, ივსებოდა მერე საღებავით, ხოლო ბოლოს ფონი იფარებოდა ოქროთი. თავსართებისა და კამარებისათვის აქ გამოყენებულია ფხვიერი ოქრო, ხოლო მინიატურებში ფურცლოვანი ოქრო სინგურის სარჩულის გარეშე პირდაპირ ეტრატზეა დადებული, ოქრო ასევე გამოყენებულია ინიციალების კონტურების შემოსავლებად, მთავრული ასოების დასაფარავად.

უხვი დეკორაციული ელემენტებითაა მორთული თავსართები და კამარები. მათ შესამკობად გამოყენებულია ცხოველთა და ფრინველთა სამყაროდან: მარტორქა, ირემი, ვეფხვი, შველი, მელა, კურდღელი, არწივი, აქლემი, სირაქლემა, დათვი, ლომი, ფარშევანგი, წერო, მამალი, კაკაბი და სხვ. ცენტრი ყოველთვის აღნიშნულია შადრევანით, გამოსახულებანი კი, განაწილებული მის მარცხნივ და მარჯვნივ, მიმართული არიან შადრევნისაკენ.

ეს მოტივებიც თვალსაჩინო მსგავსებას ბოულობენ ვანის ხელნაწერის შემკულობასთან, მეტიც, ლაფსყალდის ხელნაწერის თავსართებისა თუ კამარების მომრთველი დეკორი შეიცავს იმ ელემენტებს, რომლებიც ვანის ხელნაწერის მორთულობაში შემავალი ერთეულებია; ვანის ოთხთავიდან გადმოღებულია არა მარტო ცალკეული გამოსახულებანი, არამედ დამოუკიდებელი სცენებიც.

როგორცაა ზანგი და აქლემი, სამსონისა და ლომის ბრძოლა, მონადირე, რომელიც შუბით გვირავს დათვს.

ამასთანავე ლაფსყალდის ოთხთავში ვხვდებით დამატებით ისეთ გამოსახულებებსაც (მამლები, ირემი და ლეოპარდი), რომლებიც ვანის ხელნაწერში არ მოიპოვება, თუმცა მხატვარს ეს ელემენტები დეკორის რიცხვობრივად გაზრდისათვის კი არ შეაქვს, არამედ ერთ მოტივს ცვლის მეორით. მაგ. ვანის ოთხთავში წარმოსახული სამსონისა და ლომის მიტევის ადგილზე (იხ. ტაბ. III) იძლევა ირმისა და ლეოპარდის გამოსახულებას; წეროებიც ცვლიან ვანის ხელნაწერის თავსართზე აღსებულ შვილებს; მელიები ნაცვლად ჩიტებისა წარმოდგენილი არიან მამლებთან კომბინაციაში.

ამ ორი ხელნაწერის კამარის მორთულობანი რომ შევადაროთ ერთმანეთს (კამარა აქ ყველაზე მეტადაა შემკული), იხ. ტაბ. III და ტაბ. IV), ლაფსყალდის ოთხთავში დავინახავთ ზოგიერთ თავისებურებას: ვანის ოთხთავში მორთულობა გადატვირთულია, მაშინ როდესაც ლაფსყალდის ნუსხაში ასეთი რამ არ შეიმჩნევა. მისი კომპოზიცია შეგნებულად განტვირთულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამას მხატვარი აღწევს ჯერ ერთი იმით, რომ ვანის ოთხთავის მორთულობის ზოგი ელემენტი, როგორცაა: ხარი, ფსკუნჯი, გრიფონი, ლომი, ვეფხვი, მაიმუნი, თავის ნუსხაში არ შეაქვს; აგრეთვე, იგი ერთიდაიგივე გამოსახულებებს, მსგავსად ვანის ოთხთავის მორთულობისა, რამდენჯერმე არ იმეორებს. გარდა ამისა მას ცალკეული კომპოზიციები—სამსონისა და ლომის ბრძოლა, მონადირისა და დათვის სცენა—კამარიდან თავსართის ორნამენტულ მორთულობაში გადააქვს.

ამრიგად, ლაფსყალდის ოთხთავის მორთულობა, ოსტატის ზომიერების გრძნობისა და გემოვნების გამო, უფრო დახვეწილი და ადვილად აღსაქმელია. მხატვარი, რა თქმა უნდა, სარგებლობს ვანის ოთხთავის მორთულობით, როგორც ნიმუშით, მაგრამ იგი ბრძამდ კი არ მისდევს მას, არამედ თავისებურად გაიზრებს: ზოგ ელემენტს გამორიცხავს, ზოგს ურთავს. მაგალითად, მონადირისა და დათვის სცენას მან დაუმატა დათვის ბელის მოტივი, რითაც, განსხვავებით ნიმუშისაგან, გარკვეული შინაარსის გამომსახველი კომპოზიცია შექმნა: დათვი თავის ბელს აწოვებს ძუძუს, მონადირე კი მას მიჰპარვია მშვილდისრით ზეგლში; ასევე განსხვავებულია კამარის თავზე მოთავსებული ორი ფიგურა: თუ ვანის ოთხთავის მხატვრობაში ისინი დედალ-მამლის სახითაა წარმოდგენილი, ლაფსყალდისაში—ორივე მამალს გამოსახავს. ვანის თავსამკულის თუთაქუშები უფრო დიდი ზომისა არიან, ვიდრე აქ, და ამასთანავე მარჯვნივ მოთავსებული არ იწმენდს ნისკარტს.

აღსანიშნავია, რომ ლაფსყალდის ხელნაწერის ოსტატი, ეჩმიადინის ქართული ნუსხის მომხატავისაგან განსხვავებით, არ იღებს ვანის ოთხთავის მორთულობის პირს, არამედ მსგავს კომპონენტებს გადმოსცემს სხვადასხვა კომბინაციით. საერთო კომპოზიციაში თითოეული ელემენტი სხვაგვარი განლაგებით შეჰყავს და ამ ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულებით იძლევა ახალ სცენებს: სირაქლემა და კურდღელი, ლეოპარდი და ირემი, მელია და მამლები. თუ ვანის ოთხთავში ცალკეული გამოსახულებანია დახვეწებული (დაწვრილმანებელი კომპოზიცია), რომლებსაც აკავშირებთ მხოლოდ და მხოლოდ შადრევანი, მისკენ არის მიმართული. აქ მიღწეულია ერთგვარი ერთიანობა. დეკორის ცალ-

კეული შემადგენელი ელემენტები შეკრულია კომპოზიციურად, ერთმანეთთან გაერთიანებულია შინაარსობლივად.

საზედაო ასოების მოხატვის დროსაც ლაფსყალდის ხელნაწერის ოსტატი ნიმუშად იყენებს ვანის ინიციალებს. ლაფსყალდის ხელნაწერის ცალკეული თავის დასაწყისი, რადგან, ესეც სახარების ტექსტია, იმავე მთავრული ასოებითაა მორთული: მათესთან მოხატულია ასო „წ“ (9 r), მარკოზთან ასო „დ“ (82 r), ლუკასთან ასო „ვ“ (131 r), ხოლო იოანესთან ასო „პ“ (205 r), მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ აქვს ადგილი ორიგინალის ზუსტ კოპირებას. მაგ., მხატვარი იმეორებს ასო „პ“-ს აგებულების პრინციპს. მისი, მოხაზულობა შექმნილია ორი ფრინველის რკალისებრი განლაგებით, ოღონდ აქ გამოყენებულია ფრინველთა განსხვავებული გამოსახულებანი (იხ. სურ. 1). ასო „ვ“ ზუსტად იმეორებს ვანის ხელნა-



სურ. 1

წერის ინიციალის კომპოზიციას, მხოლოდ ზომით არის შემცირებული (იხ. სურ. 2). ასო „წ“-ში კი მხოლოდ ფეხია მსგავსი.


ვანის სტატიურ პოზებთან შედარებით ლაფსყალდის ხელნაწერის მოხატულობაში უფრო მეტი თავისუფლება, დინამიურობაა. გაყინულ, პირობით რეპრეზენტატულ პოზებს სცვლის ცოცხალი, მოძრავი ნახატი (იხ. სურ. 3). ეს ჩანს არა მარტო ფრინველთა გამოსახულებებში, არამედ სტილიზებული ხეების ნახატშიც.

ხელნაწერის დეკორში განსაკუთრებული ადგილი ორნამენტებს უჭირავთ. ორნამენტი—ხელნაწერი წიგნის მხატვრული მორთულობის ერთ-ერთი წამყვანი და აუცილებელი კომპონენტია. ორნამენტითაა შევსილი დეკორის ძირითადი ელემენტები: თავსამკაულები, კამარები, მინიატურულ გამოსახულებათა ჩარჩოები.

კამარების სტრუქტურული აგებულება ოთხივე შემთხვევაში ერთნაირია: მეორდება სვეტებზე დაყრდნობილი სწორკუთხედური ფორმის ანტაბლემენტი, ასევე 8 თავსართიდან 4 თავსართი ასო II-ს ფორმისაა, ხოლო 4 სწორკუთხედური ფორმისა, მაგრამ დეკორაციული ელემენტების მთელი სიმდიდრე და ნაირსახოფანება მიღწეულია იმით, რომ ორნამენტის სქემატური ნახატი (სიბრტყის დანაწევრება-დაყოფა) და მათი შემგები ორნამენტული დეტალები არ მეორდებათ.

ორნამენტული ნახატის ძირითადი სახე, რომელიც ლაფსყალდის ხელნაწერში გვხვდება, ეს არის ე. წ. ყვავილოვან-ფოთლოვანი და ბეწვხერხა ორნამენტი ეს ის ორნამენტებია, რომლებიც ვანის ხელნაწერის თავსართებისა და კამარების შესამკობადაა გამოყენებული. რაც შეეხება როზეტებს, მინანქრის მსგავს ორნამენტებს, ლაფსყალდის ხელნაწერის მომხატველს ვანის მორთულობიდან არ გადმოუღია.

ის გარემოება, რომ აქ არ არის როზეტები და ის ყვავილოვანი ორნამენტები, რომლებიც ავსებენ ვანის ხელნაწერის მინიატურათა ჩარჩოებს. შეიძლება აიხსნას იმით, რომ ლაფსყალდის ოსტატმა უარყო რა მახარებელთა მინიატურების ორიარუსიანი კომპოზიცია (მახარებლები ლაფსყალდში ვიწრო ფერადოვან ზოლშია ჩასმული), არ გამოიყენა მის შემადგენლობაში მყოფი ორნამენტები.



სურ. 2

ლაფსყალდის ხელნაწერის ოსტატი განსხვავებულ დეკორაციულ კომპოზიციას ქმნის ცალკეული ორნამენტული დეტალების კომბინირებით, იძლევა ორნამენტული სახეების მთელ რიგ ვარიანტებს. ამ მხრივ ლაფსყალდის ხელნაწერი განსხვავდება ეჩმიადინის ქართული ხელნაწერისაგან, სადაც ორნამენტები საერთო კომპოზიციაში ადგილის შეუცვლელად იგივე ნახატებითაა გადმოღებული.

ყველაზე მეტად ლაფსყალდის ხელნაწერებში გავრცელებულია ყვავილოვან-ფოთლოვანი სახის ორნამენტი. იგი გამოყენებულია ლაფსყალდის ხელნაწერის ყველა თავსამკაულში, პირველი კამარის ანტაბლემენტის ნახევარწრესა და ბირველი, მეორე და მესამე კამარის ანტაბლემენტის კუთხეებში. ბეწვხერხა ორნამენტები ავსებენ სამი კამარის ანტაბლემენტის ნახევარწრედს (იხ. სურ. 4.) .

ყვავილოვან-ფოთლოვანი სახის ორნამენტთა აგებულების პრინციპი ლაფსყალდის ხელნაწერებში იგივე რჩება: ორნამენტული სქემის შემქმნელი წრეა, ისინი დაკავშირებული არიან სტილიზებული მცენარეებითა და ფოთლებით. თუ რა სიდიდისაა ეს წრეები, რა ინტერვალით არიან ერთმანეთისაგან დაშორებული, როგორი სახის მცენარეული ორნამენტებია მათ დასაკავშირებლად გამოყენებული, ეს ქმნის ორნამენტული ნახატის სხვადასხვაობას.

ორივე შემთხვევაში—ვანისა და ლაფსყალდის ხელნაწერებშიც, ძირითადი ნახატის სახესხვაობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ლაფსყალდის ხელნაწერის წრეებში ჩახატული ყვავილები და წრეების დამაკავშირებელი ელემენტები უფრო

მრავალგვარია, ვიდრე ვანის ოთხთავში. ლაფსყალდის ოსტატი იძლევა ცალკეული ორნამენტული დეტალის განსხვავებულ ინტერპრეტაციას, რაც ქმნის ორნამენტული სახის მრავალფეროვნების შთაბეჭდილებას.

ორნამენტული ნახატი, რომელიც ვანის ხელნაწერში ლარნაკისა და ბეწვახერხა ფოთლების განშტოებებისაგან შედგება, ხოლო ამ განშტოებების დამამთავრებელი ელემენტები: ყვავილებისა და ხაღის ან ყვავილებისა და ჩიტების კომბინაციებს წარმოადგენს, ლაფსყალდის ხელნაწერი დამთავრებულია ერთ შემთხვევაში მხოლოდ ყვავილებით, მეორე შემთხვევაში ჩიტებით, რომლებიც კენკავენ ყვავილებს, ან ურჩხულის თავებით (იხ. ტაბ. VI, VII).




სურ. 3

ლაფსყალდის ხელნაწერის ცალკეული ორნამენტული მოტივები, როგორც ეს ვანის ხელნაწერის მორთულობის აღწერის დროს აღვნიშნეთ, გავრცელებულია XI—XII—XIII ს-ის სხვა ხელნაწერებშიაც. კერძოდ ველათის, II ჯრუჭის ოთხთავებში, H—1707, H—2075 და სხვ. თითოეული ამ ხელნაწერის ოსტატი იძლევა ამ ორნამენტული ნახატის სახესხვაობას, უცვლელი რჩება ორნამენტის ძირითადი სახე, იცვლება ამ ორნამენტული სქემის შემადგენელი ელემენტების ფორმათა მოხაზულობა, ამ ორნამენტაციის შემქმნელი დეტალების გამოსახვის საშუალებანი.

თითოეული ოსტატი თავის მხრივ შემოქმედია. რამდენი ხელნაწერია, დეკორის რამდენი ერთეულიცაა ხელნაწერში, იმდენ ნაირსახოვან ორნამენტის გამოხატულებასთან გვაქვს საქმე. თითოეულ ხელნაწერში ამ ორნამენტული სახის მდიდარი მრავალფეროვნებაა წარმოდგენილი.

რამდენი სიახლეა ერთი თემის ირგვლივ, რა მთლიანობაა ამ მოტივის ფორმათა მრავალსახეობაში, არც ერთ შემთხვევაში ორნამენტული ნახატის საერთო

სქემა ერთმანეთს არ ემთხვევა და არა მარტო ორნამენტის სქემატური ნახატი, არამედ თვით ამ ცალკეული ხელნაწერის დეკორაციულ ელემენტთა შიგნით ორი დეტალის მიმსგავსებას, ფოთლის ერთნაირი მოხაზულობის განმეორებას არ აქვს ადგილი. რაც შეეხება დეკორაციულ სქემას, იგი კლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი: კომპოზიცია ხაზგასმული ცენტრით და ამ ცენტრიდან თანაბარი მანძილით დაშორებული დეტალების განმეორება ქმნის სიმეტრიულ, ცენტრალური ღერძისადმი დაქვემდებარებულ კომპოზიციას, აქ მკაცრი მოწესრიგებუ-



სურ. 4

ლობა და კანონზომიერება გამოხატული. კომპოზიციური სიცხადე. — სიცხადე მოტივისა — ეს არის გამოსახულების თვითმიზანი. მაქსიმალური სიმკვეთრე გამოსახულებისა — ამ შემთხვევაში ლურჯი საღებავებით შესრულებული კონტურული ნახატი ორნამენტში ცხადად იკითხება. კლასიკური ნახატი ყოველთვის ნიისწრაფოდა გამოსახულებისაკენ, რომელსაც შეეძლო ამომწურავად განემარტა ფორმა. ამ მრავალფეროვნებაში, მცენარეული თუ ცხოველური სახეების კომბინაციაში ყოველთვის სიცხადე, კანონზომიერება და გარკვეულობაა შეტანილი.

ესთეტიკური თვალსაზრისით ყოველი კომპოზიცია მთლიანი, ჩაკეტილი, თავის თავში დამთავრებულია. თითოეულ ნაწილს მთელის შიგნით თავისი გან-

საზღვრული ადგილი აქვს მიჩნეული. მათი არც ამოგდება და არც გადაადგილება არ შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული განპირობებულია მთელით, მაინც რჩება თავისთავადი. ეს ნაწილები რაგინდ მყარად არ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, ყოველთვის სარგებლობენ რაღაც დამოუკიდებლობით, რაც მოითხოვს მათსავე მათთან თანდათანობით მიმოხილვას.

კლასიკური სტილი აღწევს ერთიანობას და ეს ერთიანობა მიღწეულია დამოუკიდებელი ნაწილების ჰარმონიით და არა მეორეხარისხოვანი ელემენტების წამყვანი ელემენტებისადმი დაქვემდებარებით. ყველა ელემენტი წარმოდგენილია მთელში თანაბარი უფლებით — ცალკეულად აღებული ნაწილი არ კარგავს სახეს. იგი მთელის გამოხატულებას წარმოადგენს.

როდესაც ვლაპარაკობთ ხელნაწერის მორთულობის ელემენტების ორნამენტულ ნახატობაზე, კოლორიტულ მხარეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საერთო ფერადოვან გამაში სჭარბობს ლურჯი, მწვანე და ოქრო, გაცოცხლებული წითელი, თეთრი და ყვითელი საღებავებით. ყვითელი ყველგან ამუშავებს მწვანეს, ხოლო თეთრი ლურჯს, წითელსა და შინდისფერს.

ძლიერ ულტრამარინ-ლურჯს, რომლითაც ორნამენტის ძირითადი სქემატური ნახატია შესრულებული, საერთო კოლორიტში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება, ერთგვარად დომინირებს, წინ არის წამოწეული. ულტრამარინ-ლურჯი და მწვანე ოქროსთან ქმნის სილამაზით იშვიათ კოლორიტულ შეხამებას.

დიდი სიფაქიზითაა შესრულებული ორნამენტული მორთულობა, გულდასმითაა გამოსახული თითოეული ორნამენტული დეტალი.

თავდაპირველად შესრულებულია ძირითადი მონახაზი. ამის შემდეგ ფონი იფარება თხელი, აკვარელისებრ გამჭვივრავლ სინგურით, რომელიც ნახატის შევსების მერე ოქროთაა დაფარული. სინგურის სარჩული გამოსუკვივის ოქროს ქვეშ, მას მოწითალო ფერი გადაჰკრავს, რაც ოქროს ანიჭებს სითბოსა და სიღრმეს. ფონის შემზადების შემდეგ ოსტატი გადადიოდა ნახატის შევსებაზე. ნახატი ივსებოდა სქელი, გაუმჭვივრავლ საღებავებით. ოქროს წვრილი, მეტისმეტად ფაქიზი, ერთმანეთისაგან ოქროს ხაზებით გამოყოფილი, ამ სქელი, გაუმჭვივრავლ ლოკალური საღებავებით მთლიანად ამოვსებული ორნამენტული ნახატის ტექნიკა ტიხრულ მინაქარს მოგვაგონებს.

ოსტატი შესანიშნავადაა დაუფლებული ტექნიკის ხერხებს. იგი იყენებს მრავალშრიან საფერწერო ტექნიკას. საღებავების ფერთა ცვლით, ლოკალური საღებავებით ზედაპირის რამდენიმე ფენად დამუშავებით, ოსტატი აღწევს არა მარტო გამოსახულებების რელიეფურობას, არამედ ორნამენტულ ნახატში ფურცლებისა და ყვავილების რელიეფურ გამოსახვას.

ამ მრავალშრიანი საფერწერო ტექნიკით შესრულებული დეტალები ფერთა ოსტატური განაწილება-შეთანხმების წყალობით გარკვეულ მოცულობას ღებულობს. ეს არ არის გრაფიკული წესით შესრულებული ორნამენტები, სადაც ხაზს წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება; ვანის ხელნაწერის ოსტატი ნამდვილი ფერმწერია. ეს ხელნაწერი შესრულების მხრივ ცხოველსახული მანერის მაღალი ტექნიკის ნამდვილ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

ორნამენტული ნახატის თითოეული ფურცელი რელიეფური ხდება, მათი კიდეები შიგნით გადმოხრილი ჩანს, მუქი ფერის ძირითადი პირველი ფენა სიღრმის შთაბეჭდილებას იძლევა, ღრმა ტონს ქმნის. ეს ძირითადი ფერია, რომ

გელათისას იმეორებს. ვანის ხელნაწერში კი სხვაგვარი კომბინაციაა მოცემული: შუაში ეს განშტოებანი დამთავრებულია ყვავილებითა და ხილით (ერთ შემთხვევაში ვაშლებია, მეორე შემთხვევაში მსხლები, ლანგარს რომ ეხებიან ქვევით).

ლაფსყალდის ხელნაწერის მესამე კამარაში ურჩხულის თავებით დამთავრებული ბეწვახერხა ორნამენტის მოტივი გვხვდება გელათის, ვანის, II ჯრუჭის ოთხთავებში (იხ. ტაბ. VI, VII). ამ შემთხვევაშიც ლაფსყალდისა და გელათისა ერთმანეთის მსგავსია: აქ ორნამენტული წნულის იგივე კომბინაციაა წარმოდგენილი, მაშინ როცა ჯრუჭის ანტაბლემენტში განსხვავებული კომპოზიციური აგებულების ნახტია მოცემული, ხოლო ვანის ოთხთავში ურჩხულის თავები გამოყენებულია ანტაბლემენტის კუთხეების შესავსებად.

ეჩმიაძინის ქართული ხელნაწერის ოსტატი მხოლოდ ერთხელ ცვლის დედანს—იოანეს სახარების საზედაო ასო „პ“-ს აგებულებას იძლევა განსხვავებულს. ნაცვლად ორი ციცარისა, ინიციალი აქ ნავისა და ადამიანებისაგან შედგება; ასეთი აგებულების ინიციალი გვხვდება სხვა ხელნაწერებში: გელათის, Hi—1707 ოთხთავებში (იხ. სურ. 1).

ამრიგად, ვანისა და ლაფსყალდის ხელნაწერების მორთულობათა შორის, შედარების დროს, მსგავსებებთან ერთად მთელი რიგი განსხვავებებიც შეიმჩნევა. აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ რამდენიმე მომენტი, რითაც ლაფსყალდის ხელნაწერის შემკულობა ქართული ხელნაწერის წიგნის დეკორაციულ მორთულობას უკავშირდება.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, თვეების სიმბოლური გამოსახულებებით ბაზებისა და სვეტისთავების მორთვას ვხვდებით ლაფსყალდის კამარებში. იმ განსხვავებით, რომ აქ ფიგურათა განაწილება რამდენადმე შეცვლილი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი.

თუ ვანის ხელნაწერში თვეების განაწილება მარტის თვით იწყება, ლაფსყალდის ხელნაწერში წლის დასაწყისი სექტემბერია. ეს მეტად საგულისხმო მომენტი, რადგან ამ პერიოდში საქართველოში სარგებლობდნენ სექტემბრის წელიწადით. „სექტემბრის წელიწადი ქრისტიანობის შემოსვლიდან მე-10 ს-ის ნახევრამდე იყო სამოქალაქო (ავვისტოსა და მარტის წელიწადთან), ხოლო მე-10 ს. ის იქცა ბიზანტიური ტიპის საეკლესიო წელიწადად“¹⁷.

ლაფსყალდის ოსტატმა მოგვცა რა ვანის ხელნაწერის მიხედვით თვეებს სიმბოლური გამოსახულებანი, ბრმად კი არ გადმოიღო, როგორც ეს ეჩმიაძინის ქართულმა ხელნაწერმა, არამედ შეცვალა ისე, როგორც საქართველოში იყო მიღებული.

სხვა განმასხვავებელი თავისებურებებიდან, რომლებითაც ლაფსყალდის ხელნაწერი უშუალოდ ქართულს უკავშირდება, ეს არის ევსებიოსის კარპიანებადში წერილის მორთულობისა და ორიარუსიანი სცენების უარყოფა.

სასულიერო წიგნებს შორის, როგორიცაა დავითნი, სვინაქსარი, ზატიკა, ოთხთავი და სხვ. უკანასკნელი გამოირჩევა მორთულობის სპეციფიურობით.

¹⁷ კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ნაკვ. I, 1956, გვ. 123.

თვით ოთხთავის ტექსტი აპირობებდა მორთულობის ელემენტებს, განსაზღვრავდა მათ ადგილს ხელნაწერის საერთო შემადგენლობაში. XI ს-დან დაწყებული ოთხთავის მორთულობა ერთგვარად კანონიზირებულ სახეს ატარებს. არსებობდა ერთი შემუშავებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც ამკობდნენ ხელნაწერებს. ეს პრინციპი ოთხთავის გაფორმებაში ყოველთვის მტკიცედ იყო დაცული, მხოლოდ მხატვრები საკუთარ ვარიაციებს იძლეოდნენ ცალკეული დეკორატიული ელემენტების დამუშავების დროს.

ოთხთავის მორთულობის პრინციპში ვგულისხმობთ ჯერ ერთი დეკორის რა შემადგენელი ელემენტებია ხელნაწერის შესამკობად გამოყენებული და მეორე: როგორია ამ ელემენტების განაწილება თანმიმდევრობა ტექსტში.

XI ს. მოყოლებული ოთხთავის მორთულობის რეპერტუარი მეტად მდიდრულია. იგი სავსებით ჩამოყალიბებულია, შეიცავს დეკორის განსაზღვრულ ელემენტებს: ინიციალებს, თავსამკაულებს, კამარებს, მახარებელთა გამოსახულებებს, ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სცენებს.

მდიდრულად მორთულ ხელნაწერებს კამარების შემდეგ დართული აქვს საპარადო კომპოზიცია, რომელზედაც ზოგჯერ ჯვარია გამოხატული (ალავერდის ოთხთავი), ზოგჯერ დეისუსის—ვედრების კომპოზიციაა წარმოდგენილი (გელათის, II ჯრუჭის ოთხთავები).

ისევე როგორც მინიატურის შინაარსი, ასევე ამ ცალკეულ დეკორაციულ ელემენტთა ადგილი ხელნაწერში ტექსტის მიერაა განპირობებული, თითოეულს თავისი განსაზღვრული ადგილი აქვს მიკუთვნებული და ამდენად მათი განაწილების თანმიმდევრობა ერთგვარად მყარი რჩება. ხელნაწერის დასაწყისში, ევსებოზის წერილის შემდეგ, მოცემულია კამარები, მახარებელთა გამოსახულებანი წარმოდგენილია შესაბამისი სახარების წინა ფურცლის verso მხარეს, რითაც მახარებელი მის მიერ დაწერილ ტექსტთან ერთიანობაშია წარმოდგენილი. თავსამკაულები ავჯირგვინებენ სახარების დასაწყის გვერდს, ინიციალებით აღნიშნავენ აზხაცებს.

XI ს. მოყოლებული ქართული ოთხთავი, როგორც სამკაულთა შემადგენელი ელემენტებით, ასევე ხელნაწერის ტექსტში მათი განაწილებით, ბერძნული ოთხთავის მორთულობის ანალოგიურია. მხოლოდ ბერძნულ ხელნაწერთა სამკაულთა რეპერტუარში შემაგალი ელემენტებიდან ჩვენამდე მოღწეული ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორაციული მორთულობისათვის არ არის დამახასიათებელი ევსებოზის წერილის შემკულობა და არც მინიატურათა გამოსახულების ორიარუსიანი კომპოზიცია.

ბიზანტიურ ხელნაწერებში ევსებოზის კარპინესადმი წერილის თითოეულ გვერდს გარს უვლის ორნამენტებით მორთული დეკორატიული ჩარჩო; ფრ. 210 ჩარჩო წარმოადგენს სწორკუთხედში ჩაწერილ ერთმანეთის მოპარდაპირე ნახევარწრეებისა და სამკუთხედების მონაცვლეობას. მათ შორის თავისუფალი არე ორნამენტითაა შევსილი; ფრ. 305 ტექსტი ჩართულია სვეტებზე დაყრდნობილ კამარაში; ფრ. 220 ჩარჩო ჯვარისებური ფორმისაა; ფრ. 519 ჩარჩო წარმოადგენს სწორკუთხედს ნახევარწრეებით გვერდებზე.

ქართულ ხელნაწერებში ჩვეულებრივ ტექსტის დასაწყისი სამი სტრიქონია აღნიშნული სინგურით. მხატვრულად შემკული ევსებოზის წერილის ტექსტი გამონაკლისის სახით გვხვდება მდიდრულად მორთულ სახეიპო ტიპის ხელნაწერებში, რომლებიც შავ მთაზეა გადაწერილი, კერძოდ ალავერდის ოთხთავში, S—962 ხელნაწერში. აქ ჩარჩო წარმოადგენს სვეტებზე დაყრ-

დნობილ ანტაბლემენტს, ხოლო ველათის, II ჯრუჭის ოთხთავებში დეკორაციული მორთულობის ეს ელემენტი გვხვდება არა მთლიანი ჩარჩოს სახით, არამედ ტექსტის მარცხენა სვეტის დამავიწროვებული სწორხაზოვანი ან ასო II-ს ფორმის თავსამკაულის სახით.

ვანის ხელნაწერის მსგავსი მახარებელთა გამოსახულების შემცველი მინიატურის დეკორატიული ჩარჩოს ორიარუსიანი კომპოზიცია არსებულ ქართულ ხელნაწერებაში არ შეგვხვდრია. მახარებლები ჩვეულებრივ წარმოდგენილი არიან მთლიან გვერდზე, ხოლო ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სცენები ჩართულია ტექსტში (გელათის, II ჯრუჭის ოთხთავები და სხვ.) ენშიაძინის ქართული ხელნაწერის ოსტატმა, რადგან მას სურდა ჰქონოდა ვანის ოთხთავის მოხატულობის პირი, მხოლოდ გადმოიღო ორიარუსიანი კომპოზიციის მდიდრულად ორნამენტირებული ჩარჩო (მეორე იარუსის თალი წარმოდგენილია სიუჟეტური კომპოზიციების გარეშე).

ბიზანტიურ სინამდვილეში ამისი მაგალითები, მართალია, არც ისე ხშირად, მაგრამ გვხვდება. მაგრამ, მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცულ XII ს. ხელნაწერში (gr. 519) მახარებლის მინიატურაში სურათის ზედა მარჯვენა კუთხეში ჩართულია ერთ-ერთი სცენა ახალი აღთქმიდან. მართალია, ვანის ხელნაწერისგან განსხვავებით აქ არ არის მდიდრული დეკორატიული ჩარჩო, რომელიც კამარების საშუალებით ამ სცენებს ერთმანეთისაგან მიჯნავდეს, ისინი ერთ საერთო ოქროს ფონზე არიან გამოსახული და გაერთიანებული ვიწრო ორნამენტირებული ჩარჩოთი. მაგრამ ეს ორიარუსიანობა გამოხატულია მათი განაწილებით სურათზე: მახარებლის გამოსახულება სურათის ქვედა ნაწილშია მოცემული, ხოლო მათ ზევით ერთმანეთის გასწვრივ წარმოდგენილია ეს მინიატურული ხასიათის ახალი აღთქმის კომპოზიცია და მახარებლის სიმბოლური გამოსახულება.

ვანის ხელნაწერის მსგავსი ორიარუსიანი კომპოზიციის დეკორატიული ჩარჩო ილუსტრირებული აქვს ბუბერლს: ქვედა რეგისტრში მახარებლის გამოსახულებაა, მხოლოდ მეორე იარუსის თაღს ახალი აღთქმის კომპოზიციის ნაცვლად ავსებენ ორნამენტები¹⁸.

მინიატურული კომპოზიციის ორიარუსიანი სისტემა იმ განსხვავებით, რომ ახალი აღთქმის სცენები დართული აქვს არა მახარებელთა გამოსახულებას, არამედ ევსებოზის წერილის ტექსტს, აღწერილი აქვს ვაიცმანს¹⁹.

ლაფსყალდის ხელნაწერის ოსტატი, მიუხედავად იმისა, რომ ნიმუშად იყენებს ბიზანტიელი მხატვრის მიერ შემკობილ ე. წ. ვანის ოთხთავის შემკულობას, თავის სამკაულთა რეპერტუარში არ რთავს ევსებოზის წერილის მორთულობას და ორიარუსიანი კომპოზიციების შემცველ მინიატურას.

ლაფსყალდის ხელნაწერის ოსტატი მახარებელთა მინიატურების მოხატვის დროს დამოუკიდებლობას იჩენს არა მარტო დეკორატიული ჩარჩოს უარყოფაში, არამედ არქიტექტურული პეიზაჟის გადმოცემაში, მახარებელთა ტანისამოსის დამუშავებაში და სხვ. მახარებლებიდან მათე, მარკოზ და ლუკას გამოსახულებანი წარმოდგენილი არიან არქიტექტურის ფონზე, ხოლო იოანეს გამოსახულება, ვანის ოთხთავისაგან განსხვავებით, ბუნების ფონზეა გადატა-

¹⁸ Paul Buberl, Die Byzantinische Handschriften, B. 2, m. XXVII (Cr. 52).

¹⁹ K. Weitzmann, Die Byzantinische Buchmalerei des IX und X Jahrhunderts, Berlin, 1935, გვ. 68.

ნილი. იოანე გამოსახული თავის მოწაფე პროხორესთან ერთად. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ კომპოზიცია ასეა აგებული: სურათის მარჯვენა მხარეს მთელი ტანით იოანეს ფიგურაა გამოსახული, მისი ყურადღება მიმართულია სურათის მარჯვნივ ზედა კუთხეში მაკურთხებელი მარჯვენისაკენ, ხოლო თვითონაც ერთდროულად მაკურთხებელი უცხტით დაკავშირებულია სურათის მარცხენა მხარეს გამოსახულ პროხორესთან. პროხორე ზის, მას მუხლებზე წიგნი დაუდევს და წერს. იგი გამოსახულია კლდეების ფონზე, რითაც ეს მარცხენა მხარე გაწონასწორებულია მარჯვენა მხარეს გამოსახულ ფიგურასთან.

(გრ. 67, გრ. 220, გრ. 101/1, H—1707/145v, II ჯრუჭის ოთხთავი (200v), წყაროსთავი (Q—907).

ოქროსფერ ფონზე შენობებისა თუ კლდეების სახით მოცემული არქიტექტურული თუ ბუნების პეიზაჟი სურათში სიბრტყობლივი განლაგებითაა წარმოსახული.

ვანის ხელნაწერისაგან განსხვავებით, არქიტექტურული ნაგებობა ერთ მხარესაა წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ეჩმიადინის ქართული ხელნაწერის ოსტატი ზუსტად იმეორებს ამ ნაგებობათა ფორმებს.

მაგრამ, თუ შენობები ბრტყელია, მოცულობას მოკლებული, ფიგურების მოცულობაში გადმოსაცემად ფერწერულ საშუალებებს მიმართავს. ლაფსყალდის ხელნაწერის ოსტატი ბუნებით ფერმწერია. ძირითადი ყურადღება მას არა ნაზის ემოციურობაზე გადააქვს ფაქიზი და ზუსტი ხაზების გამახვილებულ შეგრძნებაზე, არამედ, როგორც ეს ცხოველსახულ სტილშია საერთოდ, ხელმძღვანელი მნიშვნელობა მიეწერება ფერადოვანსა თუ შუქისა და ჩრდილის ლაქებს.

მათი საშუალებით იძერწება ფორმა. ხდება ფორმის შემომხაზველი კონტურის გაუფასურება და ერთდროულად სიბრტყის გაუფასურებაც. ამიტომ თვალი აღარ დაეძებს კონტურებს, უწყვეტ ხაზებს, აერთებს ფორმებს მათი სიახლოვისა თუ სიხშირის მხრივ. ლაფსყალდის ხელნაწერში, მართალია, ფორმები არ არიან კონტურებს მოკლებული, მაგრამ მათი მნიშვნელობა არ არის წინა პლანზე წამოწეული. არ არსებობს უწყვეტი კონტურული ხაზი, რომელიც ფარგლავდეს ფორმას და მას მიეწერებოდეს ხელმძღვანელი, წამყვანი მნიშვნელობა. არ არის მკვეთრად ხაზგასმული ნაპირები.

ლაფსყალდის ხელნაწერის ოსტატის მთელი აზრი და სილამაზე საგნებისა არა ნატიფი გრაფიკული ხაზების ვირტუოზულ შესრულებაშია ჩაქსოვილი, არამედ ძირითადი ყურადღება გადატანილია ფართე ლაქებით მოდელირებაზე, ჩამუქებული თუ განათებული ადგილების ურთიერთშენაცვლებაზე. არავითარი დეტალიზაცია, როგორც ეს ორნამენტებშია; აქ ვხედავთ წერის ფართე მანერას, ხაზი მეტად ნატიფი, მოქნილია.

საშუალო, ძირითადი ტონის დამუშავებით ოსტატი რელიეფურობის შთაბეჭდილებას აღწევს. ფორმა სრულდება ჯერ ერთი ტონის (ეს საშუალო, ძირითადი ფერია), შემდეგ ადგილ-ადგილ კონტურების აღსანიშნავად ხმარობს იმავე ტონალობის უფრო მუქი ფერის საღებავს. ხოლო ბოლოს იმ ადგილებში, სადაც ფორმა შუქს მოითხოვს, იქ თეთრნარევი საღებავებია ნახმარი. ტექნიკის ასეთი წესი—ერთი ძირითადი ფერის გამუქება-გალიავება—ძერწავს, მოცულობას ანიჭებს ფორმას, ხოლო ნაოჭებს, მეტ. თავისუფლებასა და სიბრბილეს, ცხადად აჩენს სამოსლით დაფარულ ნაკვთების მოყვანილობას. ასეთი ფერწერული ტექნიკა, ფერთა ასეთი ნიუანსირება ვანის ხელნაწერში იმ განსხვავებითაა წარ-

მოდგენილი, რომ ტექნიკის მესამე საფეხური—შუქის ადგილების აღნიშვნა ოქროს ფართე ლაქების ნაცვლად თეთრნარევი საღებავებით ხდება.

რამდენადაც ლაფსყალდის ხელნაწერს პირდაპირი დამათარიღებელი წარწერა არ მოეპოვება, ამდენად ხელნაწერის ზუსტი დათარიღება არ ხერხდება. ხელნაწერის მხატვრობის სტილისტური თავისებურებანი, ვანის ხელნაწერთან მისი მსგავსება და ასევე ხელნაწერში არსებული მინაწერები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მხოლოდ ქრონოლოგიური საზღვრები.

ხელნაწერი დაათარიღეს დ. ბაქრაძემ, ა. ხახანაშვილმა, გრ. უვაროვამ, ე. თაყაიშვილმა. დ. ბაქრაძემ იგი XI ს. მიაკუთვნა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. „К какому времени относится Лафсхальское Евангелие, не известно, оно не имеет короникона. Может быть оно относится к XI ст.“²⁰.

რადგან ლაფსყალდის ხელნაწერი წარმოადგენს გიორგი მთაწმინდლის თარგმნის ტექსტს, ამიტომ ა. ხახანაშვილი XI ს. ათარიღებს. „Лафсхальское Евангелие представляет текст перевода Георгия Святогора (Мтацминдели), плодovито подвизавшегося на Афоне (1068)“ და იქვე წერს: „Лафсхальское Евангелие должно быть отнесено к XI в. Монахи Иоанн и Свиеон переписчики его“²¹.

უვაროვა გადაწერის თარიღად XIII ს. ასახელებს მხოლოდ იმიტომ, რომ ხელნაწერის ბოლოს არსებული დავით ნარინის დროინდელი ანდერძი, სადაც მოქცეილი ყდის გაკეთებამზეა ლაპარაკი, მიიჩნია ხელნაწერის გადაწერისა და მოხატულობის თარიღად. „Более позднее происхождение этого евангелия подтверждается длинной припиской, найденною Бакрадзе в конце евангелия, из которой узнаем, что оно написано и украшено духовником царя, иноком Иларионом Софронидзе“²².

ე. თაყაიშვილი არ ეთანხმება დ. ბაქრაძის და ა. ხახანაშვილის თარიღებს, აკრიტიკებს უვაროვას, რომელმაც ანდერძი არასწორად გაიგო და სთვლის, რომ რამდენადაც ხელნაწერს დამათარიღებელი წარწერა არ მოეპოვება, „ხელნაწერის თარიღის გამოსარკვევად მარტო წერის ხასიათისა და მხატვრობათა რიგის, სტილის მიხედვით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ერთიც და მეორეც, ჩვენის აზრით, მე-12, მე-13 ს. უნდა ეკუთვნოდეს“²³.

მე-12 ს. ჩვენ გამოვრიცხავთ, ვთვლით რა, რომ ლაფსყალდის ხელნაწერი შესრულებულია ვანის ხელნაწერის შემდეგ. ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის დასადგენად ვანის შესრულების თარიღს, მე-12, მე-13 სს. მიჯნას ვიყენებთ, ე. ი. ეს ხელნაწერი მე-13 ს. პირველ ათეულ წლებზე ადრე არ უნდა შესრულებულიყო.

რაც შეეხება ხელნაწერის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, სტილისტური თავისებურებებით იგი XIII ს. ფარგლებს არ სცილდება. ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დასადგენად კი გვეხმარება ტექსტში არსებული ორი მინაწერი; ერთია დავით ნარინის დროინდელი მინაწერი, მეორე—ცაიშის მთავარეპისკოპოსისა.

პირველი მინაწერი კოდექსის ბოლოს ტექსტისაგან განსხვავებული ხელითაა შესრულებული, აქ ნათქვამია, რომ დავით რუსუდანის ძემ ოპიზიდან გაღ-

²⁰ Д. Бакрадзе, Сванетия, 1864, 77 გვ.

²¹ А. Хаканашвили, Сванетские рукописные евангелия, МАК, т. х, გვ. 16.

²² Гр. Уварова, Сванетия, МАК, т. X, 152, გვ.

²³ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 402.

მოიყვანა მეფის მოძღვარი ბერი ილარიონ სოფრომის ძე, დააყენა გელათში ქედს მთავარანგელოზთა ეკლესიაში და ეს ხელნაწერი უბოძა. ილარიონმა ეკლესიაში ჩატარებულ სხვა სამუშაოსთან ერთად, ხელნაწერის ყდა მოაჭედინა. „სახელითა ღთისადათა მშისა ძისა და სლისა წსდათა: მეოხებითა ყდ წისა ღთსმ შბელისადათა. ძალითა პტიონსისა და ცხვლს მყფლისა ჯრისათა. წთა მთვრნგზთა მქლისითა და გბრილისითა წისა წწყლისა წინამორბედისა და ნთლის მცემლისა იწესითა წთა მცქლთა წნტყლითა მღღელთმძღრთა. მწმეთა. მმთა მმომვტრთა და ყთა წთა ზეცისა და ქყნისადათა რმელნი საუყუნითგან სათნო ეყენეს რა ჩნსა იყ ქესა.

ამთ ყთა წთა მადლითა და შეწვნითა დავწერე ანდერძი ესე. ამა წმიდასა სახარებასა შინა მეფისა მოძღვრმ ბერმ ილარიონ სოფრომის ძემ. მს ჟამსა ოდეს პტრნმ ნდთ მეფემნ ძემნ რუსუდანიმნ. ოაზით წამომიყვანეს. და გელათს ქედს წთა მთავარანგზთა წე მაყფეს. ესე წა სახარებაა მიბოძეს და ვითა მმართებდა. მათად სადიდებოდ და სალოცავად ქედს წთა მთვრანგზთა შვსწირე. დამთსა ეკლესიასა დავდევე და რომელი რმგნ ეგებოდა მთითა ნაბოძვართა რააცა აკლდა ესე სახარებდა შევკაზმე და ბარძიმ ფეშხუმი, ხური და კოვზი. ვერცხლისაჲ სიწმიდისა სამსახური სრული ლავრისაჲ ხატი წთა მთვარანგელოზთაჲ მომცროჲ დავახატეინე და მოვაჭედინე. სამღვდელთა შესამოსელი სრლი წიგნი საწწყლოჲ ესე ყუშლოჲ პტრნისა ნაბოძვართა მათად სადიდებოდ და სალოცავად ვქმენ და ესეცა ვავაჩინე. წთა მთავარგზთა ესე ოთხნი სანთელნი და ოთხნი კანდელნი სანთებად პტრნისათსვე. აწ ვინცა და რამნცა გუარმნ კქმან ამა წმიდისა სხრბისა და ესე რააცა ზემოთ დავწერია ამთ წთა მთვრნგზთა ეკლესიისგნ გამოღებად ანუ გამოჭუშბად ანუ შეცვლად რქსაცა მიზეზისა მოღებითა ჯელყოს და დააკლს: ჰრისხვსმცა მმძ ძე და სლი წა: დაყდ წა ხახულისა ღვთისმშობელი. წნი მთვრნგზნი მქლ და გბრლ და ესე ზემო წერილნი ყნი წნი ღთისანი და კანონსამცა ქუშშე არს წთა მცქლთა და მღღლთ მძღრთასა: და კრლმცა არს დაუსხმესა ღთისა პირითა და ოდეს ყნი კრლნი გნიჯნეს დღესა მს საშინლსა გნკითხვისსა იგიმცა ნუ გნიჯნების ყთა ღისა უვარის მყოფელთა და შემცოდეთა თნამცა დაისჯების სლი მისი საკნდ უქე და ვინცა მტკიცედ და უცვლბლდ იპყრას ესე ყლივე მდლი და კხედლ და ამა ნთამთვრანგზთა იყავნ მს ზა და სქნომცა არს სქსნბლი მისი: და ვინცა კცი რქსაცა მიზეზისათს ამის ანდერძისა შეშლასა და ანუ ამოკუშთასა ეცადოს კრლმცა არს ღთისა მდლითა და ამთ ზემო დავწერთა კანონთამცა ქუშშე არს:²⁴

მაშასადამე, ამ ანდერძში ლაპარაკია ხელნაწერის შეკაზმვაზე. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, შეკაზმვა ნიშნავს ყდის გაკეთებას²⁵ და არა მოხატვას, როგორც ეს თავის დროზე უვაროვამ მიიჩნია და ხელნაწერის დასათარიღებლად გამოიყენა.

ის, რომ ილარიონი თვითონ არ იყო ყდის გამკეთებელი, ამაზე მიუთითებს ამ ანდერძში მოცემული ცნობები: 1) ილარიონ ოპიზიდან დავით ნარინმა მოძღვრად გადმოიყვანა. 2) მან ხელნაწერი შეკაზმა მეფის ნაბოძვრით, ე. ი. გაიღო გარკვეული გასამრჯელო ყდის მოსაკაზმავად. ანდერძში ნათქვამია: „მათითა ნა-

²⁴ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 399.

²⁵ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 75.

ბოძვართა, რაჲცა აკლდა, ესე სახარებაჲ შეეკჳხმე.“ შესაძლებელია პირველ პირში ზმნამ აფიქრებინა ე. თაყაიშვილს, რომ ილარიონმა თვითონ მოქცედა ყდა, მით უმეტეს, სხვა სამუშაოსთან დაკავშირებით წათქვაჲ „ხატი წ“თა შ“თვარანგელოზთაჲ მომცროჲ დავახატვინე და მოვაჭედინე“, ე. ი. სხვას გააკეთებინა. თვითონ, რომ დაუფლებული ყოფილიყო ქედურ ხელოვნებას, ამ პატარა ხატსაც თვითონ მოქედავდა.

ამრიგად, ამ ანდერძის თანახმად ყდა შესრულებულია დავით ნარინის მეფობაში 1245—1293 წლებს შორის.

ანდერძში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ილარიონმა გელათის ქედს მთავარანგელოზთა ეკლესიას შესწირა ეს ნაბოძები ხელნაწერი, მაშასადამე, ხელნაწერის მოქედვა უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც დავით ნარინი იმერეთში გადმოვიდა, ე. ი. 1259 წლის შემდეგ.

ყდის შესრულების თარიღი იზღუდება 1259—93 წლებით.

მეორე მინაწერი, რომელიც დავით ნარინის ანდერძიც რომ არ გვეკონოდა, დავიდგენდა ხელნაწერის შესრულების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, ეს არის ცაიშის მთავარეპისკოპოსის მინაწერი: განჩინება ლაფსყალდის ეკლესიისათვის. ეს განჩინება მას დაუწერია დემეტრე მეფისა და დადიანის ბრძანებით ლაფსყალდის ეკლესიის კურთხევის დროს.

„ქ. სახელითა ლ“თისათა ცაიშის ლ“თის მშობელისათა: თვესა სეკდბრსა ათუხმეტსა მე ცაიშელი მოვ რებსკოპოსი დანიელი ლაბსყელდასა მივედი ვაკრთხე: მთავარანგელოზი ლაბსყელდაშისა: დემეტრე მეფისა: მეფობასა: შიგა ერისთავთ: ერისა: თვისა დადიანისა ოზბგისა ბრძანებითა: დამოწმებითა: და ცხმარისა: ქვემან დაუწერეთ: მთავარანგელოზსა ლაბსყელდაშისა: საპ(ა)ტიყუი ზუდესა: შიგნით: სამოცდა ათასისა თეთრ საპტიყუი: მასა: გარე: საპტიყუი: სადა სარკლსა ვში ისმისა: რვაი: ათისისა თეთრისა მისი საპტიყუი დავესა: ჭიხუაშისა: და (ხანსისა?) შვა ოთხი ათასისა თეთრისა საპტიყუი დავცესა: მე ცაიშელ მთვარ: ებსკოპოსმან: დანიელ: ვამტკცე და ჭ“ნს; ერთობლთა: ქვეთა: ცხმრისითა მეფეთ: დადანსა ბრძანებთა: ვნც (გაამაჯრესა?) კურთხეული: მც: არსა ვინც შესცვლოსა: კურლმც არს ლ“თისა მდლთა მე: კაკასატასა დავითსა დამიწერია და მოწამეც ვრ: ამა: სიგელისა“²⁶:

ამ მინაწერით ეს ხელნაწერი დემეტრეს მეფობის დროს (1270—93 წლებში) ლაფსყალდის ეკლესიას შესწირული ჩანს, ხელნაწერის შესრულების დრო უფრო შეზღუდა, კერძოდ 1259—70 წლებით, ყდის შესრულების პერიოდი 10—11 წლით შევიძლია განვსაზღვროთ. რადგან ხელნაწერი დავით ნარინის მეფობის დროს მოიქცედა, იგულისხმება, რომ ხელნაწერი ამ პერიოდში უკვე გადაწერილი და მოხატული ყოფილა. წიგნის შემზადების თანმიმდევრული პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ეტრატის დამზადებას, გადაწერას, მოხატვას, აკინძვას, შემოსვასა და შეკაზმვას, ერთი მთლიანი უწყვეტი პროცესია იგი გარკვეული პერიოდში, თანმიმდევრობით, უკლებლივ უნდა სრულდებოდეს, რომ ხელნაწერმა დამთავრებული სახე მიიღოს. ამ შემთხვევაშიც ლაფსყალდის ხელნაწერის ქედური ყდის გაკეთება შრომის სხვა პროცესებთან ერთად უინტერვალოდ ერთდროულად უნდა შესრულებულიყო.

ის, რომ ყდის მოქედვა უნდა მომხდარიყო ხელნაწერისა თუ მოხატვის ახლო ხანებში, ამას გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ ასეთ მდიდრულ ხელ-

²⁶ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 401.

ნაწერა, როგორც ლაფსყალდის ოთხთავია, მოუკაზმავს დიდხანს არ დასტოვებდნენ. მით უმეტეს, რომ აქ იგულისხმება არა ცალკე ბუდე, რომელიც დამოუკიდებლად უფრო გვიან შეიძლება შესრულებულიყო, არამედ აქ თავიდან გათვალისწინებული ფარჩაზე არსებული ორნამენტული ზოლებისა და ქედური გამოსახულებების შესრულება იგულისხმება.

გარაუდო, რომ ეს ხელნაწერი დავით ნარინის დროს შესრულებულიყოს 1259—70-იან წლებში მისივე დაკვეთით აქვე გელათში, არ არის საფუძველს მოკლებული. ასეთი მდიდრულად მორთული ხელნაწერი უბრალო პირის დაკვეთილი არ იქნებოდა. გარდა ამისა აქვე ამ დროს ინახებოდა ვანის ხელნაწერიც, რომლითაც ლაფსყალდის ოსტატს უსარგებლია.

გადიწერა ეს ხელნაწერი დავით ნარინის დროს, თუ დავით ნარინმა დააკვირვინა წიგნის შემზადების პროცესი, რომელიც იმავე ახლო ხანებში უნდა ვიგულისხმოთ, ხელნაწერის თარიღი XIII ს. ფარგლებს არ სცილდება.

ჩვენს ხელთაა ერთის მხრივ ბერძენი ოსტატის მიერ მოხატული ქართული ხელნაწერი—ე. წ. ვანის ოთხთავი, ხოლო მეორეს მხრივ—ამ ხელნაწერის მიზამეთ საქართველოში შექმნილი ლაფსყალდისა და ეჩმიადინის ქართული ოთხთავები²⁷.

ვანის ხელნაწერის დეკორაციული მორთულობის მხატვრულ-სტილისტურმა ანალიზმა ცხადყო, რომ იგი პოულობს მთელ რიგ პარალელებს ბერძნულ ხელნაწერებთან²⁸. ოთხთავის მორთულობის პრინციპი, ცალკეულ სამკაულთა აღნაგობა, ორნამენტული მოტივები, კოლორიტი, ტექნიკა, იკონოგრაფია იმეორებს მე-XII ს-ის ბერძნული ხელნაწერი წიგნის დეკორაციული მორთულობისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ლაფსყალდისა და ეჩმიადინის ქართული ხელნაწერების მორთულობათა შედარებამ ვანის ოთხთავის მოხატულობასთან გამოავლინა მათ შორის არსებული მსგავსებანი, რაც მიგვიჩინებენ იმაზე, რომ ამ ხელნაწერთა ოსტატებს მუშაობის პროცესში ვანის ხელნაწერით უსარგებლიათ.

ეჩმიადინის ქართული ხელნაწერის ოსტატი იხატავს ვანის ოთხთავის დეკორაციული მორთულობის შემადგენელი ნაწილებს—თავსართების, კამარების, ინიციალების მოხაზულობებს, ზუსტი თანმიმდევრობით გადმოაქვს თითოეული დეკორაციული თუ ორნამენტული მოტივი.

ლაფსყალდის ხელნაწერის ოსტატი ვანის ხელნაწერის მორთულობიდან არჩევს დეკორის ცალკეულ ელემენტებს. ბაძვს კამარებისა თუ თავსამკაულების მომრთველ ზოგიერთ დეკორაციულ მოტივს, მათ შემადგენელ ცალკეულ ორნამენტებს, კამარათა სტრუქტურას (კამარის არქიტექტურული კომპოზიცია აქაც შედგება ბაზებსა და სვეტისთავებზე მოთავსებული თვეების სიმბოლიურ გამოსახულებებზე დაყრდნობილ სწორკუთხა ფორმის ანტაბლემენტისაგან); ინიციალების აგებულებას. (ასო „ვ“ კომპოზიცია ადამიანთა და ცხოველთა იმავე გამოსახულებებს შეიცავს).

²⁷ იხ. gr 223; gr. 105, gr. 101/1, gr. 214. gr. 67, gr. 296, gr. 72, gr. 801 (ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში), gr. 511, gr. 518, gr. 519 (დაუთლია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში).

²⁸ ელ. მაკაევიანი, ვანის ოთხთავის (A—1335) ახლად აღმოჩენილი პირი, საქ. სსრ. შეცნობებათა აკადემიის მოამბე, 1961 წ. III, თბ.

ლაფსყალდისა და ვანის მორთულობათა შორის მსგავსება გამოიხატება ასევე კოლორიტული თუ ფერწერული ტექნიკის თავისებურებებში (განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორნამენტების მინანქრისებურობა, დახვეწილი საფერწერო ტექნიკა).

სარგებლობს რა უმთავრესად ვანის ხელნაწერის სამკაულთა რეპერტუარით, ეჩმიაძინის ქართული ხელნაწერისაგან განსხვავებით, ლაფსყალდის ოთხთავის ოსტატი იღებს სხვა ხელნაწერებში გავრცელებულ მოტივებსაც და მათი შერწყმით ქმნის ახალ დეკორაციულ კომპოზიციებს.

თუ ერთის მხრივ ვანისა, ხოლო მეორეს მხრივ ლაფსყალდისა და ეჩმიაძინის ქართული ხელნაწერების მოხატულობათა შორის გამოვლენილი მსგავსებანი ასახავენ ბიზანტიური ხელნაწერი წიგნის დეკორაციული მორთულობისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ მომენტს, მათ შორის არსებული განსხვავებანი მიგვიითებენ ნაციონალურ თავისებურებებზე.

გადმოაქვს რა ვანის ხელნაწერის კამარათა აგებულება, ბაზებსა და სვეტისთავეებზე მოცემული თევების გამოსახულებათა განაწილების თანმიმდევრობას სცვლის ამ პერიოდის საქართველოში მიღებული საკალენდარო სისტემის მიხედვით, კერძოდ წლის დასაწყისად მარტის, ნაცვლად იღებს სექტემბრის თვეს. გარდა ამისა ნასესხები ცალკეული დეკორაციული მოტივები საერთო კომპოზიციაში შეჰყავს სხვა განლაგებით, გვაძლევს მათ განსხვავებულ ინტერპრეტაციას, იძლევა ამა თუ იმ გამოსახულების დინამიურ ნახატს, ორნამენტულ სახეებს წარმოგვიდგენს მთელი რიგი ვარიაციებით.

ოსტატს ცვლილებები შეაქვს ასევე ოთხთავის მორთულობის პრინციპში, კერძოდ დეკორის შემადგენლობაში გამოირიცხულია ევსებიოსის წერილის ტექსტის შემკულობა (ამ შემთხვევაში ევსებიოსისა და კარპიანეს გამოსახულებათა შემცველი მინიატურა), უარყოფილია მინიატურათა ორიარუსიანი კომპოზიცია (მახარებლები დამატებით ახალი აღქმის სცენების გარეშე არიან წარმოდგენილი, როგორც ეს ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორაციული მორთულობის მხატვრული ხერხებისათვისაა დამახასიათებელი.

ეჩმიაძინის ქართული ხელნაწერის ოსტატი მიუხედავად იმისა, რომ უფრო მეტად უახლოვდება ორიგინალს, მეტნაკლები სიზუსტით გადმოგვცემს ცალკეულ გამოსახულებათა თუ ორნამენტების სქემატურ ნახატს, მათი გამოსახვისათვის სხვა ტექნიკურ. თუ კოლორიტულ საშუალებებს იყენებს. ცვლილებები შეტანილია პროპორციებში, უარყოფილია კონტრასტული ფერები, ტიხრული მინანქრის ტექნიკა, რითაც ავლენს ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრობისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.


ლაფსყალდის ხელნაწერის ოსტატი ეჩმიაძინის ქართული ხელნაწერის ოსტატის მსგავსად შეუქმობლად სტოვებს ევსებიოსის წერილის ტექსტს (წერილის პირველი სამი სტრიქონია სინგურით აღნიშნული), უარყოფს მინიატურათა კომპოზიციების ორიარუსიან სისტემას (იღებს რა მახარებელთა გამოსახულებების შემცველ მინიატურათა დეკორატიული ჩარჩოს ორიარუსიან სქემას, ახალი აღქმის სცენებისათვის გათვალისწინებულ ადგილს ოქროთი ფარავს).

რადგან ლაფსყალდისა და ეჩმიაძინის ქართული ხელნაწერები ვანის მიზაძებით არიან შესრულებულნი, ე. ი. ვანის ოთხთავი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ამ ხელნაწერებს, ამდენად ვანის ხელნაწერის თარიღი შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ ამ ხელნაწერთა შესრულების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი, კერძოდ XII—XIII სს. მიჯნა. თუ გავითვალისწინებთ დეკორაციული





ლატსყალდის ხელნაწერი. მარკოზ მახარებლის გამოსახულება.






ლაშვილის წმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის შელვაწერის კამარა.




ლაფსყაღდის ოთხთავის კამარების შეცკულობა.







ვანის ოთხთავის კამარების შემკულობა.



1.



2.



3.


1. H-1707, 2. გელათის, 3. ვანის ხელნაწერის დეკორაციული მოტივები.



1.




2.



3.


1, 3—გელათის, 2. ლაფსყალდის ხელნაწერის დეკორატიული მოტივები.



1



2



3

1. II ჯრუჭის, 2. ვანის. 3. გელათის ოთხთავის კამარის დეკორაციული მოტივები.

მორთულობის სტილისტურ ანალიზს, ხელნაწერთა შესრულების დრო მე-13 ს-ით უნდა განესაზღვროთ.

შესრულების მანერით ლაფსყალდისა და ეჩმიადინის ქართული ხელნაწერები მიეკუთვნებიან ე. წ. საზეიმო ტიპის ხელნაწერთა ჯგუფს. XIII ს. ქმნიან რა არსებული გრაფიკული ტიპის ხელნაწერების პარალელურად ცხოველსახული მიმართულების ხელნაწერთა ჯგუფს, ბერძნული ორიგინალის მეშვეობით აგრძელებენ ბიზანტიურ ტრადიციებს.

ამდენად ეს ხელნაწერები დიდ ინტერესს იწვევენ როგორც საქართველოსა და ბიზანტიას შორის არსებული კულტურული კავშირების ამსახველი ძეგლები.

Е. М. МАЧАВАРИАНИ

ДЕКОРАТИВНОЕ УБРАНСТВО ЛАБСКАЛДСКОЙ РУКОПИСИ

Резюме

Среди экспонатов Местийского краеведческого музея (Сванетия) выделяется богато украшенная рукопись — Лабскалдское четвероевангелие. Рукопись привлекает внимание своим декоративным убранством, канонами, заставками, инициалами и миниатюрами евангелистов.

Первые сообщения о рукописи, где основное внимание уделено припискам, а также дано краткое описание декора, имеются в труде Д. Бакрадзе («Сванетия», 1864 г.), Гр. Уваровой («Сванетия» МАК т. X) и Е. Такайшвили («Археологическая экспедиция в Лечуми и Сванетии в 1910 г.» на груз. яз.), А. Хаханашвили («Сванетские рукописные евангелия», МАК, т. X).

Структура и последовательность распределения декоративных элементов, отдельные декоративные мотивы, колорит и техника рукописи показывают, что мастер Лабскалдского евангелия пользовался Ванским кодексом (А—1335 переписан близ Константинополя и украшена греческим мастером).

В то время, как мастер Ечмиадзинского евангелия старается дать копию украшений Ванской рукописи, художник Лабскалдского кодекса творчески подходит к переработке оригинала.

В частности этот творческий подход, который кладет печать национальной особенности на Лабскалдскую рукопись и отличает ее от декоративного убранства Византийских рукописей, заключается в следующем: в состав декора мастер не включает украшение письма Евсевия к Карпиану, отказывается от двухярусного построения миниатюр, изменяет календарную систему, в соответствии с грузинской календарной системой, начиная распределение фигур месяцев с сентября.

В датировке Лабскалдского евангелия, Ванская рукопись может сыграть немаловажную роль, так как Лабскалдское евангелие было создано в подражание Ванскому. Принимая во внимание дату Ванского евангелия: 1184—1213 гг. и имеющееся в Лабскалдском евангелии указание на создание чеканного оклада этой рукописи во время царствования Давида Нарина (1245—1293), рукопись можно датировать XIII веком.

ლიმის ჯვრის მონასტრისათვის მიცემული შეწირულების წიგნი დაწერილია მდივან ბირთველის მიერ⁸ (აღსანიშნავია, რომ ამ წელს კოსტანტინე მეფე წყაროებით ცნობილი არ არის).

1570 წ. მდივანად ჩანს ელიზბარი იმერეთის მეფის გიორგის კარზე, სადაც იგი ადგენს დავით წულუკიძისათვის მიცემული გლეხების წყალობის წიგნს⁹.

1581—84 წწ. სვიმონ მეფის კარზე საბუთის შემდგენელია შაველი, რომელიც სამეფო კარის ვაზირად იხსენიება¹⁰.

1606—24 წწ. მდივან-მწიგნობრად ჩანს ნასრი ლუარსაბ, ბაგრატი და სვიმონ მეფეების კარზე¹¹. მისი შვილები არიან ბაინდურ, ყოჩხმაზ, მანუჩარ, სარაზან, ბექან¹². მათი ურთიერთდამოკიდებულება თუმანიშვილთა ძირითად შტოსთან, რომლის გენეალოგიის დადგენას ჩვენ ქვემოთ ვცდილობთ, ვერ გამოვარკვევთ.

ცნობების სიმცირის გამო ჩვენთვის ძნელი ხდება XV—XVI საუკუნეების თუმანიშვილთა საგვარეულოს გენეალოგიის დადგენა, გაცილებით მეტია დოკუმენტური მასალა მათ შესახებ XVII საუკუნეში, რაც გვაძლევს შესაძლებლობას მეტ-ნაკლებად დადგინდეს მათი ურთიერთდამოკიდებულება და იმ მდივნების მოღვაწეობის ხანა, რომლებსაც ვხვდებით მათ შორის ამ დროს.

1626 წ. დათარიღებულ სოფ. დარბაზის წყალობის წიგნში, რომელიც მიცემულია სვიმონ მეფის მიერ თუმანიშვილებისათვის, მოხსენებული არის ბირთველ თუმანიშვილი, მისი ძმები — თაყა, მანუჩარ და დავით¹³.

იმისათვის, რომ უფრო ადევილი ვახდეს ამ საგვარეულოს გენეალოგიის დადგენა, ჩვენ ამოსავალ წერტილად თუმანიშვილების ამ ოთხ წარმომადგენელს ვიღებთ და ვეცდებით განვიხილოთ ყველა ის დოკუმენტური მასალა, რომელიც მათ შესახებ და მათ ჩამომავლებზე არის დაცული.

ბირთველ თუმანიშვილი XVII ს. ცნობილი მდივანია; იგი საბუთებში ჩანს 1626—81 წწ. სვიმონის, როსტომისა და შაჰნავაზის სამეფო კარზე. პირველად იგი მდივანად 1630 წ. იხსენიება¹⁴. თუმანიშვილების მიწის ნასყიდობის წიგნში, 1683 წ. აღნიშნულია, რომ მანუჩარ თუმანიშვილს თავის ძმებთან გაყრის შედეგად მიღებული მიწის ნაწილი მიუცია თავისი ძმის ბირთველისათვის¹⁵. მაგრამ ამ საბუთში არ ჩანს ეს ფაქტი საბუთის დაწერის დროს მოხდა თუ წარსულში. უფრო მოსალოდნელია აქ ძველი ამბავი იყოს გადმოცემული, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია დანამდვილებით იმის თქმა, ბირთველი 1683 წ. ცოცხალია თუ არა. ამავე დოკუმენტში არიან მოხსენებული ბირთველის მეხუთე ძმა ჯიშშიტა, მისი შვილები ბექან და გიორგი და მისი შვილიშვილები—ბექანის შვილები: ბირთველ, ფირან, ზაზა და მანუჩარ.

⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი Qd—1447

⁹ იქვე, Hd—2270.

¹⁰ ვ. ფ. უ. თ. უ. რ. ი. ძე, ქართლ-სპარს. საბ. № 5 ხელნაწ. ინსტ. Sd.—2909


¹¹ ხელნაწ. ინსტ. Hd 2091. Hd—3056.

¹² იქვე, Ad.—973.


¹³ ხელნაწ. ინსტ. Sd—530

¹⁴ ვ. ფ. უ. თ. უ. რ. ი. ძე, ქართლ-სპარსული ისტორიული საბ., 1955, № 36, (ცსა 1448 № 5101).

¹⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd—44.



1635 წ. როსტომ მეფის მიერ თუმანიშვილებსათვის მიცემულ სოფლის წყალობის წიგნში მოხსენებული არიან ძმები თუმანიშვილები: თაყა, ბირთველ, მანუჩარ და დავით შვილებით: ბაინდურ, გიორგი, ნასყიდა და მამუკა. რომელი ძმის შვილები არიან ეს პირები დოკუმენტიდან არ ჩანს. აქ ნათქვამია, რომ „...გობოძეთ... თუმანიშვილ თაყასა და ძმათა თქუენთა მდივანს ბირთველსა და მანუჩარს და დავითს, შვილთა თქუენთა ბაინდურს და გიორგის და ნასყიდასა და მამუკასა...“¹⁶ სხვა დოკუმენტების მიხედვით 1657 წ. ბაინდური თაყას შვილია¹⁷ ამავე საბუთიდან ჩანს თაყას ორი სხვა შვილი პაპა და გორჯასპი და შვილიშვილები ზაალ და ბახუტა. გიორგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბირთველის ძეა, თუმცა არ არის გამორიცხული ის გარემოება, რომ შესაძლებელია თაყასაც ჰყოლოდა გიორგის სახელის მატარებელი შვილი, მაგრამ პირდაპირი ცნობა ამის შესახებ არ გვაქვს. მამუკას შესახებ ჭერჯერობით ცნობები არ არის, რის გამოც რაიმე გარკვეულის თქმა არ ხერხდება. იგი შესაძლებელია თაყასი ან მისი ძმების დავითისა ან მანუჩარის შვილი იყოს. ზაალ და ბახუტა. ჩვენის აზრით, ბაინდურის შვილები არიან. ნასყიდა გიორგი თუმანიშვილის ძმა არის¹⁸.



დავითის შესახებ ჩვენ მეტად მცირე ცნობები გვაქვს. ის ჩანს 1626—35 წწ¹⁹.

მეთოხე ძმა ბირთველისა არის ჯიმშიტა, რომლის ჩამომავლობაზე პირდაპირი ცნობა მხოლოდ ერთ საბუთში გვაქვს, 1664 წ. ჯიმშიტას მიერ ვალში სანაცვლოდ მამულის მიცემის წიგნში აბდულასათვის იხსენიებიან მისი შვილები ზურაბ, სულხან, ქიშვარ, ყალანდარ, გიორგი და ლიპარიტ.²⁰ მართალია, ჯიმშიტა აქ გვარის გარეშეა მოხსენებული, მაგრამ იგი ნამდვილად თუმანიშვილია. იგი დაიღუპა შაჰნავაზის მიერ კახთ ბატონიშვილის წინააღმდეგ წარმოებულ

¹⁶ ხელნაწ. ინსტ. Ad—972

¹⁷ იქვე, Hd—13051.

¹⁸ ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქ. სოც. ისტ., I, № 43, ცსსა, ფ. 1448, № 273.

¹⁹ ხელნაწ. ინსტ., Ad—972, Sd—530.

²⁰ იქვე, Hd—11032.

ბრძოლაში²¹ 1664 წ. 1665 წ. პაატა შატბერაშვილის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნში მოხსენებული არიან მანუჩარის ძმისწულები ზურაბ, სულხან, ქიშვარ, ყალანდარ, გიორგი და ლიპარიტ, რომლებიც ამავე საბუთში ჯიმშიტაშვილებად იწოდებიან²². ჯიმშიტაშვილებად იწოდებიან ისინი სხვა დოკუმენტებშიც²³. ჯიმშიტა, როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, თავის და ბირთველის მეხუთე ძმა არის, ე. ი. მანუჩარის დასახელებული ძმისწულები ჯიმშიტას შვილები არიან.

საბუთების უმრავლესობაში თუმანიშვილთა საგვარეულოს წევრები ისე არიან დასახელებული, რომ ტექსტის დადგენის გარეშე შეუძლებელი ზდება მათ შორის ნათესაური ურთიერთობის გარკვევა. მაგ. 1656 წ. მიწის ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია, რომ „...ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ ამილახორმა პატრონმა გივმა... თქვენ თუმანიშვილსა მანუჩარს და ძმას თქუენსა ჯიმშერს და შვილთა თქუენტა ზურაბს და სულხანს და ქიშვარს და ყალანდარს...“²⁴ ხოლო 1660 წ. მიწის ნასყიდობის წიგნი მისცა ხოსიტა თუმანიშვილმა „...თქვენ ჩუენს განაყოფს მურდარ მანუჩარს, ძმათა თქუენტა ჯიმშიტასა და შვილთა თქუენტა ზურაბს, სულხანს, ქიშვარს და ყალანდარს...“²⁵. ორივე ამ დოკუმენტის მიხედვით მანუჩარს ჰყავს ძმა ჯიმშიტა ანუ ჯიმშერ, და შვილები ზურაბ, სულხან, ქიშვარ და ყალანდარ. ტექსტის ამგვარი გაგება ჩვენ გარკვეულ უზერხულობაში გვაყენებს შემდეგი გარემოების გამო. ტექსტის მიხედვით მანუჩარს თინი შვილი ჰყოლია: ზურაბ, სულხან, ქიშვარ და ყალანდარ. მაგრამ მთელრიგ საბუთებში ეს პირები მანუჩარის ძმისწულებად და ჯიმშიტას შვილებად იხსენიებიან და იწოდებიან თუმანიშვილების გარდა ჯიმშიტაშვილებადაც²⁶. გამოდის, რომ ორ ძმას მანუჩარს და ჯიმშიტას შვილები ერთიდაიგივე სახელებს ატარებენ და თანაც ერთნაირი თანმიმდევრობით, რაც შეუძლებელია. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ზემომოყვანილი ტექსტი სხვანაირად უნდა იქნეს გაგებული. „...ნასყიდობისა წიგნი მოგეცით ჩუენ ამილახორმა გივმა... თქვენ თუმანიშვილსა მანუჩარს და ძმასა: თქუენსა ჯიმშერს და შვილთა ზურაბს და სულხანს და ქიშვარს და ყალანდარს...“ აქ სიტყვები „შვილთა თქუენტა“ უნდა ეხებოდეს არა მანუჩარს, არამედ ჯიმშიტას.

თავა-ბირთველ-მანუჩარ-ჯიმშიტა-დავით

↓ ↓ ↓ ↓ ↓ ↓

ზურაბ სულხან ქიშვარ ყალანდარ გიორგი ლიპარიტ

ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი სხვა დოკუმენტებშიც. 1683 წელს ბეჟან თუმანიშვილმა მისცა ნაზვრევის ნასყიდობის წიგნი თავის განაყოფსა და

²¹ ხელნაწ. ინსტ. Hd—14538

²² იქვე, Sd—54.

²³ იქვე, Sd—6; Sd—10.

²⁴ იქვე, Hd—2111.

²⁵ იქვე, Hd—8054.

²⁶ იქვე, Hd—14538; Sd №№ 11, 30, 40, 48, 54.

ბიძაშვილს „...მდივანს ზურაბს, ძმასა თქუენსა მდივანს სულხანს, ყალანდარს და ლიპარიტს, შვილთა თქუენტა გივს, დავითს, შიოშს და მანუჩარს...“²⁷ დასახელებული ოთხი უკანასკნელი პირი შეიძლება ზურაბის შვილები იყვნენ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მათგანი ზურაბის ძმისწული იყოს. ასეთივე შემთხვევებს ვხვდებით სხვა დოკუმენტებშიც²⁸.

ამ საკითხის გარკვევასაც ნათელს ხდის მოცემული ტექსტების სხვა საბუთებთან შედარება. 1688 წ. ნაზარალიხანის მიერ თუმანიშვილებისათვის მიცემული სახელოს წყალობის წიგნში იხსენიება თუმანიშვილი მდივანი ზუბიაშვილი გივი²⁹ და მისი ბიძაშვილები შიოშ და მანუჩარ³⁰. 1692 წ. წმ. გიორგის ატოლის დეკანოზის მიერ თუმანიშვილებისათვის მიცემულ პირობის წიგნში ნახსენები არიან მდივანი გივი, ბიძა მისი ყალანდარ, ბიძაშვილები მისი მანუჩარ და სულხანა³¹.

1669 წ. მიწის ნასყიდობის წიგნში იხსენიებიან მანუჩარის ძმისწულები ზურაბ, სულხან, ყალანდარ, ლიპარიტ, გიორგი და მისი ძმის შვილიშვილები გივი და დავით³². დავითის ადგილი გენეალოგიურ სქემაზე ჩვენთვის გაურკვეველია, შესაძლებელია იგი გივის ძმა იყოს.

1698 წ. სახლ-კარის ნასყიდობის წიგნში დასახელებული არიან თუმანიშვილები მდივანი გივი, შიოშ, ლიპარიტ, მანუჩარ, მისი ბიძაშვილი ქარშიშა და შვილი მათნი—სულხან, დავით, ნიკოლოზა, ზურაბა, ბაინდურა და ჭიმშიტა³³. მდივანი გივი ზურაბის შვილია³⁴, დანარჩენ პირთა ურთიერთდამოკიდებულებების გარკვევაში გვშველის შემდეგი დოკუმენტები. 1697 წ. ნასოფლარის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბატონ ლევანბეგის მიერ თუმანიშვილ ზურაბ მდივნის შვილის მდივან გივისა და მისი შვილების დავითისა და ზურაბისათვის. XVII ს. თამასუქი, მიცემული ლევანის მიერ თუმანიშვილ მდივან გივისა და მისი შვილების დავითისა და ზურაბისათვის და XVII ს. გლეხის ნასყიდობის წიგნი, იესე ხერხეულიძის მიერ მიცემული იმავე პირებისათვის³⁵. ამ მასალებიდან ჩანს, რომ მდივან გივის შვილები დავითი და ზურაბი არიან. ხოლო 1703 წ. ნაზარალიხანის მიერ თუმანიშვილებისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნში იხსენიებიან თუმანიშვილი მდივანი შიოშბეგ, ძმა მისი მანუჩარ და მისი შვილები—სულხან, ნიკოლოზ, ქაიხოსრო და გივარგი³⁶. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ტრადიციას, რომ შვილიშვილს პაპის სახელს არქმევდნენ ხოლმე, შეიძლება დავუშვათ, რომ დასახელებული სულხანი შვილიშვილია სულხან ჭიმშიტას ძმას, მაშინ გამოდის, რომ შიოშში სულხანის შვილია.

მდივნობის სახელო თუმანიშვილთა საგვარეულოში მეძველდრეობითია და ამ თანამდებობაზე ყველაზე მეტ პირებს ამ გვარის წარმომადგენლებს ვხვდებით. ზემოთ ჩამოთვლილი პირებიდან აღსანიშნავი და დასადგენია ის პირები, რომელთაც უჭირავთ ეს საპატიო ხელი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე.

²⁷ ხელნაწ. ინსტ. Sd—44

²⁸ იქვე, Hd—6169; Sd—56; Sd—482

²⁹ გივი ზუბიაშვილი თუმანიშვილი ზურაბ მდივნის შვილი უნდა იყოს და იგი ზოგჯერ ზუბიაშვილად იწოდება (ა. ბ.).

³⁰ ხელნაწერთა ინსტ. Hd—1999.

³¹ იქვე, Hd—9656.


³² იქვე, Sd—30, Sd—40.

³³ იქვე, Sd—56.

³⁴ იქვე, S. ფ. № 424, გვ. 453.

³⁵ იქვე, Hd ფ. №№ 403, 2600, 4969.

³⁶ იქვე, Hd.—37.



ბირთველი, ცნობილი მდივან-მწიგნობარი სვიმონ II-ის, როსტომისა და შაჰნავაზის სამეფო კარისა, ცხოვრობდა 1626—81 წწ. იგი მდივანდ იხსენიება 1630—81 წწ³⁷. 1640 წ. იგი მდივანთ-უხუცესად იხსენიება³⁸. დამახასიათებელია მისი ხელის ერთგვაროვნობა ყველა დოკუმენტში, რის გამოც მისი არევა სხვა მდივნების ხელთან ყოვლად შეუძლებელია. მის მიერ დაწერილია ძირითადად მეფის მიერ გაცემული დოკუმენტები, რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ იგი მეფის მდივანია. ამასთან ერთად იგი მდივან-მწიგნობართ უფროსიცაა.

ბეჟანი ბირთველის შვილია, ჩანს 1658—97 წწ. (მაგრამ ამასთან ერთად დოკუმენტებში იხსენიება მეორე ბეჟანი, 1677 წ. თავის ბიძებთან—ესტატეს, ქაიხოსროსა და ქიშვართან ერთად³⁹. მის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). ბეჟან თუმანიშვილი დოკუმენტებში გვხვდება როგორც დამწერი, მაგრამ იმის დაზუსტება, თუ რომელი ბეჟანია საბუთების შემდგენელი, არ ხერხდება, ვინაიდან ამის შესახებ არავითარი არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი ცნობა არ გვაქვს.

ბეჟანის ოთხი შვილიდან (ბირთველ, ფირან, ზაზა და მანუჩარ) ჯერჯერობით არცერთი არ არის ცნობილი სამეფო კარის მდივანად. ბირთველის (3) შვილია გიორგი, რომელიც ჩანს 1748 წ. როგორც მოწმე⁴⁰.

ბირთველის (2). მეორე შვილია გიორგი. დოკუმენტებიდან ცნობილია აგრეთვე გიორგი ჯიმშიტასძე. ეს პირები დაახლოებით ერთსადაიმთხვე დროს ცხოვრობენ, მაგრამ თითქმის არც ერთხელ არ იხსენიებიან მამის სახელით, რის გამოც ძნელდება იმის დაზუსტება, თუ რომელ გიორგიზეა საუბარი, ე. ი. ძნელდება მათი ვინაობის დადგენა. ამ საკითხის გარკვევას სწყვეტს კვლავ საბუთების კონტექსტი. გიორგი ჯიმშიტას ძე ტექსტებში ყოველთვის თავის ძმებთან—ზურაბ, სულხან, ქიშვარ, ყალანდარ და ლიპარიტთან—და ხშირად თავის ბიძა მანუჩართან ერთად იხსენიება⁴¹. გიორგი ბირთველის შვილი კი ჩანს თავისი მამისა და ბიძების—თაყას, მანუჩარის, დავითის და მათ შვილებთან ერთად⁴². ამის მიხე-

³⁷ ბირთველი იხსენიება აგრეთვე 1683 წ. (Sd—44) ბეჟან თუმანიშვილის მიწის ნასყიდობის წიგნში. მაგრამ ამ საბუთში ბირთველი ცოცხალი აღარ უნდა იყოს. მის შესახებ ძველი ამბავია მოთხრობილი

³⁸ ცსა, 1448, № 560

³⁹ ხელნაწერთა ინსტ. Hd—9652


⁴⁰ იქვე, Sd—44.

⁴¹ იქვე, Ad—965; Hd—14538 Sd ფ. №№ 24, 54.

⁴² იქვე, Ad—972; Hd—14676 Qd—6922

დვით შეიძლება დადგინდეს მათი მოღვაწეობის წლები. გიორგი ბირთველის ძე ჩანს 1635—96 წწ. ხოლო გიორგი ჯიმშიტაშვილი 1664—78 წწ.

ერთ-ერთი გიორგი სამეფო კარის მდივანია. ჩვენი აზრით, ეს სახელო გიორგი ბირთველის ძეს უჭირავს, რაც ირკვევა თეიმურაზ მეფის მიერ 1755 წ. თუმანიშვილებისათვის მიცემული დავის გარიგების წიგნიდან. ამ ცნობის მიხედვით, მდივან ოთარსა და მისი ბიძის ზაქარიას შვილებს ჰქონიათ სამამულო დავა. ზაქარიას შვილებს მოუტანიათ საბუთი, სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ ეს მამული „...პაპის ჩვენის მამის ბირთველისა და მდივნის გიორგის ნასყიდის იყო და ამის ძმის ბეჟანისაო. ბეჟან და პაპა ჩვენი—გიორგი მდივანი—რომ გაყრილა, ეს ხოდაბუნი გასაყოფი დარჩაო“⁴³...



გიორგი სამეფო კარის მდივნად ჩანს 1658—96 წწ. 1653 წ. იგი სამეფო კარის მწერალია და როსტომ მეფის მიერ დავითის ქვრივისათვის მიცემულ მამულის წყალობის წიგნს ადგენს⁴⁴. იგი ამ დოკუმენტში როსტომ მეფის მდივან-მწიგნობრის შვილად იწოდება.

1647 წ. ბეჟან თაყაშვილის მიერ თავის ძმისწულ ალიბეგასთვის მიცემულ ყმების ნასყიდობის წიგნში იხსენიება გიორგის ძმა ნასყიდა⁴⁵.

თაყა თუმანიშვილი დოკუმენტებში ჩანს 1607 წ. იგი დედოფალ ნესტან-დარეჯანის მწიგნობარია და ადგენს დედოფლის მიერ ზურაბ სახლ-თუხუცესისათვის მიცემულ მამულის წყალობის წიგნს⁴⁶. მომდევნო ხანაში იგი არაერთხელ გვხვდება თავის ძმებთან ერთად როგორც საბუთის მიმღები და არა როგორც დამწერი. თაყას ჰყავს შვილები: ბაინდური, პაპა და გორჯასპი და შვილიშვილები: ზაალ და ბახუტა. გორჯასპი ჩანს 1626—78 წწ. იგი ძირითადად არჩილ მეფის კარის მდივანია⁴⁷.

მანუჩარ თუმანიშვილი დოკუმენტებში 1626—73 წწ. ჩანს. მას ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობა უჭირავს. 1628 წ. იგი მერიქიფეთუხუცესია⁴⁸. 1654 წლიდან მორდარია⁴⁹, ხოლო 1670 წ. მის მიერ რეხელი პაპიას-გან მიწის ნასყიდობის წიგნში იგი მდივნად იხსენიება⁵⁰. ცნობების უქონლობის გამო გაურკვეველია, ერთდროულად ეჭირა მას ეს სამივე ხელი; თუ სხვადასხ-

⁴³ ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd—9658.

⁴⁴ იქვე, Qd—1653.

⁴⁵ ცსსა 1448, № 273.

⁴⁶ ხელნ. ინსტ. Hd—8273.

⁴⁷ იქვე, Sd—530, Ad—1016, Ad—1212. ცსსა, ფ. 1448, № 602.

⁴⁸ იქვე, Hd—3164.

⁴⁹ იქვე, Sd—798.

⁵⁰ იქვე, Sd—35.

ვა დროს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი მდივანია, საბუთის შემდგენლად იგი არც ერთხელ არ შეგვხვდრია. მანუჩარ, ჩვენი აზრით, 1673 წ. ახლოს უნდა გარდაცვლილიყო. ამ წელს იგი თავის განაყოფ ესტატესაგან ყიდულობს ყმას⁵¹. მომდევნო ხანის საბუთებში იგი უკვე აღარ გვხვდება. მხოლოდ 1683 წ. ბეჟან თუმანიშვილის მიწის ნასყიდობის წიგნში იხსენიება იგი, მაგრამ აქ მოთხრობილი უნდა იყოს ძველი ამბავი. ჯიშოტას შვილებიდან მდივნები არიან ზურაბ და სულხანი. ზურაბ კახეთის მდივანია და მოღვაწეობს 1648 (1665)—1703 წწ⁵². სულხანი ქართლის მდივნად იწოდება და გვხვდება 1656 (1669)—1707 წწ⁵³. ზურაბის შვილი გივი სამეფო კარის ცნობილი მდივან-მწიგნობარია 1681—1721 წწ. იგი ჩანს სხვადასხვა მეფის კარზე: 1681—88 წწ. გიორგი მეფის კარზე⁵⁴, 1688 წ. 2/XII—1692 წწ. ნაზარალიხანის კარზე⁵⁵, 1692 წ. და 1695 წწ. იგი გიორგი მეფის დოკუმენტების დამწერია⁵⁶, 1697 წლიდან 1701წ. იგი კვლავ ნაზარალიხანს ემსახურება⁵⁷. შემდეგ იგი ჩანს ლევან ბატონიშვილის (1703—1704)⁵⁸, ვახტანგ VI-ის (1705—1732 წწ.)⁵⁹, სვიმონ ბატონიშვილის (1713)⁶⁰, ბაქარისა (1717—20)⁶¹ და იესეს (1716)⁶² მდივნად (ფრჩხილებში ნაჩვენებია მდივნობის ქვედა თარიღი კარზე). საერთოდ იგი საბუთებში ჩანს 1664 წლიდან⁶³.

გივი თუმანიშვილს შეუღდენია 1701—1703 წწ. ნოსკოვში არჩილ მეფის თხულებათა კრებული⁶⁴, როგორც ელ. მეტრეველმა გამოარკვია, იგი არის აგრეთვე ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი⁶⁵.

გივი მდივნის ბიძაშვილი შიოშიცი, სულხანის შვილი, სამეფო კარის მდივანია. 1693—1714 წწ. იგი მოღვაწეობდა ნაზარალიხანისა (1693—1700)⁶⁶ და იმამყულიხანის (1703—14)⁶⁷ კარზე. იგი თუშეთის მდივანდაც იწოდება⁶⁸.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პირებისა, თუმანიშვილთა გვარში გვხვდება რამდენიმე მდივანი. ესენი არიან: ზაალ, ზაქარია, ოთარ. პაპუა და ესტატე.

ზაალი ჩანს 1670—1726 წწ.⁶⁹ ის ხან დამწერად იხსენიება, ხან ბატონიშვილების კარის მდივან-მწიგნობრად. 1675—82⁷⁰ წ. იგი ლევან ბატონიშვილის,

⁵¹ ხელნაწერთა ინსტ. Sd—41.

⁵² იქვე, Qd—6922, Hd—2244, Hd—1560 ფრჩხილებში ნაჩვენებია მდივნობის ქვედა თარიღი.

⁵³ იქვე, Hd—2111, Hd—1880. ცსსა, ფ. 1448. № 1472.

⁵⁴ ცსსა 1448, №№ 524. 2283

⁵⁵ ხელნაწ. ინსტ., Hd—10291 Hd—10068.

⁵⁶ ცსსა 1448, № 5537, 1450, 6/34.

⁵⁷ ცსსა 1448, № 5011; ხელნაწერთა ინსტ. Hd—4154

⁵⁸ ხელნაწ. ინსტ. Hd—9693

⁵⁹ იქვე, Hd—14077

⁶⁰ იქვე, Hd—8380.

⁶¹ იქვე, Hd—6728; Qd—1457

⁶² იქვე, Hd—1376.

⁶³ იქვე, Hd—14538.

⁶⁴ ხელნაწერთა აღწერილობა S-I. № 424.

⁶⁵ უნივერსიტეტის შრომები. ტ. 43. ელ. მეტრეველი ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი.

⁶⁶ ცსსა 1448, № 542 ხელნაწ. ინსტ., Ad—1670

⁶⁷ იქვე, 1448, № 10035.

⁶⁸ იქვე, 1448 № 10035; ხელნ. ინსტ. Ad—782.

⁶⁹ ხელნაწ. ინსტ. Hd—2737 Ad—1521

⁷⁰ ცსსა 1450 5/42, 46

ხოლო 1688⁷¹ წ. ქაიხოსრო ბატონიშვილის კარზე მოღვაწეობს. 1726 წ. იგი ვახტანგ VI-ის მიერ გაცემულ საბუთს ადგენს⁷². ზაალი, შესაძლებელია, იყოს თავა თუმანიშვილის შვილიშვილი, რომელიც პირველად იხსენიება 1657 წ.⁷³. თუმცა ამის პირდაპირი ცნობა ჩვენ არ გავვაჩნია. ზ. ჭიჭინაძე და თ. ყორღანია ფიქრობენ, რომ ზაალის მიერ არის გადმოთარგმნილი „ლეილ-მაჯნუნიანი“⁷⁴. პკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ეს ცნობა ხელნაწერის მინაწერის არასწორი გაგების შედეგი უნდა იყოს და დასძენს, რომ აქ ზაალი მთარგმნელი კი არა, არამედ გადამწერი უნდა იყოს⁷⁵. ალ. ბარამიძის ცნობით ეს ხელნაწერი XVIII საუკუნის პირველი ნახევრისაა, და, მასასადამე, ზაალიც ამ დროის მოღვაწეა⁷⁶, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ მოტანილი 1726წ. დოკუმენტი Ad—1521.

1690 წ. ნაზარალიხანის მიერ შიოშ დიხეხელაურისათვის მიცემული ყმების სითარხნის წიგნი დაწერილია მდივან ზაქარია თუმანიშვილის მიერ⁷⁷. იგივე პირი უნდა იყოს 1664 წ.⁷⁸ და 1711 წ.⁷⁹ საბუთებში მოხსენებული ზაქარია, ერთ შემთხვევაში მდივან გიორგისთან ერთად როგორც საბუთის გამცემი, მეორე შემთხვევაში, როგორც საბუთის დამწერი, მაგრამ ორივეჯერ მდივანობის ტიტულის გარეშე. ზაქარია მდივან გიორგი ბირთველის ძის შვილია და მისი მდივანობა 1690—1711 წწ. მოდის. 1685—1716 წწ.⁸⁰ სამეფო კარის მდივანია ოთარ. იგი ჯერ გიორგი მეფის (1685—93)⁸¹, შემდეგ ნაზარალიხანისა (1699)⁸² და, ბოლოს, შაჰყულხანის (1703)⁸³ კარზე მოღვაწეობს. ოთარ მდივანი ზაქარიას ძმად იხსენიება 1686 წ.⁸⁴ მისი შვილია ოთარ, რომელიც მოხსენებულია თავის მამასთან ერთად 1716 წ. „...ნასყიდობის წიგნი... დაგეწერეთ და მოგეცით ჩვენ ცალქალამანიძემ ფირან და ლუარსაბ... თქვენ თუმანიშვილს მდივანს ოთარს და შვილსა თქვენსა პატარა ოთარსა...“⁸⁵ „პატარა“ ოთარიც მდივანი ყოფილა და იგი ამ თანამდებობით ჩანს 1755 წ. თუმანიშვილების სამამულო დავის წიგნში, სადაც აღნიშნულია, რომ მდივან ოთარსა და მისი ბიძის ზაქარიას შვილებს ჰქონიათ დავა მამულებზე.⁸⁶ ზაქარია კი, როგორც აღნიშნული იყო, ოთარის

⁷¹ ხელნაწერთა ინსტ. Hd—11031

⁷² იქვე, Ad—1521.

⁷³ იქვე, Hd—13051.

⁷⁴ Ф. Жордания. Описание рукописей Церковного музея Карталинно-Кახетинского духовенства II, гл. 224

⁷⁵ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., ტ. 11, 1952, გვ. 284.

⁷⁶ თეიმურაზ I, გვ. 013. ალ. ბარამიძის გამოცემა.

⁷⁷ ცსსა 1448, № 8898.

⁷⁸ ნ. ბერძენიშვილი, სოც. დოკ., I, 519.

⁷⁹ ხელნაწერთა ინსტ., Hd—10119

⁸⁰ ცსსა 1448 № 610, ხელნაწ. ინსტ. Hd—1498/4

⁸¹ ცსსა 1448, № 610, ხელნაწ. ინსტ. Ad—4161

⁸² ვ. ფუთურაძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, № 164.


⁸³ ხელნაწერთა ინსტ. Hd—10254/8

⁸⁴ მატენადარანი, 252, № 9

⁸⁵ ხელნაწერთა ინსტ. Ad—1498/4

⁸⁶ იქვე, Hd—9658.

(„პატარა“ ოთარის მამის ძმა იყო. ამრიგად, ამ პირთა გენეალოგია შემდეგნაირად გამოისახება.



ესტატე თუმანიშვილი ჩანს 1668—1703 წწ.⁸⁷ იგი საბუთის დამწერია, მაგრამ მხოლოდ სამჯერ იხსენიება მდივნად (1693—96 წწ.)⁸⁸. მის მიერ არის შედგენილი კერძო პირთა მიერ და დედოფლის მიერ გაცემული დოკუმენტები. 1678 წ. იგი ხოსიტაშვილად იწოდება და აძლევს თავის განაყოფ ჯიმშიტაშვილ ზურაბ მდივანს (თუმანიშვილს) ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნს⁸⁹. გასარკვევია, თუ ვისი ჩამომავალია. ესტატე და რა ადგილი უჭირავს მას ჩვენს მიერ შედგენილ გენეალოგიურ ტაბულაში. ამის გარკვევაში ჩვენ გვშველის შემდეგი საბუთები: 1660 წ. ხოსიტა თუმანიშვილის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნში იხსენიებიან ხოსიტას შვილები ესტატე და აბდულა⁹⁰, 1673 წ. ესტატე თუმანიშვილმა და მისმა შვილებმა ქაიხოსრომ და შაველიმ მიჰყიდეს თავის განაყოფ მანუჩარ თუმანიშვილს მამული⁹¹, ხოლო 1677 წ. კი ესტატესთან ერთად იხსენიებიან მისი ძმები ქიშვარ და ქაიხოსრო და მისი ძმისწული ბეჟან⁹².

გასარკვევი რჩება, თუ ვისი შვილია ბეჟანი. 1677 წ. საბუთის საფუძველზე შეიძლება გვეფიქრა, რომ იგი ესტატეს ერთ-ერთი ძმის ქიშვარის ან ქაიხოსროს შვილი იყო. მაგრამ 1703 წ. თუმანიშვილების მამულის ნასყიდობის წიგნში მოხსენებული არიან აბდულა და ესტატე და მისი შვილი ბეჟან⁹³. ვინაიდან ზემოაღნიშნული დოკუმენტით ცნობილია, რომ ბეჟანი ესტატეს ძმისწულია, გამოდის, რომ იგი აბდულას შვილია.

ამრიგად, ესტატე თუმანიშვილი განაყოფია მდივან მანუჩარისა და მისი ძმისწულებისა და თუმანიშვილთა ცალკე შტოს ეკუთვნის. იგი ზოგჯერ მამის სახელით ხოსიტაშვილად იწოდება⁹⁴, ხოლო მისი შვილი ქაიხოსრო ესტატეშვი-

⁸⁷ იქვე, Sd—24 Hd—14013.

⁸⁸ ხელნაწერთა ინსტ. Sd—758. Hd—1676, Hd—4080

⁸⁹ იქვე, Sd—12.

⁹⁰ იქვე, Hd—8054.


⁹¹ იქვე, Sd—41.

⁹² იქვე, Hd—9652.

⁹³ იქვე, Ad—961.

⁹⁴ იქვე, Sd—12.

ლად⁹⁵. ამ შემთხვევაში ხოსიტაშვილი და ესტატეშვილი, ისევე როგორც ჯიმშიტაშვილი, გვარი არ უნდა იყოს.



1662—75 წწ. დოკუმენტებში გვხვდება კიდევ ერთი წარმომადგენელი ამ საგვარეულოსი—პაპუა⁹⁶, რომელიც მხოლოდ ერთხელ იხსენიება მდივან-მწიგნობრის ტიტულით 1662 წ. ბატონისშვილ გიორგის კარზე⁹⁷. მისი ადგილი გენეალოგიურ ტაბულაში ჩვენთვის გაურკვეველია.

თუმანიშვილთა საგვარეულო იმდენად დახელოვნებული ჩანს სამდივან-მწიგნობრო საქმეში, რომ მისი მთელი რიგი სხვა წევრები ადგენენ დოკუმენტებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მდივან-მწიგნობრის სახელო არ აქვთ. ამ შემთხვევაში, ისინი ძირითადად ადგენენ კერძო პირთა მიერ გაცემულ საბუთებს. საბუთის ასეთი შემდგენლები არიან დათუნა (1695 წ.)⁹⁸, ელიზბარ (1664—69 წწ.)⁹⁹, იესე (1680 წ.),¹⁰⁰ ქაიხოსრო (1665 წ.)¹⁰¹, შაველ (?)¹⁰², ბაინდურ (1671—92 წწ.)¹⁰³. ეს უკანასკნელი დედოფლის კარის მუშობია 1692 წ.¹⁰⁴

ერთი შემთხვევა, როდესაც მდივნის ტიტულის გარეშე ვინმე ლიპარიტ თუმანიშვილი წერს გიორგი მეფის მიერ 1691 წ. გაცემულ სითარხნის წიგნს¹⁰⁵. იგივე ლიპარიტი დამწერად იხსენიება 1685 წ.¹⁰⁶.

თუმანიშვილთა გენეალოგიის შესახებ ჩვენ ორი საბუთი მოგვეპოვება. ორივე შედგენილია XIX საუკუნეში. ერთი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის მიხეილ თუმანიშვილის არქივში № 844 და მეორე ცენტრალურ საისტორიო არქივში, ძველი საბუთების ფონდში (ფ. 1448) № 8873. ორივე ეს საბუთი თუმანიშვილთა იმ შტოს ეხება, რომელზეც ჩვენ შევჩერდით და რომელიც ამოსავალ წერტილად გვაქვს აღებული. მაგრამ ამ ტაბულაში მხოლოდ თაყა და ჯიმშიტა თუმანიშვილების ჩამომავლები არიან აღნიშნული. აღნიშნულ საბუთებში თაყას ჩამომავლებსა და ჩვენ მიერ შედგენილ XVII საუკ. გენეალო-

⁹⁵ ხელნაწერთა ინსტ. Ad—974

⁹⁶ ცსსა 1448, № 2321; ხელნაწ. ინსტ. Ad—994

⁹⁷ ცსსა 1448, № 2321

⁹⁸ ხელნაწერთა ინსტ. Hd—11578.

⁹⁹ იქვე. Hd—11032, Sd—11.

¹⁰⁰ ცსსა 1450, 15/49

¹⁰¹ ცსსა 1450, 10/166

¹⁰² უთარილო საბ. ხელნაწერთა ინსტ., Hd—7855/ბ.

¹⁰³ ხელნაწერთა ინსტ. Sd—496, Hd—9656/ბ.

¹⁰⁴ იქვე, Hd—9656 B


¹⁰⁵ ნ. ერძენიშვილი, სოც. დოკ., I, № 125.

¹⁰⁶ ცსსა 1450, 1/86.




გიურ ცხრილს შორის განსხვავება არ არის, რაც შეეხება ჯიმშიტას ჩამომავლებსა, აქ ჩვენ ზოგიერთ სხვაობასთან ვვაქვს საქმე.

ცენტრარქივში დაცულ საბუთში ჯიმშიტა თუმანიშვილის ჩამომავლები შემდეგნაირად არიან წარმოდგენილი:




ჩვენ მიერ შედგენილი ცხრილით




მოტანილ ორ საბუთში XVII საუკ-ზე აღრინდელი გენეალოგიური ცხრილიც არის შედგენილი და უნდა აღინიშნოს, რომ ორივე საბუთში ის თითქმის ერთნაირია ერთი პირის გამონაკლისით.

მიხეილ თუმანიშვილის არქივის № 844 მიხედვით:



ცენტრარქივის ფონდის 1448, № 8873 მიხედვით:



მოტანილი გენეალოგიური სქემები მოკლებულია ქრონოლოგიას და აგრეთვე ყოველგვარ არგუმენტაციას, რის გამოც ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ის გავიზიაროთ. მით უმეტეს, რომ შესწავლილი დოკუმენტური მასალაც არ იძლევა ამის დასადასტურებელ არავითარ ცნობას.

ამრიგად, შესწავლილი დოკუმენტური მასალის საფუძველზე ვლინდება შემდეგი:

1. ისტორიულ საბუთებში თუმანიშვილთა გვარი პირველად XV ს. დასაწყისში იხსენიება, რაც გვაფიქრებინებს რომ ამ გვარის არსებობა XIII ს. თუ არა XIV ს. მაინც არის სავარაუდებელი.

2. თუმანიშვილები მდივან-მწიგნობრის თანამდებობაზე პირველად იხსენიებიან XV ს. შუა წლებიდან. ამ დროიდან მოყოლებული ამ გვარის წარმომადგენლები გამუდმებით ჩანან ამ თანამდებობაზე აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარზე.

3. XV—XVII სს. მანძილზე თუმანიშვილთა საგვარეულოში მდივნის თანამდებობაზე ვხვდებით 23 პირს.

შესწავლილი საბუთების საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა თუმანიშვილების საგვარეულოს გენეალოგია, რომლის ტაბულა თან ერთვის წარმოდგენილ წერილს.

თუმანიშვილთა საგვარეულოს მდივან-მწიგნობრები და მათი მოღვაწეობის თარიღები

1. ზაქარია (1). 1454—87 წწ. სამეფო კარის მდივანი
2. მურად 1468 წ. სამეფო კარის მდივანი.
3. მირველ 1482 წ. სამეფო კარის მდივანი.
4. მანუჩარ (1) 1512—30 წწ. მდივანი დავით და ლუარსაბ მეფეების კარზე.
5. დავით 1546 წ. მდივანი ლუარსაბ მეფის კარზე.
6. ბირთველ (1) 1558 წ. მდივანი კონსტანტინე მეფის კარზე.

7. ელიზბარ (1) 1570 წ. მდივანი იმერეთის მეფის გიორგის კარზე.
8. შაველ 1581—84 ვაზირი სვიმონ მეფის კარზე.
9. ნასრ 1606—24 მდივანი ლუარსაბ II, ბაგრატ VII და სვიმონ II-ის კარზე.
10. თაყა 1607 წ. მდივანი დედოფალ ნესტან-დარეჯანის კარზე.
11. ბირთველ (2) 1630—81 წწ. მდივანი სვიმონ II-ის როსტომისა და შაჰნავაზის კარზე. (საერთოდ იხსენიება 1626 წლიდან).
12. ბეჟან 1658 — 97 წწ. საბუთის დამწერი.
13. ბაინდურ 1641 წ. საბუთის დამწერი.
14. გიორგი ბირთველის ძე 1658—96 წწ. მდივანი. 1653 წლიდან სამეფო კარის მწერალია (იხსენიება 1635 წლიდან).
15. პაპუა 1662 წ. საბუთის დამწერი.
16. ელიზბარ (2) 1664—69 საბუთის დამწერი.
17. ზურაბ 1665—1703 წ. სამეფო კარის მდივანი (იხსენიება 1648 წლიდან).
18. ქაიხოსრო 1665 წ. საბუთის დამწერი.
19. სალხან 1669—1707 წწ. სამეფო კარის მდივანი (იხსენიება 1656 წლიდან).
20. მანუჩარ (2) 1670—73 წწ. მდივანი (იხსენიება 1626 წ-დან).
21. ზაალ 1675—1726 წწ. მდივანი ლევან და ქაიხოსრო ბატონიშვილების კარზე იხსენიება 1657 წ-დან).
22. გორჯასპი 1680—1678 წწ. სამეფო კარის მდივანი.
23. იესე 1680 წ. საბუთის დამწერი.
24. გივი 1681—1721 წწ. მდივანი გიორგი მეფის, ნაზარალიხანის, ლევან ბატონიშვილის, ვახტანგ VI-ის, სვიმონ ბატონიშვილის, ბაქარისა და იესეს კარზე (იხსენიება 1664 წ-დან).
25. ლიპარიტ 1681—91 წწ. საბუთის დამწერი.
26. ოთარ 1685—1716 წწ. მდივანი გიორგი, მეფის, ნაზარალიხანისა და შაჰყულიხანის კარზე (იხსენიება 1662 წლიდან).
27. ზაქარია 2) 1690—1711 წწ. მდივანი ნაზარალიხანის კარზე (იხსენიება 1658 წ. ახლოს).
28. ესტატე 1693—1703 წ. დედოფლის კარის მდივანი (იხსენიება 1660 წლიდან).
29. შიომ 1693—1714 წწ. მდივანი ნაზარალიხანისა და იმამყულიხანის კარზე (იხსენიება 1673 წლიდან).
30. დათუნა 1695 წ. საბუთის დამწერი.

А. К. БАКРАДЗЕ

К ВОПРОСУ ОБ УСТАНОВЛЕНИИ ГЕНЕАЛОГИИ РОДА
ТУМАНИШВИЛИ (XV—XVII вв.)

Резюме

В данной статье на основании изученных документальных материалов мы постарались составить схему генеалогии рода Туманишвили среди которого должность «мдиван-мцигнбари» (писца) наследственна.

В исторических документах род Туманишвили впервые упоминается в начале XV века. На основании этого сведения предполагаем, что существование этого рода можно отнести к более раннему периоду, а именно к XIV в., а может быть и к XIII веку.

Впервые на должности «мдиван-мцигнбари» они упоминаются в средних числах XV века (в 1454—87 гг. Захарий Туманишвили. в 1468 году Мурад Туманишвили). С этого времени представители этой семьи неоднократно видны на протяжении XV—XVII вв. при дворе грузинских царей.

В продолжение XV—XVII вв. из семьи Туманишвили на должности «мдивани» мы встречаем 23 лиц.



აკ. კლიშიაშვილი

მორიგე ლაშქრის საკითხისათვის XVIII საუკუნის II ნახევრის
აღმ. საქართველოში

1 მორიგე ლაშქრის წარმოშობის დრო

ფეოდალური ლაშქარი, ე. წ. საქვეყნო ლაშქარი, გვიანფეოდალურ საქართველოში წარმოადგენდა ბატონყმურ ჯარს, სადაც ყმა ლაშქრობდა თავისი ბატონის ხელქვეით. ფეოდალური იერარქია, დამყარებულ მიწის საკუთრების უფლების განაწილებაზე, გადატანილი იყო ლაშქარში. ლაშქარი შედგებოდა როგორც პროფესიონალ მოლაშქრეთაგან, თავად-აზნაურთა და მსახურთაგან, ისე ყმა-გლეხთაგანაც. ამ უკანასკნელთა რიცხვობრივი შემადგენლობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი იყო გაწვევა: ქუდზე კაცი, კომლზე კაცი, თუ შეწვრიით.

ლაშქრის გაყვანა ქართლისა და კახეთის სამეფოებში ხდებოდა სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების—სადროშოების მიხედვით. ქართლის სამეფო დაყოფილი იყო 4 სადროშოდ: 1. ზემო ქართლის სადროშო, რომლის სარდალი ამილახვარი იყო; 2. მუხრან-ბატონის სადროშო, სადაც შედიოდა სამუხრანბატონო, ქსნის საერისთაო და არაგვის საერისთაო; 3. მეწინავე სადროშო, სადაც შედიოდა ქვემო ქართლში მდებარე სომხით-საბარათიანოს სათავადოები და რომლის სარდალი იყო ორბელიანი; 4. მეფის სადროშო, სადაც შედიოდა მტკვრის სამხრეთით მდებარე შიდა ქართლის ნაწილი და რომლის სარდლებად მეფე უმთავრესად ციციშვილებს წიშნავდა. ამ 4 სადროშოს გარდა იყო კიდევ მცხეთის ეკლესიის „დროშა“, რომელიც ერთ სამხედრო-ტერიტორიალურ ერთეულს არ წარმოადგენდა მცხეთის მამულების გაფანტულობის გამო; მცხეთის საკათალიკოსო ყმები ერთ „დროშაზე“ იკრებებოდნენ კათალიკოსის მიერ დანიშნული სარდლის ხელქვეით და უერთდებოდნენ მეფის სადროშოს. ამრიგად, მცხეთის ეკლესია ერთგვარ ქვესადროშოს ქმნიდა მეფის სადროშოში.

საქვეყნო ლაშქარს გარდა საქართველოში უძველესი დროიდანვე მიმართავდნენ უცხოეთიდან დაქირავებული ლაშქრის მოყვანას. ეს ტრადიცია გრძელდებოდა XVIII საუკუნეშიც. ლაშქარს ქირობდნენ უმთავრესად კავკასიის მთის მოსახლეობიდან.

ლაშქრის თავისებურ სახეობას წარმოადგენდა მეციხოვნე ჯარი, რომელიც მუდმივად იდგა უმნიშვნელოვანეს სამეფო ციხეებში; მეფეს ეს ჯარი გამოჰყავდა ნაწილობრივ თავის სახასო მამულიდან, ე. ი. სამეფო დომენიდან და ნაწილობრივ საბატონო მამულებიდან. ვახტანგ VI შემოიღო მეფის მცველი ჯარი, ერთგვარი სამეფო გვარდია. ის შედგებოდა თავად-აზნაურებისა და მსახურებისგან, ე. ი. პროფესიონალი მეთორებისგან, რომლებიც ჯამაგირს სახელმწიფო ხაზინიდან ღებულობდნენ. ჯარის ამ სახეობის მოვალეობას შეადგენდა მეფისა და სასახლის დაცვა, აგრეთვე საპოლიციო სამსახური.

XVIII ს. II ნახევარში აღმ. საქართველოში შემოდებულ იქნა მუდმივი ჯარის სახეობა „მორიგე ლაშქრის“ სახით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს მიღებულია აზრი, რომ მორიგე ქართულ-ქახეთის სამეფოში შემოღებულ იქნა 1774 წლიდან. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ამის შესახებ აღნიშნულია: „1773 წლის მიწურულში ერეკლემ დარბაზის სხდომა მოიწვია. მსჯელობა შეეხებოდა ისეთი ჯარის შექმნას, რომელიც ლეკთა ქურდულ თავდასხმებს საბოლოოდ მრსპობდა და ქართველ გლეხელებს მშვიდობიანი შრომის საშუალებას მისცემდა. დარბაზმა შეიმუშავა „მორიგის ლაშქრობის განაჩენი“, რომელიც მან „ყველასაგან უკეთესად და უმჯობესად გამოარჩია“, როგორც თვით განაჩენშია ნათქვამი“¹.

საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში აღნიშნულია: „ქართლ-ქახეთის მმართველი წრეები 1769—1771 წლებში რუსთა ჯარის უშუალოდ გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო დარწმუნდნენ, რომ ქართველთა თავადურ-ფეოდალური ლაშქარი ორგანიზაციულად ჩამორჩენილი იყო და სამეფოს „რეგული“, ესე იგი მოსახლეობისაგან გაწვეული მუდმივი ჯარი ეჭირებოდა. მაგრამ ბატონყმურ ქართლ-ქახეთში ასეთი ჯარის მოწყობა შეუძლებელი იყო. არც მეფეს გააჩნდა „რეგულის“ იარაღ-სანოვაგითა და ტანისამოსით მომარაგების საშუალება და არც თავადები მისცემდნენ მეფეს თავიანთ ყმებს ამ ლაშქარისათვის.“

1773 წ. დარბაზმა შეიმუშავა წესდება—„მორიგე ლაშქრის განაჩენი“. „განაჩენით“ ლაშქრობის შემძლე ყოველ მამაკაცს დაევალა რიგ-რიგობით. წელიწადში თითო თვით გასულიყო ლაშქარში“².

როგორც ვხედავთ, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში მორიგის შემოღება დაკავშირებულია 1769—71 წწ. რუსული „რეგულის“ გაცნობასთან, ე. ი. აქ არა მარტო თარიღია მოცემული „მორიგის“ შემოღებისა, არამედ იმის დასაბუთებაც, თუ რატომ შემოიღეს „მორიგე“ მაინცდამაინც 1774 წელს.

მორიგე ჯარის შექმნის ამ თარიღს—1774 წელს ასახელებს მრავალი საისტორიო წყარო. მაგალითად, ვახტანგ ბატონიშვილი თავის ისტორიაში მოგვითხრობს: —„ვინაღდან აღარა იყო შესაძლებელ ჯამაგირით განწესებულთა მხედრობათა მყოფობა, ამისთვის მოიგონა მეფემან ამან, წელსა ჩლოდ, სამეფოთაგან თვისთა თვე და თვე ყოველთავე რიგით მოლაშქრობა თავადთა, აზნაურთა და გლეხთა. ყოველს თვეში უნდა წამოსულიყო, ვისაც შეხვდის, თავისც იმ თვის საკმარის საზღოთი. ხლოლო გლეხნი, ნაცვლად საზღოსა ამის წამოღებისა, თავისუფალ ჰყო სხვისა რომლისამე ხარკისაგან. ესენი უნდა შეყრილიყვნენ ტფილის. ანუ სხვასა რომელსამე დანიშნულსა ალაგსა და მას უკან, ვითარ საჭირო შეხვდისთ, ესრეთ ხმარებულ ჰყვიან. ამით ჰყვის თვე და თვე რიგით. თითო მხედართმთავარი. ამ მხედართმთავართა რიცხვთა შორის იყო თვით მეფეცა და მეფის ძეი და სხვანი ჩინებულნი თავადნი. დიდად სარგებელ ექმნა საქმე ესე საქართველოს. ამით მოხდა მრავალგზის ძლევა ლეკთა ზედა და ვეღარა იქმნენ ლეკნი მსგავსად უწინარესისა გამბედველ ქართლსა შინა ავავაკობისა. იყვნენ ადგილნი რომელნიმე, რომ არა გამოყვანდათ მუნიდამ მორიგე, უკეთუ არა მოუწოდინა ერთიან ჯარად“³.

¹ საქართველოს ისტორია, ნაწ. I, უძველესი დროიდან XIX ს. დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბილისი, 1946, გვ. 397—398.

² საქართველოს ისტორია I, (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე) რამბახაძე სახელმძღვანელო, აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1958, გვ. 373.

³ ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიებრი აღწერა, გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ, თბილისი, 1914, გვ. 34.

ანალოგიურ ცნობებს მორივე ჯარის შექმნის თარიღზე გვაწვდის ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი⁴. ომან მდივანბეგი ხერხეულიძე მორივე ჯარის განწესებას მოგვითხრობს 1774 წლის ამბებთან ერთად⁵.

„შედეგი კახეთის ცხოვრებისა“ ამ ფაქტს მოგვითხრობს 1778 წლის ამბების შემდეგ⁶. ოფიციალური წესდება მორივე ლაშქრისა, ე. წ. „მორივე ლაშქრის განაჩენი“ მართლაც 1774 წელს შეიმუშავა ერეკლე II ბრძანებით მოწვეულმა დარბაზმა.

ჩვენთან შემონახულია ამ „განაჩენის“ 5 ნუსხა, XVIII საუკუნისა, ყველა ლათარდებული 1774წ. 1 იანვრით⁷ და შემდგარი 37 მუხლისაგან. განაჩენი გამოცემულია სამჯერ: 1. 1858 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მე-2 და მე-3-ე წიგნაკებში⁸; 2. 1920 წ. ექ. თაყაიშვილის მიერ⁹; 3. 1947 წ. ი. ლორთქიფანიძის მიერ¹⁰. მაგრამ, რიგი დოკუმენტებისა ცხადყოფს, რომ „მორივე ლაშქარი“, ან „მონაცვლე ლაშქარი“ არსებობდა აღნიშნული განჩინების შედგენაზე ადრე. ჩვენთვის ცნობილია ათი ასეთი დოკუმენტი 1756 წლიდან 1773 წლამდე: 1) 1756 წლის 10 აპრილისა. ზემოქართლიდან გასაყვანი მორივე ლაშქრის ნუსხა, თეიმურაზ II-ის ოქმით იასაულისადმი, ნუსხით გათავალისწინებული ლაშქრის გამოყვანისა და უზბაშებისთვის მიბარების შესახებ¹¹; 2) 1764 წლის 21 ივნისისა. ერეკლე II-ის მიწერილობა ზემო ქართლის სადროშოს სარდალ რევაზ ამილახვარისადმი მორივიდან ხეფინისხეველთა განათვისფლებების შესახებ¹²; 3) 1764 წლის 24 ნოემბრისა. დიმიტრი ციციშვილის არზა ერეკლე II-დმი. მორივიდან სოფელ სატივეს განათვისფლებების შესახებ, ერეკლეს ოქმით¹³; 4) 1765 წლის 23 ივნისისა. არზა ჯერ ნოქრად ხოლო შემდეგ მორივიდ დაწერილ თიანელი გლეხის ქავთარა მგელაშვილისა ერეკლე II-დმი ბატონის ძალადობისგან დაცვაზე¹⁴; 5) 1766 წლის 5 ნოემბრისა. ერეკლე II-ის მიწერილობა ყულარაღას გიორგისადმი, მისი მორივის სარქარდად ორი თვით ყოფნის დროს, მო-

⁴ ალექსანდრე ვახტანგის-ძე ჯამბაკურ-ორბელიანისა დაღესტნიდან გამოსვლა და სხვა ამბები. გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ, ტფილისი, 1914, გვ. 8—9.

⁵ ომან მდივანბეგი ხერხეულიძე, ცხოვრება მეფის ირაკლი მეორისა. „ქართლის ცხოვრება“, წიგნი II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, პეტერბურგი, 1854, გვ. 496.

⁶ „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“ „ქართლის ცხოვრება“ წიგნი II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, პეტერბურგი, 1854, გვ. 509.

⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—1536, 1613, 11640, Qd—6951, Sd—490.

⁸ ნ. ბეძენიშვილი, ქართული ლიტერატურა, ჟურნალ „ცისკრის“ 1858 წლის 12 წიგნაკის—იანვრიდან დეკემბრამდე გაკრით მიმოხილვა, (წერილი პირველი), იხ. ს. ხუციშვილი, „ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისათვის. ქრესტომათია, I, თბილისი, 1954, გვ. 129—131.

⁹ საქართველოს სიძველენი, ტომი I, გამოცემა მეორე, წიგნი I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1920, გვ. 177—187.

¹⁰ ი. ლორთქიფანიძე, საბუთები ერეკლე მეფის მორივე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV, თბილისი, 1947, გვ. 181—288.

¹¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—8723.

¹² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX ს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953, № 86.

¹³ საქართველოს ცენტრარქივი, ფ. 226, № 3621.

¹⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX ს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953, № 89.

¹⁵ იქვე, № 98.

რიგისთვის თავის ამრიდებელთა დარბევის წესზე¹⁶; 6) 1769 წლის 20 ივლისსა. ერეკლე II-ის მიწერილობა რევავ ამილახორისადმი, მისი მორიგეში მდგურულად გამოსვლის შესახებ¹⁷; 7) 1769 წლის 17 აგვისტოსი. ერეკლე II-ის მიწერილობა მორიგის გამოყვანის შესახებ¹⁸; 8) 1769 წლის 10 ნოემბრისა. ზემო ქართლისადმი ზემო ქართლის სადროშოს სარდალ რევავ ამილახორისადმი, ზემო ქართლიდან გამოსაყვანი მორიგის სია, ერეკლეს ოქმით, რევავ ამილახორისადმი, ამ სიით მორიგის გამოყვანაზე¹⁹; 9) 1771 წლის 28 ივნისისა. ერეკლე II-ის მიწერილობა ზემო ქართლის სარდალ რევავ ამილახორისადმი მორიგის შემდგომი ცვლის გამოგზავნის შესახებ²⁰; 10) 1773 წლის 31 მარტისა. ერეკლე II-ის წერილი რევავ ამილახორისადმი სხვადასხვა საკითხებზე და მათ შორის ვადაგასული მორიგის დათხოვნაზე²⁰.

აღნიშნული 10 საბუთიდან 3 გამოქვეყნებულია: 1) 1765 წლის 23 ივლისისა²¹; 2) 1766 წ. 5. ნოემბრისა²² და 3) 1764 წლის 21 ივნისისა²³. დანარჩენი 7 დოკუმენტი გამოქვეყნებულია.

როგორც ვხედავთ, „მორიგეზე“ ზემოაღნიშნული დოკუმენტებიდან ყველაზე უადრესია 1756 წლისა, თუმცა ამავე დოკუმენტში მოხსენებულია წინა წლის, ე. ი. 1755 წლის დავთარი ზემო ქართლის მორიგისა. მორიგე ლაშქარი ჩვენ დოკუმენტალურად დადასტურებული გვაქვს 1755 წლიდან. ამდენად აღარ გვაქვს საფუძველი „მორიგე“ ჯარის შემოღება აღმოსავლეთ საქართველოში დავუთავსებოთ რუსული „რეგულის“ გაცნობას 1769—71 წწ: „მორიგე ჯარი“, როგორც ვხედავთ, შემოღებული იყო რუსული „რეგულის“ აქ ყოფნაზე გაცილებით ადრე.

რამ განაპირობა მორიგე ლაშქრის შექმნა XVIII საუკუნის შუა წლებისათვის?

მორიგე ლაშქარი წარმოადგენდა მუდმივი ჯარის ერთგვარ სახეობას და, როგორც ცნობილია, შემოღებული იქნა მთიელი აბრაგების თარეშის, ე. წ. „ლეკიანობის“ აღსაკვეთად²⁴. „ლეკიანობის“ წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა ფეოდალური ლაშქარი, საჭირო იყო მუდმივად მზად მყოფი, ე. ი. რეგულარული ჯარი. მაგრამ, ფეოდალური წყობილების ბუნებას, როგორც ცნობილია, ვერ ეგუება რეგულარული ჯარი. ფეოდალური ლაშქარი შედგება ფეოდალთა ყმებისაგან, საქართველოში—თავდა-აზნაურთა ყმა-გლეხებისა და თავადების აზნაურებისაგან, ან სამეფო („სახასო“) ყმა-გლეხებისა და სამეფო აზნაურებისაგან. ფეოდალების ინტერესებში კი არ შედის, რომ მათი ყმა-გლეხები მუდმივად მეფის ლაშქარში იყვნენ. ეს ეწინააღმდეგება მათ როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ინტერესებს, რამდენადაც ზრდის ცენტრალურ ხელი-

¹⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—14454.

¹⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd 13654

¹⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd 14456

¹⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd 14457

²⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd 13727

²¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.) 6. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953, №89.

²² იქვე, № 98.

²³ იქვე, № 86.

²⁴ საქ. სიძ. ტომი I გამოცემა მეორე, წიგნი 1, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1920, პარაგრაფი ა), გვ. 178.



სუფლებზე მათ დამოკიდებულებას. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება აღნიშნულ პერიოდში მაინც იძულებული იყო შემოეღო რეგულარული ლაშქრის ერთგვარი სახეობა „მორიგის“ სახით, რაც გულისხმობდა საქართველოს მცხოვრებთა, მორიგეობით გაწვევას ჯარში, თითო თვის ვადით.

როდის შეიძლება შემოეღო აღმოსავლეთ საქართველოში მორიგე ლაშქარი?

დალესტინის ტომების თავდასხმებმა საქართველოზე, კერძოდ კახეთზე, ე. ი. „ლეკიანობამ“ სისტემატური ხასიათი მიიღო XVI ს-დან²⁵, მაგრამ XVIII ს-ის დასაწყისამდე ლეკები კახეთს არ გაცდილებიან. ქართლში ისინი პირველად შემოიჭრენ 1717 წელს²⁶. ამრიგად, მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით „ლეკიანობას“ ადგილი აქვს ამ წლიდან.

XVI ს-ის ბოლომდე კახეთი ახერხებდა ლეკების გამკლავებას²⁷, XVI ს-ის ბოლოს კახეთი რუსეთს სთხოვს დახმარებას „ლეკიანობის“ მთავარი კერის საშამხლოს წინააღმდეგ²⁸. არც შაჰაბასის დროს და არც XVII ს-ის მთელ სიგრძეზე, სპარსეთის ბატონობისა და გაუთავებელი შინაბრძოლების დროს, სრულიად არ იყო იმის პირობები, რომ კახეთის ხელისუფლებას რაიმე სახელმწიფოებრივი ღონისძიება გაეტარებინა „ლეკიანობის“ წინააღმდეგ. კახეთი ხან ისევ რუსეთს მიმართავდა, ხან სპარსეთის მიერ ყარაღაჯში დასმულ ხანებს სთხოვდა შემწეობას, მაგრამ-უშედეგოდ. XVII ს-ში შაჰაბასის ლაშქრობათა შემდეგ, კახეთში დაიწყო ლეკების ჩამოსახლება და აქ გაჩნდა მათი უბატონო თემები: ჭარი და ბელაქანი. ეს უბატონო თემები იქცნენ აშიერიდან „ლეკიანობის“ კერად²⁹. XVIII ს-ის დასაწყისში კახეთის ხელისუფლება სთხოვს დახმარებას ქართლს და ბოლოს ღებულობს გადაწყვეტილებას ლეკებს გზა მისცეს ქართლისაკენ და ამით იხსნას თავისი კუთხე მათგან. ამ დროიდან, 1717 წლიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იწყება „ლეკიანობა“ ქართლში. ის განადგურებით ემუქრება მთელ აღმ. საქართველოს³⁰, 1723—47 წწ. აღმ. საქართველოში ჯერ „ოსმალბობის“, ხოლო შემდეგ „ყიზილბაშობის“ ხანა იყო და ფაქტიურად მოშლილი იყო ადგილობრივი სახელმწიფოებრიობა^{30ა}. მაშასადამე, ამ პერიოდში „მორიგე“ ლაშქარი ვერ შეიქმნებოდა.

ერეკლესა და თეიმურაზის მმართველობის პირველ ხანებშივე მწვავედ დაიწყო ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. გადაწყდა ლეკების ბუდის, ჭარბელაქანის დაპყრობა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს ცდა მარცხით დამთავრდა. აჯიჩალბის მეთაურობით შექმნილმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიელთა მაჰმადიანურმა კოალიციამ 1751 წელს ერეკლე-თეიმურაზის ლაშქარი დაამარცხა და ჭარბელაქანის დაპყრობის საქმე ჩაშალა. ლეკებმაც თავი აიშვეს და გააძლიერეს თარეში. XVIII ს-ის 50-იან წლებში „ლეკიანობამ“, როგორც აღნიშ-

²⁵ დ. მ. გ. რ. ე. ლ. ა. ძე დალესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, გვ. 32, 65.

²⁶ იქვე, გვ. 90.

²⁷ იქვე, გვ. 52—53, 65.

²⁸ იქვე, გვ. 53—63.

²⁹ ნ. ბ. რ. ძ. ე. ი. შ. ვ. ლ. ი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მიმოხილველი III, თბილისი, 1953, გვ. 81.

³⁰ ნ. ბ. რ. ძ. ე. ი. შ. ვ. ლ. ი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბილისი, 1944, გვ. 177.

^{30ა} იქვე, გვ. 90.



ნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, განსაკუთრებით მძვინვარე ხასიათი მიიღო³¹. საჭირო იყო „ლეკიანობის“ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალების გამოხატვა. პირველ რიგში კი მუდმივად მზადყოფი ლაშქრის შექმნა ლეკების მოსაგერიებლად. მუდმივი ჯარის საჭიროებას ფეოდალური საქართველო ზოგჯერ იკმაყოფილებდა ხოლმე დაქირავებული ჯარით, რომელიც შემდგარი იყო უმთავრესად მთიელებისაგან, მაგრამ ამ პერიოდის აღმ. საქართველოს არ ჰქონდა მატერიალური სახსარი ასეთი ჯარის ხანგრძლივად შენახვისა.

აღმოსავლეთ საქართველომ ყიზილბაშობის ხანაში გაიცნო ადგილობრივი დაქირავებული ჯარი, ე. წ. „ნოქარი“. ივ. ჯავახიშვილი ნოქარზე აღნიშნავს: „ნოქარის სახით, მონღოლთაგან სპარსულში შეთვისებული ეს სიტყვა, მე-17—18 ს. საქართველოშიაც ჩნდება, ჯერ, ვითარცა ერანის სამხედრო ძალის გარკვეული ნაწილის სახელი, შემდეგში, ვითარცა სავაჭრო დაწესებულების უფროსის, ვაჭრისა და მეღუქნის, თანაშემწის გამომხატველი ტერმინი“³².

ქართული „ნოქარი“ წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოყვანილ დაქირავებულ ჯარს, რომლის ქირას იხდიდა თვით მოსახლეობა. „ნოქარის“ გამოყვანა ქართლ-კახეთის ერთ-ერთი ვალდებულების სახით დააქისრა სპარსეთის შაჰმა ნადირმა.

აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: ეხლა „ყიზილბაშობისას“ ქართლს უარესი დღე ადგა, ვიდრე „ოსმალბას“ იყო... ეხლა მოსახლეობა მოვალე იყო საკუთარი ხარჯით გამოეყვანა და შეენახა ჯარის გარკვეული რაოდენობა („ნოქარი“), ხოლო ქართლში მყოფი ყიზილბაშთა ჯარისათვის „სურსათი ეძლია“³³.

სეხნია ჩხეიძის გადმოცემით, ნადირ-შაჰმა ქართლს „ნოქარის“ გამოყვანა დააქისრა 1736 წელს: „ამავე ქორონიკონს უკდ... დასდევს ქართლს სამი-ათას სამასი თუმანი და ხუთასი ნოქარი ცოლ-შვილით ქალაქსა უნდა დამდგარიყო კაც-ცხენ-იარაღით“³⁴. შემდეგ ნადირ-შაჰს არაერთხელ მოუთხოვნია „ნოქარი“ როგორც ქართლისათვის, ისე კახეთისთვის³⁵.

ყიზილბაშობის გადავარდნის შემდეგ, როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა „ნოქარი“ კვლავ გამოეყვანა და გამოეყენებინა ის ადგილობრივი ეროვნული ინტერესებისათვის, უმთავრესად „ლეკიანობის“ წინააღმდეგ საბრძოლველად. ბუტკოვი „ნოქარის“ შემოღებაზე აღმ. საქართველოში აღნიშნავს:

„საქართველოში არ იყო მუდმივი ჯარი (неперемennое войско).

საჭიროების მიხედვით მას კრებდნენ და უშვებდნენ. თითოეული მეომარი თვითონ ირჩენდა თავს.

ჯერ კიდევ თეიმურაზ ნიკოლოზის ძემ, ერეკლეს მშობელმა, მთელი მტრებისაგან საქართველოს საზღვრების დასაცავად დააარსა მილიცია, ნოქარის სახელწოდებით, და დაადგინა, რომ სახაზინო (казенных), სახასო (удельных),

³¹ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 380.

³² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, XIII—XIV სს., თბილისი, 1941, გვ. 32, შენიშვნა 1.

³³ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

³⁴ ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, „ქართლის ცხოვრება“, წიგნი II, დ. ჩუბინიშვილის რედაქციით, პეტერბურგი, 1854 გვ. 340.

³⁵ პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, „ქართლის ცხოვრება“, დ. ჩუბინიშვილის რედაქციით, პეტერბურგი, 1854, გვ. 348, 374, 416; საქ. ც. არქ. დავთ., 116, ფ. 229, № 41.

საეკლესიო და მემამულეთა სოფლებიდან გამოყვანილი ყოფილიყო კორდონი 2 ათასი ცხენოსანი მეომრის რაოდენობით ყოველწლიურად. პროვინტი და ფურაყი მათ ეძლეოდათ ხაზინიდან, ხოლო ჯამაგირს აძლევდნენ თავიანთივე სოფლები, 30-დან 40-მანეთამდე წლიურად. მეფე ერეკლემ გააუქმა ნოქარი და 1773 წელს, ავარიის ხანის დამარცხების შემდეგ, შემოიღო სხვა ლაშქარი (ополчение) მორიგის სახელწოდებით³⁶.

როგორც ვხედავთ, ბუტკოვის აზრით, „ნოქარი“ შემოღებული იქნა თეიმურაზის მიერ „ლეკიანობის“ წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო შემდეგ ის შეცვალა ერეკლეს მიერ შემოღებულმა ამავე დანიშნულების „მორიგე“ ჯარმა.

ბაპუნა ორბელიანის ცნობითაც, ნოქარი შემოღებული იქნა „ლეკიანობის“ წინააღმდეგ საბრძოლველად 1755 წელს: „რადგან ლეკმა ქართლსა და კახეთზე მტრობა აღარ დაშალეს, ზამთარ და ზაფხულ ჩამოდგის და აოხრებდის უმეტეს ქართლსა, მარადის ქართლის ჯარი ვერ შეინახეს ერთად შეყრილი. ამით, რომ ჯარი შემოეყარის მეფეთა ჩვენთა, ლეკის ჯარი ჩაუდგის სახლებში და აღარა-ვინა პყვანდათ მებასუხე. ამის მიზეზისათვის გამოართვეს ქართლსა და კახეთს ითასი კაი ვაჟ-კაცი, ჯამაგირი გაუწესეს, უზბაშები განაწესეს და დააყენეს ქალაქსა თბილისსა, საცა ვისმე გასჭირებოდათ ამათ მიაშველებდნენ და თუ დიდი მტერი მოვიდის, თვით მეფენი მიეშველებოდნენ ქვეყნის ჯარებით“³⁷.

ეს ახლად დაწესებული ჯარი განსაკუთრებით ლეკ-აბრავთა შემოსასვლელ ადგილებში ჩააყენეს და ქვეყნის სანაპირო ადგილების დაცვა მიანდევს. „გაის-ტუმრეს ეს ახალი განწესებული ჯარი და დააყენეს ბაიდარში მონაპირედ. ამ ჯარებთა ასის-თავნი და უფროსნი იყვნეს ამილახორიშვილი ნიკოლოზ, ამირე-ჯიბი ზაზა, ციციშვილი თეიმურაზ და თარხნიშვილი მამუკა. აგრეთვე საბარათაშვილოს უზბაში, რომელა-არს ასის-თავი, იოთამისშვილი რევაზ, აგრევე კახთა-თავადთა შვილი“³⁸.

ჩვენ ხელთაა 9 საბუთი „ნოქარის“ შესახებ 1738 წლიდან 1772 წლამდე³⁹. ამ საბუთებიდან ჩანს, რომ „ნოქარის“ გაყვანა ხდებოდა მოსახლეობის ხარჯით⁴⁰ და მოსახლეობა იხდიდა მისთვის მისაცემელ ჯამაგირსაც.⁴¹ ჯამაგირის სიდიდეზე ჩვენ გვაქვს მხოლოდ 1 ნუსხა, 1760 წლისა, სადაც ჯამაგირის რაოდენობა თითო ნოქარზე უდრის 25 მანეთს წლიურად.⁴²

ამავე საბუთიდან ჩანს, რომ მეფე ზოგჯერ ჯამაგირის ნახევარს თითონ უხდიდა ნოქარს, რათა შეემსუბუქებინა მოსახლეობისათვის ეს ვალდებულება⁴³. ეს აშკარად მოწმობს, რომ ჯამაგირით გამოყვანა, თუნდაც მხოლოდ 1000 კაცისა, უმძიმდა ამ დროს ქართლ-კახეთს. ამასთან ეს რაოდენობა ჯარისა, რო-

³⁶ П. Г. Вутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть первая. С.-Петербург, 1869, страница 287—288.

³⁷ ბაპუნა ორბელიანი, აშავეი ქართლისა, „ქართლის ცხოვრება“, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, პეტერბურგი, 1854, გვ. 461.

³⁸ იქვე, გვ. 461.

³⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი Qd—78, Sd—1137, Hd—7971, 13121, 13723, 14324, 14608. საქ. ცენტ. არქივი, ფ. 229, დოკთარი 16, საქმე 41, საქ. ც. არქივი, ფ. 226, № 3474.

⁴⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd—17971, 14608. საქ. ცენტრარქივი, ფ. 226, № 3474.

⁴¹ იქვე, ხელნაწერთა ინსტიტუტი Qd—78

⁴² იქვე, ხელნაწერთა ინსტიტუტი Qd—78

⁴³ იქვე, ხელნაწერთა ინსტიტუტი Qd—78

გორც ჩანს, არ იყო საკმარისი „ლეკიანობის“ წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ ამის გამო, მოსახლეობას დააკისრეს აგრეთვე გარკვეული რაოდენობის ჯარის გამოყვანა უფრო მოკლე ვადით, ვიდრე „ნოქარი“, მხოლოდ უჯამაგიროდ. ეს იყო სწორედ „მორიგე“ ანუ „მონაცვლე“ ჯარი.

ამრიგად, აღმ. საქართველოს ხელისუფლებამ „ლეკიანობის“ წინააღმდეგ გამოიყენა „ყიზილბაშობის“ დროიდან შემოდებული ჯარის სახეობა „ნოქარი“, ხოლო შემდეგ შემოიღო მისი სახეცვლილება „მორიგე“. „მორიგე“ 1774 წლის განჩინებამდე „ნოქარისაგან“ განსხვავდებოდა მხოლოდ იმით, რომ „ნოქარი“ ჯამაგირს იღებდა, ხოლო „მორიგე“—არა. „მორიგე“ ლაშქრის შემოდების შემდეგ „ნოქარი“ თანდათან მცირდებოდა, ხოლო 1774 წლის მორიგის განჩინების შემდეგ საგვებით ქრება. მეტად საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ერთი იმ ათ დოკუმენტთაგანი, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ: 1765 წლის 23 ივნისისა. ამ დოკუმენტში თიანელი გლეხი მგელაშვილი ქავთარა ერეკლე II-თან ჩივის, რომ ის მისმა ბატონმა ჯერ „ნოქარად“ დაწერა, ხოლო ეხლა იმ მიზეზით, რომ „ნოქარი“ აღარ არის, „მორიგეთ“ დაწერა: დოკუმენტში მოჩივარი აღნიშნავს: „...მე ხელმწიფის ყმა ვიყავ, გრიგოლ სახლთხუცესს ვემსახურებოდი, ხელმწიფის ყმობა ველარ დავმალე, მოგახსენე. ამაზედ ჯიბრს მიწვეს, რატომ ბატონის ყმობა სთქვიო, მე ნოქარად დამწერა, ნოქარი ვიყავ, გემსახურე, ახლა ნოქარი აღარ არისო, ახლა თავისი ყმის მაგიერ ბაღლად და მორიგედ მწერს...“⁴⁴.

ამ დოკუმენტში მოცემულია მეტად დამახასიათებელი ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ იკავებდნენ თანდათანობით „ნოქარის“ ადგილს „მორიგე“. აღნიშნული დოკუმენტის ცნობით, 1765 წელს ნოქარი აღარ არის და მის მაგივრად უკვე მორიგეა, მაგრამ სინამდვილეში „ნოქარი“, როგორც ჩანს, ძალიან მცირე რაოდენობით, მაინც განაგრძობს არსებობას 1774 წლამდე. უკანასკნელი დოკუმენტი, სადაც „ნოქარია“ მოხსენებული, როგორც აღვნიშნეთ, 1772 წლის დეკემბრისაა⁴⁵.

1774 წლამდე, ე. ი. „მორიგის“ განჩინების შედარებამდე, „მორიგის“ გაყვანა ხდებოდა არა საყოველთაო გაწვევით, არამედ შეწერით. შეწერა ხდებოდა სადროშოების მიხედვით. სადროშოს ტერიტორიაზე მოსახლე მებატონეებს, აზნაურებს, თავადებსა და ეკლესიას მეფე შეაწერდა ყოველთვიურად გამოსავანი ჯარის გარკვეულ რაოდენობას. ამ მებატონის ყმა-მამულის სიდიდის შესაბამისად:

1756 წ. საბუთში თეიმურაზ II აღნიშნავს: „...რაც ამ სიით მუდამ სახლებლად მონაცვლე ლაშქარს კაცი შეგვიწერია შარშანდელს დავთარზე ეს ასე, ცხენოსანი ცხენით და ქვეითი ქვეითათ უზბაშებს მიბარეთ“⁴⁶. იმავე საბუთში აღნიშნულია: „ზემო ქართლს რომ მუდამ ბატონის სახლებლათ გაუყრელათ ჯარის კაცი აწერია“⁴⁷...

⁴⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.) ნ. ბერძენიშვილი, თბილისი, 1953, № 89.

⁴⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—13723

⁴⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd—8723

⁴⁷ იქვე

1769 წ. ერეკლეს მიერ გაცემულ ბრძანების წიგნში აღნიშნულია: „ჩვენი ბრძანება არის რევაზ ამილახვარო: ეს შენ ვაარიგე: მერმე ვისაც ამ სიით ეს კაცი შეწერებოდეს, ასე უკლებრივ უნდა ჩამოიყვანო“⁴⁸.

1756 წ. საბუთში მოყვანილ ნუსხაში ჩამოთვლილია ზემო ქართლის მებატონეები, რომლებმაც უნდა გამოიყვანონ მორიგეები: ავალიშვილები, თაქთაქიშვილი, აბაშიძე, ჩხეიძე, დიასამიძე, ამირეჯიბი, ბეგთაბეგიშვილები, ფალავანდისშვილები, ხერხეულიძე, ზაალისშვილი, დავითისშვილები, ტატისშვილი, ალხაზისშვილი, ფავნელისშვილი, იორამისშვილი, ფავნელი, საამილახორო, გარსევანასშვილები, სათუმანიშვილო, მეფის სახასოები: ტინისხილში, რუისში, ქციხლვანში, საყდრები: ატოცის, რუისის, ნიქოზისა და სხვა. ყველა აქ ჩამოთვლილმა მებატონეებმა და საყდრებმა ყოველთვიურად უნდა გამოიყვანონ რამდენიმე მორიგე ცხენოსანი და ქვეითი, ერთი კაციდან მოყოლებული 20 კაცამდე, ყველამ ერთად 168 კაცი, რომელიც მიზარებული ყავს 2 უზბაშს: ამირეჯიბსა და ნიკოლოზს (გვარი წაშლილია). ზემო ქართლის 1769 წლის 10 ნოემბრის მორიგის ნუსხა ითვალისწინებს 192 კაცის გამოყვანას, აქედან ნახევარს ცხენოსანსა და ნახევარს ქვეითს⁴⁹. ეს ნუსხები მოწმობს, რომ 1774 წლამდე ყმა-გლეხების გაყვანაზე პასუხისმგებელი პირველ რიგში თვით მებატონეა. მას შეწერილი აქვს ამა თუ იმ რაოდენობის კაცის გაყვანა. თუ სახელდობო რომელ ყმას გაიყვანს, ეს მისი საქმეა. მასზე შეწერილი მოლაშქრეების რაოდენობის შესაბამისად, მებატონე თავის მხრივ „დასწერდა“ ხოლმე თავის ამა თუ იმ ყმას მორიგედ, ისე, როგორც ეს აღნიშნულია 1765 წლის ზემოხსენებულ საბუთში: ბატონმა „...მე ნოქრათ დამწერა... ახლა თავის ყმის მაგიერ ბადლად და მორიგედ მწერს“. სულ სხვა ვითარებაა 1774 წლის განჩინების შედგენის შემდეგ. ამ განჩინების შედგენის წინ ერეკლემ ბრძანება გასცა, აეწერათ მთელი მოსახლეობა. შემდეგ მოსახლეობა გაყო 12 ნაწილად და ამის მიხედვით შეადგინა ყოველ თვეში გასაყვან მოლაშქრეთა დავთრები. ამ დავთარში უკვე ჩამოთვლილი იყო თვით იმათი გვარები, ვინც უნდა გასულიყვენენ მორიგე ლაშქარში: მორიგის განაჩენის პირველ მუხლში აღნიშნულია:

„აქ. პირველი ეს არის, რომ... თუ დიდი მტერი: ორი და სამი ათასი კაცი და კიდევ მეტი არ შეიყაროს და ამისთანას ძალით ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა არ მოინდომოს, ათასის კაცისათვის და მეტნაკლებისათვის და კიდევ ასისა და მეტნაკლებისათვის ის გაგვირიგებია, რომ რაც თავადნი და ან მოკელე, ან არ მოკელე, ან აზნაურნი მოკელე, ან არ მოკელე, გლეხნი მოხელენი, თუ მსახურნი, თუ მოყალენნი, თუ ხიზანნი, რამდენნიცა რომ იყენენ ერთს სახლსა და ოჯახში, თუთოსთვის მორიგეობაში ჩაგვიგდია და დაგვიწერია, და სხვას დავთარში გაგვირიგებია. სარდლებსა, მინბაშებსა და უზბაშებს გარდა, ყოველი კაცი თორმეტს თვეზედ გაგვიყვია, და როგორადაც გაგვიყვია ერთი დიდი საერთო დავთარი ჩვენის მოკლეებისათვის მიგვიბარებია, და თვითო დავთარი უზბაშებისათვის მიგვიცია, და სხვა სოფელ და სოფელ მებატონეებისათვის და მოკლეებისათვის მიგვიცია, და ასე გაგვირიგებია ყველასთან, როგორც ამაში დაგვიწერია“⁵⁰.

⁴⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd—14456

⁴⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი Qd—8723

⁵⁰ საქართველოს სიძველენი, ტომი 1, გამოცემა მეორე, წიგნი I, ე. თაყაიშვილი, თბილისი, 1920, გვ. 178.

„განაჩენის“ 23-ე მუხლიდან ჩანს, რომ ერეკლეს ამ „განაჩენის“ შედეგის წინ სპეციალურად აუწერია ქართლ-კახეთის მოსახლეობა. აქვე ერეკლე აფრთხილებს მეზატონეებს, რომ რაც მათ კაცები დამალეს ამ აღწერის დროს, აღდგომამდის თუ არ გამოაჩინეს, დაისჯებიან⁵¹.

ყმების გაყვანის უზრუნველყოფას მეფე პირველ წლებში ავალბდა იასაულებს და უზბაშებს. 1756 წლის საბუთში ერეკლე ზემო ქართლის მორიგის გამოყვანას ავალბებს იასაულსა და 2 უზბაშს. საბუთში აღნიშნულია: „ჩვენი მზრძანება არის იასაულო ნიკოლოზ უზბაშო და ზურაბ ნახუცრისშვილო. წადით და რაც ამ სიით მუდამ სახლბლათ მონაცვლე ლაშქარს კაცი შეგვეწერია, შარშანდელს დავთარზე ეს ასე ცხენოსანი ცხენით და ქვეითი ქვეითათ უზბაშებს მიიბარეთ, ყველას გამოართვით უკლებლათ. [თუ] ცხენი და ან კაცი აქვია ვისმე, თქვენც გარდავახდევინებთ და იმათაც დიდათ გარდავახდევინებთ“.

შემდეგში მორიგეში ყმა-გლეხების გაყვანის უზრუნველყოფა ევალებოდათ სადროშოს სარდლებს.

ერეკლე 1764 წელს წერს სადროშოს სარდალს რევაზ ამილახვარს: „ბეფინისხეველებს მორიგე რომ აწერიათ, იმათ დაესხენით, ნუ წამოიყვანთ“⁵². 1769 წლის 17 აგვისტოს ერეკლე წერს იმავე რევაზ ამილახვარს: „...რაც ზემო ქართლის მორიგე იყოს, ახლავ კაცნი გავზავნე, შემოიყარე, ერთი თქვენი სახლის კაცი უთაფე, გაუძღვარე და აღექსანდრე სარდარს შემოჰყარე. ამ ორსა, სანს დღეზედ თუ ჯარი მცხეთას არ ჩამოვიდა, იცოდეთ, რომელიც ნაკლებს საქმეს დაიჭერთ, დიდად გვეწყინება“⁵³. 1769 წლის 10 ნოემბერს ერეკლე იმავე რევაზ ამილახვარს წერს: „...ვისაც ამ სიით ეს კაცი შესწერებოდეს ეს ასე უკლებრივ უნდა ჩამოიყვანო“⁵⁴.

მორიგე ლაშქრის ხელმძღვანელებად უზბაშების ანუ ასისტაგების გარდა (რომლებიც მუდმივი თანამდებობის პირებად ჩანან) მეფე ნიშნავდა სარქარდებს, მორიგეობით. უნდა ვიფიქროთ, რომ თითოეულ სადროშოდან გამოყვანილ მორიგე ლაშქარს თითო სარქარდი ჰყავდა, თუმცა ეს საკითხი მთლად ნათელი არ არის. სარქარდებს ევალებოდათ მორიგე ლაშქრის საბრძოლო ხელმძღვანელობა და მორიგეში დაკლებულთა დარბევა. 1766 წელს ერეკლე II ყულარაღას გიორგის წერს: „...ამ ორ თვეში მორიგის სარქარდათ თქვენ რომ ღანწესებული ხართ, ვინცავეინ თავადიშვილი, აზნაურიშვილი და გლეხი თქვენთან სამყოფი რის, ვერავეინ დაგაკლებათ, და თუ დაგაკლდეს ვინმე, თქვენ კაცს გაუზავანიდეთ, რაჟდენიც კაცი გაკლებათ, იმთენს ხარს ისინი გამოართმევენ. ხარზე რომ მარჩილი საიასაულო აიღება, ექვსი შაური თქვენს კაცსა და ექვსი შაური იმათს გატანებულს კაცს. ბატონო სარქარდებო, ეს თქვენც ასე იცოდეთ. ამ ორს წყალზე (იგულისხმება ქსნისა და არაგვის საერისთაოები—ა. კ.), ზემო ქართლში და ჩვენის დროშის სასარდლოზე დაკლებული კაცი ამ წესით უნდა

⁵¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—8723

⁵² ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd—14346

⁵³ ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd—13654

⁵⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—14456

⁵⁵ დოკუმენტები, საქ. სოც. ისტორიიდან, II „ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.).

6. ბერძენიშვილის რედაქციით, № 98.

⁵⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი Qd—8723, Hd—2525

⁵⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—14456



დაირბოდეს⁵⁵. როგორც ვხედავთ, მორივე ლაშქარში, განსახილველ პერიოდში, გარდა ყმა-გლეხებისა, ვაღიან თავადები და აზნაურებიც, მაგრამ როგორც ჩანს, მორივეში გასვლას თავიდანვე დიდი ხალხით არ ეკიდებოდა მოსახლეობის არც ერთი სოციალური ფენა და ერეკლეს პირველი წლებიდანვე დამნაშავეთა დასჯა შემოუღია, ხოლო 1766 წლის 5 ნოემბერს მას უკვე შეუმუშავებია მორივეში დაკლებულთა დარბევის წესიც. ზემოაღნიშნული 10 საბუთი მოწმობს, რომ თავდაპირველად მორივე გამოყავდათ ორ-ორი თვის ვადით. ასეთი ვადაა დამოწმებული კერძოდ 1756 წ. საბუთში, ასეთივე ვადაა დადასტურებული 1766 წლის 5 ნოემბრის საბუთში⁵⁶. 1769 წლის 10 ნოემბრის საბუთში კი ერეკლე წერს რევაზ ამილახვარს, რომ ზემო ქართლის მორივეს 20 დღეზე მეტს არ გაუაჩერებთ⁵⁷. როგორც ჩანს, ამ დროისათვის, ე. ი. 1766—1769 წლებს შორის მორივეში გაწვევის ვადა ერთ თვემდე შემცირებულა და მეფე ცდილობს ზოგჯერ ამ ვადის შემცირებასაც. 1771 წლის საბუთში ერეკლე წერს რევაზ ამილახვარს, რომ თქვენი მორივე უკვე ერთი თვეა აქ არის და ამისი შემცვლელი გამოგვიგზავნეთ⁵⁸.

⁵⁶ ზემოაღნიშნული 10 საბუთიდან, რომელიც გვაძენობს მორივე ლაშქრის არსებობას მორივის განჩინების შედეგაზე ადრე, 9 ქართლისა და მხოლოდ 1 კახეთისა.

უნდა აღნიშნოს, რომ მორივეზე არსებული ზემოდასახელებული 10 საბუთიდან 1 საბუთისათვის ყურადღება მიუქცევია და თავის სადისერტაციო ნაშრომში გამოუყენებია დ. მეგრელაძეს. ეს საბუთი წარმოადგენს 1769 წლის ერეკლეს ბრძანებას ზემო ქართლის სადროშოს სარდალ რევაზ ამილახვარისადმი მორივის გამოყვანაზე. ამ 1 საბუთის მიხედვით, დ. მეგრელაძეს, ბუნებრივია, ვერ გაუხედავს დასკვნის გაკეთება აღმ. საქართველოში მორივის არსებობაზე, ჯერ კიდევ „მორივის განაჩენის“ შედეგამდე, ე. ი. 1774 წლამდე. დ. მეგრელაძის აზრით, ეს საბუთი მოწმობს, რომ 1769 წელს „მორივე“ არის ზემო ქართლში და მისი შეკრება ხდება დაძახებით. ამასთან მკვლევარს ეს ფაქტორი სხვა ფაქტორებთან ერთად მიუჩნევია „მორივე ლაშქრის“ წინამორბედებად. დ. მეგრელაძე აღნიშნავს:

...„ზემო ქართლის მორივეს“ არსებობა, ლეკების წინააღმდეგ ქართლელებისა და კახელებისაგან ჯამაგირით შექმნილი ჯარი, 1772 წ. ერეკლეს მიერ შედგენილი მღვდრობის წესი, მორივე ლაშქრის წინამორბედები იყო⁵⁹.

მაგრამ ახლა, როცა ჩვენს ხელთაა არა ერთი, არამედ 10 დოკუმენტი, ჩვენ შეგვიძლია სრულიად უყოყმანოდ გავაკეთოთ დასკვნა მორივე ლაშქრის არსებობაზე აღმ. საქართველოში XVII ს-ის 50-იანი წლებიდან. რაც შეეხება ტერიტორიულ ფარგლებს, აღნიშნული დროიდან მორივე ლაშქრის არსებობა დოკუმენტურად დადასტურებულია ქართლის 3 სადროშოში ოთხიდან, კერძოდ, დოკუმენტებში მოხსენებულია ამ ვალდებულების მქონე შემდეგი სამხედრო-ადმინისტრაციული და ფეოდალური ერთეულები: ზემო ქართლის სადროშო, მეფის სადროშო, ქსნისა და არაგვის საერისთავოები. რჩება მხოლოდ მეწინავე სადროშო—სომხეთსაბარათიანო, ე. ი. ქვემო ქართლი. მაგრამ, ცხადია, რომ ამ სადროშოსაც ექნებოდა დაკისრებული მორივის ვალდებულება. დოკუმენტები

⁵⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—14457.
⁵⁶ დ. მეგრელაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 222.
⁵⁷ იქვე, გვ. 223.



ამის აღმნიშვნელი ან არ შემოგვრჩა, ან ჯერ ვერ მიგვივინია. რაც შეეხება კახეთს, აქ მორიგის არსებობაზე ჩვენს ხელთაა ერთადერთი დოკუმენტი 1765 წლისა, რომლის მიხედვით, ეს ვალდებულება დაკისრებული აქვს ერთ თიანეთელ გლეხს. ეს დოკუმენტი ცხადყოფს იმასაც, რომ მორიგის გაყვანა კახეთიდანაც ხდებოდა შეწერის წესით. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ რადგან ქართლ-კახეთის ხელისუფლება, თეიმურაზ II-ის სიკვდილამდეც (ე. ი. 1762 წლამდე) ფაქტიურად ერთიანი იყო და ერეკლე-თეიმურაზის ხელში ქართლ-კახეთი ფაქტიურად გაერთიანებული სახელმწიფო იყო, ეს სამხედრო ღონისძიებაც ამ ორივე სამეფოში ერთდროულად გატარდა. მაგრამ, რადგან 1765 წლამდე ჩვენ კახური საბუთი მორიგეზე არა გვაქვს, ამის თქმა გადაჭრით ძნელია. არ არის გამორიცხული ისიც, რომ მორიგე ლაშქარი XVIII ს-ის 50-იან წლებში მარტო ქართლის სამეფოში შემოიღეს და კახეთში ის 1762 წლიდან, ე. ი. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების შემდეგ გავრცელდა.

მორიგის შემოღების თარიღის დადასტურებასთან დაკავშირებით ისმის რამდენიმე კითხვა:

1. რატომ დასჭირდა ერეკლეს 1774 წელს „მორიგე ლაშქრის განაჩენის“ შედეგადა, თუ კი „მორიგე ლაშქარი“ უკვე არსებობდა 1750-იანი წლებიდან.

2. ხომ არ ასახავენ 1756—1773 წლების საბუთები „მორიგის“ შესახებ რაიმე ეპიზოდურ, ან რომელიმე კუთხით შემოსაზღვრულ ღონისძიებას და არა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაკანონებულ სახეობას სახელმწიფო ჯარისას.

3. ხომ არ შეიტანა 1774 წლის განჩინებამ არსებითი ცვლილება „მორიგე ლაშქარში“.

ამ კითხვებზე უნდა გავსცეთ შემდეგი პასუხი:

ა) საქართველოს ისტორიაში არაერთია ისეთი მაგალითი, როცა ესა თუ ის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი თუ კანონი ოფიციალურ კანონმდებლობაში ასახვას პოევებს ათეული წლებისა და ზოგჯერ საუკუნეების შემდეგ, ხშირად კი სრულიად არ პოევებს ასახვას. ამის მაგალითია ფეოდალური საქართველოს ყველა კანონმდებლობა: ხელმწიფის კარის გარიგება, ბექასა და აღბუღას სამართალი, ვახტანგის სამართალი და სხვა.

ბ) ამასთან არ შეიძლება ითქვას, რომ 1756—1773 წლებში მორიგე ლაშქარზე არ არსებობდა არავითარი ოფიციალური საკანონმდებლო აქტი. ისეთ აქტებად შეიძლება ჩათვალოთ მორიგე ლაშქრის გაყვანის დავთრები, რომლებიც, ჩვენი დოკუმენტების ცნობით, უკვე არსებობდნენ 1755 წელს, თუ უფრო ადრეც არა, და რომელთაგან რამდენიმე შემოგვრჩა დღემდე. ასეთივე აქტად უნდა მივიჩნიოთ „მორიგეში“ გასვლაზე თავის არიდებისათვის დარბევის წესი, რომელიც ერეკლეს შეუმუშავებია. ადვილი შესაძლებელია, რომ შემუშაებულ იყო უფრო სრული კოდექსი მორიგე ლაშქრისა, ისეთივე „განაჩენი“ როგორცაა 1774 წლისა, და ის დღემდე არ შემოინახა. ყოველ შემთხვევაში, ეს კოდექსი, ან წესდება, თუ კი ეს დაწერილი არ იყო, დაუწერელი სახით მაინც არსებობდა, რადგან სავსებით გარკვეული იყო მორიგე ლაშქრის როგორც გაწვევის წესი, ისე მისი სტრუქტურა და ორგანიზაცია, ისე დარბევის წესი.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ დასჭირდა ერეკლეს 1774 წლის განჩინების შედეგადა, ამაზე პასუხს იძლევა თვით „განაჩენი“, რომლის მნიშვნელოვანი ნა-

წილი მორიგეში გაუსვლელიობის სასჯელებს ეხება. საერთოდ, მორიგეში გასვლას, როგორც აღვნიშნეთ, თავიდანვე გაუბრუნდა მოსახლეობის ყველა ფენა და, როგორც ჩანს, ერეკლეს სურდა მორიგე ლაშქრის განმტკიცება მისთვის ახალი განაჩენის შედეგით და ამ განაჩენში მრავალფეროვანი სასჯელების დაწესებით. ამასთან ერეკლეს სურდა მორიგის რიცხვის გაზრდა და ამ მიზნით შეცვლა მორიგეში გაწვევის წესი. გაწვევა ამიერიდან ხდებოდა არა შეწერით, არამედ, საყოველთაო აღწერის მიხედვით. გაწვევის დავთრებში ესლა შექმონდათ უკვე არა მარტო გასაწვევის მებატონის გვარი, არამედ თვით გასაწვევის გვარიც.

უნდა აღვნიშნოს, რომ ერეკლეს, როგორც ჩანს, ერთხელ კიდევ დასჭირდა „მორიგე ლაშქრის“ „შემოღება“—1791 წელს. ჩვენამდე მოღწეულია ამ წლის საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ ერეკლეს ხელახლა სამსჯელოდ გაუხდია მორიგე ლაშქრის გაყვანის საკითხი და დადებითად გადაუწყვეტია ის. ამრიგად, აღმ. საქართველოში მორიგე ლაშქრის „შემოღება“ დასჭირდათ სამჯერ: 1750-იან წლებში, 1774 წელსა და 1791 წელს. ამის მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, მდგომარეობს იმაში, რომ მორიგე ჯარისადმი უარყოფითად იყო განწყობილი აღმ. საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა.

1756—1773 წლების საბუთები მორიგის შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, ასახვენ, არა ეპიზოდურ, ან რომელიმე კუთხით განსაზღვრულ ღონისძიებას, არამედ, მოწმობენ მთელი ქვეყნის მასშტაბით, მუდმივი ჯარის თავისებური სახეობის „მორიგის“ არსებობას. ამ ჯარს, როგორც აღვნიშნეთ, აქვს თავისი გაწვევის წესი, ამ წესის საფუძველზე შემდგარი გაწვევის დავთრები, აქვს თავისი ჩამოყალიბებული სტრუქტურა და გაწვევისთვის თავის ამრიგებელთა დარბევის წესი. ერთი სიტყვით მთელი აღმ. საქართველოს მასშტაბით არსებობს ჯარის ეს სახეობა, რომელსაც დოკუმენტები „მორიგეს“ უწოდებენ და რომელიც ყოველთვისად აძლევს ქვეყანას 1500 — 2000 ცხენოსანსა და ქვეით მოლაშქრეს.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, შეიტანა თუ არა 1774 წლის განჩინებამ მორიგე ლაშქარში არსებითი ცვლილებები, უნდა ითქვას შემდეგი: „მორიგე ჯარის“ ყველაზე არსებითი თავისებურებაა ის თავისებურება, რომელიც განასხეავებს მას ფეოდალური, ბატონ-ყმური ლაშქრისაგან და რაც აძლევს მას მუდმივი ჯარის სახეს. ეს არის მისი სტრუქტურა: ეს სტრუქტურა არ არის დამყარებული ბატონ-ყმურ სისტემაზე, ფეოდალურ იერარქიაზე. აქ ყმა-გლეხიცა და ფეოდალთა ყველა ფენის წარმომადგენელიც გადიან როგორც სამხედრო ვალდებულები და სულ არ არის აუცილებელი, რომ ყმა-გლეხი თავისი ბატონის ხელქვეით ლაშქრობდეს. მორიგის სარდლებსაც: უზბაშებს, მინბაშებს, სარქარდებს მეფე ნიშნავს. ეს ძირითადი თავისებურება მორიგე ლაშქარს ახასიათებს როგორც 1774 წლამდე, ისე ამის შემდეგ. ცვლილებები ხდება მხოლოდ გაწვევის წესში, რაც ზრდის მორიგე ჯარის რიცხვს, მაგრამ არ ცვლის მის ხასიათს.

2 მორიგე ჯარის არსებობის ხანგრძლივობა

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს დაკვიდრებულია აზრი, რომ მორიგე ლაშქარს დიდხანს არ უარსებია, რომ თავადებმა მოახერხეს მისი მალე მოშლა, ყოველ შემთხვევაში, ლევან ბატონიშვილის სიკვდილის შემდეგ რამდენიმე წელიწადში. საქართველოს ისტორიის 1948 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში აღნიშნულია: „...მორიგე ლაშქრის მთავარი ხელმძღვანელი ერეკლეს ვაჟი

ლევან ბატონიშვილი იყო. ახალი ლაშქრის ასეთი სარგებლიანობის მიუხედავად თავადებმა მას შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს: მორიგე ჯარი მეფის ხელისუფლებას აძლიერებდა, ეს კი თავადებისათვის არ იყო სასურველი.

მორიგე ლაშქარი ბრძანებით არასოდეს არ გაუუქმებიათ, მაგრამ თავადებმა მოახერხეს მისი შესუსტება და ბოლოს სავსებით გაქრობა. უდიდესი ზიანი მოუვიდა მორიგე ლაშქარს მისი ხელმძღვანელის ლევან ბატონიშვილის მოულოდნელი სიკვდილით (1781 წ.). სხვა ბატონიშვილები აგრე რიგად არ ზრუნავდნენ მორიგე ჯარზე და მალე ეს საქმე ანგარი მოხლეების ხელში მათი საკუთარი შემოსავლის წყაროდ იქცა. ქრთამით ესა თუ ის თავადი სულ უფრო და უფრო ადვილად ახერხებდა თავისი ყმებით მორიგეში გასვლისაგან თავის დაღწევას. მორიგეთა რიცხვმა თანდათან იკლო და ბოლოს სულ გაქრა.

მორიგე ჯარის გაუქმება იყო თავადების გამარჯვება და ერეკლე მეფის პოლიტიკის უდიდესი მარცხი⁶¹.

საქართველოს ისტორიის 1958 წელს გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოში აღნიშნულია:

„...ახალ ლაშქარს თავადებმა შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს, რადგან მორიგე ჯარი მეფის ხელისუფლებას აძლიერებდა,—და კიდევაც მოახერხეს მისი თანდათან მოშლა“⁶².

აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით 1960 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ნათქვამია:

„...ახალი ლაშქარი თავადებს არ მოსწონდათ, მას ბრძოლა გამოუცხადეს და რამდენიმე წლის შემდეგ კიდევ მოახერხეს მისი მოშლა“⁶³.

მორიგე ჯარის შესახებ შემორჩენილი დოკუმენტური მასალა მოწმობს, რომ მორიგე ჯარი აღმ. საქართველოში არსებობდა მის რუსეთთან შეერთებამდე—1801 წლამდე. კერძოდ, მორიგე ლაშქარი რომ ლევან ბატონიშვილის სიკვდილის (1781 წ.) შემდეგ არ მოშლილა, ამას მოწმობს ჩვენს ხელთ არსებული 85 დოკუმენტი 1781—1800 წლებისა. მაგრამ როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის წინააღმდეგობის შედეგად მორიგე ლაშქრის გამოსაყვანად ერეკლე II-ს უხდება მკაცრი რეპრესიების გამოყენება, რაც ხშირად მანაც არ შეეძლიდა საქმეს და მორიგე ლაშქარი რამდენჯერმე მოშლის პირს იყო კიდევ. კერძოდ, როგორც აგრეთვე აღვნიშნეთ, 1788—90 წლებში მორიგე ლაშქარი თითქმის მოშლილი იყო. ამ წლის 23 ივლისის დოკუმენტი გვაძინობს, რომ მეფეს აღარ ძალუძს მორიგის გაყვანა კახეთის გაღმა მხარიდან. ნეკრესელი ეპისკოპოსი აგზავნის გიორგი მღვდელს მეფის წიგნით მორიგის გაწვევის შესახებ გაღმა მხარის სოფლებში, გრემიდან ყვარელამდე, და ავალებს მოაწერინოს ზელი ყველას და დააწერინოს, თანახმაა თუ არა. გავიდეს მორიგეში.

მოვიყვანოთ საბუთის ტექსტი:

„წმინდა მღვდლო, უფალო გიორგი, ჩემ ნეკრესელ ეპისკოპოსისაგან ასე მოიხსენე: მეფის წიგნი გამომიგზავნია, ეს წიგნი წაიღე და გრემიდან დაწ-

⁶¹ საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ნაწ. I, ს. ჯანაშას რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 397—398.

⁶² საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ნაწ. I, დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1958, გვ. 373.

⁶³ იქვე.

ყებული ყვარელამდინ და ყვარელ[ლ]საც თავადთა, მოკელეთა და სოფლის კაცთა წაუკითხე და შეატყობინე, ამ ოქმის პასუხი უნდა მოახსენონ თავის კელმწიფეს: ან ასე მოახსენონ თავის კელმწიფეს, ან ასე მოახსენონ არ წამოვალთო, ან წავიდნენ, როგორც დაბარებულნი არიან მორიგე და ჩარეკების კაცნი. თრში ერთი სიტყვა გამოართვი, ან უნდა გაილახო და ან ორში ერთი სიტყვა გამოართვი: თუ წავლენ, წავიდნენ და ამ ჩემს წიგნზე მოაწერონ: წავედითო, თუ არ წავლენ, ამავე წიგნზე ასე მიაწერონ: არ წავალთო. ხათრს ნურავის შეუნახავ, ასე მოიქეც. თუ გავლაქავს ვინმე, და რა იქნება, შენის კელმწიფისათვის გაილაგო, ვიცი ასე იფიქრებ: რატომ შენ არ წამოხველო, — შეუძლოთ ვიყავ, ცხენზე ჯდომა არ შემეძლო და შენც ისივე ხარ. ამ ორს დღეზე ამის ამბავი უნდა შეგვატყობინო, რომ მეფეს მოვახსენოთ. ეს ერკოსშვილი ბერუა გამოგვიგზავნია, თან იახელ და ამის პირით შეგვატყობინე, რას პასუხს მოგცემენ. ივლისის კვ, უოვ. დოსითეოს“⁶⁴.

ამაზე ერთი წლით ადრე—1787 წლის 5 ნოემბერს—ერეკლე მეფე წერს ოთარ ამილახვარს:

„ქ. ჩვენ მაგიერად ამილახვარს ოთარს ასე უამბეთ: მერე, ახლავ, თვითონ შენ ზემო ქართლს უნდა წახვიდე და ყოველს ალაგს და სოფლებში უნდა შეატყობინო, ბეჯითობით იასაუღლსავით კაცი დაუტარო და რომელიც ამ გიორგობის თვის მორიგეთ ეწეროს: თავადისშვილი, აზნაურშვილი და თუ გლეხი და განჯას და ქიზიყს ჯარში ჩვენთან არ ყოფილიყოს და შინ დამდგარიყოს, ის მორიგე კაცი განწესებისაებ ერთის თვის ნუზლით ახლავ ამ ხუთს დღეზე უნდა გამოიყვანო და ქალაქს ჩვენთან ჩამოიყვანო. რომელიც ამ გიორგობის თვის მორიგე განჯას და ქიზიყს ჯარში ყოფილა, იმას ნუ გამოიყვან და, იმას გარდა, ამ გიორგობის თვის მორიგის კაცისა შინ ვაშეება არას საქმით არ იქნება“⁶⁵...

ეს საბუთიც აშკარად მოწმობს, თუ როგორ უჭირდა მეფეს მორიგის გამოყვანა. როგორც ზემოთ დავინახეთ, 1788 წლის 5 ნოემბერს ნეკრესელ-ეპისკოპოსი ერთგვარ გამოკითხვას აწყობს. ვის სურს მორიგე ჯარში წასვლა და ვის არა, ხოლო 1790 წლის 5 ივლისის დოკუმენტი—ერეკლეს მიწერილობა მინბაშ ბეჟან ამილახვრისადმი—მოწმობს, რომ ამ დროისთვის მორიგე უკვე თითქმის სავსებით მოშლილია. ერეკლე ბეჟანს სწერს: მე არავისთვის არც მინბაშობა ჩამომირთმევია და არც უზბაშობა, მაგრამ მორიგე არსად არის და რის მინბაშები და უზბაშები იქნებიოთ; თუ კი სადმე დგას მორიგე, მიდით და ნუ დააკლდებითო. მოვიყვანოთ საბუთი:

„ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდს იმედად მისაჩენელს ამილახვრისშვილს მინბაშს ბეჟანს მოკითხვა ეუწყოს. მერე, შენი არზი მოგვივიდა, რაც მოგეწერათ ყველა ვცანიოთ: ჩვენ არც ვისთვის მინბაშობა გამოგვირთმევია და არცა ვისთვის უზბაშობა, მაგრამ ჯარი არსად არის და მორიგე, და რის მინბაშები და უზბაშები იქნებიოთ, და თუ ახლა მორიგე ერთად დგას სადმე, თქვენც მიდით“⁶⁶.

⁶⁴ ხელნაწერთა ინსტ. Ad—250
⁶⁵ საქ. ც. არქ. ფ. 226, № 368.
⁶⁶ ხელნაწ. ინსტ. Ad—1360
 13. ხელნაწ. ინსტ. ნომბე, V

საქმე, როგორც ჩანს, იქამდე მისულა, რომ 1791 წელს ერეკლე II იძულებული გამხდარა ხელახლა გაეხადა მსჯელობის საგნად მორიგე ჯარის არსებობის საკითხი და დადებითად გადაუწყვეტია ის. ამ წლის 14 მაისის საბუთის ცნობით, ერეკლე II ხელახლა დაუმტკიცებია უკვე მოშლილი მორიგე ჯარის გამოყვანა. მოვიყვანოთ საბუთი:

„ჩვენ მაგიერად ენისელთ მოურავს დიმიტრის ასე უამბეთ: მერე, ახლა რომ ისევ მორიგის გამოყვანა დავამტკიცეთ, ჩვენ ასე გვეუბნებიან: სამღვდელონი, თავადნი, აზნაური და გლეხნი კაცი თქვენა და თქვენს შვილებსა გყავსთო, თქვენ რომ გამოიყვანთ, ჩვენ როგორ დაგაკლებდითო. ახლა ჩვენ ყველგან მოხელეებსა წიგნები მივსწერეთ და თავთავისი სახელოების გამოყვანა დავადვიეთ. შენთვისაც ასე გვიბრძანებია: ენისელი შენი სახელო არის. რაც ამთვის მორიგე არის, ახლავ საჩქაროდ უნდა გამოიყვანო და, სადაც ჩვენ ვიყვნეთ, იქ შემოგვყარო, და სხვას თვეებისასაც თავის ვადაზე უნდა გამოიყვანდე და ჩვენ შემოგვყარდე. თუ ამ საქმეზედ ბეჯითად არ მოიქცევი და შენი სახელო კაცი დაგვაკლდა, შევიტყობთ, რომ ამ საქმის მოშლა გდომნია, ქვეყნისაც მუხანათობა იქნება, შენის მამულისაც და შენთვისაც და, როგორც რიგი არის, ისეც გარდაგახდევინებთ. დიდათ ბეჯითად უნდა მოიქცეთ და კაცი არ დააკლო, თორემ თუ კაცი დაგვაკლდ, ქვეყნისაც დიდი წინააღმდეგობა არის და პასუხსაც ვეღარავის მისცემ. ყველა მოურავებისათვის და მოხელეებისათვისაც ასე მიგვიწერია და ასეც იცოდნენ. მაისის იდ, ქ[ორონი]ქონს უოთ.

ქ. ჩვენი შვილებისათვისაც ასე მიგვიწერია ერეკლე⁶⁷.

როგორც ვხედავთ, ერეკლეს დაუდგენია რა მორიგის გამოყვანის განახლება, დაუგზავნია ამის შესახებ ბრძანებები ადგილობრივი მოხელეებისთვის, აგრეთვე თავისი შვილებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მხარეებზესა თუ უწყებებს განაგებდნენ. ამის შემდეგ, მორიგე ჯარი არსებობდა რუსეთთან შეერთებამდე, თუმცა რამდენადმე შეცვლილი სახით,—ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

განვიხილოთ ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე, თუ რა ცვლილებები განიცადა მორიგე ჯარმა XVIII საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების მანძილზე, ე. ი. მისი არსებობის უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში. ამ ბერიოდიდან (1781—1800 წწ.) ჩვენს ხელთაა, როგორც აღვნიშნეთ, 85 დოკუმენტი. აქედან 71 დოკუმენტი ეკუთვნის 1781—1790 წლებს, ხოლო 14 დოკუმენტი 1791—1800 წლებს.

1781 წელს ერეკლე II ჩაუტარებია აღწერა მორიგე და საკომლო ლაშქრის გასაყვანად, რის შესახებაც გვამცნობენ ამ წლის სექტემბრისა და ნოემბრის მუხალგის წიგნები (სურ. 23). ამ წიგნებში სოფლის თავაკები (მამასახლისი, მღვდელი, მოურავი, ნაცვალი თუ სხვა) ფიცს აძლევენ მეფეს, მდივანს მანუჩარს (ალბათ თუმანიშვილს) და მგალობელ დიმიტრის, რომლებიც აღსაწერად მისულან სოფელში, რომ მათ არ დაუმალავთ არც საკომლო არც მორიგეში გასასვლელი კაცი. მოვიყვანოთ ერთი ასეთი მუხალგის წიგნი:

„ესე მუხალგის წიგნი მოგართვით ჩვენ. მღვდელმა ნათაძემ იოვანე და მოურავმა ნათაძემ სამხარაულმა თქვენ, ბატონს მდივანს მანუჩარს და მგალობელს დიმიტრის: მწერლათ ვობძანდით, თუ ან კომლის კაცი დაგვემალოს ან მორიგეში შემძლებელი სული, რომ მორიგეში გამოსვლა შეეძლოს, ჯერ ღთის შემცო-

⁶⁷ ხელნაწ. ინსტ., Qd—594

დენი ვიყვნეთ, მერმე ბატონის ჯარიმის მიმცემნი და ჩემის მღვდლობისაგანც განკვეთილი ვიყო. მე, მგალობელს დიმიტრის ამათის სიტყვით დამიწერია და მოწაყეცა ვარ. სეკდენბერს იგ, ქქს, უთ⁶⁸.

1782—84 წლებიდან ჩვენს ხელთაა შემდეგი 7 დოკუმენტი:

1. 1782 წლის 24 მაისი. ბრძანება ერეკლე მეფისა მინბაშ ოთარ ამილახვარისადმი, მორიგე ლაშქრის დაბარების შესახებ. დედანი⁶⁹.

2. 1782 წლის 14 ივნისი. არზა მეფის ნათლულ იოსებისა, მორიგეში გაუსვლელობისთვის პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ, ერეკლე მეფის ოქმით. პირი⁷⁰.

3. 1782 წლის 5 ნოემბერი. ბრძანება ერეკლე მეფისა მინბაშებისა და ლაშქარნივისებისადმი ნათლისმცემლის მონასტრის გალავნის ასაშენებლად გიორგობის თვის მორიგიდან ზაზა უზბაშისთვის 30 კაცის მიბარების შესახებ (თი-ოთ კაცს დღეში 2 შაური მიეცემათო)⁷¹. დედანი.

4. 1783 წლის 5 ივნისი. ბრძანება ერეკლე მეფისა ფარემუზ ენდრონიკაშვილისადმი მორიგეში დაკლებულთა დარბევის შესახებ. დედანი⁷².

5. 1783 წლის 9 ივლისი. ქალაქის გარშემო სოფლებისა და სომხით-საბარათიშვილოს ლაშქარნივისობის წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე მეფის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის. დედანი (მეფე საგანგებოდ ხაზს უსვამს იმას, რომ მანუჩარმა მორიგის საქმე ერთგულად შეასრულოს)⁷³.

6. 1784 წლის 30 ივნისი. ბრძანება დარეჯან დედოფლისა ლაშქარნივისებისადმი მისი ჯილავდარის მორიგეში ჩათვისის შესახებ. დედანი⁷⁴.

7. 1784 წლის 11 სექტემბერი. არზა მექვაბე ავეტიქა შაქარასვილის ხიზნისა მორიგიდან განთავისუფლების შესახებ, ერეკლე მეფის ოქმით. დედანი⁷⁵.

აღნიშნული 7 დოკუმენტი მოწმობს, რომ 1781—84 წლებში მორიგე ლაშქარი არსებობს ისეთივე სახით, როგორც 70-იან წლებში.

ვითარება რამდენადმე იცვლება 1785 წლიდან. 1785—87 წლების პერიოდის საბუთებიდან ჩვენ მორიგე ჯარზე მოვიძიეთ 23 დოკუმენტი, რომელთაგან უმრავლესობა (14 საბუთი) ეხება მორიგის ბადალში აღებული ფულის ყარაულებისთვის მიცემას (იხ. აქვე დართული სია დოკუმენტებისა.) როგორც ჩანს 1785—87 წლებში მორიგის რიცხვი მეტად შემცირებულია და მორიგეში გასასვლელთა დიდი ნაწილი თავის „ბადალად“ იხდის ფულს, რომლითაც ჯამაგირს აძლევენ ყარაულს. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ყარაული ცვლის რამდენადმე მორიგეს. მორიგე ჯარის ნაცვლად გამოჰყავთ მორიგე ყარაული. დამახასიათებელია ამ მხრივ ერთი 1785 წლის 27 დეკემბრის დოკუმენტი, სადაც დავით მოურავი უსაყვედურებს უზბაშებს ციციშვილებსა და ჯავახიშვილებს: რატომ არბევთ ჩემს ყმებს მორიგეში გაუსვლელობისთვის, ხომ იცით, რომ წელს სულ სხვა წელი იყო და ყმებიც დაიფანტნენ, ზოგი იმერეთში წავიდა, ზოგი კახეთში

68 საქ. ც. არქ. 226, № 375.
 69 საქ. ც. არქ. ფ. 226, № 2857.
 70 ხელნაწ. ინსტ. Hd - 10062
 71 ხელნაწ. ინსტ. Hd - 9535.
 72 საქ. ც. არქ. ფ. 226, № 1451.
 73 იქვე № 3016
 74 იქვე № 1949
 75 იქვე № 3012

და ზოგი სხვაგანო. თანაც მეფის ნებართვა მაქვს, რომ ჩვენი ქვეყნის მორიგე ყარაულად იყვნენო. მოვიყვანოთ საბუთი:

„ქ. ძმას ბატონს უზბაშებს ციციშვილს და ჯავახიშვილს დავით მოურავი მრავალს მოკითხვას მოვახსენებთ. მერმე ჩემს კაცებს თურმე სადმე არბევთ. სამართლით ვერ დაარბევთ: წრევანდელი წელიწადი სხვა წელიწადი იყო და შარშან და შარშანწინ სხვა წელიწადი იყო. წრეულს ასეთი წელიწადი იყო, ზოგი კახეთში ჩავიდა, ზოგი იმერეთსა და ზოგი სხვას ადგილებში დაიფანტნენ. არ ვიცი, სად არიან. მე ბატონი კიდევ სხვას ჯარს მამძღვეს. და მე სხვას ჯარს როდის მივცემ. ამას გარდა ბატონის ბრძანებაცა გვაქვს, რომ ჩვენი ქვეყნის მორიგე ყარაულათ უნდა იყვნენ“..

როგორც ჩანს, 1785 წელი მძიმე ვაჭირების წელი ყოფილა ქართლში, რის შედეგადაც მოსახლეობა ვაფანტულა სხვადასხვა მხარეებში. რაში მდგომარეობდა ეს ვაჭირება, ძნელია ამის ნამდვილად თქმა, შესაძლოა აქ იგულისხმებოდა ომარ-ხანის ლაშქრობა, რომლის შედეგად მოიხრდა აღმ. საქართველოს ნაწილი. შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს რაიმე სტიქიური უბედურება, ან ავადმყოფობის ეპიდემია. ამრიგად, 1785 წლიდან აღმ. საქართველოში მორიგე ლაშქრის ადგილს თანდათან იკაებებს მორიგე ყარაული.

ყარაული, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისგან დაქირავებული ჯარის ერთ-ერთი სახეობა, აღმ. საქართველოში შემოდებულ იქნა მორიგე ჯარის პარალელურად XVIII საუკუნის 50-იან წლებში, თუმცა მისი განწყობა ერეკლეს *შეუღღავნია 1772 წელს. ქვეყანა დაყოფილ იქნა საყარაულო მხარეებად.* ამ მხარეებს უნდა გამოეყვანათ განსაზღვრული რაოდენობის ყარაული, რომელიც პატარ-პატარა დანაყოფებად, 2—10 კაცის შემადგენლობით, დგებოდა საყარაულოდ გამოყოფილ ადგილებში—ხეობებში და მდინარეების ფონებზე. ყარაულების დაყენება განსაკუთრებით საჭირო იყო ოსმალეთთან და კერძოდ, ახალციხის საფაშოსთან მოსაზღვრე ადგილებში, რადგან ახალციხის საფაშო იქცა სწორედ ლეკების თავშესაფარ ბუდედ. აქედან ისინი შემოიჭრებოდნენ ხოლმე თრიალეთსა და ქვემო ქართლში. ასევე საყარაულო ადგილი იყო ქიზიყი და კახეთის აღმ. ნაწილი. კერძოდ, საყარაულოები მოხსენებულია: ყარაიაშა, ბედენზე, სხალნარში, ალგეთზე, დიდგორზე, ვერის ხევზე, შირაქში, დოესში, კლდეკარზე, სკრის ხეობაში, ხვედურეთში ქარელში, სამწევრისსა და სხვაგან. თითოეულ საყარაულოზე მდგომ ყარაულებს ჰყავდათ თავიანთი უფროსი, ე. წ. ბელადი. ყარაულები ღებულობდნენ ჯამაგირს ნაწილობრივ მორიგის თეთრიდან და ნაწილობრივ სპეციალურად საამისოდ მოსახლეობაზე შეწერილი გამოსაღებიდან. XVIII საუკუნის 80-იან წლებში, როგორც ადგენიწნეთ, ყარაულის ფუნქციები თანდათანობით დააკისრეს მორიგე ლაშქარს. ჯერ მორიგე ლაშქრის თითოეული თაბუნიდან გამოყოფდნენ რამდენიმე მოლაშქრეს და განაწესებდნენ ყარაულად, ხოლო შემდეგ ერეკლეს შემოუღია უკვე მორიგე ყარაულის სახეობა ლაშქრისა, რომელსაც, როგორც ჩანს, ამ პერიოდში დაუჭერია მორიგე ლაშქრის ადგილი. ამას თვალნათლივ მოწმობს 1789 წლის 2 დოკუმენტი. ეს დოკუმენტები წარმოადგენს ჯავახიანთ მხარისა და თარხნიანთ მხარის მორიგე ყარაულის ნუსხებს ერეკლე მეფის ბრძანებით ყოველთვიურად ამ ყარაულ-



ბის გამოყვანის შესახებ. მოვიყვანოთ ერთ-ერთი დოკუმენტი: „ჯავახიანთ მხრის მორიგე ყარაული კაცი“ შესწერდა:

- ა. ქ. ღვინობისთვისა კარბმა კაცი
- ა. ქ. მერეთმა კაცი
- ა. ქ. ახრისმა კაცი
- ა. ქ. კარბმა კაცი
- ა. ქ. მერეთმა კაცი
- ა. ქ. თებერვლისა ახრისმა კაცი
- ა. ქ. ზერტმა კაცი
- ა. ქ. ქვახრელმა კაცი
- ა. ქ. მარტისა დოესმა კაცი
- ა. ქ. ზემოხანდაკმა კაცი
- ა. ქ. ხოვლემ კაცი
- ა. ქ. აბრილისა უფლისციხემ კაცი
- ა. ქ. კარბმა კაცი
- ა. ქ. მერეთმა კაცი
- ა. ქ. მაისისა ახრისმა კაცი
- ა. ქ. ზერტმა კაცი
- ა. ქ. ზერტმა კაცი
- ა. ქ. დოესმა კაცი
- ა. ქ. მთიბათვისა მერეთმა კაცი
- ა. ქ. ხოვლემ კაცი
- ა. ქ. მკათავისა ხოვლემ კაცი
- ა. ქ. უფლისციხემ კაცი
- გ. ქ. მარიამობისთვისა ხოვლემ კაცი
- ბ. ქ. ენკენისთვისა ხოვლემ კაცი
- ა. ქ. უფლისციხემ კაცი.

ქ. ჩვენი ბრძანება არის ვახუშტი ჯავახიშვილო და სვიმონ მაღალაშვილო, მერმე ამ სიით ეს მორიგე ყარაული ვისაც აწერია, თვე-და-თვე ეს ასე უკლებრად უნდა გამოიყვანო, ერთის თვის თავისის ნუზლით, და იარაღით გაწყობილი კარგი ყოჩაღი კაცი თავთავის ბელადს მიაბარონ, რომ კოშორიძე იასე არის. კაცის დაკლება არ იქნება. თუ კაცი დააკლდა და (ა)მ გზაზედ წახდა რამე, იცოდე, დიდათ გარდაგხდება. სეკდემბრის იზ. ქ(ორონი)კ(ონ)ს უოს.

ქ. ამ ბელადებთან ეს მორიგეები რომ მიგვიჩენია, ის კაცი არც ბერძნის კაცობით უნდა იყვნენ შეუძლებელნი და არც დაშავებული და არც სნეულებით უნდა შეუძლებელი, შემძლებელი კაცი უნდა იყოს. რომელიც მებატონემა და მოხელემ ეს მთლად არ გამოიყვანოს. ის მებატონე და მოხელე და ის სოფელი ჯერ მღ(ვ)თისა და სარწმუნოების მუხანათია, მერმე ჩვენი და ქვეყნისა და ის კაცი სასიკვდილოც არის და კიდევ უნდა გარდახდეს, ამისთვის რომე ქრისტიანობისა, ჩვენი და ჩვენისა მუხანათი იქნება და ასეც უნდა გარდახდეს, რომელიც მთლად არ გამო(ი)ყვანს, რომელიც ამ სოფელში დგანან, ხიზანიცა და მემკვიდრეც ასე უნდა გამოიყვანოთ. ერეკლე“⁷⁷.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, 1790 წლის ერთ-ერთი დოკუმენტის ცნობით, ამ დროისთვის მორიგე ლაშქარი თითქმის მთლიანად მოშლილი ჩანს და

ერეკლე II იძულებულია 1791 წელს ხელახლა „დაამტკიცოს“ მორიგი ჯარის გამოყვანა, ე. ი. აღადგინოს ის.

მაგრამ 90-იანი წლების მორიგე ლაშქარი რამდენადმე განსხვავდება წინა პერიოდის მორიგისგან. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მორიგეში გაწვევის ნუსხები, როგორც ჩანს, დგება არა თითოეული სოფლისთვის ცალკე, არამედ მთელი მხარისთვის ერთად⁷⁸. მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება მაინც ის არის, რომ მეფე იძულებულია მორიგეს ჯამაგირი მისცეს⁷⁹, ე. ი. მორიგე იქცევა ადგილობრივი მოსახლეობისგან დაქირავებულ ჯარად. ამრიგად, მორიგე ლაშქარი განვითარდა ნოქრისგან და შემდეგ კვლავ დაემსგავსა ნოქარს.

* * *

მოგვყავს მორიგე ლაშქარზე 1781—1800 წლების დოკუმენტების რაობათა დასახელება:

1. 1781 წლის სექტემბერი და ნოემბერი. მუხალგის წიგნები აღწერიდან მორიგისა და კომლის კაცის დაუმალობის შესახებ (23 წიგნი, 20 სექტ. 3 ნოემბერი)⁸⁰.

2. 1782 წ. 24 მაისი. მინბაშ ოთარ ამილახვარისადმი მორიგე ლაშქრის დაბარების შესახებ. დედანი. საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 226, № 375.

3. 1782 წ. 14 ივნისი. არზა მეფის ნათლულ იოსებისა მორიგეში გაუსვლელობისთვის პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ, ერეკლე მეფის ოქმით. პირი. ხელნაწ. ინსტ., Hd—1062.

4. 1782 წ. 5 ნოემბერი. ბრძანება ერეკლე მეფისა მინბაშებისა და ლაშქარნივისებისადმი, ნათლისცემლის მონასტრის გალავნის საშენებლად გიორგობისთვის მორიგიდან ზაზა უზბაშისთვის 30 კაცის მიბარების შესახებ. დედანი. ხელნაწ. ინსტ., Hd 9535.

5. 1783 წ. 5 ივნისი. ბრძანება ერეკლე მეფისა ფარემუზ ენდრონიკაშვილისადმი მორიგეში დაკლებულთა დარბევის შესახებ. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 1451.

6. 1783 წ. 9 ივლისი. ქალაქის გარშემო სოფლებისა და სომხით-საბარათი-შვილოს ლაშქარნივისობის წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე მეფის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის. დედანი საქ. ც. არქ., ფ., 226, № 3016 (მეფე განსაკუთრებით აღნიშნავს რომ მანუჩარმა მორიგის საქმე მეფის ერთგულებით შეასრულოს).

7. 1784 წ. 30 ივნისი. ბრძანება დარეჯან დედოფლისა ლაშქარნივისებისადმი მესი ჭილავდარის მორიგეში ჩათვლის შესახებ. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226 № 1949.

8. 1784 წ. 11 სექტემბერი. არზა მექვაბე ავეტიქა შაქარაშვილის ზიზნისა მორიგიდან განთავისუფლების შესახებ, ერეკლე მეფის ოქმით. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 3012.

⁷⁸ ხელნაწ. ინსტ. Qd 594

⁷⁹ ხელნაწ. ინსტ. Hd—2894, Ad—1052

⁸⁰ საქ. ც. არქივი, ფ. 226, №—2862, 1220, 2875, 1217, 2879, 2880, 2868, 1223, 1222, 759, 2857 1224, 2871 2867, 760, 2875, 2874, 2869, 1087.

9. 1785 წ. 7. აპრილი. კახეთის ჯარისა და მორიგის ლაშქარნივისობის წყალობის წიგნი, მიცემული ირაკლი მეფის მიერ დავით ქობულავისთვის. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 227, № 560.

10. 1785 წ. 12 ოქტომბერი. მიწერილობა ირაკლი მეფისა ენისელთ მოურავისშვილ გრიგოლისადმი ვალბა მხარის საქმეების გარიგების შესახებ.

(საქმეების გასარიგებლად მეფე აძლევს გრიგოლს რიგით მორიგიდან სამ კაცს). ხელნაწ. ინსტ., Qd—589.

11. 1785 წ. 25 ნოემბერი. ღვინობისთვის მორიგის თეთრის მიბარების წიგნი, მიცემული ნასახიბაშ გლახა ციციშვილის მიერ ტეტია უზბაშისათვის. (ციციშვილმა ეს თეთრი მიიბარა ყარაულებისათვის მისაცემად). პირი., საქ. ც. არქ., პ. კარბ. პირადი არქ., რვ. 9, საქ. 52, 278, 8542.

2. 1785 წლის 6 დეკემბერი. წერილი ნასახიბაშ გლახა ციციშვილისა მილიძის ზაზა უზბაშისადმი, მისთვის ქრისტიანობის მორიგიდან 6 მინალთუნის ვაგზავნის შესახებ ყარაულებისთვის გადასაცემად. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 4835.

13 1785 წ. 27 დეკემბერი. წერილი დავით სარდლისა უზბაშების: ციციშვილისა და ჯავახიშვილებისადმი, მისი ყმების მორიგეში გაუსვლელობაზე დაურბევლობის შესახებ.

(ჩვენი მორიგეები მეფის ბრძანებით ყარაულად უნდა იყვნენ). ხელნაწერთა ინსტ., Ad — 1952.

14. 1785 წლის დეკემბრის 29. მიწერილობა ნასახიბაშ გლახა ციციშვილისა უზბაშ ტეტისადმი, იანვრის მორიგის [თეთრიდან] ოთხი თუმნის გაცემის შესახებ. დედანი. საქ. ც. არქ. ფ. 226 № 4840.

15. 1786 წლის იანვრის 28. მიწერილობა ნასახიბაშ გლახა ციციშვილისა ნიკოლოზ უზბაშისადმი, თებერვლის თვის [მორიგის] თეთრიდან გიორგობისთვის საყარაულოდ 9 მინალთუნის გაცემის შესახებ. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 2116.

16. 1786 წლის 2 თებერვალი. ბრძანება ერეკლე მეფისა მანუჩარ ლაშქარნივისისადმი, თებერვლის მორიგის ანგარიშიდან მორიგე კაცების მადანში ვაგზავნისა და ფულის ყარაულებისთვის მიცემის შესახებ. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, №485.

17. 1786 წლის 16 მარტი. ბრძანება ერეკლე მეფისა სვიმონ თულაშვილის, ჩიჩი მამყადასა და მამყადასადმი, ბედნისა და ბოლანის გზებზე საყარაულოდ წასვლის შესახებ. პირი. საქ. ც., არქ., პ. კარბ. პირ. არქ. რვ. 9, ს. 63, 289.

18. 1786 წლის 1 აპრილი. მიწერილობა იოანე სახლთუხუცესისა მიკიტუშასადმი, ბერთა ყარაულისათვის მორიგის თეთრიდან ერთი თუმნის მიცემის შესახებ. პირი. საქ. ც. არქ., პ. კარბ. პირ. არქ., რვ. 9, საქ. 62, 288, 9851.

19. 1786 წლის 4 აპრილი. მიწერილობა იოანე სახლთუხუცესისა საყარაულოს ამანათქარისადმი, ყარაულებისთვის 18 დღის ხელფასის მიცემის შესახებ. პირი. საქ. ც. არქ., პ. კარბ. პირ. არქ., რვ. 9, საქ. 63, 289, 8552.

20. 1786 წლის 13 აპრილი. ბრძანება ერეკლე მეფისა ლაშქარნივის მანუჩარ თუმანიშვილისადმი, ყარაულებისათვის ჯამაგარის მიცემის შესახებ, აპრილის ან მაისის მორიგის თეთრიდან. პირი. საქ. ც. არქ., პ. კარბ. პირ. არქ., რვ. 9 საქ. 64, 290, 8553.

21. 1786 წლის 5 მაისი. ბრძანება ერეკლე მეფისა მდივან მანუჩარისადმი, დიდგორის, სხალნარისა და ვერის მხრის ყარაულებისათვის ჯამაგირის მიცემის შესახებ, მაისის მორიგის თეთრიდან. პირი. საქ. ც. არქ., პ. კარბ. პირ. არქ., რე. 9, საქ. 66, 222.
22. 1786 წლის 7 მაისი. ბრძანება იულონ ბატონიშვილისა მდივან მანუჩარისადმი ხახალა ჯვრისა და დმანისის მხრის ყარაულებისთვის ჯამაგირის მიცემის შესახებ, მაისის ან ივნისის მორიგის თეთრიდან. პირი. საქ. ც. არქ. პ. კარბ. პირ., არქ., რე. 9, საქ. 67, 293, 8556.
23. 1786 წლის 5 ივლისი. ბრძანება იულონ ბატონიშვილისა მიკირტუმასადმი, თულაშვილისათვის საყარაულო ჯამაგირის მიცემის შესახებ, ივლისის ქალაქის მორიგის თეთრიდან. საქ. ც. არქ. პ. კარბ. პირ. არქ., რე. 9, საქ. 68, 294, 8557.
24. 1786 წლის 10 ივლისი ბრძანება დარეჯან დედოფლისა ლაშქარნიცებისადმი შაველა ყორანაშვილის მორიგეში ჩათვლის შესახებ. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 1390.
25. 1786 წლის 29 დეკემბერი. არზა შუტი დავითისა მოხუცებულობის გამო მორიგიდან განთავისუფლების შესახებ. ერეკლე მეფის ოქმით. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 3949.
26. 1787 წ. 28 მაისი. ბრძანება ერეკლე მეფისა ლაშქარნიცებისადმი, კალატოზ სვიმონა გულა ბერუასშვილის მორიგიდან განთავისუფლების შესახებ. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 3045.
27. 1787 წ. 9 აგვისტო. არზა ოფრეთელი არუთინასი ნახიდურს ყარაულობის გამო მორიგიდან განთავისუფლების შესახებ. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 1392.
28. 1787 წ. 26 აგვისტო. ბრძანება იოსებისა მანუჩარ მდივნისადმი მადანში ცხენოსანი კაცის გაგზავნაზე და მისთვის მორიგის საბადლოდან ფულის მიცემაზე. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 2101.
29. 1787 წ. 20 სექტემბერი. წერილი უცნობი პირისა მანუჩარ მდივნისადმი, ეცნობი პირის ავადმყოფობისა და მისთვის მორიგის მოთხოვნის შეუძლებლობის შესახებ. დედანი. ხელნაწ. ინსტ., Hd — 693.
30. 1787 წ. 1 ნოემბერი. ბრძანება ალექსანდრე ბატონიშვილისა მდივან მანუჩარისადმი პეტრე ხანძაშვილისათვის თოფხანაში მუშაობის ჯამაგირის მორიგის საბადლოში გაბარების შესახებ. პირი. საქ. ც. არქ., პ. კარბ. პირ. არქ., რე. 11, საქ. 31, 367, 8624.
31. 1787 წ. 5 ნოემბერი. მიწერილობა ერეკლე მეფისა ოთარ ამილახვრისადმი გიორგობისთვის ზემო ქართლის მორიგის გამოყვანის შესახებ. დედანი. ფ. 226. № 368.
32. 1787 წ. 20 ნოემბერი. ბრძანება ერეკლე მეფისა ოთარ ამილახვრისადმი ზემო ქართლიდან კომლზე კაცისა და მორიგის გაწვევის შესახებ, დედანი. საქ. ც. არქ., პ. კარბ პირ. არქ., საქ. 35, 365, 8628 რე. 11, გვ. 208.
33. 1788 წ. 6 მარტი. ბრძანება ერეკლე მეფისა ენისელი მოურავ დიმიტრისადმი ციხეში მდგარი ოთხი მორიგის დატოვების შესახებ. ხელნაწ. ინსტ. Qd 538.

34. 1788 წ. 30 აპრილი. მიწერილობა ერეკლე მეფისა ბატონიშვილ იულიონისადმი მადნებში ასი კაცი მორიგის გაგზავნის შესახებ. დედანი. ხელნაწ. ინსტ., Hd — 172.

35. 1788 წლის 23 ივლისი. მიწერილობა ნეკრესელ ეპისკოპოსისა გიორგი მღვდლისადმი, გრემიდან ყვარელამდე მოსახლეთათვის მეფის წიგნის წაკითხვისა და მორიგეში გაწვევაზე მათი თანხმობის ან არ თანხმობის გარკვევის შესახებ. დედანი. ხელნაწ. ინსტ. Ad—250.

მორიგეების თაბუნების ნუსხები

მორიგეების თაბუნების ნუსხები 1787 წლის მარობის თვისა:

36. იასე უზბაშის მორიგე თაბუნის ნუსხა. დედანი საქ. ც. არქ., ფ. 226, № 3483.

37. სოლომონის მორიგე თაბუნის ნუსხა. დედანი. ხელნაწ. ინსტ. Qd—7154.

38. დავითის მორიგე თაბუნის ნუსხა. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 4084.

39. ტეტისა მორიგე თაბუნის ნუსხა. დედანი, ხელნაწ. ინსტ. Qd—8728.

40. კათალიკოსის მორიგის ნუსხა. დედანი. საქ. ც. არქ. ფ. 226 № 4075.

1788 წლის ენკენისთვის:

41. იასეს მორიგე თაბუნის ნუსხა. დედანი. საქ. ც. არქ., 226, № 7078.

42. სოლომონის მორიგე თაბუნის ნუსხა. დედანი. ხელნაწ. ინსტ. Qd—7157.

43. ტეტია უზბაშის მორიგე თაბუნის ნუსხა. დედანი. საქ. ც. არქ. ფ. 226 № 4073.

44. 1789 წ. 12 მარტი. ბრძანება გიორგი ბატონიშვილისა დავით გარეჯის იმერელი ყმების სამეფო გამოსაღებთაგან განთავისუფლების შესახებ. დედანი. ხელნაწ. ინსტ. Ad—71 (ბრძანებაში აღნიშნულია, რომ აღნიშნულმა ყმებმა მორიგეც უნდა მოწასტერში მისცენ).

45. 1789 წ. 28 ივნისი. მიწერილობა ერეკლე მეფისა ნინოწმინდელ იოანესადმი დავით გარეჯის სამეურნეო საქმეების მოგვარების შესახებ. დედანი. ხელნაწ. ინსტ., Ad—917 (ერეკლე განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ მონასტრის მამულებიდან მას მორიგე ყარაული არ დააკლდეს).

46. 1789. 17. IX—თარხნიანთ მხარის მორიგე ყარაულის გამოყვანის ბრძანება ერეკლე მეფისა დიმიტრი თარხნიშვილისა და დიმიტრი ჯავახიშვილისადმი. ყარაულების ნუსხით, თვეებისა და სოფლების მიხედვით. დედანი. ხელნაწ. ინსტ. Ad—1151.

47. 1789 წ. 17. IX. ჯავახიანთ მხარის მორიგე ყარაულის გამოყვანის ბრძანება ერეკლე მეფისა ვახუშტი ჯავახიშვილისა და სვიმონ შალაშვილისადმი, ყარაულების ნუსხით, თვეებისა და სოფლების მიხედვით. დედანი. ხელნაწ. ინსტ., Hd—14066.

48. 1789 წ. 8 ოქტომბერი. ბრძანება დარეჯან დედოფლისა ქრცხინვალის მოურავისა და მამასახლისისადმი, მოყალნე შედანასშვილებისა და ძაგის ძმისწულის ნასყიდი კაცების სახელმწიფო გამოსაღებისა და ჯარიდან განთავისუფლების შესახებ, გარდა მორიგისა. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 229, დავთ. № 23, საქმე № 129.

49. 1790 წ. 26 მაისი. არზა გორიჯვრის დეკანოზისა გორიჯვრის ციხეში 2 მორიგის დატოვების შესახებ, ერეკლე მეფის ოქმით. დედანი. ხელნაწ. ინსტ., Ad—664.

50. 1790 წ. 5 ივლისი. მიწერილობა ერეკლე მეფისა შინაშე ბეჟან ამილახვარიშვილისადმი, შისტვის შინაშობის ჩამოურთმეველობის შესახებ. დედანი. ხელნაწ. ინსტ., Ad—1860 (საბუთში ჩანს რომ მორიგე თითქმის მთლიანად გამჭრალა: „ჯარი არსად არი და მორიგე და რის შინაშეები და უზბაშეები იქნებოთ“).

51. 1790 წ. 18 ოქტომბერი. არზა იასე საყვარელიძისა მორიგიდან და ჯარიდან განთავისუფლების შესახებ, ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით, დედანი. ხელნაწ. ინსტ., Hd—3954.

52. 1791 წ. 14 მაისი, ბრძანება ერეკლე მეფისა ენისელთ მოურავ დიმიტრისადმი მორიგის გამოყვანის შესახებ, დედანი. ხელნაწ. ინსტ. Qd—594.

53. 1791 წ. ივნისის მორიგე ჯარის ნუსხა ქალაქის განაპირა სოფლებიდან. დედანი. ხელნაწ. ინსტ., Qd—8715.

54. 1791 წ. 8 ივლისი. წერილი ერეკლე მეფისა ბეჟან ამილახვარიშვილთან კაცების დარბევის საქმეზე. დედანი. ხელნაწ. ინსტ., Ad—1369 (შინაწერი: მორიგის საქმეზე ბეჯითი იყავი).

55. 1791 წ. 28 აგვისტო. არზა ფეიქარ ოსეფასი რამდენიმე წლით სიღარიბის გამო გამოსაღებიდან (და მორიგიდან) განთავისუფლების შესახებ, იულონ ბატონიშვილის ოქმით. პირი. საქ. ც. არქ. ფ. 229 დავთ. 25, საბ. 55.

56. 1792 წ. 13 ნოემბერი. ბრძანება ერეკლე მეფისა თუშთ მოურავ დურნიშანისადმი, მორიგის გამოყვანისა და დაკლებულთა დარბევის შესახებ. დედანი, ხელნაწ. ინსტ., Hd — 2894.

57. 1792 წ. 14 ნოემბერი. არზა სნეულობის გამო მორიგიდან განთავისუფლების შესახებ, იულონ ბატონიშვილის ოქმით. პირი. საქ. ც. არქ., ფ. 229, დავთ. 25, საბ. 54.

58. 1792 წ. 19 დეკემბერი. არზა ივანე ლანჩაშვილისა ერეკლე მეფისადმი, მორიგეში დაკლებისთვის დურბევლობის შესახებ. ოქმით. დედანი. ხელნაწ. ინსტ. Ad—1325.

59. 1793 წ. 20 აგვისტო. ბრძანება ერეკლე მეფისა ვეფხის ციხის მოურავ ერასტი ჩოლოყაშვილისადმი მორიგის გამოყვანის შესახებ. დედანი. ხელნაწ. ინსტ., Qd—576.

60. 1794 27 აპრილი. მიწერილობა ერეკლე მეფისა შინაშე ბეჟან ამილახვარიშვილისადმი მაისისა და ივლისის მორიგის გამოყვანის შესახებ. დედანი. ხელნაწ. ინსტ., Ad—1052.

61. 1795 წ. მაისის 11. მიწერილობა იულონ ბატონიშვილისა ამილახვარიშვილისადმი მორიგის გამოყვანის შესახებ, დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 2437.

62. 1795. 4 ივლისი. ბრძანება დარეჯან დედოფლისა დავით ყულიაშვილისადმი გრემის ციხეში 4 ვეფხისციხელი კაცის (მორიგის) დატოვებისა და ენისეულელებისა და გრემელი დიმიტრის ყმების გამოშვების შესახებ. დედანი. ხელნაწ. ინსტ. Qd — 537.

63. 1799 წ. 27 ნოემბერი. არზა შნოდელი ქეფისა უსაპართლოდ დაკისრებული მორიგისაგან განთავისუფლების შესახებ, გიორგი მეფის ოქმით (თვეში 15 კაცი გაგყავდა. წელიწადში თითო კაცი თითოჯერო, ახლა წელიწადში კაცს ორჯერ სთბოვენო). დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 5692.

64. 1800 წ. 13 დეკემბერი. ბრძანება გიორგი მეფისა მერაბ აღასადმი შინაშელების მადნის მორიგის შესახებ. დედანი. საქ. ც. არქ., ფ. 226, № 3993.

1754—1773 წწ. დოკუმენტები მორიგე ლაშქრის შესახებ

1. 1756 წ. აპრილის 10-ს. ზემო ქართლიდან გასაყვანი მორიგე ლაშქრის ნუსხა, თეიმურაზ II-ის ოქმით, მიცემული იასაულისადმი, ნუსხით გათვალისწინებული ლაშქრის გამოყვანისა და უზბაშებისათვის მიზარების შესახებ. დედასი. 87×16 სმ. დაწერილი თეთრ ქალაღზე, მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd—8723.

ქ. ჩენი... იასაულო ნიკოლოზ [უზბაშო და ზურაბ ნახუციშვილო, წადით და რაც ამ სიით მუდამ სახლებლათ მონაცვლე ლაშქარს კაცი შეგვიწერია შარშანდელს დავთარზე, ეს ასე ცხენოსანი ცხენით და ქვეითი ქვეითათ უზბაშებს ვიბარეთ, ყველას გამოართვით უკლებლათ. [თუ] ცხენი და ან კაცი აკლია ვისმე, თქვენც გარდავახდევინებ და იმათაც დიდათ გარდავახდევინებთ. მისის ოთხს დღეს გასულს უნდა შემოგვყაროთ ერთს თვის ნუსლით. აპრილის იქ [ორონი]ქონის უმდ. ბეჰედი.

ქ. ზემო ქართლს რომ მუდამ ბატონის სახლებლათ გაუყრელათ ჯარის კაცი აწერია, მორიგე კაცი რომ ოროლსა და ოროლს თვეზედ უნდა გამოიცვლებოდეს, აღვილს დადგებოდეს სამახურში და უწინდელი მოსული ისე მურახასი შეიქნებოდეს, როგორც შარშან შესწერია, ის თავთავის უზბაშს შემოეყარნენ და უზბაშმა მთლათ უკლებლათ ცხენოსანი და ქვეითი ბატონს შემოეყაროს ერთის თვის ნუსლით.

ზ. ქ. ავალისშვილის პეტრესი: ცხენოსანი დ. ქვეითი, გ. იქნა ზ.

ე. ქ. ავალისშვილის ავალისა და ზაზასი ცხენოსანი გ. ქვეითი ბ. იქნა...

ვ. ქ. თაქთაქისშვილის ელიზბარისა ცხენოსანი ბ. ქვეითი ა, ზუციით იქნა...

ბ. ქ. ომის ძისწულის იოვანესი: ცხენოსანი ა, ქვეითი ა, იქნა...

იე. ქ. აბაშიძის ბატასი: ცხენოსანი თ, ქვეითი ექვსი ვ. იქნა...

ე. ქ. დავით ჩხეიძისა: ცხენოსანი გ, ქვეითი ორი, იქნა...

დ. ქ. დიასამიძისა: ცხენოსანი ბ, ქვეითი ბ, იქნა...

თ. ქ. სურამიდან აზნაურიშვილებით ცხენოსანი ე, ქვეითი დ. იქნა...

ა. ქ. ოსიაურიდან ცხენოსანი ა

გ. ქ. ატოცის დეკანოზისშვილები: საყდრის — ყმით, ცხენოსანი ა, ქვეითი ბ. იქნა...

ვ. ქ. ალიდამ ცხენოსანი ა, ქვეითი ბ, იქნა...

დ. ქ. ოტია ამირეჯიბმა, ცხენოსანი ბ, ქვეითი ბ. იქნა...

ა. ქ. ამირეჯიბმა სვიმონ და ასპან, ქვეითი ა.

გ. ქ. ბეგთაბეგისშვილებისა: ცხენოსანი ა, ქვეითი ბ. იქნა... ნიკოლოზ უზბაშის თაბუნათ არიან ესენი.

ა. ქ. რამაზისშვილმა, სიამარადისშვილით: ქვეითი ა

გ. ქ. ფალავანდისშვილის ზალისა და ერეკლესი: ცხენოსანი ბ, ქვეითი ა, იქნა...

ა. ქ. ფეშანგისშვილის ზალისა: ქვეითი ა

ა. ქ. ამისის ძმის რევაზისა და ტეტისი: ცხენოსანი ა

ბ. ქ. ვახტანგისშვილი ჭაბუა: ცხენოსანი ა, ქვეითი ა, იქნა...

ა. ქ. თეიმურაზ ფალავანდისშვილისა: ქვეითი ა

- ა. ქ. ფალავანდისშვილი დავით თვითონ: ცხენოსანი ა
- ა. ქ. ფალავანდისშვილი იესე: ცხენოსანი ა
- ა. ქ. ფალავანდისშვილის გიორგისა: ცხენოსანი ა
- ა. ქ. ფალავანდი: ცხენოსანი ა, თავის ბიძაშვილებით
- ქ. ამას ზეით ამირეჯიბის თაბუღისა ქვეითი ნიკოლოზებისა (?), ბექთაბეგნიცი
 ნიკოლოზზედ არის¹
- ქ. ხერხეულიძე ჯამასპისშვილი: ცხენოსანი ა
 ავთანდილით, ქვეითი ა, იქნა...
- ა. ქ. ხერხეულიძის ბეჟანისა თეიმურაზის ყვანი: ცხენოსანი ა
- ა. ქ. ფრიდო... ცხენოსანი ერთი
- ა. ქ. პატარა ზალისშვილისა... ქვეითი ერთი ა
- ბ. ქ. დავითისშვილის გიორგისა: ცხენოსანი ა, ქვეითი ა
- ა. ქ. ბერის წილი კაცისა: ქვეითი ა
- ბ. ქ. დავითის შვილის დავითისა: ცხენოსანი ა, ქვეითი ა, იქნა...
- ა. ქ. ტატისშვილი ბალათარ: ქვეითი ა
- დ. ქ. დირბდამ: ცხენოსანი ბ, ქვეითი. ბ, ამირეჯიბის თაბუღისი არის ეს დირბი
- ა. ქ. კალატოზისშვილები: ცხენოსანი ა
- ა. ქ. შალიკასშვილი: ოქრომჭედლისშვილით: ცხენოსანი ერთი
- იბ. ქ. იესე მანაბლისა: ცხენოსანი, ზ, ქვეითი ხუთი ე, იქნა...
- ა. ქ. ძალღუა მანაბელი: ცხენოსანი ა
- ა. ქ. ბელელაშვილისა: ქვეითი ა
- ა. ქ. ალხაზისშვილის კაცი: ცხენოსანი ა
- ე. ქ. ქციხლვანიდამ: სახასო კაცი გ, ქვეითი ბ
 იქნა...
- ზ. ქ. ფავნელისშვილის ავთანდილისა: ცხენოსანი ბ, ქვეითი ა, იქნა...
- ვ. ქ. იორამისშვილის პაპუნასი: ცხენოსანი ბ, ქვეითი ა, იქნა...
- ა. ქ. ფალავანდისშვილის შიოშისა: ცხენოსანი ა
- ა. ქ. ფავნელისა და ამის ძმისწულებისა: ცხენოსანი ა,
- ჟ. ქ. სამროვლო: ცხენოსანი ბ, ქვეითი ა, იქნა...
- ა. ქ. ნიჭოზელის ყმა: ქვეითი ა
- გ. ქ. სამთავარეფისკობოზოდამ: ცხენოსანი ბ, ქვეითი ა, იქნა...
- ქ. ქ. სამილახოროდამ: ცხენოსანი ია, ქვეითი თ, იქნა...
- ვ. ქ. გორიდამ ერთობით: ცხენოსანი დ, ქვეითი ბ, იქნა...
- ა. ქ. სველნეთიდამ შტაბერასშვილი: ცხენოსანი ა
- ა. ქ. ტინის ხიდის სახასოდამ: ქვეითი ა
- ა. ქ. ერკნეთიდამ: ცხენოსანი ა
- ა. ქ. გარსევანასშვილებისა: ქვეითი კაცი ა
- ა. ქ. რუის ფანიასშვილებმა, შედანისშვილმა საბატონისშვილო სახასონი: ცხე-
 ნოსანი ა
- ა. ქ. აქაე სამეფო სახასომ: ქვეითი ა, დედოფლის სახასოც ამას უდგია.
- დ. ქ. სათუმანისშვილოდამ: ცხენოსანი ბ, ქვეითი ბ, იქნა...

¹ ეს ორი სტრიქონი მოთავსებულია მარცხენა ვანიე აწიხზე.

2. 1764 წ. 21 ივნისი, ერეკლე II-ის მიწერილობა ზემო ქართლის საღვთისმშობლის სარდალ რევაზ ამილახვარისადმი მორიგიდან ხეფინისხეველთა განთავისუფლების შესახებ. დედანი. 15×14 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე, მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. იხ. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.), ნ. ბერძენიშვილი, თბილისი, 1953, № 86.

ქ. ჩვენ მაგივრად დარბაზ ბატონს ამილახვარს რევაზს მოკითხვა მოხსენდეს. მერმე, საბაშოში გოგია ნუ წავა, ერთი შენი აზნაურშვილი გავზავნე და ჩვენი მიწერილი წიგნი გაუგზავნე ხეფინისხეველებს, მორიგე რომ აწერიათ, იმათ დაეხსენით, ნუ წამოიყვანთ. აღიწერა ივნისის კა. ქორონიქონის უნბ.

ბეჭედი: ერეკლე. ქნარს მიცემს დავითი, მიკმობს მკნედ კახეთის მეფედ ცხებულს.

3. 1764 წ. 24. ნოემბერი დიმიტრი ციციშვილის არზა ერეკლე II-დმი, მორიგიდან სოფელ სატიევს განთავისუფლების შესახებ, ერეკლეს ოქმით. დედანი. 21,2×16,4 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე, მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. საქ. ც. არქივი, დ. 226 № 3621.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მათ ფეხთა მიწას, ნაზირს დიმიტრის მოსცეს. მერმე ამას მოვასხენებ ბედნიერს კელმწიფეს: სატივის ძალა, თქვენც მოგესხენებათ, მე ვაძლევ და კიდევ არ სძლებენ, თუ ვისმე საქონელი ეკარგება. ხარსა თუ ფურს სულ მე ვაძლევ; ახლაც აჯიშვილი და რვა სხვა გლეხი კაცო ლეკისაგან დაკარგულან. აჯიშვილსაც ცხენა კამპეჩი და ფური მე მივეც; ტანთ ვაცმევედი, უხნევედი, უთესდი, ეგება ამ კაცმა გასძლოს და იმ სოჯელს მიუაროს მეთქი, ახლა რას დაკარგულა; სამი ჩემი ქსახური გავგზავნე, მიღით, სატიევს დადექით, მანანდი კელმწიფეს მოვასხენო. ვინც დარჩომილან, ისინიც და ქვრივ-ობლები არ დამეფანტნენ მეთქი, ახლა სურსათსა და მორიგეს სთხოვენ, როგორ უნდა შეიძლოს, ღმერთი გავიმარჯვებსთ. სატიველებს ერთი ოქმის წყალობა უყავით, რომ ეს სათხოვარი ეპატოს და წყალობა დაემართოსთ, ეგება დადგნენ და არ დაიკარგნონ. აქამდინ თქვენის შიშით. ვაძლებინებდი, რომ იმ გზაზე მგზავრმა იაროს და ჩაიაროს, მეთქი, ახლაც თუ წყალობას მიზამთ, კიდევ რაც შემიძლია, ხელმოუმართავ, მოკითხული ქენით, თუ ტყუილი მამეხსენებინოს რამე, თამბა მიყავით. მოგესხენებათ იქილამ ზარა-ლის მეტი ჩემი შესამატი არა არის რა. თუ თქვენი წყალობა არა დამემართა რა და ერთი იმედინი ოქმი არ უბოძეთ, იმათი გაძლება არ იქნება. თუ არა და მოხსენებინათვის ნუ გამიწყრებით, მოგესხენებათ, იქ მევეკიდრე ბინიანი კაცი არავინ არის, სულ მოგროვილ-მოგროვილი კაცნი შემეყრია და ისინი დგანან. გიორგობის კბ ქორონიქონის. უნბ.

ქ. ჩვენი ბრძანება არის ვინცა ვინ სატიევს დგახართ: მერმე, თქვენი მორიგე-და სურსათი გვიპატივებია, თქვენ მანდაურობაზე გულს ნუ გამოიცვლით, მანდავ მართებულათ უნდა იდგეთ. ნაზირისთვისაც გვითქვამს, თქვენ ყოვლისფრით ხელს მოგიმართავსთ. ჩვენც ყურს მოგივდებთ, თქვენ ძალსა და უსამართლოს ვერვინ გიზამთ, ღმერთმან ნუ ქნას, თუ დაგჭირდებთ, ჯარს მოგამართებთ. აღიწერა ნოემბრის კდ ქორონიქონის უნბ.

ბეჭედი: ერეკლე. ქნარს მიცემს დავითი, მიკმობს მკნეთ კახეთის მეფედ ცხებულს.

4. 1765 წ. 23 ივნისი. არზა ჯერ ნოქრათ, ხოლო შემდეგ მორიგედ დაწერილ თიანელის გლეხის ქაეთარა მგელაშვილისა ერეკლე II-დმი ბატონის ძალადობისაგან დაცვაზე. დედანი. 15×16 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე, მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი წერტილი. თავში დაზიანებულია. იხ. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.), ნ. ბერძენიშვილი, თბილისი, 1953, № 89.

თქვენს ფებთა მიწა-მტვერს თიანელს მგელაშვილს ქაეთარას მისცეს! მერმე, ამას მოვახსენებ ბედნიერს ხელმწიფეს: მე ხელმწიფის ყმა ვიყავ, გრიკოლ სალთხუცეს ვემსახურებოდი, ხელმწიფის ყმობა ველარ დავმალე, მოვახსენე. ამაზედ ჯაბრს მიწევს, რატომ ბატონის ყმობა სთქვიო, მე ნოქრათ დამწერა, ნოქარი ვიყავ, გემსახურე, ახლა ნოქარი აღარ არისო, ახლა თავის ყმის მაგიარ ბაღლად და მორიგედ მწერს, ხარჯი და გამოსაღები, რაც იქნება, შენა გთხოვო და ბატონი ვერას გიშველისო; რაც ამას წინათ გიშველა, ახლაც ის გეშველებო. ეს ასე ჯაბრს მიწევს, უსამართლოს მიშვრება. ბედნიერი ხელმწიფე ნუ დამკარგავს, თქვენი მოწყალება ჩემზედ იყოს, როსცა ნოქრათ დამწერა, თქვენს სამსახურს არა ვღირსვარყავ, ახლა ნოქარი არ არისო, თავისის ყმის მაგიარ მორიგეთ დამწერა. [ღმერთი გაგიმარჯვებს, უსამართლოს და ძალას ნუ აქნევიანებ. თიბათვის კვ. ქორონიქონის უნგ.

სათაური: ეს მგელა ჯიმშიტაშვილის წიგნი არის.

საბუთი თავში დაზიანებულია.

5. 1766 წ. 5 ნოემბერი. ერეკლე II-ის მიწერილობა ყულარაღას გიორგისადმი, მისი მორიგის სარქარდათ ორი თვით ყოფნის დროს, მორიგისთვის თავის ამრიდებელთა დარბევის წესზე. დედანი. 28×5 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე, მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახშირი არ არის. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1953, № 98.

ქ. ჩვენ მაგიერად დარბაზბატონს ყულარაღას გიორგის ასე მოეხსენოს: მერმე, ამ ორ თვეში მორიგის სარქარდათ თქვენ რომ განწესებული ხართ, ვინცა ვინ თავადიშვილი, აზნაურშვილი და გლეხი თქვენთან სამყოფი არის, ვერავინ დაგაკლდებათ. და თუ დაგაკლდეს ვინმე არაგვსა, ქსნისა, სამილახვროსი თუ ჩვენის დროშისა, თქვენ კაცს გაუგზავნიდეთ, რამდენიც კაცი გაკლდებათ, იმთენს ხარს ისინი გამოართმევენ, [გამოგიგზავნიან], ხარზე რომ მარჩილი საიასაულო აიღება, ექვსი შაური თქვენს კაცს და ექვსი შაური—იმათს გატანებულთ კაცს. ბატონო სარქარდრებო, ეს თქვენც ასე იცოდეთ: ამ ორს წყალზე, ზემო ქართლში და ჩვენის დროშის სასარდლოზე დაკლებული კაცი ამ წესით უნდა დაიარბიოდეს, როგორც ზემოთ დაგვიწერია. აღიწერა ნოემბრის ე, ქორონიქონის უნგ.

ბეჭედი: ერეკლე ქნარს მიცემს, დავითი მივმობს, მკნედ კახეთის მეფედ ცხებულს.

6. 1769 წ. 20 ივლისი. ერეკლე II-ის მიწერილობა რევავ ამილახორისადმი მისი მორიგეში მდევრულად გამოსვლის შესახებ. დედანი. 13.7×9.8 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე, მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახშირია თითო წერტილი. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 14. 454.

ქ. ბატონო რევავ ამილახორო, წიგნი მოგვიწერია და მორიგეში ჩამოდა. მდევრულად წამოდი, ნუღარ იყოვნებ, წამოდი, დადეგ განწესებულს ადგილს.

დადეგ საჩქაროდ. კელზედ მოგწერეთ ეს წიგნი. ივლისის კ, ქორონიქონის უნზ.

ქ. ზოგი თან მოიყოლოე, ზოგი კაცი დაგდეგ და მოგადევნონ, ნულარ იყოენებ. ბეჰედლი: ერეკლე. ქნარს მიცემს დავითი. მიჰმობს მკნედ კახეთის მეფედ ცხებულს.

7. 1769 წ. 17 აგვისტო. ერეკლე II-ის მიწერილობა ზემო ქართლის საღაროშოს სარდალ რევაზ ავილახორისადმი, ზემო ქართლის მორიგის გამოყვანის შესახებ. დედანი. 43.3×15.4 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე, მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—13654.

ქ. მესტუმრეო, ჩვენ მაგიერად ჩვენსა დიდსა იმედსა, დიდად იმედად მისაჩენელს, მისახედავს და არაოდეს დასავიწყარს, ბატონს ავილახორს რევაზს მრავალი მათის სიკეთის შესაფერი მოკითხვა მოახსენეთ. ალექსანდრე სარდრის მორიგობა არის. მოგვწერა, რომ ახლავ უნდა წამოვიდეს. თქვენ, რაც ზემო ქართლის მორიგე იყოს, ახლავ კაცი ვაგზავნე, შემოიყარე, ერთი თქვენი სახლის კაცი უთავე, გაუძღვარე და ალექსანდრე სარდარს შემოჰყარე. ამ ორსა-სამს დღეზედ თუ ჯარი მცხეთას არ ჩამოვიდა, იცოდეთ, რომელიც ნაკლებს საქმეს დაიპერთ, დიდად გვეწყინება; საგურამოს წვრილმანა ჯარები დვას, ოცი-ორმოცი კაცი ან იქნება, ან არა. იმათ დასანახებლად და პასუხის მისაცემად უნდა დადგნენ. თუ ჩვენი სამსახური გინდათ, ახლავ ამ ორსა-სამს დღეს ზემო ქართლის მორიგე მცხეთას ჩამოგზავნე. ჩვენ ათსა-თორმეტს დღეზედ ქისიყს წავალთ, იქიურს საქმეს ვნახეთ და მალე მოვალთ, მარიამობისთვის იზ, ქორონიქონის უნზ.

ქ. ბატონო ავილახორო, ერთი ისე უზბაში ფალავანდისშვილი და ერთი ხერხეულიძე, ან ზაზა და ან დათუა, ეს ორნი ორ-რიგად გაგზავნეთ იპერთს. ერთმა ერთხელ გარდმოიტანოს იქიური ამბავი და მეორემ კიდევ—მეორედ: ან მეფე რას საქმეში ბრძანდება, ან ჯარისა რაც შეიტყონ, ყველა იქაური ამბავი ორრიგად შეიტყონ; ერთმა ერთხელ გარდმოიტანოს და მეორემ—მეორეზედ და მალე გვაცოდინეთ იქიური ამბავი.

ბეჰედლი: ერეკლე. ქნარს მიცემს დავით, მიჰმობს მკნედ კახეთის მეფედ ცხებულს.

8. 1769 წ. 10 ნოემბერი ზემო ქართლიდან გამოსაცვანი მორიგის სია, ერეკლე II-ის ოქმით, რევაზ ავილახორისადმი ამ სიით მორიგის გამოყვანაზე. დედანი. 40.7×15.6 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე, მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—14.456.

ქ. ამ სიით ზემო ქართლს კაცი ეთხოვეა ნახევარ ცხენიანი და ნახევარო ქვეითი.

- ლ. ვ. ქ. სამილახვრომ ცხენიანი და ქვეითი კაცი
- ზ. ქ. ახალი ბატონის სახასოღამ ცხენიანი და ქვეითი კაცი
- ვ. გ. ქ. სათუშანისშვილომ, ედიშერ მდივნის ყმის გარდა, კაცი
- ბ. ქ. ედიშერ მდივნის წილმა, ბეჰანის ყმით, კაცი
- ა. ქ. სვენეთიღამ კაცი
- ა. ქ. სამთავრო კაცი
- ი. შ. ქ. გორელეზი კაცი
- ა. ქ. ტინისხილიღამ კაცი

- გ. ქ. დიასამიძე იასემ კაცი
 ბ. ქ. დიასამიძე ივანეს კაცი
 ბ. ქ. ურბნელის კაცი
 ე. ქ. რუის სამრევლო კაცი
 ა. ქ. რუის სახასო კაცი
 ე. ქ. ღირბელები
 ვ. ქ. ავალისშვილის პეტრეს კაცი და ზაალის კაცი
 ე. ქ. ავალისშვილის ქაიხოსროს კაცი
 ა. ქ. ავალისშვილის ზურაბის კაცი
 ა. ქ. თაქთაქიშვილის ივანეს კაცი
 ა. ქ. თაქთაქიშვილის იასეს კაცი
 ა. ქ. ნიქოზლის კაცი
 ი. დ. ქ. ცხინვალელნი
 ა. ქ. ბეგთაბეგიანთ კაცი
 ა. ქ. მთაწმინდის ყმა
 ა. ქ. ხერხეულიძე ივანეს კაცი
 ქ. იასე მახაბლის კაცი
 ა. ქ. ბელელაშვილის კაცი
 ა. ქ. ალხაზაშვილის კაცი
 ბ. ქ. ბაღურისშვილის კაცი
 ე. ქ. ფავლენისშვილის პაპუნას კაცი
 ა. ქ. ფავლენისშვილის შიოშის კაცი
 დ. ქ. ფავლენისშვილის ქაიხოსროს კაცი
 ე. ქ. ფავლენისშვილის მამუკას კაცი
 ე. ქ. სურამელი სახასო კაცი
 ა. ქ. ხიდირბეგისშვილის კაცი
 ა. ქ. მურვანისშვილის კაცი
 რქბ.

ქ. ჩვენი ბრძანება არის, რევაზ აპილახვარო, ეს შენ გაარიგე. მერმე ვისაც ამ სისინთ ეს კაცი შესწერებოდეს, ეს ასე უკლებრივ უნდა ჩამოიყვანო თავეთის ნუშლით და ღვინოს აქ ჩვენ უშოვით და პური და ქერი თავეთ უნდა ჩამოიტანონ, აქ ჩვენ ვერ მიეცემთ, ან არ დაჰაქვიანოთ. გიორგობისთვის ი, ქსორონიქონის უნზ. პურსა და ქერს გარდა სხვარიგათ ჩვენ გვაძლებინებთ. გიორგობისთვის თექვსმეტს აქ უნდა ჩამოვიდნენ და ქრისტიშობისთვის ერთი კვირა რომ ჩამოვა, დავითხოვთ ოცის დღის მეტს არ დავაყენებთ.

ბეჰელი: ერეკლე. ქნარს მიცემს დავითი, მივმობს მკნედ კახეთის მეფედ ცხებულს.

9. 1771 წ. 28 ივნისი. ერეკლე II-ის მიწერილობა ზემო ქართლის სარდალ რევაზ აპილახორისადმი, მორიგის შემდგომი ცვლის გამოვზავნის შესახებ. დღე-ღანი. 25.3×16.3 სმ. დაწერილი თეთრ ქალაღზე, მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—14. 457.

ქ. მესტუმრო, ჩვენ მაგიერად ჩვენსა დიდსა იმედსა, დიდათ იმედათ მისა-ჩენელ მისახედავსა და არაოდეს დასაეიწყარსა დარბაზ ბატონს აპილახორს რევაზს, მრავალი მოკითხვა მოახსენე. მერე, რაც ქართლიდან დაბარებული მორიგე კაცი აქ არის, ერთი თვე იქნება, ესენი აქ არიან. ახლა ამათი მაგიერი კა-

ცი ყველამ სხვა უნდა გამოგზავნოს და ესენი მურახასნი შეიქნებიან; ამ სამს, ან ოთხს დღეზე ყველას კაცი უკლებლად აქ უნდა ჩამოვიდეს, ამაზე ბეჯითი იყავით, ეს კაცნი ღროიან გამოგზავნეთ, ათის დღის ნუზლით წამოვიდნენ კაცი არავინ დააკლოს, თვარემ ჩვენს შეცოდებათ მოვიკითხავთ, მაგათაც დიდხანს არ დავაგვიანებთ, მალე დავითხოვთ.

აღიწერა ივნისის კვქ[ორონიქონ]ს უნთ.

ქ. ამილახვარო, ერთი ამბავი რომ შემოგეთვალათ რამე, იარანალისა გარდავიდა თუ არა, რა იქნებოდა.

ბეჭედი: ერეკლე. ქნარს მიცემს დავითი, მივმოხს მგნედ კახეთის მეფედ ცხებულს.

ქ. ჩვენის ჯაბახანისა ოთხი ხარი რომ გებარათ, ეგ ხარები კაის მგზავრს გამოატანეთ.

ბეჭედი: ერეკლე. ქნარს მიცემს დავითი, მივმოხს მგნედ კახეთის მეფედ ცხებულს.

10. 1773 წ. 31 მარტი. ერეკლე II-ის წერილი რევაზ ამილახორისადმი სხვადასხვა საკითხებზე და მათ შორის ვადაგასული მორიგის დათხოვნაზე. დედანი. 29 X 14, 2 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ნახშირია თითო წერტილი. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—13727.

ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდსა იმედსა, დიდათ იმედით მისაჩენელ მისახედავს და ჩვენგან არაოდეს არ დასაფიწყარს დარბაზ ბატონს, ამილახორს რევაზს, და მეითარს იოანეს მრავალი მოკითხვა უნახეთ. მერმე, ქიტესა რომ მოსულა და დათუა, რათ მოსულან, ის შეგვატყობინეთ. იოანე, შენ რომ ერთის მამულის მოგწერა, ჩვენ ღვითთ ამ ცოტა ხანში ქალაქს ჩავალთ და იმის პასუხს მაშინ მოგწერეთ; მანდაური ამბავი ყველა წვრილათ მოგვწერეთ. სათესლეთ ღომი გვირდა ცოტაოდენი და შოშია სარდალს შეატყობინეთ, ქორთს სდგომია, ვეჭოფ, და იმას გამოართვით და გამოგვიგზავნეთ. თუ იმას არ პქონდეს, სადაც იყოს, იქ გვიშოეთ და გამოგვიგზავნეთ. მარტის ლა. ქ[ორონიქონ]ს უფა.

ბეჭედი: ერეკლე. ქნარს მიცემს დავით, მივმოხს მგნედ კახეთის მეფედ ცხებულს.

ქ. ნუცალის ამბავს თუ იკითხავთ, დამარცხებული ბელაქნის ბოლოს გავიდა და დაედა. ქვევითი კაცი სულ დაეფანტა, ცხენიანი კაციც მათონი აღარა ყავს რა. თითონ მცირედის კაცი თ არის. ამას რაც ქვევითი კაცი დაეფანტა, სულ დაღისტანში გარდაკლა. თითონ დიდს ფოშმანში არის. ამის, კაი ყმებს ხუთს აცხს წიგნი მოეწერა ჩვენთვის, ჩვენი შერიგება დიდათ უნდა. თალალელნიც შამოიყვანეს შუა შარიგებაზედ; ჩვენ წიგნი მიგვაწერინეს, გვონებთ, ჩვენსა და იმათში ისევ შერიგება მოხდეს. მეორე ქიზიყელთ რომ ახლა ნუცალზედ გაემარჯვათ, ეს ნუ გგონიათ. ჩვენ ასე ან მჭადიჯვარს გაგემარჯვებოდეს ლეკზედ, ან ატოცს, რომ ამათ ღვითის მოწყალებით ნუცალზედ გამარჯვებიათ. მანდ რომ მორიგენი იმყოფებიან, თავადიშვილი თუ გლეხი კაცი, ჩვენ აქ სხვა მორიგის თადარიგი გვიქნია. მაგათ დიას დაუგვიანდათ, ეგენი გამოგზავნეთ, რომ თავთავის სახლში მოვიდნენ და სხვა მორიგენი მოვიკავთ. ამ წიგნს აპრილის ხუთსა გწერთ. უწინვე მოგწერეთ, მაგრამ ვერ გამოგზავნეთ.

ბეჭედი: ერეკლე. ქნარს მიცემს დავით, მიხმოხს მხნედ კახეთის მეფედ ცხებულს.

დკ. Ⴡ. კლიმაშვილი

კ ვიპროსუ ო ვოისკე «მორიგე» ვ ვოსოოჩნოი გრუზიი II ოლოვინი XVIII ვეკა

რეზიუმე

„მორიგე“ ივლიალოს სვოეობრანიმ ვიდიმ ოსოიანიო ვოისკა, ვვიდენიმი ვ ვოსოოჩნოი გრუზიი ვო II ოლოვინი XVIII ვეკა. ტრუდ სთავიო ცელიუ ოსოიანიოვი ხრონოლოგიოესკიე დათი, სვიანიი ს ვოისკომ „მორიგე“, ა თაკიე ოპრედილიო ოთდილიი ეთაპი ვ ისოიოი ოეო რავიოთი.

ნა ოსოიო დოკუიენთალნიო მათერიალა ოსოიანიო, ოო ვოისკო „მორიგე“ ბიო ობრავოიანი ვ 50-იხ გოდახ XVIII ვეკა, ა ნე ვ 1774 გოი, კაკ ორიიანიო ვ გრუზინსკოი ისოიოგრაფიი.

ნა ოსოიანიო ისოიოიოესკიხ დოკუიენთო ოსოიანიო თაკიე, ოო ვოისკო „მორიგე“ ოროსუოესოთვოილო დო 1801 გოი, თ. ე. დო ორისოიენიი ვოსოოჩნოი გრუზიი კ როსიი. ეთიი ოპროვერგაესა მიენიე, ოკოიენივშიეა ვ ისოიოგრაფიი, ოო ოსოიე სიერტი ოარევიოა ლევიანი (1781 გ.) კნიაცი, ნაოთროენიე ორიოთი „მორიგე“, სუიელი ოპრავიიიო ოეო.

ვ ტრუდე ოსოიანიო ოი 4 ოერიოი ვ ისოიოი რავიოთი „მორიგე“: 1) 50-იე გოი XVIII ვეკა—1773 გ., 2) 1774—1785 გ., 3) 1785—1790 გ. ნ 4) 1791—1800 გ.

ჯუჯუაძე ოფიშელი

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობაზე მკვლევართა შორის შეთანხმებული აზრი არ არსებობს.

თ. ყორღანიას ვარაუდით, დავითის ისტორიკოსი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მისი გამოჩენილი თანამოსაგრეთაგანი: ან იოანე კათალიკოსი, ან სვიმონ ჭყონდიდელი, ანდა არსენ იყალთოელი (თუმცა ამ უკანასკნელის ავტორობას თ. ყორღანია თვითვე აყენებდა ეჭვის ქვეშ. დავითის ისტორიაში ეს უკანასკნელი მეტად აღმატებული ეპითეტებით არის შემკული და თ. ყორღანიას აზრით, არსენ იყალთოელი საკუთარი თავის ასე შექებას არ იკადრებდა¹. აქვე შეგვიძლია დავსძინოთ, რომ დავითის ისტორიკოსი ვერ იქნებოდა ვერც იოანე კათალიკოსი, ვერც სვიმონ ჭყონდიდელი, ვინაიდან დავითის ისტორიაში მათ შესახებ შესამე პირშია მოთხრობილი².

ს. კაკაბაძის აზრით, დავითის ისტორიკოსია დავით აღმაშენებლის ანდერძებში მოხსენებული არსენ ბერი³.

კ. კეკელიძე საფუძვლიანად მიიჩნევს ს. კაკაბაძის თვალსაზრისს ამ საკითხზე და უკომენტაროდ იზიარებს მას⁴.

ივ. ჯავახიშვილი დავითის ისტორიკოსის ვინაობას გაურკვეველად მიიჩნევდა. „ვინ იყო ის ისტორიკოსი, რომელმაც დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა აგვიწერა, ჯერჯერობით არ ვიცი. არც თვით ისტორიაში, არც სხვა რომელიმე წყაროში,—წერდა განსვენებული მეცნიერი,—ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება“⁵.

დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძზე მუშაობის დროს ჩვენი ყუ რადღება მიიპყრო აოსენ ბერის პიროვნება, რომელიც აღნიშნულ ანდერძში ცენტრალურ ფიგურად ჩანს. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მართლაც არსენ ბერია, როგორც ამას ს. კაკაბაძე ფიქრობს. მაგრამ ს. კაკაბაძის დასაბუთება ამ თვალსაზრისისა მართებულად და დამაჯერებლად არ მიგვაჩნია. ამით აიხსნება ალბათ, რომ ივ. ჯავახიშვილმა არ გაიზიარა ს. კაკაბაძის მოსაზრება ამ საკითხზე.

¹ ქრონიკები, I, XLVI.

² ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 326²⁰, 358¹⁸, 345²⁰.

³ ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის მემკვიდრის ვინაობა, თბილისი, 1913.

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 290.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები... თბილისი, 1945,

ჩვენი ნაშრომი მიზნად ისახავს ახლებურ დასაბუთებას იმ თვალსაზრისისას, რომლის მიხედვით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არის არსენ ბერი.

ს. კაკაბაძე, ზემოაღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ გვთავაზობს შემდეგ არგუმენტებს:

1. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ისევე როგორც არსენ ბერი) დავითის თანამედროვე, მეფესთან მეტად დაახლოებული სამღვდლო პირია და თავისი თხზულება დაწერილი აქვს დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ (ეს თვალსაზრისი ს. კაკაბაძეს გაზიარებული აქვს თ. ჟორდანიასაგან)⁶.

2. დავით აღმაშენებლის ისტორია დაწერილია დავითის მოძღვრის მიერ, რომელიც მოძღვრად იყო დავითის სიცოცხლის უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. ეს დასკვნა ს. კაკაბაძეს გამოჰყავს დავითის ისტორიკოსის შემდეგი ცნობიდან: „ნუ მეტყვ მისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელნი არცა ღმერთმან მოიკესნენეს! უწყი ჭეშმარიტებით, რამეთუ ყოველთა ათისა წლისა ჟამთა სავარადისოდ წმიდითა პირითა და განწმედილითა გონებითა მიიღებდა უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა თანამოწამებითა სუნდისისათა და არა მხილებითა გონებისათა, რომლისა მოწამე არს სარწმუნო იგი ცათა შინა“⁷. „ამის დაწერა შეეძლო მხოლოდ თვით მეფის მოძღვარს, რომელიც მეფისაგან აღსარებას ღებულობდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაშიო“—ასკვნის ს. კაკაბაძე⁸.

3. დავითის ისტორიკოსად არ შეიძლება მივიჩნიოთ მეფის მოძღვარი იოანე, რადგან დავითის ისტორიაში იოანე მესამე პირში იხსენიება.

4. დავითის მეორე მოძღვარი იოანეს შემდეგ, 1115 წლიდან, მეფის სიკვდილამდე ყოფილა არსენი, რომლის შესახებაც დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში აღნიშნულია: „...სასომან და განჰანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა“⁹.

ამრიგად, ს. კაკაბაძის ლოგიკური მსჯელობის სქემა ასეთია: 1) დავით აღმაშენებლის ისტორია დაწერილია მეფის მოძღვრის მიერ. 2) დავით აღმაშენებელს თანამედვერულად ჰყავდა 2 მოძღვარი: იოანე და არსენი, რომელთაგან დავითის ისტორიკოსად უნდა მივიჩნიოთ არსენ ბერი.

ჩვენი აზრით, ს. კაკაბაძის მსჯელობა არ არის საკპარისი იმისათვის, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსად მეფის მოძღვარი მივიჩნიოთ, ხოლო მეფის მოძღვრად არსენი. ათი წლის განმავლობაში მეფის მოძღვრად ნამყოფი პირისაგან გაუშართლებელია თქმა: „უწყი ჭეშმარიტებით“, თუ როგორ იღებდა მეფე საიდუმლო ზიარებასო. ვფიქრობთ ეს სიტყვები ეკუთვნის ისეთ პირს, რომელმაც შეიძლება უწყოდეს და შეიძლება არც უწყოდეს ჭეშმარიტად ეს ამბავი; სწორედ ამიტომ სჭირდება ხაზგასმა—დანამდვილებით ვიცი, ეჭვი არ შეგეპართო.

თ. ჟორდანიას აზრით, არსენ ბერი დავით აღმაშენებლის მოძღვრად საერთოდ არ ყოფილა, რადგანაც არც ერთ საისტორიო წყაროში ასეთად არ იხსენ-

⁶ ქრონიკები, I, XLIII—XLV.

⁷ ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1955, გვ. 352₁₀.

⁸ ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

⁹ თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთებია შიომღვიმის მონასტრისა, თბილისი, 1896.

ნიება; ისტორიული წყაროების მიხედვით იგი მეფის ანდერძის აღმასრულებელია და არა მოძღვარი.¹⁰ ის ამბავი, რომ დავითის 1123 წლის ანდერძში არსენი მოხსენება ეპითეტით „სასო და განმანათლებელი“ მეფისა, არ იძლევა საკმარის საფუძველს. მივიჩნით იგი მეფის მოძღვარად. მით უმეტეს არ შეიძლება მივიჩნიოთ არსენი იოანეს შემცვლელად მეფის მოძღვრის პოსტზე 1115 წლიდან, ვინაიდან 1123 წლის ანდერძში იოანე მეფის მოძღვრადაა მოხსენებული, ხოლო არსენი მხოლოდ მისი ანდერძის აღმასრულებლად.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის დასადგენად, მართალია, გადაწყვეტი არა, მაგრამ მნიშვნელოვანი დამხმარე არგუმენტი, რომ დავითის ისტორიკოსი მეფესთან მეტად დაახლოებული, მისი თანამოაზრე და ბევრი აღწერილი ამბის თვითმხილველი ჩანს. მკვლევართა შორის ამ საკითხზე ორი აზრი არ არსებობს. ამ ფაქტის დამადასტურებელი დავითის ისტორიიდან ამოკრებილი საილუსტრაციო მასალაც საკმაოდ არის მოტანილი სამეცნიერო ლიტერატურაში და მის გამოკრებას ჩვენ აქ არ შევუდგებით¹¹.

ასეთივე მნიშვნელობის არგუმენტი ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებლის ცხოვრების ისტორია სასულიერო პირის მიერ არის დაწერილი. ეს საკმაოდ დამაჯერებლად გამოთქმული აზრი ეკუთვნის თ. ჟორდანიას¹² და გაზიარებულია პროფ. ნ. ბერძენიშვილის მიერ. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, დავითის ისტორიკოსს არ ემჩნევა რაიმე განსაკუთრებული მიდრეკილება სასულიერო-ღვთისმეტყველური აზრებისადმი. ეკამათება რა თ. ჟორდანიას, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ დავითის ისტორიკოსი „საღმრთოთა და სულიერ სათნოებად“ თვლის არა საეკლესიო, არამედ მეფის ყოველგვარ დადებით ზნებორავ პოლიტიკურ საქმიანობას¹³. ჩვენი აზრით, სწორედ ეს გარემოება ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ისტორიკოსი ერისკაცი არაა, რომ მისთვის ამოსავალი მეფის ყოველგვარი საქმიანობის შეფასებაში სარწმუნოებაა.

დავითის ისტორიკოსის სასულიერო-ღვთისმეტყველური განწყობის შესახებ მისი თხზულებიდან მრავალი ადგილის მოტანა შეიძლება, მაგრამ დავაკმაყოფილდებით ერთით, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია. ისტორიკოსი დიდი კმაყოფილებით წერს, რომ დავითის მიერ „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხუსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის“¹⁴. ასეთი რელიგიური შეუწყნარებლობითა და ასკეტიზმით გაყენებული სიტყვები არ შეიძლება ერისკაცს ეკუთვნოდეს. თხზულებას მკვეთრად აზის ბეჭედი ავტორის საფუძვლიანი სასულიერო-ღვთისმეტყველური განათლებისა, მასში მრავლადაა გაბნეული რემინისცენციები ბიბლიიდან.

დავით აღმაშენებელთან დაახლოებულ სასულიერო პირთაგან დავითის ისტორიკოსის თხზულებაში არსად მოხსენებული არ არის არსენ ბერი. დავითის 1123, 1125 წწ. ანდერძებიდან კი ვიცით, რომ ეს უკანასკნელი მეფესთან მეტად

¹⁰ Т. Жордания, Завещание царя Давида Возобновителя, Тбилиси, 1895, стр. 16.

¹¹ იხ. ქრონიკები, I, XLIII. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

¹² ქრონიკები, I, XLV

¹³ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

¹⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 352₁₉—21.

დაახლოებული პიროვნება იყო. არსენ ბერს მეფე ავალებს მისი ანდერძების შესრულებისათვის მეთვალყურეობას, კერძოდ, მის მიერ შიო-მღვიმეში ღვთისმშობლის სახელზე აგებული ეკლესიის დასრულებას: კალაპოტის გამოყრას, მოლესვას, მონატვას, რისთვისაც 30 ლიტრა ვერცხლს (კოსტანტისა და პერპერას სახით) უტოვებს მას. შიო-მღვიმის მონასტრის წესდება-ტიბაკონი არსენ ბერსა და მეფის მოძღვარ იოანეს შეუმუშავებიათ, დავით აღმაშენებლის კი, როგორც მონასტრის პატრონს, დაუმტკიცებია ის¹⁵. მონასტრისთვის განკუთვნილი თურქთათვის წართმეული ქონება („ივარი სპარსთაჲ“) მეფეს არსენ ბერისა და თავის მოძღვარ იოანესთვის ჩაუბარებია; გარდა მეფის მიერ შეწირული ნივთებისა, არსენ ბერსაც დაუდგამს მონასტერში ბროლის, ბაზიჯისა და მინის კანდლები; არსენ ბერი იყო შიო-მღვიმის მონასტერში დავით აღმაშენებლის აღაპის წესის დამდგენელი და „შწირველ მლოცველი მეფისა შეუცვალებელად“¹⁶.

საინტერესოა, რომ დავით აღმაშენებლის უკანასკნელ ანდერძში არსენ ბერი მოხსენებულია საქართველოს კათალიკოსის წინ. დავით აღმაშენებელი უპირველესად მას უანდერძებს, გამოარჩიოს გელათის მონასტრისათვის მეფის მიერ ნაშოენი „ადგილნი უმკვდრონი და უშამულონი“¹⁷.

ამავე ანდერძიდან ჩანს, რომ არსენ ბერი დავით აღმაშენებლის მოძღვარიც ყოფილა.

ანდერძის ტექსტში, მართალია, არსენი მეფის მოძღვრად პირდაპირ დასახელებული არ არის, მაგრამ შინაარსის მიხედვით ცხადია, რომ მეფის მოძღვარი და არსენ ბერი ერთი და იგივე პირია. ამასვე ადასტურებს ანდერძისათვის შემდგომ პერიოდში ტრადიციით მიცემული სათაური: „ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა, პანკრატიონ დავითიანისა, რომელი წარმოუთხრა მოძღუარსა თვისსა არსენის ქაშა გარდაცვალებისა თვისისა ყოველთათვის დიდებულთა თვისთა“¹⁸. ვფიქრობთ, არსენი დავითის მოძღვრად ამ უკანასკნელის სიცოცხლის 2 უკანასკნელი წლის განმავლობაში იყო; ანდერძში დავით მეფე მისი პირმშოს ღემეტრეს შესახებ ამბობს: „...მხიარულ ჰყოფდის ყრმაჲ ესე დაფარულთა გულისა ჩემისათა და შენებაცა მოცლა საწუთოსაგან მეფე-ყოფითა შავისითა, რომელი-ესე ღმერთმან და მე და ორის წლითგან მოძღვარმან ჩემმან უწყით“¹⁹. სწორედ ორი წლით ადრე—1123 წელს—შიო-მღვიმისათვის ბოძებულ ანდერძში მეფის მოძღვრად იოანეა მოხსენებული, ხოლო არსენი არა. როგორც ჩანს, იოანეს გარდაცვალების, ან სხვა მიზეზის გამო, არსენ ბერი იმავე 1123 წელს გამხდარა მეფის მოძღვარი.

არსენ ბერისთვის, დავით აღმაშენებელთან ესოდენ დაახლოებული პირისთვის, დავითის ისტორიაში სიჩუმით გვერდის ავლა შეეძლო მხოლოდ თვით

¹⁵ თ. ქორდანი, შიო-მღვიმის ისტ. საბუთები, გვ. 16.

¹⁶ შიო-მღვიმის ისტ. საბ., გვ. 17.

¹⁷ ქრონიკები, II, გვ. 52.

¹⁸ ქრონიკები, II, გვ. 51.

¹⁹ იქვე.

არსენ ბერს, როგორც ჩანს, უხერხულად მიაჩნდა თავის თავზე წერა.

დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძის ინიციატორი არსენ ბერი იყო: „განმანათლებელმან და სასომან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერაო,“—აღნიშნავს დავითი ანდერძში²⁰.

ანდერძი, როგორც ცნობილია, იწყებოდა და მთავრდებოდა დავით აღმაშენებლის უნიკალური ავტოგრაფით მხედრულად, ზოლო სიგლის ძირითადი ნაწილი ნუსხა-ხუცურით არის დაწერილი. როგორც აკად. ა. შანიძე აღნიშნავს, ამ ფაქტს ნუსხა-ხუცურისა და მხედრული დამწერლობის შესწავლის საკითხისათვის, საერთოდ ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს²¹. კონკრეტულად კი ეს ფაქტი მოწმობს, რომ უშუალოდ დამწერი სიგლისა სასულიერო პირი იყო. ამასთან ეს დამწერი ავტორიცაა სიგლისა, რადგან, ცხადია, სიგელი დავით აღმაშენებლის ნაკარნახევს სიტყვა-სიტყვითი ჩანაწერი ვერ იქნებოდა. მით უმეტეს, რომ სიგელში ხაზგასმით არის აღნიშნული მეფის მოუცლევლობა სიგლის შექმნის პერიოდში²².

კ. კეკელიძის სარწმუნო აზრით, დავით აღმაშენებლის 1123 და 1125 წლების ანდერძებს შორის დიდი სტილისტურ-აზრობრივი სიახლოვე შეიმჩნევა, ზოლო დავით აღმაშენებლის უკანასკნელი 1125 წლის ანდერძის ავტორი არსენ ბერია, ამდენად დავით აღმაშენებლის ორივე შემორჩენილი ანდერძის ავტორი არსენ ბერია. ეს რომ მართლაც ასეა, ჩანს შემდეგიდან: „გობრძანებს და მოგაქსენებს მეფეთა-მეფე დავით... ჩემ მიერ უნდოჲსა და უღირსისა მლოცველისა მათისა ბერისა პირითა“—ეკითხულობთ 1125 წლის ანდერძში. დავით აღმაშენებლის მიერ 1123 წელს შიო-მღვიმისთვის ბოძებული სიგლიდან კი ვიცით, რომ არსენ ბერი არის განმანათლებელი მეფისა, მისთვის მლოცველი, მისი „მაქსენებელი შეუცვალებლად“. მაშასადამე, დავითის უკანასკნელი ანდერძის ავტორი დავით მეფისთვის მლოცველი ბერი, რომლის სახელი ანდერძში აღნიშნული არ არის, როგორც წინასწარ ცნობილი, უდავოდ არსენ ბერია. ამავე ამბავს ადასტურებს ტრადიცია, რომლის საფუძველზეც 1125 წლის სიგელს მიეცა ზემოთ დამოწმებული საათური.

მკვლევართა საერთო აზრით (თ. ყორღანია, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე) არსენ ბერი ავტორია რუის-ურბნისის კრების სახელით დავით აღმაშენებლისთვის მირთმეული შესხმისა—„მეფესა დავითს მონაზონი არსენი“. ეს შესხმა ბუნებრივი გაგრძელებაა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერისა და ამის გამო აკად. კ. კეკელიძე სრულიად სამართლიანად მიიჩნევს არსენ ბერს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის ავტორად, ამ კრების მდივანად და წმ. ნი-

²⁰ შიო-მღვიმის ისტ. საბ., გვ. 15.

²¹ აკ. შანიძე, დავით აღმაშენებლის ანდერძისათვის. *Miscellanea*. I, „ჩვენი მეცნიერება“, თბილისი, 1924, გვ. 3.

²² იქვე

ნოს მეტაფრასული ცხოვრების ავტორადაც ამ ძეგლისა და რუის-ურბნისის ძეგლისწერის შინაარსობრივ-სტილისტური მსგავსების გამო.²³

ამრიგად, არსენ ბერის კალმის ნაყოფად აღიარებულია შემდეგი ძეგლები: დავით აღმაშენებლის 2 ანდერძი შიო-მღვიმისა და გელათის მონასტრებისადმი, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა, ამ კრების სახელით დავითისათვის მიერთმეული შესხმა და წმ. ნინოს მეტაფრასული ცხოვრება. განვიხილოთ რა მსგავსება-ნათესაობა შეიძლება დავინახოთ, ერთი მხრივ, ამ ძეგლებსა და, მეორეს მხრივ, არსენი ბერის ნაწარმოებად ნავარაუდევ დავითის ისტორიკოსის თხზულებას შორის.

დავით აღმაშენებლის ორივე ანდერძში, და განსაკუთრებით 1123 წლის ანდერძში, შეიმჩნევა ერთგვარი გატაცება ისტორიზმით. ისტორიული ცნობებით ეს უკანასკნელი „...დავითის მატთანეს ავსებს და, კერძოდ, სამონასტრო წესწყობილებას გვისურათებს“²⁴.

1123 წლის ანდერძიდან ვიცით, რომ „წინა-უკმო“ ეპისკოპოსმა მოდისტოსმა ძალით მიიტაცა მღვდელმთავრობა. როგორც ჩანს, ეს ზოგადი მოვლენა ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, სამეფო ცენტრალისტური პოზიციებიდან გამოძინარე, ბევრი მღვდელმთავარი უღირსად იყო მიჩნეული. ასეთი ანალოგიური ეპითეტებით არიან შემკულნი 1123 წ. ანდერძში, დავითის ისტორიკოსის თხზულებასა და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში („წინა-უკმო მღვდელთ-მოძღუარი“ და „მწყემსი უკაროა,—ანდერძში; კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები“—დავითის ისტორიკოსთან; „ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდელმთავრობისასა“—ძეგლისწერაში).²⁵ ამასთანავე დავითის ისტორიკოსთან და რუის-ურბნისის ძეგლისწერაში ეს ამბავი ზუსტად ერთნაირი გამოთქმით არის კვალიფიცირებული (დავითის ისტორიკოსთან—„წმიდანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნენო“; ძეგლისწერაში— „სალოცველთა მათ აღვილთა ქუაბ ავაზაკთა შექმნითა, სულთაცა თქუშნთა საკარდულები საღმრთოჲსა სიტყუსა მიერ დაიქცესო“)²⁶. სახარებისეული გამოთქმის „ქუაბ ავაზაკთა“-ს ხმარების გამეორება ერთი და იმავე ამბის აღსანიშნავად სხვადასხვა ძეგლებში, ვფიქრობთ, მაინც ნიშანდობლივია.

რუის-ურბნისის ძეგლისწერასა და დავითის ისტორიკოსის თხზულებაში სავსებით იდენტური აზრებია გამოთქმული სომეხთა მწვალებლობის შესახებ. ორივე ძეგლში ერთნაირად გამოსჭვივის რელიგიური შეუწყნარებლობა სომეხთა სარწმუნოებისადმი.²⁷

დავითის ისტორიკოსის თხზულება პოლემისტური ხასიათის ნაწარმოებია და მიზნად ისახავს დავით აღმაშენებლის პიროვნების, მთელი მისი საქმიანობის დაცვას ბოროტ „მაბრალობელთაგან“. ნიშანდობლივია, რომ არსენ ბერის

²³ ქ. ოღიშელი ძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 301—312, „წმ. ნინოს მეტაფრასული ცხოვრების ავტორად არსენ ბერის გამოცხადება ჩვენ საქმაოდ დასაბუთებულად მივაჩინო, მიუხედავად იმისა, რომ აკად. ს. ჭანაშვი ამ აზრს არ იზიარებს (იხ. მისი უსეველო-არსენი, სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტომი I, № 6, 1940, თბილისი).

²⁴ ქ. ოღიშელი ძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 310.

²⁵ იხ. შიო-მღვიმის ისტ. საბ. გვ. 15, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 328, ქრონიკები, II, გვ. 62.

²⁶ ქართლის ცხოვრება I, გვ. 327, ქრონიკები, II, გვ. 65.

²⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356; ქრონიკები II გვ. 65, გვ. 67.

ნაწარმოებად მიჩნეული წმ. ნინოს მეტაფრასული ცხოვრებაც პოლემისტური ხასიათის ნაწარმოებია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დავითის ისტორიკოსის თხზულებაში მრავლადაა რემინისცენციები ბიბლიიდან. საინტერესოა ერთი რემინისცენცია ფსალმუნ 124,3-დან: „და არაოდეს მიუშუა ღმერთმან კუერთხი ცოდვილთა მართალსა მას ზედა“, რომლის შესახებ პროფ. ს. ყაუხჩიშვილი „ქართლის ცხოვრების“ უკანასკნელი გამოცემის შენიშვნაში აღნიშნავს: „აშავე ციტატას იმეორებს ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიო-მღვიმისადმი: „და არცა მიუშუა კუერთხი ცოდვლთა ნაწილსა ზედა მართალსასა“. („მიუშუათი“ ენათესავენა დავითის ისტორიკოსს, „ნაწილსა“-თი ენათესავენა ბიბლიას)²⁸.

ლიტერატურულ-სტილისტური ნათესაობის დასადასტურებლად შევუდართო ერთი ადგილი დავითის 1123 წლის ანდერძიდან და დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან.

ანდერძში ლაპარაკია მრავალ სიკეთეზე, რომელსაც ღმერთი მოიღებდა დავითის მიმართ, ხოლო შემდეგ ნათქვამია „რომელთაგან კერძოა (ე. ი. ამ სიკეთეთაგან ერთი—ჯ. ო.) რაამე და ურიცხუთაგან ერთი მიზეზად თხრობისავე მივსცე თხრობასა“²⁹. დავითის ისტორიკოსთან მეფის საღვთისმცოდნეო საქმეებზე ლაპარაკი და შემდეგ ვკითხულობთ: „რომელთაგანნი მცირედნი მრავლიზაგან, ვითარცა სასმელი ერთი მტკურისაგან, ჩუენცა მივსცეთ თხრობასა“³⁰.

ურთიერთისაზლოვე დავითის ისტორიკოსის თხზულებაშია და რუის-ურბნის ერების სახელით დავითისთვის მიართმეული ხოტბის—„მეფესა დავითს მონაზონი არსენი“, აღნიშნული აქვს აკად. კ. კეკელიძეს—„ორივე ძეგლში ერთი და იგივე პარალელიზმია დავითისა და ალექსანდრე მაკედონელისა, დავითისა და აქილევს ელინისა“³¹.

აკად. ნ. ბერძენიშვილს დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ხაზგასმით გამოვლენილი აქვს მეფის ღვთისსწორობის იდეა—იზოთეიზმი. „ყოველი წინააღმდეგი მეფისა შინააგამცემელია... დავითი „მესიის ხმალი“, მისი სახით თვით ღმერთი მოქმედებს და ამდენადვე მეფის წინააღმდეგ მოქმედება ღმერთის წინააღმდეგ მოქმედებაა. როგორც ვხედავთ,—ასკენის აკად. ნ. ბერძენიშვილი— აქ ბრძოლა თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიღწეულა. არსად აქამდე ქართულ საისტორიო მწერლობაში მეფის ხელისუფლება, მეფის უფლება, მეფის მოქმედება და მისი პიროვნება არ ყოფილა ღვთაებამდე ატანილი ხაზგასმა ყველგან ავტორისა“³². ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძი, სადაც ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში პირველად, მართალია, რამდენადმე უფრო შეფარულად, მეფე ღვთისსწორადაა გამოცხადებული. დავით მეფე ანდერძში ამბობს: „ოდეს მარწმუნა (ღმერთმა—ჯ. ო.) მის კიერ განგებულსა მეფობასა, თვისთა რაათამე განგებითა არა უღირს მჩენელმან შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატიოებისა ჩემისამან, აქათგანვე აღილო ჭელი სიტკობითა თვისთა განიღებად ჩემადა თვთ მეფე მეფეთა“ იქმოდა საჭირველთა უჭირვე-

²⁸ ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955, გვ. 362₅, შენიშვნა 1.

²⁹ შიო-მღვიმის ისტ. საბ., გვ. 15.

³⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 347₁₁.

³¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1958, გვ. 265.

³² ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრომები, I, თბილისი, 1955, გვ. 173.

ლად; ცხადთა წინააღმდეგომთა განმგებობისა თვისისათა მისცემდა მოსასრველად; იღუმალთა კულად ზაქუვისათს შორის მფარველთა არა შეუნდობდა სიციბილად³³. აქაც, როგორც ვხედავთ, მეფის მოწინააღმდეგე ღვთის მოწინააღმდეგეა; დავითის მეფობა ღვთისმიერი მეფობაა.

იგივე იზოთეიზმის იდეის გამოვლინებაა შემდეგი სიტყვები დავით აღმაშენებლის უკანასკნელი 1125 წლის ანდერძიდან: „მე წარვედ წინაშე მსაჯულისა (ე. ი. ღვთისა—ჯ. ო.), მისისაებრ განმგებელი მეფობისა“³⁴.

უმალღეს ფაზაშია აყვანილი დავით აღმაშენებლის პიროვნების ღვთისსწორობის იდეა არსენ ბერის სხვა თხზულებაში—შესხვაში: „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“. დავითის ისტორიკოსის თხზულების მსგავსი ზედამატებულ რეპროდუქციებში შემკობასთან ერთად შესხვაში დავით აღმაშენებელი დახასიათებულია როგორც: „უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის; განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღუსტოს კეისართა შორის; კაცთმოყუარე, ვითარცა იესო ღმერთთა შორის; ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთქმნულთა შორის“³⁵.

აღამიანის, თუნდაც მეფას, „ბუნებით ღმერთად“ გამოცხადება ქრისტიანული რელიგიის ნორმების აშკარა დარღვევაა—მკრეხელობაა. ქრისტიანული დოგმატიკის მიხედვით: „სხუა არს ღმერთი და სხუა კაცი, ესე იგი არს სხუა ბუნება ღმრთეებისა და სხუა კაცებისა“³⁶ ამიტომაც სწორედ, რომ ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში შესხმიდან, დავით აღმაშენებლის ბუნებით ღმერთად გამოცხადება, რაც შესხმის არქიტექტონიკიდან გამომდინარე სრულიად უდავოა, ერთგვარად შეფარულადაა მოცემული და საჭიროების შემთხვევაში ავტორის შექმნილ თავი ემართლებინა—„ბუნებით ღმერთი“ იესო ქრისტეს მიმართ არის ნახმარო.

კაცის ბუნებით ღმერთად გამოცხადების მკრეხელობა და ისიც სასულიერო პირის—არსენ ბერის მხრივ კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ სადამდე იყო მიღწეული თაყვანისცემა დავით აღმაშენებლის მიმართ და უკიდურესი აღტაცება მისი პიროვნებით. ნაწილობრივ ეს თაყვანისცემა ალბათ იმიტაც აიხსნება, რომ დავით აღმაშენებელი, მისივე ისტორიკოსის დახასიათებით, „ყოველთა საშიშვლ საზარელი იყო ყოველთა“³⁷.

თავის მხრივ სიტყვები „ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთქმნულთა შორის“ ზუსტ ანალოგიას პოვებს დავითის ისტორიკოსის თხზულებაში; აქ ლაპარაკია დავითის გარდაცვალებაზე, რომ ღმერთმა მოუწოდა დავითს: „სადა თვთ იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთქმნილთა ზედა“³⁸. ეს სიტყვები დავითის გარდაცვალების შემდეგაა დაწერილი და პეტნაკლებად ქრისტიანული დოგმატიკის ნორმებში ზის. „ბუნებით ღმერთი“ აქ უკვე იესოა, ხოლო დავითი „მადლით ღმერთქმნილთა“ შორის იგულისხმება.

³³ შიო-მღვიმის ისტ. საბუთები, გვ. 15.

³⁴ ქრონიკები, II, გვ. 69.

³⁵ ქრონიკები, II, გვ. 69.

³⁶ იოანე დამასკელი, სიტყუად სარწმუნოებისათს დახასიათებლად ნესტორიანთა ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—1463, გვ. 108.—ეს ადგილი ფილოლოგიურ შეცნობებშია დოქტორმა თ. ჭყონიამ მიგვითითა, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

³⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 354²².

³⁸ ქართლის ცხოვრება, I 362¹⁶.

ერთი მხრივ, დავითის ისტორიკოსის თხზულების; ხოლო მეორე მხრივ, დავითის ანდერძებისა და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სახელით დავითისთვის მირთმეული შესხმის თანდამთხვევა იზოთეიზმის გამოვლინებაში მნიშვნელოვან არგუმენტად მიგვაჩნია ამ ძეგლების ერთი საერთო ავტორის—არსენ ბერისთვის მისაკუთვნებლად. მეფის ღვთისსწორობის იდეის, ალბათ, მეზობელი ბიზანტიიდან ქართულ ნიადაგზე ვადმომწერავი მეფის ერთმპყრობელობის უდავოდ დიდი მხარდამჭერი იქნებოდა და სწორედ ასეთად წარმოგვიდგება ჩვენ საერთოდ არსენ ბერის პიროვნება. ეს მეტად განათლებული სასულიერო პირი, რომელიც საერო მწერლობის, კერძოდ, ბერძნულ-ლათინური კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავ ცოდნასაც ამჟღავნებს, ბრმა თაყვანისმცემელი როდია დავით აღმაშენებლის პიროვნებისა, არამედ დავითის პოლიტიკის აქტიური, შეგნებული მხარდამჭერი და გამტარებელია. ვიორგი ჭყონდიდლის მიმართ ნახმარი სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არის: „თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“³⁹.

ტბეთის საზარების ანდერძში მოხსენებული დემეტრე მეფის შწირველი არსენი იგივე ჩვენი არსენ ბერი უნდა იყოს. რაც შეეხება აქედან გამომდინარე პ. ცხვილოელის (კარბელაშვილის) მოსაზრებას არსენ ბერის საღირისძეობის შესახებ, ჩვენ ეს აზრავი მეტად სათუოდ მიგვაჩნია⁴⁰.

Д. Ж. Э. ОДИШЕЛИ

К ВОПРОСУ О ЛИЧНОСТИ ИСТОРИКА ДАВИДА СТРОИТЕЛЯ

Резюме

О личности историка Давида Строителя в некоторой степени обоснованное соображение высказано профессором С. Какабадзе, который считает что таковым является инок Арсений. Мы разделяем мнение С. Какабадзе, но его аргументацию считаем неубедительной.

В пользу авторства монаха Арсения в труде представлены следующие аргументы:

а) В истории Давида Строителя не упоминается монах Арсений—лицо очень приближенное к царю Давиду, его идейный сообщник, душеприказчик и под конец его духовник (в течении двух последних лет жизни Давида). В истории Давида Строителя обойти молчанием личность Арсения, мог только сам Арсений, который повидимому из-за скромности считал неудобным писать о себе.

б) История Давида Строителя находит много общего с некоторыми письменными памятниками, которые считаются произведениями монаха

³⁹ იქვე, გვ. 336₁₃.

⁴⁰ კ. ქვიციანიძე, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 30, იხ. აგრეთვე პ. ცხვილოელის წერილი: „ივერია“, 1900, № 229; Е. Такашвили, Материалы по археологии Кавказа, вып. XII, гв. 151—158

Арсения (Уложение Русско-урбнисского церковного собора и его продолжение—Восхваление Давида; метафрасское житие святой Нины; Завешания Давида Строителя Шио-мгвимскому и Гелатскому монастырям). Эти общие признаки следующие: увлечение историзмом, идея богоравности царя Давида (изотеизм); общность литературного стиля и схожие предложения, одинаковые реминисценции из библии.

წალი აღმსარ-მისნიშვილი

ხელნაწერთა დაზიანების გამომწვევი სოკოების წინააღმდეგ
ზოგიერთი პრეპარატის გამოცდის შედეგები

ხელნაწერთა დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათი დაზიანების გამომწვევი სოკოების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის ქიმიური საშუალებების შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხისადმი მიძღვნილია მთელი რიგი, როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ მკვლევართა შრომებისა (1, 2, 3, 4), შეიძლება ითქვას, რომ დღემდე დადგენილი არაა ქაღალდის დამაზიანებელ სოკოებთან ბრძოლის ეფექტური საშუალებანი.

ხელნაწერთა დამაზიანებელი სოკოების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიურ საშუალებათა გამოცდების მიზნით, ჩვენ მიერ გამოცდილი იყო შემდეგი ორგანული ფუნგიციდები: ფიგონი (0,5%, 1%, 2% კონცენტრაციებში), დინიტროროდანბენზოლი კოლოიდურ გოგირდზე (1%, 2%), ტეტრაამეთილთურამდისულფიდი (ტმოდ 1—5%), ეთილენბისდითიოკარბამინის მყავას თუთიის მარილი: (ცინები 3—5%), თიმოლი (1—2%), ფორმალინი (2—3%). პარალელურად იცდებოდა აგრეთვე ზოგიერთი არაორგანული პრეპარატიც: სოდა (8%, 12%), ბურა (8%, 12%), ბორის მყავა (5%, 8%, 10%) და შაბიამანი (2—3%).

აღნიშნული პრეპარატების ტოქსიკურობა ისწავლებოდა ხელნაწერებზე გავრცელებულ ცელულოზის დაშლელი სოკოების (*Penicillium tardum*, *Penicillium luteum*, *Aspergillus niger*, *Trichoderma lignorum*, *Stemphylium amoenum*, *Cladosporium herbarum*) მიმართ. ტოქსიკოლოგიური კვლევის დროს გამოყენებული იყო „ქაღალდის დისკოს“ მეთოდი. გამოსაცდელი სოკოს სპოროვანი სუსპენზია (დამზადებული ორკვირიანი კულტურისაგან) თითო მლ. რაოდენობით გადაგვექონდა სტერილურ პეტრის თასებზე. სუსპენზიას ვუმატებდით თბილ (25—27°C) 20—25 მგ ლუდ-აგარის სუბსტრატს. პეტრის თასის წელიწადურევიტ სპორები თანაბრად ნაწილდებოდა სუბსტრატის ზედაპირზე. ლუდ-აგარის ვაციების შემდეგ მასზე ვათავსებდით წინასწარ მოშხამულ 10 მმ დიამეტრის ქაღალდის დისკოს. საკონტროლოდ გამოყენებული იყო შეუწამლავი ფილტრის ქაღალდის დისკოები. ცდა ჩატარდა 4—4 განმეორებით შხამის ცალკეული კონცენტრაციის მიხედვით. სოკოს ზრდის შეზღუდული ზონა იზომებოდა მმ-ბით. ამ ცდების შედეგები მოცემულია 1 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამ ცდებში *Aspergillus niger*-ის მიმართ მაღალი ეფექტურობა გამოავლინა 1% თიმოლის ხსნარმა. სოკოს ზრდის შეზღუდვის რაოდენობა 100 მმ-ია, ჩვენ მიერ გამოცდილი ტმოდ-ს და დნრბ კოლოიდურ გოგირდით კონცენტრაციებში სოკოს ზრდა იზღუდება 60-70 მმ-ის ფარ-



ზოგიერთი პრეპარატის ტოქსიკურობა სხვადასხვა სოკო-ფრგანიზმის მიმართ („კალადის დისკოს“ მეთოდით)

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემია

პრეპარატის დასახელება	კონცენტრაცია პრეპარატის მიხედვით %/მლ-ით	ტემპერატურა ცდის დროს °C	სოკოს ზრდის შეზღუდვის ზონა მმ-ში					
			Trichoderma lignorum	Penicillium luteum	Stemphylium amoenum	Cladosporium herbarum	Penicillium tardum	Aspergillus niger
ტყედი	1	26-28	80	30	28	100	80	60
"	2	"	"	53	44	"	"	"
"	3	"	"	"	"	"	"	62
"	4	"	82	"	65	"	"	"
"	5	"	100	61	100	"	100	71
დნობ კოლოიდურ ფორმად ხე ფიგონი	1	"	61	100	78	"	"	68
"	2	"	100	"	100	"	"	70
"	0,5	"	მიც. ზრდა კარგი	30	19	22	23	30
"	1	"	18	"	"	"	"	58
"	2	"	"	40	"	30	30	65
ციმეზი	3	"	მიც. ზრდა კარგი	70	68	65	31	18
"	4	"	10	"	"	"	40	"
"	5	"	"	80	80	"	70	"
თიშოლი	1	"	100	100	100	100	100	100
"	2	"	"	"	"	"	"	"
ბურა	8	"	13	10	19	8	20	18
"	12	"	"	"	"	"	"	"
სოფა	8	"	მიც. ზრდა კარგი	მიც. ზრდა კარგი	მიც. ზრდა კარგი	მიც. ზრდა კარგი	მიც. ზრდა კარგი	მიც. ზრდა კარგი
"	12	"	"	"	"	"	"	"
ბორის მკევა	5	"	"	"	"	"	"	"
"	8	"	"	"	"	"	"	"
"	10	"	"	"	"	"	"	"
შაბიამანი	1	"	28	11	21	12	31	40
"	2	"	"	"	"	"	"	"
"	3	"	36	"	"	"	"	"
ფორმალინი	2	"	100	100	100	76	100	80
"	3	"	"	"	"	100	"	100
კონტროლი	—	"	მიცელ. ზრდა კარგი	მიც. ზრდა კარგი	მიც. ზრდა კარგი	მიც. ზრდა კარგი	მიც. ზრდა კარგი	მიც. ზრდა კარგი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

გლებში. ფიგონის ზემოქმედებით სოკოს ზრდა შეფერხებულია 30—65 მმ-ით. სუსტი ტოქსიკურობით ხასიათდება შაბიამანი, რომელიც იწვევს *Aspergillus niger*-ის ზრდის შეზღუდვას მხოლოდ 30—40 მმ-ით. ცინებით და ბურით დამუშავებისას სოკოს ზრდა მხოლოდ 18 მმ-ით იზღუდებოდა. სოდა და ბორის მკავა *Aspergillus niger*-ის მიმართ ტოქსიკურ თვისებებს არ ამჟღავნებენ.

თიმოლის და ღნრბ კოლოიდურ გოგირდით 1% სუსპენზიით დამუშავებისას *Penicillium luteum*-ის ზრდა თითქმის მთლიანად იზღუდება. მაღალი ტოქსიკურობით ხასიათდება ცინები 3—5% კონცენტრაციაში. ამ შემთხვევაში სოკოს ზრდა 70—80 მმ-ით შეფერხდა. ტმთდ-ს 1—5% სუსპენზიების ხმარებისას *Penicillium luteum*-ის ზრდა შეზღუდულია 61 მმ-ით. ორგანული პრეპარატებიდან *Penicillium luteum*-ის მიმართ შედარებით ნაკლები ტოქსიკურობა გამოავლინა ფიგონმა (სოკოს ზრდა 30—40 მმ-ით შეზღუდა). დანარჩენი მსამები სოკოს ზრდას ან ნაწილობრივ ზღუდავენ, ან სრულიად არატოქსიკურს, არიან.

Cladosporium herbarum-ის ზრდა მთლიანად შეაფერხა თიმოლის, ღნრბ კოლოიდურ გოგირდით და ტმთდ-ს 1% კონცენტრაციის ხსნარების მოქმედებამ. ცინების 3—5% სუსპენზიებით შეწამლულ ქაღალდის დისკოს მოქმედებისას სოკოს ზრდა 65 მმ-ით იზღუდება. ფიგონი სუსტ ტოქსიკურობას ამჟღავნებს *Cladosporium herbarum*-ის მიმართ. ფიგონის 0,5—2% კონცენტრაციაში სოკოს შეზღუდული ზონის რადიუსი 22—30 მმ-ს აღწევს. ბურა და შაბიამანი თითქმის არატოქსიკურნი არიან.

1% თიმოლით დამუშავებისას *Trichoderma lignorum*-ის ზრდა მთლიანად შეფერხებულია. ასეთივე შედეგს იძლევა 2% ღნრბ კოლოიდური გოგირდით და ტმთდ-ს 5% სუსპენზია. სუსტ ტოქსიკურ თვისებებს იჩენენ შაბიამანი, ფიგონი და ცინები. სოდა და ბორის მკავა *Trichoderma lignorum*-ის მიმართ არაა ტოქსიკური.

Stemphylium amoenum-ის და *Penicillium tardum*-ის წინააღმდეგ მაღალტოქსიკურობას იჩენენ 1% თიმოლის, 1—2% ღნრბ კოლოიდური გოგირდით და 5% ტმთდ-ს სუსპენზიები. 3—5% ცინებმა ამ სოკოების ზრდა 60—80 მმ-ით შეზღუდა. *Stemphylium amoenum*-ის და *Penicillium tardum*-ის მიმართ სუსტი ფუნგიციდური თვისებებით ხასიათდებიან შაბიამანი, ფიგონი და ბურა, ხოლო სოდა და ბორის მკავა აღნიშნული სოკოების მიმართ არატოქსიკურნი აღმოჩნდნენ.

დასკვნა

ჩენი ცდების მონაცემების მიხედვით ხელნაწერთა დაზიანების გამომწვევი სოკოები ფუნგიციდებისადმი სხვადასხვა გამძლეობით ხასიათდებიან.

თიმოლი და ფორმალინი ფუნგიციდური მოქმედების სიძლიერის მიხედვით ყველაზე მაღალტოქსიკურნი არიან, ამიტომ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნან ხელნაწერთა *Penicillium tardum*, *Penicillium luteum*, *Aspergillus niger*, *Trichoderma lignorum*, *Stemphylium amoenum* და *Cladosporium herbarum*-ით დაზიანების შემთხვევაში.

პრეპარატი ღნრბ კოლოიდურ გოგირდზე ანალოგიურ ტოქსიკურობას იჩენს იმავე სოკოების მიმართ (გარდა *Aspergillus niger*-ისა). ტმთდ-ს გამოყენება დასაშვებია ხელნაწერთა *Penicillium tardum*, *Stemphylium amoenum*, *Trichoderma lignorum* და *Cladosporium herbarum*-ით დაზიანების შემთხვევაში

Л. Г. АЛЕКСИ-МЕСХИШВИЛИ

РЕЗУЛЬТАТЫ ИСПЫТАНИЯ НЕКОТОРЫХ ПРЕПАРАТОВ ПРОТИВ ГРИБОВ ВЫЗЫВАЮЩИХ ПОВРЕЖДЕНИЕ РУКОПИСЕЙ

Резюме

Опыты проведенные по изучению действия некоторых фунгицидов на грибы повреждающие рукописи (*Aspergillus niger*, *Penicillium tardum*, *Penicillium luteum*, *Trichoderma lignorum*, *Cladosporium herbarum*, *Stemphylium amoenum*) показали:

По силе действия самыми эффективными фунгицидами являются тимол и формалин. 1-3% растворы этих фунгицидов вызывают полную гибель всех испытанных видов грибов.

Высокой фунгицидностью характеризуются 1-2% суспензии динитро-роданбензола на коллоидной сере по отношению к *Cladosporium herbarum*, *Stemphylium amoenum*, *Penicillium tardum*, *Penicillium luteum* и *Trichoderma lignorum*, что касается *Aspergillus niger*, то динитро-роданбензол только частично задерживает рост этого гриба.

Под воздействием 1-5% концентрации тетраметилтиурамдисульфида споры *Penicillium tardum*, *Trichoderma lignorum*, *Stemphylium amoenum* и *Cladosporium herbarum* полностью теряют жизнеспособность. Указанный препарат менее токсичен по отношению к *Aspergillus niger* и *Penicillium luteum*.

Цинковая соль этиленбисдитиокарбаминовой кислоты вызывает частичное угнетение роста *Penicillium tardum*, *Penicillium luteum*, *Cladosporium herbarum* и *Stemphylium amoenum*, а на *Trichoderma lignorum* и *Aspergillus niger* совсем не действует.

Фигон, бура, медный купорос проявляют слабые признаки токсичности против всех испытанных нами грибных организмов.

Сода и борная кислота нетоксичны.

Հ Ր Յ Յ Ն Ն Ն Ն Ն Ն Ն Ն

1. Белякова Л. А. Испытание устойчивости грибов к фунгицидам, Сборник материалов по сохранности книжных фондов Гос. Орд. Ленина Публ. биб-ки СССР В. З. М. 1958, с. 148—166.
2. Рыбакова С. П. Плесневые грибки на книгах и борьба с ними, Сборник материалов по сохранности книжных фондов, 2 изд. Гос. Биб-ки СССР им. В. И. Ленина М., 1947, с. 41—65.
3. Хзмалян З. В. Микроорганизмы книжного фонда Матенадарана Армянской ССР и разработка мероприятий по борьбе с ними, Автореф. дисс. представленной на соиск. ученой степ. канд. биол. наук. Ереван, 1956.
4. Czerwinska E., Sadurska I., Kozłowska D. Promieniowce niszczące papier Zabytkowy. Acta microbiol. polon 1953, 2, 2—3. 160—164

ქრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ტრ. რუხაძემ, მართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს

ტრ. რუხაძის ნაშრომი „ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.)“ წარმოადგენს ამ საკითხის პირველ მონოგრაფიულ დამუშავებას, პირველ ცდას თავი მოეყაროს ამ ურთიერთობის ამსახველ დიდალ მასალას.

ეს ურთიერთობა ავტორს არ ესმის ცალმხრივად. მან მოახერხა ეჩვენებინა როგორც ქართველთა წვლილი რუსული კულტურის ისტორიაში, ასევე რუსული კულტურის წვლილი ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიაში.

დიდალი ფაქტიური მასალის გამოყენების საფუძველზე ავტორმა კარგად წარმოადგინა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ადრეული ეტაპი და ამ ურთიერთობის განვითარების შემდგომი გზა და მნიშვნელობა. ამ მეტად აქტუალური თემის დამუშავება თხოულობდა როგორც ძველი, ისევე აღორძინებისა და გარდამავალი ხანის მწერლობის ღრმა ცოდნას არა მარტო არსებული სამეცნიერო ლიტერატურით, არამედ პირველ რიგში ხელნაწერთა საცავებში დაცული ხელნაწერების გაჩარევა-შესწავლით.

ეს შრომატევადი სამუშაო, ცხადია, ერთსა და ორ წელიწადში ვერ გაკეთდებოდა. ამას მრავალი წლის თავდადებული შრომა ესაჭიროებოდა.

ტრ. რუხაძე მკვლევართა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც მუშაობის დაწყებიდანვე იფარგლება კვლევის გარკვეული ვიწრო სფეროთი და ამ მიმართულებით მუშაობს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ერთი მიმართულებით გაწეულმა გამიზნულმა შრომამ გააპირობა მის ნაშრომებში მასალების და ახალი ცნობების სიუხვე.

ტრ. რუხაძის ამ უკანასკნელ მონოგრაფიას წინ უსწრებდა გარდამავალი ხანის ეპოსის, ლირიკისა და დრამის მონოგრაფიული დამუშავება. გარდამავალი ხანის ლიტერატურის პროდუქციის უმეტესობა რუსულიდან თარგმნილი ძეგლებია, ამიტომ ამ მონოგრაფიათა ერთი ნაწილი ბუნებრივად ჩაერთო ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიის საკითხებში. ამრიგად, წიგნში ერთგვარად შეჯამდა ტრ. რუხაძის მრავალი წლის შრომა, დაკვირვებები და ძიებები.

ვინაიდან აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ქართულ საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაში რუსეთის პოლიტიკური და კულტურული გავლენა ერთი უძლიერესი ფაქტორი იყო, ამიტომ ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიის გათვალისწინებით აღორძინებისა და გარდამავალი ხანის კულტურისა და ლიტერატურის რიგი საკვანძო საკითხი ახალ შეფასებას მიიღებს.

როგორც ვხედავთ, ტრ. რუხაძის საკვლევი თემა მეტად დიდი, მრავალფეროვანი და პასუხსაგებია.

ძირითადად თემა დაძლეულია, თავმოყრილია და კლასიფიცირებულია ამ ურთიერთობის ამსახველი წერილობითი მასალა. მოძებნილია ამ ურთიერთობის ისტორიულ-პოლიტიკური სარჩული; შესაძლებლობისდაგვარად შეფასებულია ლიტერატურული მოვლენები და ფაქტები.

იმის გამო, რომ საკვლევი თემა მეტად მრავალფეროვანია და საკითხთა უმრავლესობის კვლევა ავტორსვე უხდება, ტრ. რუხაძე იძულებული იყო წიგნი მრავალ თავად და ქვეთავად დაეყო.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს სამ თავს:

1) ქართველთა და რუსთა უძველესი შეხვედრები სამხედრო-პოლიტიკურსა და კულტურულ-ისტორიული მოქმედების ასპარეზზე.

2) აღორძინების ხანის საქართველო და რუსეთი (სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული დახასიათება).

3) ქართული ისტორიული სიუჟეტები, თქმულება-ლეგენდები ძველსა და XVIII საუკუნის რუსულ მწერლობაში.

მეორე განყოფილება დათმობილი აქვს რუსულიდან ქართულად თარგმნილ ძეგლებს, რომლებიც წიგნში დარგებად არის წარმოდგენილი და განხილული:

IV ისტორიულ-ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურა.

V საისტორიო მწერლობის ძეგლები.

VI რუსულიდან თარგმნილი რენესანსისა და განმანათლებელთა ეპოქის ლიტერატურა.

VII ნათარგმნი სამართლის ძეგლები.

VIII სამოგზაურო და გიოგრაფიული თხზულებანი.

IX საბუნებისმეტყველო, ფიზიკა-მათემატიკური.

X რუსულიდან თარგმნილი ლექსიკონები და მითოლოგიური წიგნები.

XI რომანული ძეგლები.

XII დიდაქტიკურ-მორალური ძეგლები.

XIII დრამატურგია.

XIV ლირიკა.

სანამ წიგნის განხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა ჯერ წიგნის შინაარსს (სარჩევს) შევხებთ.

ვფიქრობთ, რომ თავების დასათაურება არ არის ზუსტი. ასე მაგალითად:

IV თავის სათაურში ვკითხულობთ: „რუსულიდან თარგმნილი ისტორიულ-ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურა“. ხოლო უკანასკნელ თავებად გამოყოფილია რუსულიდან თარგმნილი რომანული ძეგლები, დიდაქტიკურ-მორალური ძეგლები, დრამატურგია, ლირიკა. მაგრამ, განა ყველა ეს დარგი მხატვრულ ლიტერატურას არ მიეკუთვნება? და თუ მიეკუთვნება, მაშინ რატომღა გამოყოფილი IV თავში ცალკე მხატვრული ლიტერატურა.

მაგრამ საქმე ისაა, რომ IV თავში განხილულია სასულიერო მწერლობის თარგმნილი ძეგლები, უმთავრესად ჰომილეტიკურ-ასკეტიკური და ლიტურგიული ხასიათისა, რომლებიც ძველი სასულიერო მწერლობის მნიშვნელოვან დარგებს და, გარკვეული მნიშვნელობით, მხატვრულ ლიტერატურასაც განეკუთვნებიან.

IV თავის სათაურშივე თვისობრივად უნდა გარჩეულიყო შესასწავლი მასალა საერო მხატვრული ლიტერატურის სხვა დარგებისაგან, მაშინ გასაგები გახდებოდა, თუ რატომ გამოყო ავტორმა მხატვრული ლიტერატურიდან ცალკე თავებად ლირიკა, დრამატურგია, რომანული ეპოსი და სხვ.

ტრ. რუხაძის წიგნი უთუოდ კარგ საშასხურს გაუწევს როგორც ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევრებს, ასევე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე მომუშავე ისტორიკოსებს. ეს მონოგრაფია თავისი უხვი მასალით საცნობარო წიგნია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის აღორძინების ხანის ლიტერატურის მკვლევარი. მაგრამ ამ ღირსებათა გვერდით ნაშრომს ნაკლები ბევრი აქვს, რომლის თავიდან აცილება მეტად სასურველი იყო.

წიგნის პირველი განყოფილება იწყება „ქართველთა და რუსთა უძველესი შეხვედრებით სამხედრო-პოლიტიკურსა და კულტურულ-ისტორიული მოქმედების ასპარეზზე“. ეს თავი შეიცავს ძირითადად ისტორიულ მასალას, რომლის საფუძვლიან შეფასებას ჩვენ ვერ ვიკისრებთ. ამიტომ ჩვენ ამ თავზე აღარ შევჩერდებით და გადავალთ მეორე თავზე, რომელიც წარმოადგენს აღორძინების ხანის საქართველოს და რუსეთის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ-კულტურულ-ისტორიულ დახასიათებას.

ბუნებრივია, რომ ამ თავში ავტორს უნდა განესაზღვრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარების ისტორიული მიჯნები და ამის შესაბამისად ლიტერატურულ ურთიერთობათა ხასიათიც.

როგორც ჩანს, ავტორს არ მიაჩნია შესაძლებლად რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის თვალსაზრისით აღორძინების ხანა ერთ ლიტერატურულ პერიოდად წარმოიდგინოს და ამიტომ გვთავაზობს აღორძინების ხანის 4 ქვეპერიოდს.

ასეთი პერიოდიზაცია სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არ არის. ესალი ლიტერატურულ, აერიოდიზაციის შემოტანა მონოგრაფიულ ნაშრომში მოულოდნელი არ იქნებოდა, ამ პერიოდიზაციის რაიმე პრინციპი რომ ჰქონდეს ავტორს შემუშავებული. რა საფუძველია ამგვარი პერიოდიზაციისათვის, რატომ გამოჰყოფს ავტორი 4 ქვეპერიოდს, რა არის ამ ქვეპერიოდებისათვის დამახასიათებელი და ნიშანდობლივი—ეს საკითხები სრულიად აუხსნელი რჩება წიგნში (იხ. გვ. 24, 54, 55).

ამ თავში ავტორი გლვხთა გამოსვლებსა და აჯანყებებს რუსეთსა და საქართველოში განიხილავს როგორც ანტიფეოდალური გამოსვლების დასაწყისს. ეს მიაჩნია ავტორს აღორძინების ხანის ერთ-ერთ წამყვან სოციალურ ფაქტორად; ამასთან დაკავშირებით 28-ე გვერდზე ვხვდებით ერთ მოულოდნელ წილსვლას. რომელიც აქ სრულიად უდავილო ჩანს. ტ. რუხაძე წერს: „ანტიფეოდალური გამოსვლებისა და თვით ქართველ დიდებულთა შორის ჩვეული შუღლის შედეგად პირისაგან მიწისა აღიგავა ქართველთა ნამაგარი ეკატერინე II დროის უკრაინაში. დავით გურამიშვილიც კი, რომელსაც ზოგიერთები „ჰუმანიურ თავადად“ სახავენ, ვერ გადაურჩა ყმების რისხვას. ნუთუ კვალიც არ უნდა დარჩენილიყო მისი სახლიდან“—კითხულობს ავტორი და ამთავრებს ამ აბზაცს შემდეგი პათეთური ფრაზით: „ჩვენ სულ არ ვართ განწყობილი ვაქოთ ჰუმანიური თავადებიო“.

თუ ტრიფონ რუხაძეს დავით გურამიშვილი არ მიაჩნია „ჰუმანიურ თავადად“ და პოლიტიკური სიფხიზლე უკარნახებს საწინააღმდეგო დებულება განავითაროს, ამას ფაქტები ესაპირობება და არა ავტორის „განწყობა“, მაგრამ

ამას ტრ. რუხაძე ვერ ახერხებს. იქვე მეორე გვერდზე ის წერს: „დ. გურამი-შვილმა ნამდვილ და მორალით აღსავსე ადამიანის იდეალი დაინახა მიწის მუშაეში, გლეხსა და უბრალო მწყემსში“.

განა ასეთ პიროვნებას არ შეიძლება ეწოდოს „პუმანიური თავადი“? მაგრამ ეს გამოთქმა ტრ. რუხაძეს, ეტყობა, იქამდე ოდიოზურად მიაჩნია, რომ, როგორც დიდ ცოდვას, ემიჯნება, თუმცა ფაქტებს ვერ ფარავს.

სხვათა კრიტიკის მიზნით შეტანილი ეს და მსგავსი წილსვლები და შენიშვნები მეტად უფხო და უადგილოა და წიგნს მხოლოდ აუფასურებს.

ამ ერთი შეხედვით წვრილმან ფაქტზე ჩვენ არ გავამახვილებდით ყურადღებას, ასეთ გაუმართლებელ მედიდურობას ავტორი თავისი მუშაობის მეთოდად რომ არ აცხადებდეს. შესავალში (გვ. 10) ის წერს: „ჩვენს გამოკვლევაში გვერდი ავუარეთ პოლემიკას, რადგან ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ძველ სათავეებზე ჯერ არ დაბეჭდილა მონოგრაფიული ნარკვევი, ხოლო იმასთან კამათი, ვისაც საკითხი სპეციალურად, არ უკვლევია, უაზროა“. პოლემიკა, რა თქმა უნდა, სავალდებულო არ არის, მით უმეტეს, თუ ამის საჭიროებას ვერ ხედავს ავტორი, მაგრამ პოლემიკაზე თავიდანვე უარის თქმა იმ მოტივით, რომ ამის ღირსი არავინ არ არის, ვინაიდან მონოგრაფიულად ეს საკითხი არავის დაუმუშავებია, სხვა რომ არაფერი ვთქვა, უხერხულია. სინამდვილეში ავტორს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით დიდი სამეცნიერო ლიტერატურა აქვს გამოყენებული და სხვათა დაკვირვებებიც ხშირად აქვს შეტანილი წიგნში.

ამავე თავში ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი „აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურა“, სადაც მოკლედ არის დახასიათებული ამ პერიოდის ძირითადი ლიტერატურული მიმართულებები. ავტორის ყურადღების ცენტრში მაინც ერთი თემაა: თარგმნილი ლიტერატურა და რუსულიდან მთარგმნელთა წრე. ამ საკითხთანაა აუშუალოდ დაკავშირებული „ქართული კულტურის კერები რუსეთში“.

ავტორმა ამ ქვეთავში თავი მოუყარა მდიდარ ფაქტიურ მასალას, მაგრამ, შესაძლებელია, სწორედ მასალის სიუხვემ განსაზღვრა ამ ნაწილის სქემატურობა. ფაქტიურად, აქ აღნუსხულია ქართული კოლონიები რუსეთში და ჩამოთვლილია იქ მოღვაწე ქართველები. ავტორი საკმარის ყურადღებას არ უთმობს ცალკეული მსხვილი კოლონიის (არჩილისა და ვახტანგის) პოლიტიკურ და ლიტერატურულ დახასიათებას. ვფიქრობ, რომ ემიგრანტი მწერლების მართო მთარგმნელობითი საქმიანობის განხილვაც ვერ შექმნის ამ კოლონიის მუშაობის სრულ სურათს. ხშირად ამ მოღვაწეთა ორიგინალური შემოქმედებაც გაპირობებული იყო რუსული ლიტერატურისა და მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნილებებით. ქართული კოლონიების განხილვისას ამ ცალმხრივობას ასცდებოდა ავტორი, კოლონიების საქმიანობა რომ განეხილა როგორც ნაწილი ქართული მწერლობის განვითარების ერთიანი პროცესისა და არა როგორც ჯამი ცალკეული ფაქტებისა. ნაშრომის სწორედ ამ თავს მოეთხოვებოდა გეზის მიმცემი განზოგადებები.

ამ თავში რუსეთში ქართველთა მოღვაწეობისა და რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის ამსახველი მდიდარი მასალაა წარმოდგენილი, მაგრამ ავტორს მაინც გამორჩა ზოგი რამ რაც, ჩვენის აზრით, ყურადღების ღირსი იყო. ავტორი ვრცლად ჩერდება თეოფანე პროკოპოვიჩისა და იოსებ სამებლის ურთიერთობაზე, მაგრამ არაფერს კამბობს კვიპრიანე სამთავნელზე ზომელიც აქ-

ტიურად იყო ჩაბმული მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის საქმიანობაში, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი ძეგები ლიხუდები. ამ ბოლო წლებში გაირკვა, რომ ლიხუდებს განზრახული ჰქონიათ შეედგინათ ბერძნული ენის მოკლე გრამატიკა ბერძნულ, ლათინურ, სლავურ და ქართულ ენებზე, და რომ ქართულ ენაზე ამ გრამატიკის თარგმნა დავალებული ჰქონდა კვიპრიანე სამთავენელს (იხ. თ. ბრეგაძე, ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულში შესული ბერძნული სამართლის წყაროსათვის; საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XX—XXI, 13).

ეს ფაქტი საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ კვიპრიანე ჩაბმული იყო მოსკოვის ერთ-ერთი უძლიერესი სამეცნიერო ცენტრის მუშაობაში, არამედ პირველ რიგში იმით, რომ სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის ამავალარებს—ძმებს ლიხუდებს—ბერძნული გრამატიკის თარგმნა, სლავურთან ერთად ქართულ ენაზეც მეტად საჭირო და აუცილებელ საქმედ მიაჩნდათ.

ტრ. რუხაძე ამავე თავში ვრცლად ჩერდება იმაზე, თუ როგორ აფასებდნენ ქართველი მწერლები პეტრე პირველს და რუსის რეგულარულ გვარდიას (გვ. 46—47). მაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ შეაქო სტუდენტ კონდრატოვიჩმა ვახტანგ VI 1732 წელს მისდამი მიძღვნილ ლექსში¹, რომელიც სხვათა შორის, საპატიო ადგილას იყო წარმოდგენილი ამ რამდენიმე წლის წინ დონის მონასტერში გამართულ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველ გამოფენაზე.

ასევე ყურადღების ღირსია ე. წ. „დონის წიგნი“ (დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში). ეს ხელნაწერი შეიცავს მდიდარ და საინტერესო მასალას ქართველთა მოღვაწეობის შესახებ დონის მონასტერში.

წიგნის III თავში ავტორი იხილავს ქართულ ისტორიულ სიუჟეტებს, თქმულება-ლეგენდებს ძველსა და XVIII ს. რუსულ მწერლობაში; ქართულ სიუჟეტებს კიევი-პეჩორის ლავრის მხატვრობაში, ივერიის ღვთისმშობლის ხატზე შექმნილ თქმულებებს, ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლას.

დინარა-თამარის თქმულებებთან დაკავშირებით ავტორი იყენებს ამ საკითხზე დაწერილ სამეცნიერო ლიტერატურას, მაგრამ ამასთანავე მოაქვს თავისი დაკვირვებებიც, რომლებიც უთუოდ ანგარიშგასაწევიან. ავტორი გვთავაზობს დინარას თქმულკბც ერთი ბუნდოვანი ადვილის ახალ ვაკებას (გვ. 127).

ამავე თავში ავტორი ვრცლად ჩერდება რუს მოგზაურთა ჩანაწერებზე, „ტოლმაჩებზე“ და მეფეთა ოფიციალურ მიმოწერაზე, აღნიშნავს მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას რუსეთ-საქართველოს ურთიერთგაცნობისა და დაახლოების თვალსაზრისით და აქვე სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ დოკუმენტებს არ ჰქონდათ ლიტერატურული მნიშვნელობა, რომ ქართულ-რუსულ ლიტერატურული ურთიერთობა იწყება მხოლოდ XVII საუკუნიდან, როდესაც ქართველები შეუდგნენ ლიტერატურულ ძეგლთა თარგმნას.

ავტორი დიდ ადგილს უთმობს ამ თავში სვიმონ ეგნატაშვილის „ბარამგულანდამიანის“ განხილვას.

ავტორი ადარებს ამ თხზულების რუსულ-ქართულ რედაქციებს და ეძებს რუსულის წყაროებს.

კარგი იყო ავტორი რუსულ „ბარამგულანდამიანის“ ლიტერატურულ ღირსებებსაც შეხებოდა და ეჩვენებინა, თუ რა ადგილი უკავია „ბარამგულანდამი-

¹ Приветствие Грузинскому царю Вахтангу, произнесенное студентом Кондратовичем 30 ноября 1732 года.

ანს“ რუსული ლიტერატურის ისტორიაში, რამ გამოიწვია ამ ნაწარმოების შექმნა. საჭირო იყო იმის აღნიშვნაც, თუ როგორ ფლობს ს. ეგნატაშვილი რუსულ ლექსს და, ამ მხრივ, რა ღირებულება აქვს თხზულებას. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ამ თხზულების მხატვრულ-ლიტერატურული გახსნა.

წიგნის II ნაწილი თავისი მრავალფეროვანი და რიგ შემთხვევაში სრულიად ახალი მასალით ბევრად უფრო ფასეულია ვინემ I ნაწილი.

ავტორის სამართლიანი შენიშვნით, „XVII საუკუნის გასულსა და XVIII საუკუნეში არ დარჩენილა საქრისტიანო-თეოლოგიური ლიტერატურის არც ერთი დარგის წიგნი, რომ სლავურ-რუსულის მიხედვით არ შესწორებულიყო. ხოლო რუსულიდან თარგმნილი პიესების საფუძველზე აღმოცენდა XVIII ს. II ნახევრამდე ქართულ მწერლობაში უცნობი ქანრი—დრამატურგია“ (გვ. 149). ასევე გამდიდრდა რუსულიდან თარგმნილი წიგნებით ისტორიული, ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურის მრავალი დარგი.

II ნაწილში განხილული მასალის დიდი უმრავლესობა ხელნაწერების სახითაა მოღწეული, ამიტომ ტრიფონ რუხაძე წიგნის ამ ნაწილში ძირითადად ხელნაწერი მასალით სარგებლობს.

მკვლევარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის კარგად იცნობს, როგორც საქართველოს წიგნთსაცავებში დაცულ ხელნაწერებს, ასევე მოსკოვისა და ლენინგრადის ხელნაწერ კოლექციებს.

სისტემაში მოყვანილი, დარგობლივად დალაგებული მთელი ეს ხელნაწერი მასალა საცნობარო წიგნის მნიშვნელობას ანიჭებს ამ ნაშრომის მეორე ნაწილს. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ავტორს პირველწყაროებთან აქვს საქმე და არა ნაბეჭდ წიგნთან, მას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებდა მათი გამოყენებისა და დასახელების დროს. სამწუხაროდ, ტრ. რუხაძე ამ მხრივ დიდ დაუდევრობას იჩენს. შეიძლება დავასახელოთ მრავალი შემთხვევა, სადაც ხელნაწერთა მითითებებისას არეულია ნომერი, ფონდი ან გვერდი. მოვიყვანთ მხოლოდ, რამდენიმე მაგალითს:

იონა ხელაშვილის ეგზეგეტიკურ შრომებთან დაკავშირებით მითითებულია ხელნაწერი S—332 (გვ. 154, სქოლიო 4). სინამდვილეში ეს არის იოსიპოს ფლავიოსის „ბრძოლისათვის იუდეველთა“.

გაიოზ რექტორისა და რომანოზ ბაზლიძის მიერ რუსულიდან თარგმნილი „ივერიის მფარველი ხატის ისტორიისათვის“ ტ. რუხაძე იმწმებს ხელნაწერ S—417. სინამდვილეში ხელნაწერი XII საუკუნის მეტაფრასია (გვ. 110, სქ. 3). წიგნის 239 გვერდის 1 სქოლიოში ავტორი ანტონ I-ის თარგმნილი „ფიზიკის“ სხვა ხელნაწერებთან ერთად შეცდომით ასახელებს H—491-სა და H—578-ს.

დავით ბატონიშვილის თარგმნილი „სამგზავრო გეოგრაფიისათვის“ მითითებულია ხელნაწერი S—1141 (გვ. 254, სქ. 3).

ეს ხელნაწერი კი X საუკუნის ცნობილი „შატბერდის კრებულია“.

ასევე არასწორად არის მითითებული როლენის ძველი ისტორიისათვის ხელნაწერი H—1520 (გვ. 237, სქ. 2), რომელიც სინამდვილეში აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ლექსთა კრებულს წარმოადგენს.

ჩვენ ამ შეცდომებზე იმიტომ ვჩერდებით, რომ მონოგრაფიის II ნაწილი თავისი ხასიათით საჭირო და სასარგებლო საცნობარო წიგნად უნდა იქნეს მიჩნეული. საცნობარო წიგნს კი პირველ რიგში ცნობათა სიზუსტე მოეთხოვება. ეს სიზუსტე ნაშრომს უთუოდ აკლია.

ხელნაწერთა დამოწმებისა და გამოყენების თვალსაზრისით კიდევ ერთი მე-
თოდური ხასიათის შენიშვნა გვაქვს.

ცნობები თარგმნილ თხზულებებსა და მათი მთარგმნელების შესახებ ტრ.
რუხაძეს სხვადასხვა გზით აქვს მოპოვებული. ამ ცნობათა უმრავლესობა უშუ-
ალოდ ხელნაწერთა ანდერძებსა და შესავლებშია დაცული. ანდერძ-შესავლები
კი გამოქვეყნებულია ხელნაწერთა აღწერილობებში. მხოლოდ საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმმა და ხელნაწერთა ინსტიტუტმა გამოაქვეყნეს ამ უაღას-
კნელი ათეული წლის მანძილზე ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის თორმე-
ტი ტომი. ამ ტომებში გამოქვეყნებული ანდერძ-მინაწერებით ავტორი უხვად
სარგებლობს. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თხზულების ავ-
ტორზე ან მთარგმნელზე ხელნაწერი ცნობებს არ გვაწვდის. რიგ შემთხვევაში
ხელნაწერთა აღმწერლები ასერხებენ თხზულებათა ავტორისა თუ მთარგმნელის
დადგენას, რაც სათანადოდ არის აღნიშნული ისევე ხელნაწერთა აღწერილობებ-
ში. ამ შემთხვევაშიც ავტორი ხელნაწერთა აღწერილობათა გამოყენებით მზა-
მზარეულ ცნობებს ლებულობს. და ბოლოს, არის მესამე შემთხვევაც, როდესაც
ხელნაწერი არავითარ ცნობას ავტორისა და მთარგმნელის შესახებ არ გვა-
წვდის. არც აღმწერელს აქვს ამ მხრივ რაიმე გარკვეული; ამ შემთხვევაში უკვე
მკვლევრის უნარზეა დამოკიდებული ამ საკითხების გარკვევა.

ტრ. რუხაძის ნაშრომში არ არის ვამიჯნული მასალის მოწოდების ეს საკი-
გზა და მკითხველს, რომელსაც სპეციალურად არ უმუშავია ამ საკითხებზე,
შეიძლება დარჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ყველა ცნობა რუსულიდან თარ-
გმნილ თხზულებათა, მათი ავტორებისა თუ მთარგმნელების შესახებ მხოლოდ
ტრ. რუხაძის კვლევა-ძიების შედეგად არის მოპოვებული. ეს, რა თქმა უნდა,
ასე არ არის.

წიგნის მეორე განყოფილებაში დარგებად არის განხილული რუსულიდან
თარგმნილი თხზულებები. ავტორი იწყებს ბიბლიური, ეგზეგეტიკური და აპო-
კრიფული თარგმნილი ძეგლების განხილვით. ამ ნაწილში მოტანილი ზოგიერ-
თი ცნობა, ჩვენის აზრით, დაზუსტებას თხოულობს. ასე მაგ.: 154 გვერდზე ავ-
ტორი წერს: „დანამდვილებით ვიცი, რომ იონამ (იგულისხმება ხელაშვილი—
ე. მ.) რუსულიდან გადმოიღო ბიბლიურ-ეგზეგეტიკური წიგნები“. აქვე ავტორი
ასახელებს იმ ხელნაწერებს, რომლებიც შეიცავენ იონას თხზულებებს. ხელნა-
წერების წინასიტყვაობიდან არ ჩანს თარგმნა თუ არა და საიდან თარგმნა იონამ
ეს ძეგლები. ტრ. რუხაძემ რატომღაც „დანამდვილებით იცის“, რომ ეს ასეა.
მკითხველი მზად არის გაიზიაროს მკვლევრის ასეთი მტკიცე რწმენა, მაგრამ
აჯობებდა ამასთან ერთად სხვა საბუთიც მოეტანა ავტორს.

უთუოდ საინტერესოა ამ თავში პროლოგ-სვინაქსარის საკითხის განხილვა.
პროლოგ-სვინაქსარის ქართული თარგმანის არსებობა ტრ. რუხაძემ დაადგინა.
მანვე მიაკვლია ამ ძეგლის რამდენიმე ხელნაწერ ნუსხას. ამათგან ყველაზე
სრულია A—112, რომელიც, ავტორის ფრთხილი ვარაუდით, არჩილის ავტო-
გრაფს უნდა წარმოადგენდეს; არჩილისავე თარგმნილად მიაჩნია მკვლევარს
პროლოგ-სვინაქსარი. მართალია, A—112 ხელნაწერის ავტოგრაფულობა ნაშ-
რომში დამტკიცებული არ არის, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ზემოთ მოხსენე-
ბული ვარაუდის დაშვებას. თუმცა მაინც საოცარია, რომ ხელნაწერი A—112-ი,
რომელიც არჩილის ავტოგრაფია ან ყოველშემთხვევაში მისსავე სიცოცხლე-
შია დაწერილი, არ ასახელებს პროლოგ-სვინაქსარის მთარგმნელს. ასევე არ
ჩანს მთარგმნელი პროლოგ-სვინაქსარის სხვა გვიანდელ ნუსხებში. მეორეს

ნხრით, ამავე პროლოგში შეტანილია, როგორც ჩანს, პროლოგ-სვინაქსარის ქართველი მთარგმნელ-რედაქტორის მიერ, ალექსანდრე არჩილისძის თარგმნილი სიმეონ პოლოცკის საკითხავი. ამ საკითხავის სათაურშივე მოხსენებულია მთარგმნელის ვინაობა. ასეთ ვითარებაში აუხსნელი რჩება რატომ არ ჩანს არსად პროლოგ-სვინაქსარის (ამ უზარმაზარი წიგნის) მთარგმნელი არჩილი, რატომ მივიწყეს მისი ღვაწლი გვიანდელმა მოღვაწეებმა? ამის გამო საჭირო იყო უფრო გამოწვლილვით განხილულიყო არჩილის მთარგმნელობის საკითხი. ლექსიკურად და სტილისტურად შედარებულიყო პროლოგ-სვინაქსარი არჩილის სხვა თარგმანებს. ცნობილია, რომ არჩილის თარგმნილი მაკაბელთა და ეზრას წიგნებში, იძებნება აზრობრივი ლაფსუსები, რომლებიც ენის უცოდინარობითაა გამოწვეული. კარგი იყო ავტორს ეჩვენებინა რა ვითარებაა ამ მხრივ პროლოგ-სვინაქსარში. შესაძლოა ეს ერთ-ერთ საბუთად გამოადგეს ავტორს მთარგმნელის ვინაობის დადგენის დროს. ამ საკითხს ტ. რუხაძე არ შეხებია, სამაგიეროდ იგი ვრცლად ჩერდება რუსული პროლოგის წყაროებზე და ცდილობს „გახსნას“ ის წყაროები, რომლებიც ზედაპირზე არ ჩანან ან დამახინჯებულად არიან წარმოდგენილი (გვ. 161). ეს წყაროები საფუძვლიანადაა შესწავლილი რუსულ კრიტიკულ ლიტერატურაში; ცხადია, ის რაც ირუსულ დედანში მოიპოვებოდა, გადმოვიდოდა ქართულშიც, ამდენად „გახსნელი“ აქ არაფერი იყო.

ტ. რუხაძეს გარკვეული აქვს, რომ პროლოგ-სვინაქსარი, როგორც ლიტერატურული წყარო, გამოუყენებიათ სხვებსაც: ბესარიონ ორბელიანს „სადღესასწაულოს“ შედგენისას უსარგებლია არჩილის გადმოღებული პროლოგ-სვინაქსარით, ხოლო „სადღესასწაულო“ დაუსრულებია 1709 წელს, როცა ბესარიონ ორბელიანი ჯერ კიდევ დავით გარეჯის წინამძღვარი იყო (1697—1713)“, (გვ. 177—178). ბესარიონის შედგენილ „სადღესასწაულოდ“ ტ. რუხაძეს მიაჩნია A—59.

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ბესარიონი არასდროს არ ყოფილა დავით გარეჯის წინამძღვარი², არც ის არის ნათელი, თუ რატომ მიაწერეს ტ. რუხაძე ბესარიონს ხელნაწერ A—59-ს.

ამ „სადღესასწაულოს“ შემდგენელი მართლაც იყურება პროლოგ-სვინაქსარში და რუსულ ტიპიკონში. ამავე დროს, ხელნაწერი ბესარიონ ორბელიშვილის საკუთრება ყოფილა (ხელნაწერს თითქოს ბესარიონისვე ხელითა აქვს მოწერილი თარიღი 1709 წელი), მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ „სადღესასწაულოს“ ეს რედაქცია ბესარიონის შედგენილია. ჩვენს დაკვირვებით, A—59 გადაწერილი ჩანს A—112 ხელნაწერის ხელით, ე. ი. პროლოგ-სვინაქსარის ძირითადი და უძველესი ხელნაწერის ხელით, რომელიც ტ. რუხაძის ვარაუდით არჩილს უნდა ეკუთვნოდეს. ამგვარად, „სადღესასწაულო“ A—59 გამოსულა იმავე პირის ხელიდან, რომელსაც უთარგმნია თუ გადაუწერია პროლოგ-სვინაქსარის უძველესი ხელნაწერი A—112.

ამ ფაქტმა კი შეიძლება ბევრი რამ ახსნას.

ასევე არ არის ნათელი, თუ რატომ მიაწერეს ტ. რუხაძე „სადღესასწაულო“ A—425-ის შედგენას დომენტი კათალიკოსს.

² მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა: ხელნაწერთა ინსტიტუტის მთაბე, ტ. V.

მართალია, „სადღესასწაულო“ გადაწერილია დომენტის განკარგულებით, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ თვითონ დომენტიც ამ რედაქციის შემდგენელი?

ამ რიგის საკითხები, ასეთი კი ნაშრომში ბევრია, სასურველი იყო მეტი დაკვირვებითა და სიზუსტით დამუშავებულიყო.

წიგნში არ არის დასაბუთებული, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ იოანე ბოლნელი რუსული ტეპიკონის მთარგმნელ-გადმომკეთებლად, ხოლო ნოკოლოზ მალაღაძე იოანე ბოლნელის თანაავტორად (გვ. 187). ასევე მოკლებულია საფუძველს მტკიცება, თითქოს, კონსტანტინე ჯორჯაძე იყოს „სწავლათა კიდობანის“ ავტორი (გვ. 287). წიგნის ამავე ნაწილში დაზუსტებას თხოვლობს კვინტოს კურციუსის ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების თარგმანთა რედაქციები. ამის თაობაზე ავტორი წერს: „ეს ტექსტი ქართულად ორჯერ ყოფილა თარგმნილი. ერთხელ ის უთარგმნია გაბრიელ ჩხეიძეს, ხოლო, მეორედ ანტონ I-ს. აქვე დასძენს, რომ გაბრიელ ჩხეიძის თარგმანს ჩვენამდე ავტოგრაფით (H—254) მოუღწევია (გვ. 229).

სინამდვილეში ალექსანდრეს ცხოვრების სამი სხვადასხვა თარგმანი არსებობს. მესამე შესრულებულია XIX საუკუნის დამდეგს Крашенинников-ის 1719 წლის გამოცემიდან (იხ. ხელნაწერი S—2390).

რუსულიდან თარგმნილი სასულიერო ძეგლების მიმოხილვის შემდეგ ავტორი გადადის ცალკეული ავტორების განხილვაზე და ბოლოს, კვლავ მასალის დარგობლივ განხილვას უბრუნდება.

ტრ. რუხაძეს გარკვეული აქვს, რომ ქართველებისთვის ცნობილი ყოფილა კირილე ტუროვსკის ერთი იგავის თარგმანი, აგრეთვე სიმეონ პოლოცკის დიდაქტიკური ლექსები. კარგად აქვს დაჭერილი ავტორს ს. პოლოცკის გავლენა დ. გურამიშვილზე. ცალკე ეხება ავტორი ალექსანდრე არჩილისძის თარგმნილ ღვთისმშობლის საკითხავს.

თარგმნითი ლიტერატურის დარგობლივ მიმოხილვაშიც მრავალ ახალ ცნობას შეხვდება მკვლევარი თარგმნილ ძეგლებისა და მათ მთარგმნელთა შესახებ. მაგრამ ამასთან ვხვდებით აშკარა მცდარ ცნობებსა და დასკვნებს. სანიმუშოდ შეგვხვთ ვახუშტი ბაგრატიონის თარგმნილ სტრათემანის „საპოლიტიკო თეატრონს“. თარგმანის ვრცელმა ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია ვახუშტის ორი ავტოგრაფული ნუსხით S—420 და S—1614, Q—177. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა აღწერილობათა S—1 და Q—1 ტომებში გამოქვეყნებულია „თეატრონის“ წინასიტყვაობა და ანდერძები, სადაც ამ წიგნის შექმნისა და თარგმნის ისტორიაა გადმოცემული. ამის მიუხედავად ტრ. რუხაძემ შესძლო ნათელი საკითხის ისე დაბნევა, რომ გამოუცდელი მკითხველი სრულიად დაკარგავს ამ საკითხში ყოველგვარ ორიენტირს.

232 გვერდზე ტრ. რუხაძე წერს: „საპოლიტიკო თეატრი“, დავით რექტორის შედგენილი კატალოგით, თარგმნა ვახუშტი ბატონიშვილმაო“. საოცარია, რად სჭირდება ამას დავით რექტორის დამოწმება, როდესაც „თეატრონის“ შესავალში ვახუშტი წერს: „ვიინითგან ენასა ზედა ჩვენ ქართველთასა ესრეთნი მათიანენი ნაკლულევანნი არიან, და არა თუ ნაკლულევანნი, არამედ სმენითაცა ძნიადნი, ამისთვის გვთნდა და ვიშეცადუნე გარმოლებასა რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა“.

ამგვარად, ვახუშტი ბატონიშვილს უთარგმნია „თეატრონი“. ვახუშტიმდე ეს თხზულება თარგმნილი კი არა, გაგონილიც არა ვის ჰქონია საქართველოში.

ტრ. რუხაძე კი წერს: „თეატრის მატინე“ ლათინურიდან რუსულად უთარგმნია გაბრიელ ბუჟინსკის. ეს თარგმანი დადებია საფუძვლად ვახუშტის მიერ გამოყენებულ „თეატრის მატინის“ ქართულ თარგმანს“, რომელიც სარიდან ჩოლოყაშვილს „ეკუთვნის“ (გვ. 232) მაშასადამე, ბროსეზე დაყრდნობით, ყოველგვარი საბუთის გარეშე, ტრ. რუხაძეს მიაჩნია, რომ „თეატრონი“ თავდაპირველად უთარგმნია სარიდან ჩოლოყაშვილს, ხოლო შემდეგ ამ თარგმანით უსარგებლია ვახუშტის.

სინამდვილეში სარიდან ჩოლოყაშვილის თარგმანი არ არსებობს და „საპოლიტიკო თეატრონის“ ერთადერთი თარგმანი ეკუთვნის ვახუშტის. მაგრამ ამით როდი თავდება ტრ. რუხაძის წიგნში „თეატრონის“ კვლევა.

რუსული დედნის ლათინურიდან მთარგმნელის ბუჟინსკის დასახელები-სას ავტორი არაფერს ამბობს „საპოლიტიკო თეატრონის“ ავტორზე—სტრათემაზე. ჩვენ გვეგონა, რომ ავტორს შემთხვევით გამოჩნა ეს მხედველობიდან. მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ეს სავსებით შეგნებულ დუმილი ყოფილა. როგორც ჩანს, „საპოლიტიკო თეატრონის“ ბუჟინსკისეულ თარგმანის ავტორად მას სტრათემანი არ მიაჩნია, ვინაიდან „საპოლიტიკო თეატრის“ მეორე, ვენედიქტესეულ თარგმანთან დაკავშირებით ის წერს: „ჯვარის წინამძღვარს ვენედიქტეს მიერ თარგმნილი „საპოლიტიკო თეატრის“ წყაროა ამ ნაწარმოების მეორე რედაქცია, რომელიც ლათინურ ენაზე შეადგინა სტრათემანმა“ (გვ. 233).

მაშასადამე, ტრ. რუხაძე ფიქრობს, რომ სტრათემანის ტექსტი უთარგმნია ვენედიქტეს, ხოლო ვახუშტის კი ბუჟინსკის რუსული თარგმანი ჰქონია დედნად. სინამდვილეში, სტრათემანი რუსულად თარგმნა ბუჟინსკიმ, ხოლო ბუჟინსკი თარგმნა ვახუშტიმ.

გასარკვევი რჩება, თუ რა უთარგმნია ვენედიქტეს და რას წარმოადგენს ვენედიქტეს თარგმნილი „საპოლიტიკო თეატრონი“.

ვახუშტისა და ვენედიქტეს თარგმანებს ერთი და იგივე სათაური („საპოლიტიკო თეატრი“) აქვთ. შინაარსობლივად კი მათ შორის არაფერი საერთო არ არის. ამდენად, ჩვენ „თეატრონის“ ორ რედაქციასთან კი არ გვაქვს საქმე, როგორც ეს ტრ. რუხაძეს ჰგონია, არამედ ორ სხვადასხვა თხზულებასთან. ის რაც თარგმნა ვახუშტიმ—სტრათემანის „საპოლიტიკო ისტორია“—არის მატინური ანუ ისტორიული ხასიათის თხზულება და მოიცავს ისტორიას ძველი აღთქმიდან 1670 წლამდე.

ხოლო მეორე, ვენედიქტესეული თარგმანი „საპოლიტიკო თეატრისა“ არის „საყოფაქცეო სახილველობა“ და წარმოადგენს ეთიკურ-აღიქტიკურ ხასიათის თხზულებას.

ვენედიქტესეული თარგმანის დედანი უნდა იყოს რუსული Феатрон или позор правоучительный (იხ. Сопиков, № 1682) ან Зерцало монархов (Сопиков, 1683), ვახუშტისეული თარგმანისა კი Феатрон, или позор исторический (Сопиков № № 1681).

და ბოლოს, უნდა შევჩერდე ზოგიერთ წვრილმანზე, რომელიც ავტორის დაუდევრობით მინდა ავხსნა.

ავტორი ყოველთვის ზუსტი მნიშვნელობით არ ხმარობს უცხო სიტყვებს: აპრიორი, კონიუნქტურა — კონიუნქტურას მაგივრად (იხ. გვ. 124, 127, 157). რუსი მოგზაურის გვარი გაგარა წიგნში ორნაირი დაწერილობით გვხვდება: გოგარა (გვ. 104, 128) და გაგარა. ეტყობა პირველი ფორმა ავტორის სწორად შიაჩნია, ვინაიდან საძიებელშიც გოგარაზეა გატანილი ეს გვარი.

ტრ. რუხაძე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა რუსულიდან თარგმნილ ქართულ ძეგლებზე, როგორც ჩანს, ქართველ მათგამნელთა გავლენისაგან ვერ განთავისუფლდა. XVIII საუკუნეში ქართველ მთარგმნელებს ხშირად საკუთარი სახელები ისევე ნაბრუნავი ფორმით გადმოჰქონდათ ქართულში, როგორც ეს რუსულში იყო. ასე მაგ. ხელნაწერებში შეხვდებით: „მოგზაურობა ბარონა და პოლნიცასი“.

მსგავსი მავალითები დასტურდება ტრ. რუხაძის წიგნში: ცნობილი პოლონელი მწერალი ბენიაშ ბუდნი ამ წიგნში ბენიაშა ბუდნის ფორმით არის დამკვიდრებული (ასეა ეს ტექსტშიც — გვ. 283 — და საძიებელშიც), ასევე ნიკოლოზ რაძივილი — რაძივილა-დ, და სხვ.

ჩვენი შენიშვნები ტრ. რუხაძის წიგნის ღირსებას ვერ ფარავენ. ნაშრომში თავმოყრილი და დამუშავებულია რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის ამსახველი დიდი და მრავალფეროვანი მასალა. ტრ. რუხაძის წიგნი, მიუხედავად ნაკლოვანებებისა, კარგ^ა სამსახურს გაუწევს როგორც ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტებს, ასევე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე მომუშავე ისტორიკოსებს.

მ. მატრეველი

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ილ. აბულაძე
გამომცემლობის რედაქტორი ც. შალამბერიძე
ტექნიკური ნ. ჯაფარიძე
კორექტორი გ. ჯაყელი

გადაეცა წარმოებას 16.5.1963; ანაწყოების ზომა 7×12 ; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 28.12.1963; ქალაქის ზომა $70 \times 108^{1/16}$;
ქალაქის ფურცელი 8,38; საბეჭდი ფურცელი 22,96; საავტორო
ფურცელი 17,19; საალრიცხო-საგამომცემლო ფურცელი 17,62;
შეკვეთა 676; უე 03812; ტირაჟი 500
ფასი 1 მან. 26 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5

სყ. 18/8.



ფასი 1 მან. 26 კაპ.